

644/
1973/3



სენსიტიუიტი


ბიბლიოთეკა

ახალი

სახარბილო წიგნი!

9

1973



აუვავებული გარემო
მზით სავსე ბალს დაემგვანა,
ქართლის მადლიან ბუნებას
სიცოცხლე ამოეყვანა...
დასანანია — დასტოვო
ასეთი ტურფა ქვეყანა!

სსსს

12-423

196

გამოცემის მენეჯმენტი წელი

9

საქართველო

1973

თბილისი

საბ. კვ. ცა-ის გამომცემლობა

ლიბერატორულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ქ. შარტავის სხ. სიქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

შინაარსი

კოეზია, კროჯა

3. თიშუკაჲ ჯანვულაშვილი. ლექსები
 7. მირონ ხერბიანი. ოპროსფირი რიჷმ. მოთხრობა
 28. ვახტანგ ჯავახიძე. ლექსები
 31. ბააღურ ბალარჯიშვილი. კალიგულაჲსკი. მი-
 ნიატურები
 45. დილარ ივარდავა. ლექსები
 48. ირა გოცაძე. ლექსები
 51. მირიან მირნელი. სწავრობულს სადიდობელი.
 ლექსი
 52. ავთანდილ ყურაშვილი. ლექსები
 54. გივი გელაშვილი. „ბარბიჷ“. მოთხრობა

ახალი თარგმანები

58. ანა ახმეტოვა. ლექსები. თარგმნა ნანა ლვინეფაძემ

ასფურცელას რვეული

61. მურთაჲ ჩახავა. კაჷა ბაჷია. მოთხრობა

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

88. გიორგი სანაღირაძე. კვალი მინც რჩება
 105. მზია კობაერიძე. სხვადასხვა კათონის შვილები

სუთუღელის ნაბიჯები

107. არსენ ბაღალაშვილი. დიდი ჯაჷვი
 110. 70 — ბესარიონ ძლენტი — 70

წ ე რ ი ლ ე ბ ი

111. ზურაჲ ასათიანი. ჰუმანოროგის კროგლეშა დღე-
 ვანდელ ქართულ კროჯაჷში
 129. მუსრან მახავარიანი. ოღოზის სარდალი
 133. მარინა დანელია. თოგას ვულფი
 145. ნოდარ შანგელია. გიორგი სააკაძის ქალიშვი-
 ლის ანე ხათუნის საფლაგო
 152. ირაკლი კინეოშვილი. ქართული აუთენტიკური
 ბაროკოს ბაჷმი
 157. ლია ალაშვი. ჰიკებინ დასამარებაჷ!

მთავარი რედაქტორი
 ჯანსუღ ნარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

ზურაჲ ასათიანი,
 აბაჷი ბაჷრაძე,
 გივი გეგეჭკორი,
 ზურაჲ გვირგვინელი,
 მერაბ ელიოზიშვილი,
 ქარლო კალაძე,
 კონსტანტინე
 ლორთქიფანიძე,
 ოტია კავთორია,
 (პასუხისმგებელი მდივანი),
 ნუგზარ ფოჷხაძე,
 ნოდარ წულეისკირი,
 ტარიელ ჯანტორია,
 სერგი შილაია,
 თამაზ შილაია,
 ლევა ჯანაშვი.

ბ რ ი კ ტ ი ს ი

1. დანიელ კონჭაძე იწერს „ნართების“ თქმულებას

მზე ჩაიშალა მთებში ჭავჭავით
და გაკრთა მთვარის შუქი რიოში,
დღე — მთის მდინარის ტალღა ჩაველილი —
შეცურდა დროის ზღვაში მღვრიეში.

ღრიალებს თერგი გადარეული,
კვიცი —
უხედნი, დაუჭედელი,
სდუმს ათას ზურაბდატახებულნი
კავკასიონის მკვიდრი კედელი.

ცაში აცურდა ვარსკვლავთა კვარი
და გრილი ნისლი ჩააკუდა ხრამებს,
მთის ერთმა კალთამ კოცონის ავალით
უძირო თვალში ჩახედა ღამეს.

სამნი არიან კოცონის ირგვლივ —
ერთი ყმაწვილი,
ერთი ბებერი,
ერთიც მებაჯრე ქართული სიტყვის,
ოსური ენის მასწავლებელი.

ტოკავს დანიელ კონჭაძის ხელში
წვერწამახული შავი ფანქარი,
ცეცხლს ფიჩხს უმატებს ყმაწვილთა წვერში,
ალი ზეამხტარ თუგზაჲ ფართქალებს.

თეთრწვერა კაცი ჯე ტაქის ლანდი,
ხმაც რომ უპირათს და ზეულის თითებიც,
ჩამქრალს თვალის დაპყურებს ფანდირს
და ბაგეს სცვივა მარტალიტები.

ცვივა, ვცვივა ქაშაქაჲ ქალადს,
რთგორც ნიადაგს სოხე მარცვალი,
გულში ენთება ჩახჩახა ჭაღად
სიტყვა, დრო-ჟამით, დაუნაცრავი.

დღემ დაიძინა.
ჩათვლიმეს მთებმაც,
რამ გააღვიძათ ძველი ნართები?
ისევ ღმერთებთან თუ უნდათ შებმა,
დევეებს თუ ჩეხენ გულით მართლები.

შეაზანზარეს ზეცის თავანი,
არის ზათქი და გადაძახება, —
ხალხის ხსოვნაში ზღაპრად მავალნი
მოდიან წიგნში დასასახლებლად.

სული მაღალი სიბრძნით რომ კვებოს,
ხორცშესხმულ ძეგლად იდგეს „ნართები“,
ორი ათასი წლის ოსურ ეპოსს
ქალაქს პირველად ანდობს ქართველი.

2. გიორგი ლეონიძე თარგმნის „ნართებს“*

თბილისს დაჰყურებს მათა ტახტიდან
მთაწმინდა
ისევ მწვანე და მშვიდი,
და ნაწვიმარზე ცაში დაჰკიდა
მწემ ცისარტყელა —
სოსლანის მშვილდი.⁹

ცისარტყლის ცალი ბოლო დაეშვა
პოეტის ღია ფანჯრის მიწაზე,
გაზაფხულს, ყველა ომის ჯინაზე,
თბილისი ხელის გულზე დაესვა.

ჯერაც ხომ ომის ტალღა მძვინვარებს,
არ შეღწეოა ბერლინის ბჭეებს,
ნახმლევი ისევ სტკივათ მყინვარებს,
კავკასიონის კლდეებს და დღეებს.

უკვე ევროპის გზებზე მისდევენ
უკანდახეულ ასპიტ მტრის დევეებს,
ძმადშეფიცული ამხანაგები
ამირანები,
ვარხთანაგები.

ვით ცისარტყელა, ჰკიდა ჭერზე
მათი ხმლის ელვა, ასე ლამაზი,
და მაგიდასთან, ვით ბრძოლის ველზე
ქართული ლექსის დგას აცამაზი.

ოთახი უცხო შუქით მოცულა,
ვისარტყლის ფერთა კორიანტელით,
დღეს ლეონიძის ჭერქვეშ მოსულან
ნართების გმირი გოლიათები.

გული რაოდენ დეღვას განიცდის —
ჩვენი ამირან დარეჯანის ძის
მოსულან ძმები — მტერთა მძლეველები,
ჯოჯოხეთშიც რომ არ გადრეკებიან
და ოსი ხალხის ხსოვნის მძევლები
ქართულ სტრიქონში ქანდაკებიან.

შრომობს პოეტი,
გულის სიღრმიდან
სიტყვის ბაჯაღლოს ამოსატანად,
მოდის ბათრამი მთების მიღმიდან
და სუფრის გაშლას ლამობს სათანა.

გრიალებს ურო ქურდალაგონის, —
მეომართათვის სტედავს შუბ-ფარებს,
მოაზანზარებს მაღალ მთა-გორებს
და ზღაპრულ ტაიჭს მოამშუქარებს.
მოდის სოსლანი,
ფერსხვიოსანი
წინ დაჰფენია ვარდი, სოსანი.

* ასე ეძახიან ცისარტყელას დიგორში.

თეთრი დონბედთრი* წყლიდან ამოსვა
და საკუთარ გულს ვერ მოერიდა...

ნართნი იცვამენ ქართულ სამოსელს
და ამირანთან ერთად მღერაან.

8. მე ვკითხულობ „ნართებს“

ნართებმა ხახლს მაღალი კარი შეუბნეს, გასვლა-
გამოსვლისას წელში მოხრა არ დაგვეკირდეს
და ღმერთებმა ეს თავის დახრად არ ჩაგვიო-
ვალონო.

„ნართებს“ ვკითხულობ, —
როგორც უცხო რამ ქვეყანაში,
ამ დიდ ებოსში ისე შევევლი,
„ნართებს“ ვკითხულობ,
მზიბლავს ხალხის სიბრძნე ხალასი
ორი ათასი ღამის მთვევლი.

მოდის ბათრაძი,
მომაგებოს წინ
თვალმარგალიტი —
თვალმომჭრელი,
შუქუღვეველი.
„ნართებს“ ვკითხულობ, —
ამ დიდ ებოსში,
როგორც საკუთარ ეზო-კარში,
ისე შევევლი.

ლადი,
სისხლსავსე სიმღერები ჟღერენ ნართული
და უკვდავების განკარგულებით
ჩემს დაბალ ჭერქვეშ შემოდიან წელგამართული
მგოსნები სახელდაკარგულები.

— მობრძანდით, ძმებო,
ძვირფასებო,
ათასეული
წლების მიღმიდან თქვენგან მოწვდილს მივიღებ სირჩას,
ვხედავ:
მეოცე საუკუნე აღტაცებული
თქვენი სიტყვის ზოდს ათრთოლებულ თითებით სინჯავს.

* აცამაზი — ჯაღოსნური. მესალამურე, სა-
თანა — ნართების დედა, ქურდალაგონი — ზე-
ციური მჭედელი, დონბედთრი — წყლის ღვთა-
ება, ვარხთანაგი, ბათრაძი, სოსლანი — „ნარ-
თების“ პერსონაჟები.


თქვენი სახელი ისტორიის უჭრელეს ფარჩას
ჩამოერეცხა უჯებირო ჟამთა სვლის ტალღით,
ჩამოერეცხა...

და „ნართების“ ავტორად დარჩა
ქვეყნად ყველაზე უდიდესი პოეტი —
ხალხი.

მან ფრთიან სიტყვას ჩააბარა მედროშეობა,
ვისი ყივილიც დაეწყებას შეცაცხაცხებს,
მან თქვენი ხელით უმაღლესი კარი შეუბა
თავისი სიბრძნის მზიან სასახლეს.

მასში ღმერთები თავდახრილნი უნდა შევიდნენ,
რადგან ისინი ვერ შექმნიან ამ საოცრებებს,
სტრიქონთა ბილიკს შთაგონებით ავლევ ზევით მე,
ყოველი სიტყვა შუქით მავსებს და მათცნებებს.

ვკითხულობ „ნართებს“,
ათასეული
წლების მიღმიდან თქვენგან მოწვდილს მივიღებ სირჩას,
ვხედავ:
ჩემი დრო,
კოსმიურ ფრთით ატაცებული,
თქვენი სიტყვის ზოდს ელექტრონის თითებით სინჯავს.



თეიმურაზ ჯანგულაშვილი 50 წლისაა. მისი პოეზია
დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში დავაუკაცდა და
დღესაც მისი თაობისათვის ჩვეული მგზნებარებით უმ-
ღერის ჩვენი სამშობლოს ნათელ მომავალს. უფროა
„ცისკრის“ რედაქცია ულოცავს მას ამ ღირსშესანიშნავ
თარიღს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ
შემოქმედებით წარმატებებს.

ქართული ზღაპარი

ღვთისიას ღმერთი გაუწყრა იმ დღეს ან იქნებ სულაც თარს ფეხზე იყო ამდგარი. ჭიაურის ტყეები ბარალიდან შუასნომდე და გველის მთიდან წივაურამდე სულ ნაბიჯ-ნაბიჯ დაქელა. ერთი საექვო ჩირგვი არ დაუტოვებია, შიგ რომ არ შეეჭყიტა. ალბათ მართლაც გამწყდარიყო ნადირი, თორემ ლუბი კურდღლის ნაკვალევს მაინც როგორ ვერ წააწყდებოდა. დათვის ოხშივრიან ნეხზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო! სამჯერ შემოიტრიალა თავზე მომჩვარული ნაბდის ქუდი — ავმა თვალმა ხომ არ გათვალაო. მაგრამ ვერც ამან უშველა. ამდენ ძუნძულ-ხეტიალს ისევ ღორების მოვლა სჯობდა! მოვლა ჰქვია, თორემ, რას ირჩება მაინცდამაინც, დილა-საღამოს ქატოს მოუღულღებს, კარტოფილს დაუყრის, დააბინავებს და ეს არის... ხანდახან, როცა დასაკოდია კერატები, მაშინ თუ დაიქანცება იმათ დევნა-დაჭერაში, სხვა დროს შეუძლია თივადაგებულ ტახტზე წამოწვეს მელორეთა ოთახში და გემოზე წაუძინოს.

ღღეს კი ვილაცამ დათარსა ღვთისია, ღღეს კი არა, უფრო სწორად წუხელის შემოუხსია ვილაცამ ეშმაკები, სანადიროდ წამოსვლა რომ აიკვიატა. საგზაოლი მაინც წამოეღო სამყოფი, არ მოე-

ლოდა, ასე თუ მოშვიდებოდა. დაღღეს-დაქანცული ძლივს მილასლასებდა.

დაძაბულობისაგან თვალები აჭრელეზობოდა. მარჯვენა თვალი მარცხნივ გაუფრბოდა, მარცხენა — მარჯვნივ. ასეთ მოყამულ გუნებაზე არასოდეს ყოფილა. მერე სლოკინი აუტყდა. ნეტა ვიღამ გამიხსენაო, — გაიფიქრა ღვთისიამ.

ჭიჭია და კეთილა მოაგონდა, რამდენ სასიყვარულო ამბავს უყვებოდნენ ისინი ღვთისიას! მაინც სად მოასწრეს ამდენი ქალის გაცნობა და მოჯადოება? — უკვირდა ღვთისიას. ისე მაინცდამაინც ჰკუას არ ჰკარგავდა ქალებისთვის. როცა იმათზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, ღვთისია ჩალანჯაში კამეჩივით იზმოიზებოდა. ამხანაგები სთხოვდნენ, ახლა შენც მოგვიყევი რამეო, მაგრამ ღვთისია ღუმიღს არჩევდა. ანდა რა ჰქონდა საამბობი რო... რითი გააკვირვებდა იგი კეთილასა და ჭიჭიას? ჯარი მაინც გამოველო იმათსავით, მაშინ კიდეც სხვა იყო, მაგრამ...

ნაბიჯისათვის შეენელებინა. ეს მაშინ შენიშნა, შორეულმა სიცილ-ხორხოცმა რომ მოაღწია მის ყურთასმენამდე. „ეს სატიალე, სად დაიკარგა!“ — შეუკურთხა თავის მშობლიურ სოფელს, ჩეღუჩაანთგორს ღვთისიამ. — იქ ალბათ დი-



დის ამბით მომელიან ახლა, — გაიფიქრა მერე, — მომელიან თორემ, ბევრ რამეს კი ჩავეუტან — მწარედ გაეცინა ღვთისიას, — თუშკა არცა მყვანან დაჩვეულნი...”

ჩელურაანთგორამდე ჯერ საჭურე. ბალების ხევი და ნარაკოზი უნდა გაეცლო. ნანადირევით რომ ყოფილიყო დატვირთული, ასე არ დაიღლებოდა ალბათ. „რა ჩააღწევს იმ ოხერტიალში!“ — გადააწიტა ღვთისიამ.

მაღე საურმე გზაზე გამოვიდა. გზა ატალახებული იყო და ღვთისია შივ ეფლობოდა. კოჭებამდე ტალახის ზელას ისევ გზისპირზე სიარული ამჯობინა. კიდევ რომ მოვარდა შორეული ჩქამი, თავი წამოსწია. ხელმარჯვნივ, ტყისპირზე, საჭურეს მეჩხერად აკიაფებული სინათლეები დაინახა. სწორედ იმ მხრიდან მოდიოდა ხმაური. საურმე გზა ორ ნაწილად ჰყოფდა საჭურეს. დრიანცილი ზემოდან, სოფლის განაპირა უბნიდან მოისმოდა. გული დაწყდა ღვთისიას — ის ხალხი ვეღარ დაინახავდა მას თუ თვითონ არ გადაუხვევდა გზიდან და ძალად არ ესტუმრებოდა. თოფს დავაქუხებო, — გადაწვიტა, — იქნებ გაიგონონ და მიმიპატიეონო, მაგრამ გადაიფიქრა. გზაზე ჩაყოლებულ ღობეს გადაახტა, ვიდაცის გადაჩიქნილი ბოსტანი გადასერა, მერე ერთი სხვა ბოსტანი კიდევ გაიარა და პირდაპირ მოქეიფეთ მიადგა.

ღვთისია ამ სოფელში გამოვლით თუ ყოფილა. აბა საიდან ეცოდინებოდა, ვის ეზოში მოხვდა, ვინ იყო ეს ხალხი, რა ახმაურებდათ და აცინებდათ. მოკავსაშე ნათურის შუქზე, ეზოს შუაგულში აფოფრილი მაქალის ტოტზე რომ კონწილებდა, საგულდაგულოდ ათვალიერებდა შეჭეიფიანებულთ, იქნებ ნაცნობი ვინმე აღმოვაჩინო.

ღვთისიამ ხმამაღალი სალამი თქვა:

— აქა მშვიდობა და ქორწილიო...

ყველანი უცხოსკენ შემოტრიალდნენ. მერე ხალხს ჰარმავი, თეთრწვერა მოხუცი გამოეყო და სტუმარს გაეპასუხა:

— მშვიდობაც არი და ქორწილიცაო...

მოხუცს ყანწი ჩაებლუჯა ხელში და თითქოს ვეღარ ერევაო, თავს ძლივს იმაგრებდა, ბარბაცებდა. ეს სიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოსთქვა. მოხუცს დარბაისელი კაცის ხმა ჰქონდა. დანარჩენებმა იმის ნათქვამზე გაიცივნეს, ეტყობა, მოეწონათ მოსწრებულნი სიტყვა.

— სტუმარი ღვთისია. — ახლა თავისიანების გასაგონად თქვა მოხუცმა, ახალგაზრდებს აგრძნობინა, უცხო კაცს ყურადღება მიაქციეთო.

— გზა დამეთხიავ, — თავი იმართლა ღვთისიამ, — ჩელურაანთგორისაკენ ვადექი და ეს სად მოვხდი.

— შენიანებში მოხდი... ნუ გეშინია, განა უცხონი ვართ... — ჩაჰკიდეს ახალგაზრდებმა ხელი ღვთისიას და გამობარსა და გაბრდლილებულ ოთახში შეუძღვნენ. ოთახში სუფრა გაეშალათ, წვერგაუპარსავი ხალხი მაგიდას მოსხდომოდა. აქა-იქ ქალებიც ერია. მათ სულ არ ეტყობოდათ მორცხვობა, მაღიანად ილუკმებოდნენ, ოთახის მოპირდხპირე კუთხეში ნეფე-დედოფალი იჯდა. ღვთისია საქორწინოდ არ იყო გამოწყობილი, მაგრამ ამ ხალხში ვინმე ფეთხუმად მაინც არ გამოჩნდებოდა.

მერიქიფემ, ახალგაზრდა, თავგადახორტილმა ბიჭმა ლუდი და არაყი მოუტანა — შემოსწრებისა დაგვილიეთ. ღვთისიას შიოდა და საჭმლისაკენ გაურბოდა თვალი. ლუდისა და არყის კათხები ორივე გამოართვა და წინ დაიდგა.

— ცოტა სვე აკლია, მაგრამ არა უნდარის, დაილევა... — ლუდზე უთხრა მერიქიფემ.

— ნუ გედარდება, ორთავეს დაგვლევი, — მიუტრიალდა ღვთისია.

მერიქიფე მის პასუხზე შეცბა, დაიბნა და გვერდზე გაიწია.

— მასულს ვერავინ გაგვაცნობს? — ზეზე წამოიზლაუნა ახმახი თამადა. იგი ნეფე-დედოფლის გვერდით იჯდა და

თავგამოდებული ვოხუნჯებოდა ახალ-
გაზრდა წყვილს.

„ეს ოხერი, არ დაგადროვებენ...“ —
წითლის გუნებაზე მოვიდა ღვთისია, მაგ-
რამ როგორღაც თავი შეიკავა. ვიდრე
თამადა იფანსა და კარებთან მოქოთქო-
თე მასპინძლებს მიშტერებოდა და პა-
სუხს ელოდა იმათგან, ღვთისიამ ძალის-
ძალად ორიოდ ლუკმის დაღეჭვა და
კათხა ლუდის დაღევე მოასწრო. მში-
ერზე ლუდმა შეუღიტირა და გუნებაზე
მოიყვანა.

„რა ცნობისმოყვარე ყოფილა, ე აბ-
ლაყი...“ — გაიფიქრა ღვთისიამ და ზე-
წამომართა:

— ჩედურაანთგორელი ვარ, ყუდიის
ვაჟი, ზედმეტსახელად ციხუას უძა-
ხიან მამაჩემსა. — თავად გააცნო თავ-
ვი ღვთისიამ მექორწილეთ.

ვიღაც კაცმა, სუფრის მეორე მხრი-
დან ხმამალა დაიძახა: ვიცნობთ, ვიც-
ნობთ, ციხუასაო. მერე ირგვლივ
მსხდომთ გადასჩურჩულა: — ჭყეტი-
ლანთია, მაგისი სახლიკაცი არ იყო,
ქორწილიდან რომ მოჰპარა ბატარძალი
სოფლიონელებსაო.

ამის გაგონებაზე სიცილმა იფეთქა —
„ჭყეტილანთი ყოფილა, ჭყეტილან-
თიო...“ ეტყობა, პირველად ესმოდათ
ეს სახელი და ეუცნაურებოდათ. მარ-
ტო ახმახი თამადა არ იცინოდა. იგი
დინჯად და მოთმინებით ელოდა, როდის
დაშოშმინდებოდა ხალხი, რომ ახალი
სადღეგრძელო ეთქვა.

ღვთისიამ ისარგებლა ხმაურით და
საჭმელს მიეძალა. ერთი არაყიც რომ
გადაყლურწა, სულ გაუქრა მორიდები-
სა და უცხოობის გრძნობა. „სტომაქზე
ზრუნვა ვითამ რა სირცხვილია, ა?“ —
თავს ინუგეშებდა იგი.

ამასობაში თამადამაც იდროვა და
მუშტი დაარტყა მაგიდას: საკმარისია,
რაც იცინეთო.

„ეს კი სინდისიერი ვინმე ჩანს...“ —
თავი წამოსწია სუფრიდან ღვთისიამ და
თავის ქომავს გამომცდელი თვალით გა-
დახედა.

— ერთი ეს გამაგებინე, გიგია, ჩვენ-
სა რო მოვიდა, ე ვაჟი, ყროლ ხო არა
უძე გუნებაში... ჩვენცა გეყავს ბატარ-
ძალი. თავის ქმარს ლამაზი ჰგონავის. —
იმ კაცს მიმართა თამადამ, წელან რომ
თქვა, მაგისი სახლიკაცი არ იყო, ქორ-
წილიდან რომ მოსტაცა ბატარძალი
სოფლიონელებსაო.

ყველამ ღვთისიასაკენ იბრუნა პირი.
გიგიამაც მას გაღმობხენდა, აბა რას იტ-
ყვი თამადის ნათქვამზეო.

„არ დაგადროვებენ, ეს ოხერი...“ —
ფეხზე წამოდგა ღვთისია და ხმამალა
განაცხადა:

— ბატარძალზე არა და.. — ღვთისი-
ამ ცოტა შეისვენა, ახლად დასხმული
პანტის წინწანაქრიანი ჭიკა მოიყუდა და
გადაყლურწა, მერე ნეფე-დედოფლის
ხელმარცხნივ ქედანივით მინაბულ
თეთრთავსაფრიან გოგოს დააშტერა
თვალი და განაგრძო, — აი, სისკარზე
კი ვიუბნოთ, — ძლივს მოაშორა ალან-
ძულ გოგოს თვალი ღვთისიამ.

მექორწილეებმა გაიცინეს. მოეწონათ
პასუხი. თეთრთავსაფრიანი გოგო უხე-
რხულად აწრიალდა, თავი ჩალუნა.

— მიუღექსე და იქნებ გამოგივიდეს...
— ნახევრად დაცინვით უთხრა ღვთისი-
ას თამადამ.

— მივუღექსავ, რად ვერ მივუღექ-
სავ, მაიცა... — კათხა ლუდი დააყოლა
ახლა არაყს ღვთისიამ და სუფრას გას-
ძახა: — დაიწყეთ და მე ჩემსას გეტყვი
თქვენ—მასპინძლები, მე — სტუმარი.

— ჩვენაც სტუმრები ვართ, განა ამ
სოფლისეები ვართ რო... — თქვა გიგია-

— თქვენ შინაურები და მე — უცხო.
— არ თმობდა ღვთისია. სასმელი ძვალ-
რბილში გასჯდომოდა უკვე. თავი ყოვ-
ლისშემძლედ წარმოედგინა.

მექორწილენი თეთრთავსაფრიანი გო-
გოს გვერდით ატუზულ ბიჭს მიაჩერდ-
ნენ. მან ღრმად ჩაცვინული თვალები
ღვთისიას მოანათა, გრძელი, ძარღვიანი
ხელი მისკენ გამოიშვირა და დაიწყა:

მირონ ხარგინი
ოპროსფერი რიჟა



ე. ციცი ხაით მოვიდა
ციცი, ციცის გაზრდილი?

სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა იმ ბიჭს მიაჩერდა. მიენახებებს მოწონების ნიშნად ღიმილი დასათამაშებლათ სახეზე. მერე ღვთისიას შეაშტერდნენ.

ეს გოგო გამომავლეთ,
გვერდზე რო გიზისთ, ტანწკრილი...

— ამოდერდა ღვთისიამ.

არავის არ გაუცინია ეტყობა, ვერ თქვა ისე ფხიანად. ნანობდა კიდევ, კაფიობაში რომ გამოიწვია ხალხი. მაგრამ არც დამარცხებულად გრძნობდა წერაწერობით თავს. პასუხი სხვაზე იყო.

არ გამოგყვებიხ, ძმობილო,
გვერდელ ას თქვენი აღვილი...

დაუბრუნა პასუხი იმ ბიჭმა და ამაყად მიიხედ-მოიხედა.

ხალხმა ერთხმად გადაიხარხარა. ზოკმა, ვინც ახლოს ეჯდა, მხარზე მოუტყაბუნა ხელი. სისკარმა ერთი მადლიერად შეენათა თვალები, მერე ისევ ჩაჰკიდა თავი.

ეს მართლაც მაგრად იყო ნათქვამი. ღვთისიას სოფელი, ჩელურაანთგორი ისეთ წარაფებზე იყო შეფენილი, მარდი მუხლები გინდოდა, რომ იმისი აღმართები აგელია. გვიან დამე კი, შესაძლოა ფეხი დაგცურებოდა, ციცაბო ფლანგს გადმოვლებოდი ყირამალა. სოფელს არც სამანქანო გზა ჰქონდა ხეირიანი. შორიდან უვლიდა ჩელურაანთგორს. ძველი, მამაპაპური საურმე გზაც ქარ-წვიმებს ჩაერცხა. სოფლები შემას და სხვა ტვირთს ზურგიით ან სახედარ-ცხენებით ეზიდებოდნენ მთავარი გზიდან.

იქ ქალის გაშვება არავის უნდოდა, ამიტომ ჩელურაანთგორელებს ქალის მოყვანა ყოველთვის უჭირდათ. მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, ბერებად ხომ არ აღიკვეცებოდნენ სოფელს შემორჩენილი ახალგაზრდები, ქალს ჩვეულებრივად იტაცებდნენ ხოლმე.

ჩელურაანთგორელებს ყველა ეჭვის

თვალთა უყურებდა. მათი ეჭვიანობა ჩელურაანთგორელ ორ-სამ მამაკაცს ერთად რომ დაინახავდნენ სადმე, იტყოდნენ ხოლმე —ამაღამ ერთი რძალი შეემატება მაგათ სოფელსაო.

ახლა მოქიშვემ სწორედ ამაზე გადაუჭრა სიტყვა ღვთისიას. საკმაოდ კარგადაც გადაუჭრა.

გარეთ, აივანზე მდგომნიც დაინტერესდნენ, რა ხდებოდა ოთახში. გვიან შემოსულნი კითხულობდნენ — რაო, რა თქვაო. ახლა ღვთისიას ჯერი იყო. რალაც უნდა ელონა, რაიმე ფხიანი ეთქვა, თორემ სულ ჩაფლავდებოდა. თამადა დამცინავად შემოსცქეროდა. „ეს ოხერი, რას მომჩერებია“... — ბრაზისაგან თვალები აენთო ღვთისიას. მერე უაზროდ წამოიხავლა:

დაასკობს, მინდოლაური,
რახა დაუსვას მარგილი...

ციცა ხნით მიჩუმებულმა დარბაზმა ერთიანი ძალით იხუჭლა. ღვთისიას ნათქვამის აზრი გაიგეს და ძალიან მოეწონათ. არც ერთი არ ფარავდა ამას. მარტო ის ბიჭი მოიდრუბლა.

— რაო, ბეწინა, შემოგელია? — მიაცხა გიგიამ წარბშეკრულ ბიჭს.

— გჯობავის და რაღას იზამ...

ბეწინას თვალები აენთო. თავი წამოსწია და საპასუხოდ შეემზადა.

„რა უნდა მომიშაიროს?“ — შეეშინდა ღვთისიას. მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ახმაზი თამადა ფეხზე წამოიზლაზნა, კინკოფზე გადაწეული თუშური ნაბადის ქუდი თავზე შეიტრიალა და ბეწინას გადასცხა:

— ეს კაფია დამთავრდა უკვე, ვაჟო, აბა და ველარას იტყვი... თუ ძალიან გინდარის ახლით დაიწყე...

ბეწინამ თავი დაუქნია თამადას, ოღონდ ახალი არ დაუწყია.

„ეს მართლა ვაჟკაცი ყოფილა, რას ერჩი“ — ქურდულად შეათვალღერა ღვთისიამ თამადა.

იგი ისევ ფეხზე ღდგა და ბატონკაციური მედიდურობით დასცქეროდა მაგიდას.

„ან სადღეგრძელო თქვას, ან დაჯდეს... გაიფიქრა მერე ღვთისიამ — რა თვალში ეჩრება ყველას“.

— სიტყვაში გვაჯობებ, მაგრამ ქალას მაინც ვერ გაგატანთ, ძმობილო... ასეთი რამ არც გაივლო გულში! — მიმართა მან ღვთისიას მუქარის კილოთი.

— სიტყვა რა იხერია... მე ის ქალამ მათქმევინა თორო...

— სხვასაც რო ათქმევინა შენზე აღდრე? იქნებ შენ გჯობავის ის სხვა?

— ვინც უნდა იყოს, მე ჩემი ვიცი და იმან — თავისი... შენ კიდევ — შენი. — გაანჩხლდა ღვთისია. — მე ვთქვი და ეგ არი...

— ჯიუტი ყოფილხარ, ფარხები მაინც გამოგეცვალა, ქალას სათხოვნელად რომ მოსდიოდო.

— შენთან ასეც რო არა მრცხვენავის? გოგოსთან მრცხვენავის თორო შენთან არა... არც სხვასთან მრცხვენავის ჩემი თავისა, გაიფე?

— სისკარი ჭყეტლიანთ ვაქს თუ გამაჰყვების, — დაიღრიალა თამადამ, — ჩელურაანთგორელებსთვის თუ გავიქშერებთ სისკარსა, ჭყევანა დაუნახავებისათვის.

— მე ჩემი მითქომ და... — უმეორებდა თამადას ღვთისია.

ხალხი აიშალა. ახალგაზრდები ღვთისიასკენ მოიწევდნენ, მუშტშემართულნი ღრიალებდნენ და ემუქრებოდნენ. გიგია წინ ამოეფარა ღვთისიას და ხელები გაშალა. არავის არ უშვებდა მასთან. მერე მასპინძლებმა ჩაავლეს ხელი და როგორც იქნა, აივანზე გაიყვანეს. შუალა ოთახში შეიპატიყეს და საწოლზე ჩამოსვეს.

— შენა, გიგიავე, იმ ფარხებიანს რად ექომაგებოდი? — თამადას ყვირილი ესმოდა გარედან ღვთისიას.

— აბა, გიგიას არაფერი აუტეხოთ. თორო დედას გიტირებთ — ზეზე წამომართა ღვთისია.

ბეწინაც ემუქრებოდა გიგიას — უცხოის რაღაზე მიუდებო:

ღვთისიას ისევ მოაწვა ჯავრი და ერთ-

ხელაც გაიწია. მასპინძლები ხელს აფარებდნენ მას, რომ გარეთ არ გაეგათ ყვირილი და მუქარა, წამოწოლასა და დასვენებას სთხოვდნენ.

მაგრამ ღვთისია გაჯიუტდა — არა, უნდა წავიდე. ქალას რომ მოვიტაცებ, მერე დავიძინოთო.

ქალებს ეცინებოდათ ღვთისიას ნათქვამზე. ტაციობაში ჩულურაანთგორელებს დაეკრებოდათ კიდევ. კაცები კვერს უკრავდნენ ღვთისიას, შენ რომ გინდა, ისე იყოსო.

— ე, ქალას რამდენმა დაუბირა. გაიტაცეს კიდევ, მაგრამ უკანვე გამოექცათ. — თქვეს ქალებმა.

— მე ჩემი მითქომ და... — იქაღნებოდა ღვთისია.

მერე თავისი თოფი მოიკითხა. ხელში ჩაბღუჯა და ბათქაბუთქით გაუდგავზას. საუცხოო გუმანი ჰქონდა ღვთისიას. ხანდახან შუალამისას უხდებოდა ფერმაში გასვლა. უკუნი სიბნელეც რომ ყოფილიყო, ჩელურაანთსოფლის წარაფებზე ერთხელაც არ წამოჰკრავდა ფეხს ლოდებსა და გოროხებს.

ტრემლები მოადგა რატომღაც ღვთისიას, თითქოს რაღაცამ შეუღლიტინაო, წელში წამომართა, თავი წამოსწია და სმამაღლა დაიღრიალა:

— ჩემს სისკარს გაუძარჯოს... ჩემს სისკარსა!..

სიტყვა არც ჰქონდა დამთავრებული, რაღაც ჩქამი მოაწყდა ყურებზე, მერე თითქოს დათვი ჩააფრინდა ზურგშიო, ვიღაცამ მაგრად ჩაბუბნა, ჩიანჯღრია. მერე სახეზე მოხვდა იმისი ტორი. თვლებმა ერთი ეღვასავით გაჰკვესეს. სველ მიწაზე ჩაიკეცა ღვთისია და უგონოდ გაიშხლართა.

— ვერ მოგართვით სისკარი, ჭყეტლიანთ ბაღლო, ა? — ნიშნის მოგებით ჩასძახა წაქცეულს ბეწინამ. მერე დაიხარა, თოფი და სასწრაფი ჩამოხსნა და ერთი ბათქაბუთქი დააყენა. ოცი ვაზნა

მირონ ხარბიანი
ოპროსუმი რედაქტორი

ჭკონდა დარჩენილი ღვთისიას, ათი ბე-
წინამ ისროლა, ათიც ახმახმა თამადამ
გაატყურინა. ორღულლიანიდან ცეცხლი
ნაპერწყლებად შეეფრქვეოდა ზეცას,
წუთით გაანათებდა ტალახიან შუკას.
გასროლის ხმა განგაშად მოეფენებოდა
ველებს და წარაფებს, ბურთივით და-
გორდებოდა ბექიდან ბექზე და სადღაც
შორს, უხილავ ჰორიზონტს მიღმა ჩაი-
კარგებოდა...

— ჰე... ჰე, ჰეეი, ჰყეტილანნო, ჰე...
ჰე... ჰეეი... — ხარხარებდა გახელებუ-
ლი თამადა.

— ჰე... ჰეეეი, ჩელურაანნო, ჰეეყნის
დაუნახავნო, უნიფხოებო, ჰეეი... —
აყოლებდა მას ბეწინა.

მერე თოფი და სასწრაფი იქვე და-
უვდეს ღვთისიას და სიცილ-ხარხარით
გაბრუნდნენ უკან.

იმ ღამეს სახლში არ მისულა ღვთისია.
ძლივს მიათრია სხეული ფერმამდე. მე-
ლორეთა საღვომში დააბრახუნა. იმისმა
შემცვლელმა კოკლაუხა ბილიბემ ოთახ-
ში სინათლე აანთო და ბუზღუნით გა-
მოალო კარი. კვარის შუქზე ბილიბემ
დაინახა როგორ დასიებოდა სახე ამხა-
ნაგს და გაოცებისაგან თვითონაც ლო-
ყები გამოებერა.

— რა... რა მოხდა... — ენის ბორძიკი
წარმოთქვა ბილიბემ, — დათ.. დათვმა
ხომ არ დაგბეგვა...

— ხო, ჩემო ბილიბ... დათვმა დამბეგ-
ვა. — ამოღერდა ღვთისიამ და საწო-
ლისაკენ გაექცა თვალები.

ბილიბეს შეეცოდა ღვთისია. ტახტზე
მიუთითა, წამოწეჭო.

ღვთისია თიკადაგებულ ტახტზე წა-
მოწვა, ნაბადი გადაიფარა და ხერინვა
ამოუშვა.

— ჰიჰიამა და კეთილამ მოგაკითხეს...
ხომ არ დაბრუნებულაო. მაგრამ შენ არ
იყავი მოსული. — ეუბნებოდა ღვთი-
სიას ბილიბე და გულამოსკენილი ზღუ-
ქუნებდა, — მაინც რამხელა დათვი ყო-
ფილა, ი, წყეული, ა?

მაგრამ ღვთისიას არ ესმოდა მისი.

● საღორე სოფლის განაპირას, ტანჭრო-
ბთან იყო აშენებული. ერთ დღეს ამხა-
ნაგები ესტუმრნენ ღვთისიას — ჰიჰია
და კეთილა. ორი ბოთლი პანტის წინწა-
ნაქარი და ხუთიოდე ხახვის ბოლქვი
დააპრეს უბიდან. ნეხვით შელესილი
მწყემოსადგომის კუთხეში, ტაბლაზე და-
ალაგეს და კერძის შემოუსხდნენ.

ღვთისიამ გაიხარა, ორი კვირა არ
ენახა ისინი. ღველფიდან ნაკვერჩხლები
გამოჩხრიკა და იმათ გაღვივებას შეუ-
დგა. მერე ერთად მოქუჩებულ ნაკვერჩხ-
ლებზე მუხის ნახეჩები დააყარა. გან-
ჯინის უჯრიდან წიფლის ხისაგან გამო-
ჩორქნილი ჯამი გამოიღო, თავმომწო-
ნედ შემოდგა ტაბლაზე და ამხანაგებს
გადასძახა:

— სუნი დაიყარეთ, ჯიკრებო?!
— აბა ჰყვივილი რო არ დაგვეყურა,
აქ რა მოგვიყვანდა. — იხუმრა ჰიჰიამ.

ღვთისიას გული დასწყვიტა მისმა ნა-
თქვამმა. ეს კეთილამ შენიშნა და დაამ-
შვიდა ამხანაგი:

— მაგას რას უყურიადებ, ისე ლაპა-
რაკობს. ჰყვივლ რას მიქვივანავის, შენ-
თან განა იმაზე გამოვიარეთ...

ფერმამი კერატებს რომ კოდავდნენ,
იმათი ჰყვივილი სოფელში აღწევდა. ჰი-
ჰია და კეთილა ამოცლილ კვერცხების-
თვის მოდიოდნენ ხოლმე ღვთისიასთან.
გემრიელი იყო წინწანაქართან ნაკვერ-
ჩხლებზე ანდა ხახვთან ერთად ტაფაზე
შემწვარი ახლად ამოცლილი მსუქანი
კვერცხები. კვერცხებს მკოდავები ყო-
ველთვის ღვთისიას ურჩენდნენ. ჰიჰიამ
და კეთილამ კარგად იცოდნენ — ღვთი-
სია უიმათოდ ხელსაც არ ახლებდა მათ.
როცა ფერმიდან დიდხანს მოდიოდა
ჰყვივილი ეს იმას ნიშნავდა, რომ რამ-
დენიმე კერატი იკოდებოდა. ჰიჰია და
კეთილა დაფაცურდებოდნენ, ალიბუხ-
რისა და ქლიავის ერთი ორ ბოთლ წინ-
წანაქარს იშოვიდნენ და ფერმისაკენ გა-
უტევიდნენ.

მელორეთა საღვომში დაბრაწული
კვერცხებით საესე ტაფას რომ შემოუს-

ხლებოღნენ, უზომო ბედნიერებას განიცდიდნენ ისინი. საღამოხანს ღვთისია თავის საქმეს მორჩენილი იყო, ღორები დაბინავებული ჰყავდა. ჭიჭია და კეთილაც თავისუფლები იყვნენ. სოფლის ჩოჩქოლ-ხმაური ვერ აღწევდა აქამდე და მყუდროებასა და სიჩუმეში განცხრომა-ნეტარებას რა სჯობდა.

— ძველად ხარ, რა... — შეაქო კეთილამ ღვთისია, — რამდენია?

— დღეს ოთხი დავკოდეთ. — კერიას ჩაუცუცქდა ღვთისია.

— ორ ბოთლაზე ყელამდე გვეყოფის — თქვა კეთილამ.

— ვისგან მოიტანეთ საყლურწი? დოლოლანთებიდან ხო არა?

— შენ რა იცი? — ეშმაკურად გადახედა ჭიჭიამ.

— ძველაია-მეთქი, ხომ ვთქვი, — გაიმეორა კეთილამ.

— მეოდავებმა თქვეს დღესა, ძან მაჯარი რაიმა ჰქონიათ...

— წინწანაქარია?..

— ნაღდი წინწანაქარია, იცოდე.

— დოლნიშოსი იქნება.

— დოლნიშოსი და ალიბუხრის ნარევია...

— აბა სულადისას ხომ არ მოვიტანდით.

— იფ... იფ... — სიამოვნებისაგან თვალები მოწკურა ღვთისიამ.

— მოდი, გაასინჯინე, ერთი.

— არ მინდარის. ისედაც გენდობით.

— თუარა ღვთისიამ.

— ამათ ნაკვერჩხლებზე შეყრი? — კვერცხებზე ჰკითხა ჭიჭიამ.

— რა ვიცი, აბა, გინდათ, ტაფას შევდგამ... .

— ნაღვერდლებზე სჯობაეის. მამაპაპურადა... — თვალები დაუწითლდა კეთილას — ნაღვერდლებზე შერუქლულს რა შეედრების.

მალე წიფლის ნახეჩები დანაკვერჩხლდა. ღვთისიამ ნაცარი გადაუქექა, კვერცხები თითო თითოდ ამოიღო ლიტრა ჯამიდან და ფრთხილად დაალავა ნაღვერდლებზე.

— როგორ დაეღაევიეთ წითლებია...

— კვლავ აემღვრა თვალები კეთილას.

— მსუქნისაა, — დაუმოწმა ჭიჭიამ. — ვერ ატყობ?

— კოლექტივისას არ ექნებოდა ასეთი ჩაქვირითებული; — ღვთისიას გადახედა კეთილამ.

— გამოიცანი... — თავი დაუქნია ღვთისიამ, — თავმჯდომარისებისა.

— კიდეც მწყემსავ იმის ბურვაკებს? — სახე დაეყვანა ჭიჭიას.

— კი... მაშა...

— თფუი.. — გადააპურტყა ჭიჭიამ.

— გასამრჯელოს თუ გიზღის? ღვთისიამ არაფერი უპასუხა.

— ხომ გიზღის გასამრჯელოს? — ჩააცვიდა ჭიჭია.

— უხდის არა...

— მოიცა, შენ რა იცი... — გააჩუმა ამხანაგი ჭიჭიამ.

— არა, რას მიხდიაან... — ამოღერდა ღვთისიამ.

— მერე მიურეკე სახლში. რას ელოლიავეები, იმისი მოჯამაგირე ხარ? — ამრეზით გადახედა ღვთისიას ჭიჭიამ. — მაურეკე, მითქვამს შენთვის.

— არა, არ გამოევა, — თავი გადააქნია ღვთისიამ.

— კარგად გამოევა. — გაცეცხლდა ჭიჭია.

— დაწინაურებას ჰპირდება, გაიგე? — აუხსნა ჭიჭიას კეთილამ. — მძლოლად უნდა გადაიყვანოს...

ღვთისიამ მაღლიერი თვალით გადახედა კეთილას.

ჭიჭიამ იყუჩა. კბილები გააღრჭიალა და ჩაფიქრდა.

— რაო, ღვთისია, დაწინაურებას მართლა გპირებენ? — იკითხა ჭიჭიამ, — მაინც რას გეუბნება კოლექტივის თავმჯდომარე?

— რა ვიცი, მანქანა თუ მიიღეს, ნამდვილად ამიყვანენ, — თქვა ღვთისიამ, — ჯიბილა მაგრა შემპირდა, ვანა მართ-

მირონ ხარგინი
ოპეროსმერი რიმა

ლა ტყუილა ვთქვამსაც ი ღორებსა.

— თუ შეგპირდა, ალბათ გააკეთებს, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავ.

— ფრთხილად რადღა ვიყო?

— შენ წმინდა წყლის კაცი გვინავის ეგე?

— მართალს გეტუბნიან. არაფერში გამოგიყენოს.

— მე რაშილა მეკითხება იმის წმინდანობა. ვიმუშავებ და გათავდა.

— არა, ისრე გეტუბნები თორო.

— იმან დაღუბა ე ჩვენ სოფელი ძოდან ხო გახსონ, გზებ მაინცა გვექონდა.

— თქვა კეთილამ და გადააწიტა, — ისრე უშველოს დმერთმა, როგორც ჩელურანელეებზე ფიქრობს.

— თავისთვი ფიქრობს, მორჩა და გათავდა... — დამოწმა ჭიჭია.

— რა, უარი ვუთხრა? — გადახელა ღვთისიამ.

— უარ რად უნდა უთხრა, „ვადიტელის კნიჟკას“ ხო არ დაალობ?

— ფრთხილად იყავ, თორო უარის თქმას ვინ გაძალებს.

მალე ხორცი ამიშხინდა. ღვთისიამ მარილი წააყარა. ახლა სხვა გვერდზე გადააბრუნა კვერცხები. სადგომში სანიამოვნო ოზშივარი დატრიალდა.

— მოდი, დავისხათ და ის იქნება.

— დავისხათ.

— შენი დაწინაურებისა იყოს. — ჭიჭა ასწია ჭიჭიამ.

— ამინ! ხაწირის იახსარო და ბალეების ხატო, ამინ! — მორწმუნესავით ააშტერა ჭერს თვალეები კეთილამ.

ღვთისიამ ჩაიცინა. მადლობა გადაუხადა და გადაკრა.

— მითომ გავიხარებათ? — იკითხა მერე.

— უყურე მაგას. — თვალეები დატყიტა ჭიჭიამ. — რატომ არ გავიხარებდა რო?

— ეჭვი გეპარება? — ამრეზით გადახელა ღვთისიას კეთილამაც.

— არა, ეგრე ვთქვი.

— ეგრე არ უნდა თქვა ასეთ სიტყვა.

— იმითა თქვი? — ნაღვერდლებზე

ამიშხინებულ კვერცხებზე მიუთითა ჭიჭიამ. — იმათ ვერ შეველევიო შენი გულისათვის?

— მანქანა რო გვექნება, სადაც მოგვწადდება, იქითვე გაუტევთ... — სახე გაებადრა კეთილას. — უღომც მაგეების თქმა ნუ იცი.

— იცოცხლე, რო გაუტევთ.

ჭიჭიამ კიდევ დაასხა.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.

— მერე ცოლიც უნდა მაიყვანო. შენ დაპკვლიე ვისმე და დანარჩენი ჩვენ მოგვანდე...

— მანქანა რო გვექნება, გინდა ცხრა მთის იქითიდან მოვიტაცებთ.

ღვთისია რალაცაზე ჩაფიქრებულყო. ხმას არ იღებდა. მერე ადგა და კერასთან ჩაიჩოქა.

— მიდი, თუ ძმა ხარ, ამოყარე. ამდენმა ნერწყვმა დამაბრჩო.

— ამაილოს? — იკითხა კეთილამ.

— ამოვიღებ და ის იქნება.

— მაგის მოცდას ხო არ გადავეყვებით?

ღვთისიამ ამოიღო. ხახვი დაატრა, მერე მეორე ჯამი ზემოდან გადაამხო და ისე დადგა.

მესამე ჭიჭაზე მოეკიდათ კიდევ სასმელი. ჭიჭია სიმღერის გუნებაზე მოვიდა.

— ვიმღერო? — იკითხა მან.

— ვინ გავიჯავრდება.

— რა ვიმღერო?

— სულერთია, რაც მოგაგონდეს, ის იმღერე.

— ჩაგძინებია, ხინკალოო. — დაიწყო ჭიჭიამ.

— მერე და სად ხედავ ხინკალსა.

— აის იმღერე, წაწალზე როა.

გადმოვიარე, ჩაქეთო,
ლეღიანო და ტყინაო...

წამოიწყო ჭიჭიამ.

— ჰო, კარგია... — მოეწონა კეთილას.

ღვთისია უსმენდა და ეღიმებოდა.

ხალა ხარ ჩემო წაწალო,
თვალტრელო, წითელთმბიანო.

დააბოლოვა ჭიჭიამ.

მერე თითოც გადაკრეს. ერთმანეთა აღდგერძელეს. სამ-სამი კიდეც შეხვდათ. ერთზე საცოლეები ახსენეს. ჭიჭიამ სიმღერით აღნიშნა ეს სადღეგრძელო:

რა კარგია ქალთან წოლა
უბაში ხელანაო.
პატატრან ძუძუანი —
ვაშლის ოღოდენანიო...

ამაზე კეთილა გაგვიდა. სად იყავი, აქამდე რად არ იმღერო. ღვთისიასაც თავისი დაემართა ამ სიმღერაზე. ასეთი კარგი არაფერი ემღერა ჭიჭიას. რამდენჯერმე გაამეორებინეს. მერე თვითონაც აპყვენენ. თვალებს კუსავდნენ და ისე მღეროდნენ. ბოლოს ლამის ზღუქუნი აუვარდათ, რატომღაც ეტირებოდა ღვთისიას, იმათაც აჩუყებოდათ გული. საერთოდ ღვთისია ამაღამ პირველად მღეროდა და ამაზე გაოცებულმა კეთილამ და ჭიჭიამ არ შეაწყვეტინეს.

ბოლო ჭიჭა ჭიჭიამ აიღო.

— ამით ვის გაუმარჯოს, იცით? — მრავლისმეტყველი კილოთი წარმოსთქვა მან. — არ იცით და იმით ვამბობ, — ამით იმ ქალებს გაუმარჯოთ, ჩვენ რო გაუხარებვიართ...

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! — ერთხმად აედევნენ ღვთისია და კეთილა.

— ხო კაი სადღეგრძელო ვთქვი? — თავმომწონედ გადახედა მათ ჭიჭიამ.

ღვთისია ჭიჭიასა და კეთილასავით არ იყო ქალებში გათქვეფილი. გათქვეფილი კი არა, საერთოდ არც ჭქონია იმათთან საქმე. არც ჰყვარებია ვინმე. რომ დათერებოდა, მაშინ თუ გაახსენდებოდნენ.

ამაღამ კი ჭიჭიას სიმღერამ და სადღეგრძელომ ვრძნობები აუშალა. ამაღამ უცნაური რამ დაემართა ღვთისიას. რალაცნაირად მოითენთა, ვინმესთან განმარტოვება და აღერსი მოენატრა. სულ ჩამოუყვავა სოფლის გოგოებს, ნათესაეების გარდა ყველა გაიხსენა, მაგრამ ვერავისზე ვერ შეაჩერა თვალი. თავისი საფერო ვერ დაიგულა, ყველანი უცხონი, შორებელნი აღმოჩნდნენ მისთვის.

ღვთისია შურის თვალთ შესცქერა და ამხანაგებს. იმათ ჯარში ყოფნისას უამრავი ქალი გაეცნოთ. ღვთისიამ ხუთი თითივით იცოდა იმ ქალებს სახელები, ხნოვანება, გარეგნობაც კი. ისიც იცოდა, ვინ რამდენ გრამ არაყზე იკეთებდა ხასიათს. რამდენი რამ უამბებს ამხანაგებმა ღვთისიას, რამდენ თავგადასავალს მოუყვენენ. ღვთისიას კი არაფერი ჰქონდა მოსაყოლი. რომც ჰქონოდა, შეიძლება არც მოყოლილიყო. ჭიჭია და კეთილა ქალებზე რომ დაიწყებდნენ ლაპარაკს, თვითონ ჩალანჯამი კამეჩივით იზმოვებოდა და დარცხვენილ მზერას ნახევრად მოხურულ კარებისკენ აპარებდა, თითქოს ეშინოდა, ის ქალები ახლა გარეთ არ იდგნენ და არ გვაყურადებდნენო. უსინდისობად მიაჩნდა გოგოებზე ზურგს უკან ქირქილი და ლაპარაკი. იმათი შინაური საქმეების გამომზეურება. ჭიჭიასა და კეთილას ნაცვლად წითლდებოდა ღვთისია.

— პირველად რო ვითამაშე ქალთან რა მამივიდა, იცი? — ჯარისკაცობის დროინდელი ამბის მოყოლას შეუდგა ჭიჭია, — კარგად მახსონ, ნიკაპზე ამამჯდარი ძუძუები ჰქონდა, ტანგოს თამაშობაში მუცელით რო ამეკრა ისე მოვირღვიე, კინაღა გადავიქე. უპ! როგორ ამივიარდა სისხლი თავში. საფთაქელებში თითქოს უროკვერს მარტყამდნენ...

ღვთისიას შეიძლება გაეწყვეტინებინა ამხანაგისთვის მესაქდ მოყოლილი ამბის თხრობა, მაგრამ დღეს სულ სხვა გუნებაზე იყო, ის კი არა, სიამოვნებდა კიდეც მოსმენა. კეთილაც გატრუნული უსმენდა. თვალებს კუსავდა. ჭიჭიამ რომ დაამთავრა თავისი ამბავი, ახლა კეთილაც მოვიდა თხრობის გუნებაზე და ერთი ამბავი იმანაც გაიხსენა. გულიანად, დამაჯერებლად ყვებოდა კეთილა. იმის ტყვილსა და მართალს ერთიანეთისაგან ვერ გაარჩევდი, ისე კარგად ყვებოდა კეთილა.

პირონ-ხარბიანი
ოპეროსუბრი რიპა

ბოლოს, ის იყო, წამოშლას აპირებდნენ, რომ ყველას გასაკვირველად ღვთისიამაც ამოიღდა ენა:

— იცი, რა უნდა ვითხრათ? — ჩურჩულთ წამოიწყო.

— გვითხარი, შე კაი კაცო, აქ არა ვართ. — გაუხარდა ჭიჭიას ღვთისიამ რომ წამოიწყო ლაპარაკი და უცბადვე პირში ეტაკა.

— ჰო, გაბედე რა... გაბედე, შე კაი კაცო... — შეაგულიანა იგი კეთილამაც ღვთისიას ორი კვირის წინანდელი ამბავი გაახსენდა. ნადირობიდან მობრუნებული ქორწილზე რომ მოხვდა და თამადამ და ბეწინამ რომ დაიჩოლბოტეს, ჯერ ბრაზი და წყენა გაუკრთა თვალებში, მაგრამ ოთახის კუთხეში სიმორცხვისაგან თავჩაკიდებულმა სისკარმა მალე გადაავიწყა ის თამადაცა და ის ბეწინაც. ადგა ღვთისია და თავიდან ბოლომდე მოჰყვა ყველაფერს, ერცხვინებოდა გოგოზე საუბარი, მაგრამ მაინც ბოლომდე ილაპარაკა. გზაზე რომ დაეწივნეს და მაგრა მიბეგვეს, მარტო ის არ უხსენებია.

— მე რო მანქანას ველოდო, რა ვიცი, ის როდის იქნება... ი ქალზე ფიქრმა კი ტვინი ამომიღო, მეტი აღარ შემიძლიახს, — დაასრულა თავისი ამბავი ღვთისიამ.

ჭიჭიამ და კეთილამ გაცხების ნიშნად ერთმანეთს გადახედეს. თურმე რა ბალღამი აქვს გულში ამხანაგს და ჩვენ კი არაფერი ვიცხადითო.

— ასე, შე კაი ადამიანო, ქვა ხვარა ხარ, — მხარზე დაარტყა ხელი ჭიჭიამ. — გული არა გაქვს?!

— სისკარი ჰქვია იმ ქალსა? — შეეკითხა კეთილო.

— არა, სისკარი მე მოვაქვივნე. იმის სოფელი კი ვიცი.

— მეტი რა საჭიროა... რა, ვერ მოგხედავთ თუ?

— შენი ხმალი და ხედი კისერო. — თავი მიუშვია ჭიჭიამ.

— როცა გინდა, წავიდეთ.

— გინდა, ეხლავე მოვიყვანოთ...

— მანქანას ვერ დაველოდები, რა ვიცი, როდის იქნება..

— ცხენები ხო არი და...

— მანქანა რა ჭირად გვინდა, მანქანით მოტაცებულს, მე რო მკითხო, არც ჩავუწყებოდო.

— მართალია, რა გემო ექნება მანქანით მოტაცებულსა.

— შენი ძმაც წავიყვანოთ, ბულარა. ტაციობაში, იცოცხლე, გამოცდილია. — თქვა კეთილამ.

— არა, ბულარა არ წამოა.

— რად არ წამოა, მითომ?

— არ წამოა და... — წაიდუღუნა ღვთისიამ. — ცოლ არ გამაუშვებს.

— იმის ცოლს არა სწადიან ღვთისიას დაცოლშვილიანება, გაიგე? არც მაგის ძმა მომწონს მე.

— აბა ღვთისია იმის წაღილზე ხო არ ილის.

— ილის თუ არა, ეგრე კია და...

— ი, ბერწი დედაკაცის ჰქვას თუ ახვეება, ბევრ სიკეთეს ნახავს...

— ჩემს ძმას რას გადევსიენით! — მუშტი დაარტყა ტაბლაზე ღვთისიამ, — რა თქვენ სასაცილო ნახეთ რო...

— ჩვენ დავცინით? ვინ დასცინის კაცო...

— აბა ბერობას თუ აპირებ, აქ რაღას მიზიხარ, წადი და ხაწირის იახსარში დავყუდე... — არ იშლიდა თავისას ჭიჭია.

ამაზე კეთილას სიცილი წასკდა.

— სისკარზე რაღას გვიამბობ მაშინ რეტდასმული, ჰა? — ხელი მოუტყაუნა ღვთისიას კეთილამაც.

ჭიჭია და კეთილა აროხროხდნენ.

ღვთისია ერთხანს თავჩამოგდებულს დუმდა, მერე თითქოს ეშმაკმა შეუღოტინაო, თავი წამოსწია, წყენა გადაიყარა სახიდან და ისიც აჰყვა ამხანაგებს. ახლა სამთავენი იცინოდნენ. კარებში გაიძურწნენ და გარეთ გავიდნენ. იქაც იცინოდნენ. მერე გადაავიწყდათ კიდეც, თუ რაზე როხროხობდნენ ასე გულიანად. მათი ხორხოცი ღამის ბინდ-ბუნდში გახვეულ ჩელურაანთგორის წარაფებს

ეფინებოდა. სოფელში სინათლეები არ იყო და შეზარბოვებულნი ხელის ფათურით მიიკვლევდნენ გზას შინისაკენ.

— ესე ჩაუქრა თვალისჩინი, იმ ჯიბილასა, — დაიძახა ხმამაღლა ჭიჭიამ.

— ამინ! — დაიღრიალა კეთილამ.

— შენ რას გასჩუმებულხარ? — შეეკითხა ჭიჭია გაჩუმებულ ღვთისიას.

— ეგ ჯიბილას კაცია და მა რა იქნება...

— ჩაუქრა, მაგის დედაც ვატირე... — შეიკურთხა ღვთისია.

— აი, მესმიის... — ერთხმად ახარხარდნენ ჭიჭია და კეთილა. მერე ერთავენი გადაუხვივნენ ამხანაგს და შავრად გადალოშნეს.

შორიდან მღინარის ხმაური მოისმოდა. შხულის ექოს ხაწირისა და ჭიაურის მოუბი გადმოსცემდნენ.

„ვთქვი და გავათავე... — შიშნულად ჩიფჩიფებდა ღვთისია. — სისკარი ჩემია“. ხელგაკრული, პირში ნაჭერგაჩრილი გოგო უღონოდ ცახცახებდა მის მკლავებში. ღვთისია თავის თავს ელაპარაკებოდა, ჩუმად ესაუბრებოდა, თავს იფიხლებდა, ხელები მკერდზე შემოეკიდო სისკარისათვის. იმისი სითბო ერეოლად უვლიდა ტანში, თავით ფეხებამდე თენთავდა ლამის გული მისდიოდა მხურვალებისაკენ.

თავისთავთან საუბარი აფიხლებდა. თავი, როგორც ყოველთვის ნაბახუსევზე, ახლაც სტკიოდა და მძიმედ უბეუოდა. რაღაცნაირ ტკბილ-მწარე ბურანში გახვეულიყო. ხანდახან საშინელ გუნებაზე დგებოდა, შიში ეუფლებოდა. ის ზონზონობდა თამადა და თვალბრწყინილი ბეწინა რომ გაახსენდებოდა, მაშინ თუ გამოუკეთდებოდა ცოტა ხასიათი. იმ ჩხუბისა და შეურაცხყოფის გახსენებაზე, უფრო შავრად მოუჭერდა მკლავებს, მჭიდროდ მიიკრავდა მკერდზე და უღვაშებში ჩაიცივებდა. ამ დროს მართლაც ბედნიერი იყო ღვთისია. თვალწინ ბეწინას მზაკერული მზერა და თამადის ცბიერი ღიმილი ედგა. „მე ვთქვი და გა-

ვათავე, სისკარი ჩემია...“ — ნიშნ უგებდა იმათ ღვთისია. ხელებზე ცეცხლი ეკიდა, მთელს სხეულზე ცეცხლი მოსდებოდა, თბილი ორთქლივით ჩამოაწვეებოდა რაღაც გონებაზე, — გოგოს თითო მკერდი იზილებოდა მის უხეშ მკლავებში.

სისკარი ტიროდა. ხანდახან გაიბრძოლებდა და ერთის განწირულის ხმით ამოიხნავლებდა. ეს არ სიამოვნებდა ღვთისიას. უფრო და უფრო მწვალებლურად განიცდიდა სინდისის ქენჯნას. რაც უფრო უნელდებოდა სიმთვრალე, აზრზე, მოდიოდა და სინდისი ქენჯნიდა. „კი მაგრამ სისკარმა რაღა დააშავა, ამას რას ვერჩი...“

— ჰა, ღვთისია, შე მუხლმკვდარო. ხელობ, არა? — უკანიდან მოაძახა კეთილამ. — როგორ არის სიმღერა, შენ რო ძაან მოგეწონა, ჰა? ჭიჭია, ერთი მიუმღერე ახალყოილებსა, ის სიმღერა მიუმღერე, თუ ღმერთი გწამს...

— უმღერო? მაგათი ჯამბაზი ვარ, რო უმღერო?

— კოცნაობის გუნებაზე მოვლენ ორნივა, მიდი, უმღერე...

— თუ ვერ არიან გუნებაზე? შენც ამბობ რაღა...

— ვერ არიან, ჰო, ვერ არიან. მიდი, გაიხარონ, რა...

რა კარგია ქალთან წოლა;

წამოიწყო ჭიჭიამ ხმამაღლა, მთელი სოფლის გასაგონად:

უბიაში ხელანო,
ბატატჩან ძუქუანი —
ვამლის ოღოდენანო...

— ა, ღვთისია, ხო კარგი იყო? ერთი შენს ქალშავასა ჰკითხე, როგორი იყო? გაგახარა, ჭიჭი, ღმერთმა, შენ რო ენა გაქვ რა...

ცხენოსნები მალე ღვთისიას კარ-ვზოს მიადგნენ. ჭიჭიარი ღვთისიას ძმამ — ბულარამ გაუღოთ. იმისი ცოლი აივანზე გადმომდგარიყო, ხელში ანთებული კვარი ეჭირა.

მირონ ხარბიანი
იპაროსვანი რიჟი

12. 423

ქ. შარქისის სხ. სთ. 17
საბჭოთაო რესპუბლიკა
ბმალმოსება

— სადამო მშვიდობისა, ბუღარ... —
როზიანად დაიძახა ჭიჭიამ.

კეთილაც მიესალმა ბუღარას. ბუღარა ღვთისიას სისყარის ცხენიდან ჩამოსმაში მიეხმარა.

— რძალო, ახალყოლებიბისთვი ოთახხო გამზადებულა? ხვარაფერ დაგავიწყდათ? — ასძახა აივანზე გადმომდგარ ქალს კეთილამ.

— კი, კაცო, მოიდნენ...

კეთილამ და ჭიჭიამ გვერდითა ოთახში შეავდეს გოგო-ბიჭი. კარები გარედან გამოუტარაზეს.

მერე ხალხმა იწყო მოსვლა ბუღარიასას. მთელ სოფელს გაეგო ღვთისიას გაბედნიერების ამბავი და ცნობისმოყვარეობის წადილით შეპყრობილნი ერთიან აშლიაყვენენ თბილი საწოლებიდან. ეზო-კარი ხალხით გაიტენა. დაიწყო გაკითხვ-გამოკითხვა, ანტერესებდათ, ვისი იყო ი ქალშავა, სადაური იყო და რა ზნეგარეგნობისა. ქალები ჩურჩულებდნენ. კაცები კარებში ჩამდგარ ჭიჭიასა და კეთილასაკენ იწევდნენ.

კეთილამ კბილები დააღრქიალა:

— რა, სეირის საყურებლად მოხვედით? — დაურიდებლად მიახალა მან თანასოფლელებს.

ღვთისიას ძმა, ბუღარა გვერდზე იდგა და ხმას არ იღებდა. ჭიჭიას ნათქვამი კი ძალიან მოეწონა.

— წადით და შინ იყურეთ სეირი, — დაიძახა ჭიჭიამ, — ჰა, ჰირი რას დაგილიათ, ბზუკი არ ჩათქათ. მითომ ძალიან გიხარიათ ღვთისიას გაბედნიერება, არა? ისე ავიშენდათ ძვლები, როგორც თქვენ ღვთისია გახსონთ..

— ქშა... ქშა..., — მივარდა ხალხს კეთილა, — ქშა, ქშა-მეთქი..

ბუღარას უფრო და უფრო მოსწონდა ეს ბიჭები. მაღლიერი თვალით უყურებდა. „რა ძალა აქვთ. მაგათ მეტ შაუძლიან“, — ფიქრობდა იგი.

ხალხი დაბლა ჩარეკეს, ეზოში. ზოგი ბუზღუნ-ვინებით გაუყვა გზას შინისაკენ.

— ამაღამ ჩვენც საკმაონი ვართ...

ხვალ მობრძანდეს ვისაც გაუტარდება, — დაადევნა ხალხს ჭიჭიამ.

— კი მაგრამ, სად გაგონილა ასე... — თქვა ბუღარიას ცოლმა.

— ხელ შეეშლებათ, რძალო, ვერ ივარგებენ... ამაღამ ე ხალხი ზედმეტია..

— ბიჭმა გემო თუ არ ჩაატანა, ისე რაზე ირჯებოდა. — დაუმოწმა ჭიჭიას კეთილამ.

აივანზე სიჩუმე ჩამოვარდა. მთიდან ჩამოშვებულმა ბინდმა თავის საბლარდნელში გაახვია ჩელღურაანთგორის ციცაბოები, ვიწრო, ტალახიანი შუკები, კვამლისაგან გამურული ქვის სახლები. ხანდახან ბაყაყების ღამისეული ღაღადისი თუ ამოვარდებოდა ივრის ფშანებიდან, ანდა ნაწვიმარ წარაფებზე შეფენილ სათიბებიდან კალის წრიბინი თუ მოაღწევდა. სოფელი თითქოს ლაფის მორევმა ჩაიჩუმქრაო, უსახ-უკვალოდ განქარვებულყო ღამისეულ მღუმარებაში.

ჭიჭია და კეთილა ახალყოილთა ოთახის კარებთან, ზედ იატაკზე ისხდნენ. შიგნით აყურადებდნენ. რალაც დიდმნიშვნელოვანი ამბის მოლოდინში გასუსულ-გაყურებულყოვნენ.

— იქნებ არ დაუდევს მაგ ბაიყუშებმა ნახეჩები? — გაღასჩურჩულა კეთილას ჭიჭიამ.

— როგორ შაიძლება, რას ამბობ... — შეეშინდა კეთილას, — ხვარ დაავიწყდებოდათ.

— რა ვიცი, მე... ჩამიჩუმე კრ არ ისმის ოთახიდან და... თითქოს საიქიოს კარიოა. — ჭიჭიამ კარის ღრეჩოს მიადო ყური, იქნებ ხმაური რამ გავიგონოო.

— დაუწყობდნენ, ისე როგორ იქმოდნენ... — უფრო თავის დასარწმუნებლად თქვა ჭიჭიამ.

კეთილამ ერთი აღმაცურად გადახედა — მართლა გულიდან თუ ამბობსო.

— ძანაც კარგი, თუ დაუწყვეს... — დაემოწმა მერე ახხანავს, — შუალამედე უყარაულოთ და მერე დავისვენოთ. — მაგრა დაღონდით? — შეეკითხა

ჭიჭიასა და კეთილას კვართი გამოსული ბულარას ცოლი — ხვარ მოგდიეს მაგი- სიანებმა?

— ჩუღურაანთგორელებს რო გვჩვე- ვია ისე გავაკეთეთ, ხო, იცი, ცოტა ბედ უნდა ყველაფერს, ჩვენთვის კი მავამი მალუცავ ბედი ღმერთსა... მავამი და სხვაში არაფერში. ესრე არ არი? — თა- ვის ამხანაგს გაეკითხა კეთილა.

— მავამი და თვალთმაქცობაში, ჩვე- ნთან ერთ კაციც არ მეგულება თვალთ- მაქცი რო არ იყოს. აი, ხო ნახე, როგორ მოაწყდა ხალხი, თითქოს ძაან გაუხარ- დათ ღვთისიას ბედნიერება: საქმეში კი ვინამ გამაადგა? ერთ კაცი არ მეგულება ჩუღურაანთგორში თვალთმაქცი რო არ იყოს. — თქვა ჭიჭიამ.

— თქვენ გარდა, რა თქმა უნდა, არა? — შეეკითხა ბულარას ცოლი ჭიჭიას. — თქვენი ორისა და ღვთისიას გარდა.

— იქნებ ჩვენშიც ურევია თვალთმაქ- ცი და მატყუარა.

— შიძლებ ჩვენაც არ ვიყოთ გამო- ნაკლისი, — აღიარა კეთილამაც, — იქ- ნებ ჩვენ ყროლს ვერა ვხედავთ, ისე, როგორც მთვრალი ვერა. გრძნობს ღვი- ნის სუნსა.

— აბა, ჰაერზე რაღას ამბობთ, მამა, თქვენ თავისთვის რო დაგეგვლიათ ის აჯობებდა, — ბულარას ცოლმა ზე ას- წია კვართიანი ხელი, გზა გაინათა და სამ- ზად ოთახში შევიდა, სადაც მისი ქმარი რაღაცას საქმიანობდა.

— არ გამოგვლანძლა გემოზე? — ლოყაზე იტყვიცა ხელი კეთილამ.

— ჰა? რა თქვი?

— გამოგვლანძლა და ისა. რა მად- ლობის მაგიერ იყო?

— ეჰ, მოგცლია შენაცა, დედაკაცს ჭკვას თუ ააყოლებ.

— შენ დედაკაცი დაუძახე და თავის კაც კი ჰყავს დაჩოლობოტებული. იმან ვერ გაგვიბედა, ქალმა კი გაგვლანძლა.

— მითომ? არა მგონიავე, ბულარას ყროლი ედოს გულში...

— მაშინ ვერ გააჩუმებს ამ ქალბენლა- სა? რაღას ავაგანებს?

— მაინც ისეთი რა თქვა? არაფერს უთქომ ისეთი. შეიძლება მართლა ერი- ოს ჩვენშიაც გამყიდველი და გაფუჭე- ბული, რა იცი...

— შავიგინო? ჩემდათავად შავიგინო?

— შავიგინე თუ გიადვილება, აი...

— შენ მაინც ვისზე ფიქრობ? იქნებ ჩემზე ეჭვიანობ, ჰა?

— ე, რა მოსდის ამ კაცსა, ყინტერის წნილი ხო არ გიჰამია, რა გუნებაზე და- დექი?

— კარგი, თავი დამანებე. ასე ეჭვით თუ შავხედეთ ყველაფერს, მაშინ არც მძობა ყოფილა და არც ამხანაგობა.

სამზადიდან გამომკრთალი კვარის შუქზე ერთმანეთს ძლივ ხედავდნენ. ოთახიდან ბულარასა და მისი მეუღლის ჩურჩულის ხმაც გამოდიოდა. რაღაცაზე წყნარად საუბრობდნენ.

— მაგის დედა ვატირე... — გაბრა- ლა კეთილა.

— ჰა, რა იყო? — თავი წამოსწია თვლემამორეულმა ჭიჭიამ.

— რას უტდიან? დროზე გაათაონ რა! — ახალყოილთა ოთახს დაამტერდა კე- თილა.

ოთახიდან ჩამიჩუმში არ ისმოდა.

— დაიცადე ცოტაც, რა მოგივიდა, კაცო.

— ის იქ უბიაში ხელაობდეს და მე თავის დროზეც ვერ წავიდე ჩემ სახლ- ში?

— ღვთისიასი ცოლ რომ მიიყვანა, ესეც არ გიკვირს?

— შენ ის თქვი, მართლაც რო სისკა- რია და კიდევ კარგი. ეგეთ ეშხიან ქალი ჩვენთან არც მოსულა...

— შობელძაღლ ვიყო, თუ ესეთ ქალ მენახოს სადმე.

— მითუმეტეს: რაღას ელოლიაებე ამდენს?

— ჩვენ სოფელში ესეთ ქალ არ მი- ნახავ.

— მიიხედე, იქნებ აღარ დაუდვა იმ

მირონ ხარკიანი
ოპროსუბარი რიჟა

ქალბნელამ ნახეჩები! ჩვენ რაღა ეშმაკებს ვუსხედვართ აქა?

ნახეჩებს ახალყოილებს ულაგებდნენ პირველ დამეს საწოლქვეშ. რომ დაწვებოდნენ საწოლი ძირს ჩამოცურდებოდა და იატაკზე ჯახანს გაადენდა. ამ წუთიდან ისინი ცოლ-ქმარი იყვნენ.

— მიდი და ჰკითხე, როგორ არ დაუღებდა...

კეთილა ფრთხილად წამოდგა ჰიჭიას ანიშნა, ახლავე მოვლო და სამზადისკენ გაემართა. მოურიდებლად შეადო ოთახის კარები და ხმამაღლა იკითხა:

— ი, ნახეჩებ დაუღევით ახალყოილებსა?

ბუღარამ თავის ცოლს გადახედა. ქალმა მხრები აიჩეჩა და გაოცებული სახით იკითხა:

— რა ნახეჩებზე მეუბნები?

— საწოლქვეშ დასადებზე, რა ნახეჩებზე უნდა გეუბნებოდე...

— არა, მე არ დამიწყევავ, — თქვა ქალმა, — ჩემთვის არავის უთქომ.

— შენ ქმარს უნდა ეთქვა. სხვა ვინ გეტყოდა.

— ჩვენაც უნახეჩოდ გავედით... — მხრები აიჩეჩა ბუღარამ.

— თფუი... — გადააწია კეთილამ, — აბა წელდაწყვეტილ ხალხს ტყუილად რას გვყუროს კარებთანა. სინდისი არ არი? — მერე ერთხელ კიდევ შეუტუროთხა ცოლ-ქმარს და ბრაზიანად გამოიჯახუნა კარები.

— რა იყო? — შიშგამკრთალი ხმით შეეკითხა ჰიჭია.

— არ დაუღვით მაგ უქკუებს.

— არ დაუღვით? — გული დასწყდა ჰიჭიას. მშიერი ძაღლივით წამოიზღაზნა ზეზე.

— თფუი, მიმიფუროთხევაე მაგათ კანონებისთვი. სახლიკაცმა ქალი მიიტაცა და ნახეჩებ ვერ გაიმეტა.

— თფუი, მაგათი... — შეიკუროთხა ჰიჭიაც.

— ესენი თურმე უნახეჩოდ გასულან... გუგულები... — ბუღარასა და მის ცოლზე თქვა კეთილამ.

— იმიტაც ასე არი რო დამრავლდნენ.

ხუთ წელია ერთად არიან და ჯერ მუცელი ვერ დაატყო თავის ცოლსა...

— ბერწები ეგენი, უნაყოფოები...

ეზოში ჩავიდნენ. ჰიჭიარი გამოაღეს და ერთის წიტვა-გინებით წყვდიადით მოკულ ორღობეებში გაუჩინარდნენ.

ღვთისია ოფლში გახვითქულიყო. მთელი დღის სირბილისაგან სისხლი თავში ავარდნოდა. ნაღვერდალივით ურიალებდა სახე. კოჭლაუხა ბილიბეცკულ დღეში იყო. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, დაფეთებული აწყდებოდა აქეთ-იქით. ღვთისისას ნათქვამზე გველნაკებნივით გავარდებოდა ხოლმე ეზოში, დაავლებდა კომბალს ხელს და რისხვად მოვევლინებოდა კოლექტივის ბურჯაკებს, დედალორებს, კერატებს. დაუზოგავად უხათქუნებდა კომბალს. თუ მოიხელთებდა, ხელებით ყურებში ჩააფრინდებოდა რომელიმე ნებიერა ნეზვს და იმდენს აჰყვივლებდა, ვიდრე ხმა არ დაუშრტებოდა.

ხანდახან ბილიბე და იგი ერთად მოიგდებდნენ თავმჯდომარის მოზარებულ ნარჩევ ტახს და სოფლისკენ დრუნჩიმიქცეულს მთელი საათობით აჰყვირებდნენ. მისი თავზარდამცემი ხმა ჩელურაანთგორში კი არა, ხაწირის ახოებამდე კი გააღწევდა. ღვთისია და ბილიბე სოფლიდან ჩამომავალ ბილიკს დაამტერდებოდნენ. ბილიკზე არავინ ჩანდა. იქითკენ ცქერით კისერი მოეღრიცათ ორთავეს, მთელი დღე აჰყვირებდნენ ღორებს ღვთისია და ბილიბე, მაგრამ... თვალსაწიერზე კაციშვილი არ გამოჩენილა. საღამოს, ჭამის დრო რომ მოუვიდა საქონელს, ღვთისიამ და ბილიბემ ქატო მოუხარშეს, ზორბლის ნაღერდალი დაუღებეს და გობებში ჩაუსხეს, მერე კი ილაჯამწყდარნი მიეგდნენ საწოლებზე. ღვთისიას თითქოს სული ეგუბებოდა, სუნთქვა უჭირდა. ასეთი გუნებაწამხდარი არასოდეს ყოფილა ღვთისია. რა ეშმაკი იყო, ასე რომ შეეწრიალებინა

და დემორჩილებინა, ვერაფერი გავგო.
ბილიბეც გამოშტერებული მისჩე-
რებოდა ამხანაგს. დღეს ღვთისიას სა-
ცოდაობამ ისე დაწყვიტა გული, პირში
ლუკმა არ ჩაუშვია, ყლუბი წყალი არ
დაუღვებია, ერთხელაც არ მოჰგონებია
ჭიაურის ტყეში ღორების ღვევისას უგ-
ზოტვლად გამქრალ-დაკარგული თავი-
სი ერთგული ცოლი, ვისზეც დღენია-
დავ ფიქრობდა ხოლმე ბილიბე. ო, რო-
გორ სურდა ბილიბეს ცოტათი მაინც
შემესუბუქებინა ამხანაგისთვის დარდი
და გულსტივილი: აკი იმიტომაც აჰ-
ყვივებდა ღორებს, ღვთისიას ასე სურ-
და და ბილიბეც აჰყვივებდა მეტი რა
შეუძლია საწყალ ბილიბეს? დაწვებზე
ცრემლი ჩამოუგორდა, მერე აზლუქუნ-
და. ასე გულამოსკვნით არასოდეს უტი-
რია: ჯერ ასე არავინ შესცოდებია ბი-
ლიბეს.

— გგ... გინდა, შშ...შვევარდები და
ისევ დღეაჰყვივებ... — უახრა მან
ბლუკუნით ტახტზე გაშხლართულ
ღვთისიას. — ისევ დავაწიოკო, მთელი
ჩელურაანთ გორი აქ მოვარდეს...

ღვთისიამ უარის ნიშნად თავი
უხმოდ გადააქნია და გვერდზე
გადაბრუნდა. ბილიბე ერთხანს სველი,
დაწითლებული თვალებით შესცქერო-
და. იმის ცოდვა-სიბრალეულით ახლა მე-
ჩხერი, წითური უღვაშების წვეროკინე-
ბი უცანცაზებდა. მერე ბილიბემ ამხა-
ნაგს ნაბდისძველა გადააფარა. ჯერ ად-
რე იყო, ხაწირის მთას ჩამავალი მზის
სხივები ადგა, მაგრამ ღვთისიასათვის
ერთი გემოზე წაძინება მართლაც რომ
კარგი იქნებოდა. ბილიბემ თავის ჯირ-
კოს მიაშურა. თავი ბრტყელ ხელგზში
ჩარგო, ნამტირალევი, დავიწროვებული,
დაკუმშული თვალები მიღულა და გაი-
ტრუნა. „ნეტავი რითი შემიძლავ დახ-
მარება? — ფიქრობდა იგი, — თუ კე-
თილასა და ჭიჭიასაა ასე დანატრებუ-
ლი, წავალ და მოვუყვან, რა, ვერ მო-
ვუყვან რო.“—ამის გაფიქრებამ სახე გა-
უზადრა ბილიბეს, თვალები არ გაუხე-
ლია, ისე გაიცინა, დაწვები დაეჭიმა,

ყვრიმალები გამოებულშტა, ერთი სასია-
მოვნოდ გააკანკალა. „პო, ასე ვიზამ.“ —
კვლავ გაიმეორა ბილიბემ და ის იყო,
წამოდგა და კარებისკენ გაემართა, რომ
ღვთისიას ხმა დაეწია:

— ბილიბ, არ წახვიდე, არ მიმატოვო,
ბილიბ...

ბილიბეს თითქოს ქურდობაზე წაასწ-
რესო, ისე შერცხვა, ჩუმად რომ მიიბა-
რებოდა. შერცხვა და მონუსხულოვით
გაქვევდა. კარგა ხანს უმოძრაოდ იყო.
მერე შემოტრიალდა და თავჩაღუნული
წამოვიდა. სწორედ ამ დროს ეზოდან
ცხენის ჭიხვინი შემოვარდა. ბილიბე
შეკრთა ღვთისიამ ნაბადი გადაიძრო და
აქეთ გადმოტრიალდა. ბილიბემ შენიშნა,
ამხანაგს ღიმილი გაუკრთა სახეზე.

— ჭიხია და კეთილა... ჭიხია... — წა-
მოიძახა მერე ღვთისიამ.

ბილიბე კარში გავარდა, ღრქიალით
გამოალო ოთახის კარები, მაგრამ უკან
დაღვრემილი შემობრუნდა. ღვთისიას-
თვის ყველაფერი ნათელი გახდა.

— ჯიბილა მოდის... — თქვა დამნაშა-
ვესავით ბილიბემ.

ღვთისიამ გადააწიტა და წამოდგა.
ჯიბილას ბრიგადირი ახლდა. ორივენი
ცხენებზე ისხდნენ. მელორეთა სადგომ-
თან ჩამოქვეითდნენ, ცხენები გარეთ,
სარებზე დააბეს. ოთახში ერთის ბრახუ-
ნით შემოცვივდნენ, სალაში თქვეს.

— ხვარ, გატყირვებია, ღვთისიავ, ე,
თვალებ რას ჩაგნალვლებია... — შეეკი-
თხა ჯიბილა.

— ი, სისკარზე ფიქრმა თუ აიტანა,
თორემ სხვა რა დაადარდიანებდა, ქვა-
სავით ბიჭია, — გაიცინა ბრიგადირმა,
— ამბობენ, განატაცებ რომ იყო, ქა-
ლობა დაკარგული ჰქონია და იმაზე
გაუშვა ღვთისიამაო...

— ჩელურაანელი მაინც არ იყო, ვო-
ქავ, — გაუცინა ღვთისიას ჯიბილამაც
— ი, გოგოს მაინც რაღაზე იტაცებდი, ი,
ბიჭებს მაინც რაღაზე რჯიდი, თუ გაშ-
ვებას უბირებდი?

მირონ ხაგბიანი
მარკოზფერი რიპა

მთვარის შუქით განათებულ ოთახში ის და სისკარი არიან მარტო. სისკარი ბრძოლისა და გაწევ-გამოწევისაგან ღონემიღეული მისვენებულა ლოგინზე და ჩუმად, საწყალობელად ქვითინებს. გახსნილი, შემოფხრეწილი გულისპირი თეთრად უქათათებს. რალაც თბილი, სათუთი განცდა დაუფლებია ღვთისიას, დასცქერის გოგოს და სიხარულისაგან თვალები ემღვრევა, სისხლი საფეთქლებში უბაგუნებს, მუხლები უკანკალებს. არასოდეს, არასოდეს არ ყოფილა იგი ასე ახლოს ბედნიერებასთან, არასოდეს არ განუცდია ასე მძაფრად ქალთან სიახლოვე. სისკარი, ქანდაკებასავით, ჩამოქნილი, ხორცსავსე გოგო მის წინაშე გართხმულიყო, ამ წამიდან მას ეკუთვნოდა, ვერავინ წაართმევდა, ვერავინ შეეცილებოდა. ღვთისია დაიხარა, ფრთხილად, ფრთხილად დაიხარა, იმის თეთრად მოქათათე მკერდში სურდა ჩაემალა სახე,

ხელები სულის პეპელაზე მიპარებულვით გაეწვდინა და ნელ-ნელა იხრებოდა გოგოსაკენ. მან უკვე იგრძნო იმისი სხეულის სიმბურვალე, რალაცნაირად მოითენთა და მიირღვა, სქელი ბურუსი ჩამოაწვა სახეზე... და ის იყო, უნდა ჩაფრენოდა, დამწყდარ გუბურასავით დასწაფებოდა, რომ უეცრად რალაცამ გაიშუილა ჰაერში. ღვთისიას თვალებიდან ნაპერწყლები გასცივდა.

„ვინმე უბირი ღმერთს ეპოტინება“ — წარმოიდგინა ღვთისიამ. ის უბირი თვითონ იყო. ახლა გაახსენდა იმ აყლაცი თამადის სიტყვები ღვთისიას — „გუნებაშიაც არ გაივლო სისკარზე რაიმე. სისკარს შენთვის თუ გავიქშერებთო...“ მართალი იყო თამადა, სისკარი რა სამისო იყო. სისკარზე ხელი როგორ აღმართა ღვთისიამ? თავის მხრივ ფიქრებში ჩანთქმულიყო ღვთისია. არაფერი ესმოდა. მთვარიან სარკმელს მიშტერებოდა უაზროდ. კარის ჯახუნმა გამოარკვია ფიქრებიდან. დაბლა დაიხედა, სისკარი აღარ იწვა ლოგინზე. კარგა ხანს-გაოგნე-

ბული იღვა. მერე უკან გამოეკიდა გოგოს. ეზოში ცხენები ება. ღვთისიამ ერთი მთვანი აუშვა, სადავე ხელში დაიჭირა და გაიყოლა. სისკარი აცა-ბაცა, დამთხვეულივით მიბარბაცებდა ბილიკზე, მთვარეულივით მიირწვოდა. ღვთისია დაეწია. მკლავში ჩაავლო ხელი. გოგო არ გაძალიანებია. ცალი ხელით ცხენას სადავეს ეჭაჩებოდა ღვთისია. უხმოდ ჩაათავეს ბილიკი, მერე ცხენს სადავე დაუჭირა, გოგოს ულაყზე შეკდომაში შეეშველა და გაამგზავრა.

ივრის პირებში ცხენის თქარათქური გაისმა. წუთით მიჩუმდნენ ლაქაშებში მოყიციენ ბაყაყები, სათიბებში ვაბნეული კრიჭინობელები. წუთით ხმა დაიხშო იორში, მხოლოდღა ცხენის თქარათქური არღვევდა შუალამისეულ მღვმარებას.

ფერმის აშმორებულ ქაობებთან ქანდაკებასავით გახვეებულიყო დაგლახაკებული, დაბეჩავებული ღვთისია და უაზროდ გასცქეროდა ვერცხლისფრად გაცრეცილ ჩრდილოეთს. იქიდან ღოლის ხმა მოდიოდა. მერე ის ხმაც მიწყდა. მთვარე ღრუბლებში გაეხვია და ყოველივე იღუმალ, შეუცნობელ ბურუსში შთაინთქა. მუხლკვდარი ღვთისია უნდოდ შეტრიალდა, უილაჯოდ წალასლასდა, შინ არ მიესვლებოდა სირცხვილისაგან. ფერმაში მივიდა და ბილიბეს მიუწვა გვერდით.

რაც კერატები დაკოდეს, იმათი კვერცხები სულ განჩინაში აქვს შენახული. ლიტრა ჯამი ლამის პირთამდუა ამოვსებული. მერე როგორ აჭყივლებდა ეს დღეები ღორებს, განგებ აჭყივლებდა, იქნებ ამხანაგებს გაეგონათ და სტუმრებოდნენ, მაგრამ არა, არავინ ეკარებოდა ახლოს, არც მტერს ახსოვდა იგი და არც მოყვარეს. დღეს კი ჯიბილა და ბრიგადირი რომ მოვიდნენ ისიც გაუყვირდა. ღვთისიას, გაუყვირდა და გაუხარდა კიდევ.

— შენ, ე, მართლა ქალობა დაკარგული ქონდა? — შეეკითხა ბრიგადირი ღვთისიას, — თუ დაპროშტილი იყო, რაღას დაირჩენდი, გააგდებდი, აბა რაღას უქმოდია... — გაამართლა მან ღვთისია.

ღვთისიამ მომნუსხველი თვალებით გადახედა ბრიგადირს. „შენ ლაქლაქებ, რაც მოკადგება, ყველაფერს ფქვავ. ალბათ ღმერთ და სამართალ არ არსებობს, თორც ეს ენა ძირში გეკენებოდა მომზალი... აბა სისკარზე ვინ მოგცა ლაქლაქის უფლება... შენ რა იცი, რა მოხდა და როგორ იყო, არაფერი არ იცი და ისე ლაქლაქებ...“ — გაიფიქრა ბრიგადირზე ღვთისიამ.

— კარგი, ამას გავანებოთ თავი. ეხლა... ეს მითხარი, იქნებ ფქვილ შემოგაკლდით, ბილიბე, შენ რაღას გაჩუმებულხარ, თქვი რამე... — საუბარში ჩაერია ჯიბილა. ბოლო წუთამდე იგი ბრიგადირს უსმენდა და სახეზე რაღაც დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა. კაცი ვერ მიხვდებოდა, ვის დასცინოდა, თავის თანაშემწეს თუ გაჩუმებულ ღვთისიას.

ბილიბე თითქოს დაფრთხიდა, ჯიბილას სიტყვებზე ადგილზე შეხტა, უშნოდ დაიძაგრა და რატომღაც ღვთისიას გადამოჰხედა.

— ღვთისია ვერა გყავ გუნებაზე... მეტი რა... — ამომარცვლა შიშნულად ბილიბემ, თან ამხანაგისთვის არ მოუცილებია თვალი, ხომ არ ეწყინა ჩემი ნათქვამიო.

— არა, არაფერი გვაკლავ... — თქვა ღვთისიამ.

— იმაზე ხვარა დარდობ, მე რო შაგბირდი... ჯიბილა სიტყვის კაცია, ეგ დაიხსომე კარგად... — უთხრა ჯიბილამ.

— ჯიბილა იტყვის და ქარაფზე ჯიხვ გადმოდგება... — დაემოწმა მას ბრიგადირი.

— გინდა ახალ მანქანაზე დაგსვომ, დღე-დღეზე ველოდები... რა არ მოიღეს, ყუდიას გავაგდებ და იმაზე... —

ყოვლისშემძლე კაცის იერით გადახედა ჯიბილამ ირველივ მყოფთ.

— ეა, ამაზე კარგ რა გინდა... — თქვა ბრიგადირმა.

— ყუდიას ადგილზე არ ვიმუშავებ. — განაცხადა ღვთისიამ.

ჯიბილამ და ბრიგადირმა ერთმანეთს გადახედეს. გაცეცხის ნიშნად ჯიბილამ მარჯვენა წარბი მოწკურა, მერე სხვათაშორის თქვა:

— განა იმით უნდა გავაგდო რო მერე შენ გაქმეო, ისე არ მაშწონ და რა უყვა. იმის ჩამოთლილ მარჯვენა ყურის ცქერა აღარ შემიძლიან. წიფელზე შემმარი ზოვო თუ გინახავ, ისე გულის ასარევად აზის საფეთქელთან... — შუბლშეჭმუნული ლაპარაკობდა ჯიბილა. — კიდევ რო არ მინდოდეს, მაინც იქით რო გაქმეცევა ხოლმე ე თვალ ოხრები.

— მაგას ქალთან რო წაასწრეს, მაშინ ჩამოათაღეს ი, ზემოხვევლებმა. — პაპიროსის კვამლში გაეხვია ბრიგადირი, რამდენჯერმე დაახველებინა კიდევ ამ სიტყვებზე.

— ჩემ მხარეს მაინც არა ჰქონდეს ი ყურ ტიალი... — თქვა ისევ თავჯდომარემ.

— რას... რას უბნობ, კაცო... რას! — აზლუქუნდა ჯიბილას სიტყვებზე ბილიბე. — ჩვენს ყუდიასა ჭირად ის არ ეყოფა?

— ხო, მართლა, შენი ნათესავია, ბიძაშვილია, მგონი არა?! — შეცბა ჯიბილა.

— მაიდაშვილია მაგისი... — აუხსნა ღვთისიამ.

— გაჩუმდი, ბილიბე, ამას ისე ვამბობ, თორემ. განა ყველაფერს შაასრულებ კაცი...

— ძან გულჩვილია ჩვენი ბილიბე... — შეეცოდა იგი ბრიგადირს.

— ერთ სიტყვით, ორ კვარაში ახალ მანქანა მოგვივა და გვემზადე. რაღა გინდა მეტი. — მხარზე მოუტყაპუნა ხელი ჯიბილამ ღვთისიას.

მირონ ხაჩიანი
მარტოვანი რიუი

ღვთისიას მარტო ის არ მოეწონა, ჯობილამ რომ თქვა, ყუდიას გავავადებ და შენ დავსომო. არ დაჯდებოდა ღვთისია სხვის ადგილზე. რა სჭირდა საამისო. ახალ მანქანაზე კი სხვა საქმე იყო. მან წუთით წარმოიდგინა, როგორ გაისეირნებდნენ იგი, ჭიქია და კეთილა რაიონში, შესაძლოა ქალაქშიც გაეშვა ჯიბილას. ქალაქში ღვთისია გამოცდიდა ამხანაგებს — მართლა რა მარიფათიანი იყვნენ ქალებში, სულ იმათზე რო ლაპარაკობდნენ.

— ხო, — თითქოს რაღაც გაახსენდაო ჯიბილას. — ამ პარასკევს რაიონის ხელმძღვანელობა ჩამოდის. კრება გვექნება, მოუბრუნდა იგი ღვთისიას, — კარგ იქნება თუ სიტყვაში გამოხვალ.

— სიტყვაში?! — ელდანაკრავივით შეცბა ღვთისია.

— ამას წინათ ხევსურ გიგია შემხვდა. შენზე მითხრა, ძმისშვილის ქორწილში ხალხ დამიჩოლბოტა შაირშიო. შენი სიტყვა-პასუხისა სხვაგანაც მსმენავის.

— სასახელოც არის, რაიკომის ხალხი იქნება... — გაუიოლა ბრიგადირმა.

ღვთისია ჩაფიქრდა, მერე ბილიბეს გადახედა. იგი პირდაფრენილი ვაშტერებულყო. ვერაფრით ვერ წარმოედგინა, ღვთისიას თუ სახალხო სიტყვის თქმას შესთავაზებდნენ.

— აბა ეხლა კარგად იყავით... იმ დღეს ბილიბე შეგცვლის სამუშაოზე. პირ რო გაიპარსო და ცოტა გალამაზდეს ურიგო საქმე არ იქნება. კრების მერე პურს შევჭამთ და უფრო გამასჩნდები... — გამოემშვიდობა ღვთისიას. — აბა, ბილიბე, კარგად იყავ შენაცა, — მხარზე მოუთათუნა ხელი ჯიბილამ.

ბილიბეს ცრემლ მოადგა თვალზე. უფროსის სიტყვებისაგან აჩუყებულ გული ყელში ამოუჯდა. ხმა ვერ ამოიღო, რაღაც გაუგებრად ჩაიბურტყუნა.

ბრიგადირი და ჯიბილა ხმაურით გავიდნენ კარში, აუშვეს თავიანთი ცხენები და მოქუსლეს. ღვთისიამ და ბილიბემ უხმოდ გააყოლეს თვალი. მერე შინ შე-

ბრუნდნენ. ღვთისია ტანტზე წამოვიდა, ბილიბე ჭირკოზე ჩამოჯდა თავი ბრტყელ ხელებში ჩამალა. ახლა აღარ ტიროდა უკვე. დაბალი, შიშნეული ხმით ლოცავდა ვიღაცას: „რა კარგი კაცია... ბაჯაღლო კაცია...“

ღვთისიას ესმოდა ბილიბეს ჩიფჩიფილოცვა, მაგრამ ვის ლოცავდა, ვინ ჰყავდა მხედველობაში, ვერ მიმხვდარიყო. მერე ჯიბილა გაახსენდა. გაახსენდა და ღიმილგამკრთალმა გადახედა თავჩაღუნულ ბილიბეს. მერე თითქოს ქარმა წამოუჭროლო, ზეზე წამოხტა და მასთან გაჩნდა. კერიაში ჩაიჩოქა და ხელები გადახვია ამხანაგს.

მალე ოთახში ჩამოხველდა. უმინო ფანჯრებს ივრისეული ქარი მოაწყდა. ქარმა რიყეზე აფოფრილი ტირიფების კვნესა შემოიყოლია.



უკუნი ღამე იდგა. ღვთისია ლასლა-სით ჩაუყვა სოფლის ორღობეებს. ჩელურაანთგორი გაინაპირა და წარაფებზე დაკიდულ ბილიკს დაადგა. ეს ეს იყო, კრება დამთავრდა. ჯიბილამ და ბრიგადირმა პურისქამაზე დარჩენა სთხოვეს, თან ისიც აუწყეს, რაიკომის წარმომადგენელს შენი გამოსვლა ძალიან მოეწონაო. მაგრამ ღვთისია რატომღაც უცნაურმა შიშმა აიტანა. პურისქამაზე უფრო თქვა და ფერმისაკენ წამოვიდა. ახლა ბილიბესთან ყოფნას, იმ სიმშვიდესა და მარტობაში მოსვენებას არაფერი ერჩინა.

თავში კვლავ ის სიტყვები უტრიალებდა ღვთისიას, კრებაზე რომ წარმოსთქვა. ჯერ ერთად ვერც მოეყარა მათთვის თავი, დამშვიდებულზე ვერ გადაეველო მზერა, რომ საბოლოოდ გარკვეულიყო, რა ამცნო ხალხს ასეთი, ყველა რაღაცნაირი ღუმლით რო შეხვდა მის ნათქვამს. მხოლოდღა ჯიბილა და ბრიგადირი გადაიჩინენ. და როგორც იმათ უთხრეს, რაიკომის ხალხსაც მოსწონებია მისი გამოსვლა. „თუ იმათ მოეწონათ, რაღაზე ტაში არ დამიკრეს? არც

ერთს არ გაუნძრევია ხელი, მე რომ მახსენება დაეამთავრე, მარტო ჯიბილა და ბრიგადირი იყვნენ გახელებულნი“. — ფიქრობდა თავისთვის ღვთისია. უცნაურ ექვებს შეეპყროთ ახლა მისი არსება.

„ამხანაგებო, მე, ღვთისია, ჩელურაანთ გორის მელორე, მოხსენებით გამოვდივარ სცენაზე, — თავს ძალა დაატანა და დაძებნა საღდაც სივრცეში გაბნეული საკუთარივე სათქმელი სიტყვები ღვთისიამ, — ამხანაგებო, ისე დულ ჩვენი სოფელი, როგორც ლეზუა ქოთანში. დულს და ვადმოდის და იფშრუეების ნაცარჩი“. — თითქოს ყელში რამ გაეჩხირა, სული ძლივს მოითქვა ღვთისიამ... — თავში აუვარდა ეს სიტყვები ღვთისიას.

მაღლ რალაც ჩქამმა გამოარკვია ფიქრებიდან. თითქოს ქვა მოგორავდა მაღლიდანო. ღვთისია გვერდზე გახტა. ქვა კი არა, კეთილა და ჭიჭია აღმოჩნდნენ.

— კეთილა... ჭიჭია... — შესძახა ღვთისიამ და ხელები სივანეზე გაშალა.

ჭიჭიამ პასუხად გამოუქანა და სახეში სთხლიშა. ღვთისიას ნაპერწკლები გაცვივდა თვალთაგან, მერე, კეთილამაც რომ მოუნაცვლა, მიწაზე ჩაიკეცა.

— ხო გაგაფრთხილეთ, ი ჯიბილამ არაფერ მოგატყუოსო, — ჩაესმა მიწაზე გაშხლართულ ღვთისიას კეთილას ხმა.

ჭიჭია და კეთილა მაღლა, სოფლისაკენ აუყვნენ ბილიკს.

— ეხლა ეპირფეროს რამდენიც უნდა, — ამბობდა ოხტში ამოსული კეთილა, — სოფელი მაგან გაანადგურა და უცხოს ღმერთად კი დაუსახა...

— შენ არ უნდა გაგერტყა, მეც ვკმაროდი... — უსაყვედურა მას ჭიჭიამ.

— ძანაც უნდა გამერტყა. ღირს იყო და მიიღო კიდეც. ი, ბურჯავებში სუ გალორდა...

— არ უნდა გვეცემა, ისე უნდა გვეთქო.

— ისე რამდენჯერ ვუთხარით, რა, არ ვუთხარით?

— საყვედურ უნდა გვეთქო და იმსუგავვეთავებინა.

— მე სულაც არ მედარდება. ეგეთები, სოფელს რო ანგრევენ.

— იქნებ აზრზეც არ იყო, რა გააკეთა. აი, ჯიბილა სუ სხვა არი. ღვთისიას რალაზე მივვარდით მითომ...

— მაგან და ი წოწოლა ბრიგადელმა აიყვანეს შენი ჯიბილა ცაში, თორემ სხვამ ვინა?

— არა, კარგად ვერ მოვიქეციით... — თავისაზე იდგა ჭიჭია.

— კარგ ერთი, მოგცლია შენცა... ემაგის სახლიკაცის ბულრიას ცოლის ნათქომ გახსენდება? იქნებ თქვენშიაც ურევავ თვალთმაქტი და გამცემიო, რო გვიოხრა? ჩვენ გვეწყინა მაშინ. აი, ხო ნახე, თურმე სწორს იტყოდა. ღვთისიამ ნამუს დაკარგა, მარტო ჩვენთან კი არა, მთელ სოფელთან.. ჯერ ის როგორ იყო, ქალ რო მოგვატაცინა და მერე მთელ ქვეყნის სათრიკო გავგხადა?

ჭიჭიამ ნაბიჯი შეანელა. მერე გაჩერდა.

— მოდი, დავბრუნდეთ, უსინდისოდ მოვიქეციით...

— მე არ დავბრუნდები.

— ცუდად გავაკეთეთ.

— შენ თუ გინდა, დაბრუნდი...

— დავბრუნდები.

— მე არცა ვნანობ და არც დავბრუნდები.

ჭიჭია უკან შეტრიალდა და კვლავ დაბლა ჩაუყვა ბილიკს.

ღვთისია სახეგაბრუებული წამოიზლანა. ერთი უნდილად აჰხედა წყარაშში გაუჩინარებულ ამხანაგებს და დაბლა დაადგა გზას. ტურჩებზე რალაცნაირი დამცინავი ღიმილი გაუკრთა. თავის თავს დასცინოდა ღვთისია. მერე კეთილას ნათქვამი სიტყვები წამოუტივტივდა თავში. იმათ გახსენებაზე სულ

შირონ ხარბიანო
მარკოზიანი

დაეჭყანა სახე. ფერმას გვერდზე ჩაუ-
რა. მელორეთა სადგომისაკენ, სადაც
ახლა ბილიბე იწვა, არც გაუხედავს. სად-
ღაც უაზროდ და უმიზნოდ მილასლა-
სებდა. მალე მთვარე ამოიწვერა საქუ-
რეს თავზე. იმის შუქზე ვერცხლისფრად
ალიცილიდა გველივით გაკლავნილი
მდინარე. თითქოს ამას ელოდნენო, სა-
ლორეთსა და იორს შორის ჩავუბებული
ზინზლიანი. კაობის ბაყაყებმა ხმას
უმატეს.

ღვთისიამ წყალმარჩხ ლაქაშებში გა-
დააბოტა, მეორე მხარეს გააღწია და
რიყეზე გავიდა. მდინარის პირს დაუყვა
ქებოტის ხიდისაკენ. ხიდი წიფლის ფი-
ცრებისაგან იყო შეკოწიწებული, წყა-
ლი მთელი ძალით ასკდებოდა და საქა-
ნელასავით არწევდა. ღვთისია ახლა კო-
ჭებამდე წყალში იდგა და მდინარის გუ-
გუნს უგდებდა ყურს. სიამოვნებდა კი-
დეც ივრის სიგრილე, ხანდახან, როცა
ძლიერი ტალღა გადაეცლებოდა ბო-
გირს, ღვთისია ერთს შებარბაცდებოდა,
ფიცრებთან ერთად შექანავდებოდა.
მერე ხიდს კიდზე ჩაყობებულ მოა-
ჯირს გადაეყრდნო და მთვარის შუქით
განათებულ რიყეს გადახედა. რიყე მის
ფერხით გასუღრულიყო და ოქროს-
ფრად ქათქათებდა. ღვთისიას ბავშვობა
გაახსენდა. ტიტლიკანა, ნახევრად დედი-
შობილა ჩელურაანთგორელები აქ მო-
დიოდნენ საბანაოდ. ერთმანეთს ქვის
კვრასა და მდინარის გადალახვაში ეჭიბ-
რებოდნენ. სილიანზე ლახტს თამაშობ-
დნენ. ზოგჯერ წყალმერჩხ ტოტს დაწუ-
რავდნენ და თევზაობდნენ. მურწას, ნა-
ფოტასა და ფიჩხულას იჭერდნენ. ხან-
დახან კალმასხა და გველანასაც მოიხე-
ლთებდნენ ხოლმე. ანდა „გრძელო ვი-
როს“ თამაშობდნენ. როცა ყველაფერი
მოსწყინდებოდათ, რალაცაზე წაკამათ-
დებოდნენ, წაედავებოდნენ ერთმანეთს.

ბიჭებში ყველაზე თავგამოდებული
ქიკია იყო. რასაც იტყოდა, ვერაფერს გა-
დააჭერებდა. ერთხელ კეთილამ ასეთი
ამოცანა დააყენა — აბა ვინ იტყვის,
ყველაზე ძლიერი რა არის ამ ქვეყანა-

ზეო. ქიკიამ ისეთი რამ დაახეთქა —
ცებისაგან ყველამ თვალები ჭყიტა. სა-
ერთოდ ასე სჩვეოდა ქიკიას — თავი-
სებური, საეჭვო და დაუჭერებელი რამ
უნდა ეთქვა. ჰო, იმ დღეს თქვა: ყველა-
ზე ძლიერი ამ ქვეყანაზე ადამიანის ხმა
არისო. ბიჭებმა ხარხარი ასტეხეს — სი-
სულელეა, შენ რასაც ამბობო. ქიკიამ
იწყინა ბიჭების დაცინვა და ერთი სიტ-
ყვა არ უთქვამს ისე აკრიფა თავისი ტან-
საცმელი და უკანმოუხედავად გაიქცა
შინისაკენ.

— ქიკია, იქნებ შენ ყველაზე სწო-
რიცა ხარ, აგვიხსენი, რითია ადამიანის
ხმა ყველაზე ძლიერი. — დაედევნენ
ბიჭები ქიკიას. მავრამ ქიკია აღარ მო-
ბრუნებულა.

ღვთისიამ მდინარე დაასახელა:
— მდინარის გამჩერებელ ჯერ არავინ
დაბალებულა, — ამბობდა იგი, მდინა-
რე არაფერს დაგიდებს, მთაც რო აე-
მართოს იმის წინ, თავზე ვადაეცლება
და რამთვენივე დღეში იმისაგან აღარა-
ფერს დაარჩენს. მდინარე არასდროს არ
ილღება და იმთვენა ქვა-მიწა მიაქვ, რამ-
თვენსაც მთელ ქვეყნის კამბეჩებ ვერა
ზიდავენ. მდინარეს თან მიაქვ ყველაფე-
რი, რაც ზედმეტი და არაფრის მაქნისია.
რაც ქვეყნის საქმეს არ არავა. ახლაც არ
გვჯერავთ ჩემ სიტყვებისა? მდინარეს
ყველაფერ შაუძლავ...

ამხანაგებიდან ზოგმა ზევი დაასახე-
ლა, ზოგმა ქექა-ქუხილი, ზოგმა რა...
დავა მთელი დღე გრძელდებოდა. საბო-
ლოოდ მაინც ვერაფერში ვერ შეთანხმ-
დნენ, ერთიანი აზრი ვერ გამოიტანეს.
ღვთისია თითქოს ისევ ბავშვი იყო.
მისი ამხანაგებიც პატარები იყვნენ, ყვე-
ლანი დაბლა, რიყეზე ეყარნენ და კვლავ
ძველ ამბავზე ეკამათებოდნენ ერთმა-
ნეთს. ქიკია თავისას ამტკიცებდა.
ღვთისია — თავისას.

— მდინარეს ყველაფერ შაუძლავ! —
უცნაურ ხმაზე ახარხარდა უეცრად იგი
— მდინარეს ყველაფერ შაუძლავ! —
გასძახა მერე შორეულ მთებს, ჩელუ-

რანთ გორის მისადგომებს, საჭურის წა-
რაფებს. შორს, ხევსურთსოფელში გას-
ძახა მან თავის სისკარს. სასოწარკვეთილ
ხმაზე შეჰყვირა ნაბღისძველებში გახვე-
ულ მარტოდშენილ ბილიბეს, უერთ-
გულესსა და მოსიყვარულე მეგობარს...

— ჰე... ჰე... ჰე... — დაიღრიალა ერთ-
ხელ კიდეც ღვთისიამ.

პასუხად შორეული ჩქამი მოვარდა.

— ღვთისია, აუუ! — იძახდა თითქოს
ვიღაცა ნაპირიდან.

— ჰე... ჰე... ჰე... — დაუბრუნა აქე-
დან ღვთისიამ.

— ღვთისია, აუუუ!.. — ღვთისიამ იც-
ნო ბილიბეს მთრთოლვარე ხმა. მერე
კიდეც გაიგონა ყვირილი — ეს სხვა უხ-
მობდა ვიღაცა. სხვა იძახოდა მის სა-
ხელს. იმათი ხმა თანდათან ახლოვდე-
ბოდა, საცნაური ხდებოდა. მაგრამ
ღვთისიას აღარ შეეძლო უკვე გაპასუ-
ხება. მან მუხლებზე ჩაიჩოქა და ნელ-
ნელა ჩაიტვირთა წყალში. იორი ცივად
მოელამუნა სახეზე. მერე სიცივის შე-

გრძნება დაეარგა. უკვე აღარაფერს გა-
ნიციდა. ხანდახან ტალღა ფთილა
ღრუბელივით გადაეველებოდა თავპირზე.
ამ დროს ვერც ბილიბესა და ჭიჭიას ხმა
აღწევდა მის ყურთასმენამდე, ვერც ვი-
ღარაფერს ხედავდა. როცა ქუთუთოე-
ბიდან ჩამოეწურებოდა წყალი, ფარ-
თოდ ახელდა თვალებს და მთვარიან
ცას აშტერდებოდა. მთვარე ტაფაზე
დახლილ კვერცხის გულს ჰგავდა. ერბო-
ქონში აშიშხინებულს, წითლად შემწვარ-
შებრაწულს, ვარსკვლავები პაწაწკინ-
ტელა კვერცხები იყო. მთელი ცისკიდუ-
რი კვერცხებით გაიტენა, მთელი ქვეყა-
ნა კვერცხებით გაივსო. ისინი შიშხი-
ნებდნენ და მაცდურად იმზირებოდნენ
ახლა უკვე იმქვეყნიური უსასრულო-
ბიდან...

მერე წუთით მდინარის შხუილი მიწყ-
და. ღვთისიამ იგრძნო. ბოგირი ახტა-
დახტა, ვიღაცამ მხარში ჩაჰკიდა ხელი
და ანკესს მოყოლილი თევზივით გაათ-
რია ნაპირზე.



უანდორ პეტევი

გზა არ ჰქონდა მოფენილი იითა და იასამნით,
გულში ბევრი მწარე სიტყვა მოხვედრია ტყუილად.
ბოლოს მართლა მოხვდა ტყვია,
მაგრამ არკი შეუტყვია, —
შეეჩვია,
თვითონ ტყვიაც ვეღარ მოხვდა ტყუილად.

გ ა გ ა უ ს უ ლ ი

ატმებთან და ნუშებთან და წყაროსთან და ნაკადულთან	ქვეყნებსა და კონტინენტებს, საზღვრებსა და სატანტოებს
გათენდა და გაბრწყინდა და გამწვანდა და გაზაფხულდა.	ამშვიდებს და აზაფხებს და არიგებს და აახლოებს.
გოგონებს და ყმაწვილებს და მოხუცებს და ახალგაზრდებს	აფრიკა და ამერიკა, ევროპა და ევრაზია
ახარებს და ამღერებს და ალაღებს და ალამაზებს.	ჩემია და შენია და ჩვენია და ყველასია.

მ ე ო რ ე ნ ო ვ ე ლ ა

ახირებული სიზმარი ვნახე: სხვა მეომრებმა გამამეომრეს,
ჩვენ ვიმარჯვებდით
და ქალაქები საოცრად ჰგავდნენ ერთიმეორეს.
ერთმანეთს ჰგავდნენ სასახლეების ოქრო-ვერცხლი და ფარჩა-ხავერდი,
გამარჯვებებსაც,
ქალაქებივით,
ერთმანეთისგან ვერ ვანსხვავებდით.
ბევრჯერ ქალაქთან შემოგვალამდა,
ბევრჯერ ქალაქში დაგვაბანაკეს,
ჩვენ აგვერია სათვალავი და ვეღარ ვითვლიდით უკვე ქალაქებს.
ვფიქრობდით:

აღბათ იმიტომ ჰგვანან სახლებს — სახლები,
ჩრდილებს — ჩრდილები,
რომ დაგვეკარგოს თანდათანობით სურვილი მათი დამორჩილების.
მართლაც,
იმგვარად ვერ გვიზიდავდნენ უკვე ასალი საგანძურები
და დაუძღურდნენ ჯარისკაცები —
გამარჯვებებით დაქანცულები.

კვლავ მივიდოდით
და ქალაქები კვლავ ისე ჰგავდნენ ერთიმეორეს,
თითქოსდა მხოლოდ ერთი ქალაქი დაეპყროთ ბრძოლით დაღლილ მეომრებს.
ასეც ყოფილა:
თურმე მეგზური,
ჩვენი მეკვლე და ჩვენი იმედი,
გზას გვიბნევდა და
თურმე ერთსა და იმავე ქალაქს ვიმორჩილებდით.
თურმე ერთსა და იმავე გზაზე
წელიწადობით დაგვატარებდა,
ბოლოს ყოველთვის მივყავდით თურმე ერთი ქალაქის რკინის კარებთან.
თურმე იმიტომ ჰგავდნენ ერთმანეთს სახლებს — სახლები,
ჩრდილებს — ჩრდილები,

რომ დაგვეკარგოდა...
დავკარგეთ კიდევ სურვილი მათი დამორჩილების.
და როცა მეგზურს პირზე წაადგა სამსჯავრო არათანამედროვე,
სახელი-მეთქი, — წამოვიყვირე... სახელი მისი იყო — თვედორე.



ახლა ღამეა.
სძინავს ირაკლის,
სძინავს დედას და სძინავთ მეზობლებს,
და მეც მძინარედ ჩავითვლებოდი,
იმათი სუნთქვა რომ არ მესმოდეს.
ახლაზან ერთად მივაბიჯებდით,
სიზმრის გზასა და ბილიკს ვეძებდით,
მაგრამ ჩამოვრჩი მე ჩემს არმიას და უნებლიეს ვგავარ დეზერტირს.
შუალამეა.
მთვარის ჩრდილისგან გათავისუფლდნენ უკვე საგნები,
დამწიფებული მათი ღუმილი ასატანია და გასაგები.
გაყოფილი და განუყოფელი —
არ ედავება ატომს ატომი
და ყველაფერი არის რატომღაც უფრო ადვილად ხელმისაწვდომი.
ფიქრი შეეხო პირველ სურვილს და
სურვილი ფიქრის ნებას დანებდა,
მაგრამ მე არ მაქვს მეტის უფლება: მე უნდა ვიყო ჩემიანებთან.
ისინი უკვე აჩქარებულან,
ზოგი ზეითად,
ზოგი ქვეითად.

და გამორბიან დაქანცულები სიზმრიდან,

როგორც ბრძოლის ველიდან.

დაველოდები,

და როცა მზეზე ფერს შეიცვლიან ღრუბლის მტევენები,
განთიადისკენ მობრუნებულებს დეზერტირივით ავედვენები.

მანამ კი,

ისე უნდა ვიფიქრო,

რომ არ დავფიქრდე აღარასოდეს

და დარჩენილი თავისუფლების ყოველი წუთი დამაზახსოვრდეს.

მოვასწრებ,

თუ არ გადამეღობა სხვა ხიფათი და სხვა ფათერაკი,

ასე მგონია,

მაინც მოვასწრებ,

ისე ხმამაღლა სუნთქავს ირაკლი.

უნდა მოვასწრო,

თორემ განთიადს აკოწიწებენ სადღაც მამლები

და მე სინათლეს,

როგორც სიმართლეს,

უკვე ვმღარსად დავემალემა.

ბრწყინავს ბავშვის დახატული მზე და
მავთულებზე ბელურები სხედან.

გვიმზერს ბავშვის დახატული დედა,

როგორც ბავშვის დახატული დედა.

არ ჰყეფს ბავშვის დახატული ძალი,

არც მახვილი არ ამძიმებს მხედარს,

ხოლო

ბავშვის დახატული სახლის

გვერდით

ბავშვის დახატული ხე დგას.

მაგრამ

კადრი გაიეღვებს ერთი,

ერთი კადრიც გაიეღვებს მკაცრი:

ბავშვის დახატული ბავშვის გვერდით

გდია კაცის განგმირული კაცი.

ვახტანგ რაჭიკაშვილს

წლები ხესავით დაანაფოტა

და ყვაველების ბედზე ტიროდა,

მამის ჩრდილიდან ისე გარბოდა,

როგორც გარბიან საპატიმროდან.

ისევ ესწრება ჩიტების ქორწილს

და ბალახების აწუხებს დარდი...

ვაჟა ფშაველას სისხლი და ხორცი —

ვაჟა ფშაველას ძეგლივით დადის.

ბაბურ ბალახიშვილი

კალეიდოსკოპი

მინიატურები

1. კალეიდოსკოპი

კალეიდოსკოპი ერთი ჯადოსნური ჭოვრია.

მინის სამკუთხა ხაროს ფსკერზე, რამდენიმე ფერადი მინის ნაჭერი გასათვარ ნაყშებს ქარგავს. ბრუნავს კალეიდოსკოპი და იცვლება ფერადი სიმეტრიის აეური. კონტურები ჩხრიალით ენაცვლებიან ერთმანეთს, დაუსრულებლივ მეორდებიან და უსასრულობის ილუზიას ქმნიან.

კალეიდოსკოპი ერთი ჯადოსნური ჭოვრია.

თეთრი ფერი ნათლად ადგია ყოველ კუთხეს, ყოველ წრეს, ყოველ ტალღას. ცოცხლობს გულშბრყვილო. დიდებულის ტრელი: კახეთის შემოდგომურა ტყეები; ალაზნის მღვრიე, მუნისქალის ლურჯგადანავლები ხასხასი; ნამკალი; მრგვალი და ყვითელი შზე; აგურის ჭიფერი, ჩაღისფერი და ნაცრისფერი, კლდის ქავლის ანკარა მკვირვალება და ლაქვარდს აკრული უკუნეთის, წვრილი საფანტი და ცხრილული გიშერი; ფოლადისფერი მთვარე.

მთვარისფერი ნათლად ადგია ყოველ კუთხეს, ყოველ წრეს, ყოველ ტალღას.

იგი ცოცხალია: — კალეიდოსკოპი.

ფეთქავს სისხლისფერი ალმურით, ყრუ რიტმით, მისი წვრილძარღვა კანი თრთის მოუთმენარი სიხშირით — ეს ფოთლის ძარღვებია, — ცაცხვის ფოთ-

ლის ძარღვები, ბალახის მკვირიე შუაფხა, ნაძვის თოთო გირჩის დაბინდული სიწრფელე... ასფალტის ბზართა ბადე, ელექტრონის მავთულების ქანგიანი აბლაბუდა, საბურავების ხრჭიალი, კედლები, ფანჯრები, ხეები... წამით გაღვებული უცნობი სახეები, ხორბლისფერი ლწებები, ცხვირები, თვლები, სიგარეტის კვამლი... ერთი და მრავალი... გრანიტის ლეგა აგურებით მოკირწყული აღმართი, გუდრონით გადალესილი მინდორი... ცა.

იგი ცოცხალია: — კალეიდოსკოპი.

2. ავბოგუსი—1

ავბოგუსის მხრიდან მომავალს, სოფელი ქალები გამოუყოლებია თელავში, ირყევა და ხმაურობს.

— გააჩე, შვილო!... გააჩე!

— თქვენი ყველაყისამ. ყველა ბუჩქი ძირაი გაგიჩერებთ ესლა.

გზის მარჯვნივ და მარცხნივ—აქეთ, გომბორისკენ და იქით—კავკასიონისკენ, თეთრი ტაძრებია: ალავერდი, იყალთო, წმინდა გიორგი, ზემოთკენ — შუამთა, ქვემოთ — მთავარანგელოზი, გრემი.

—...ქა... იქნება ბაზართანაც აღარ გავეჩერო.

— გზაში უნდა გადაგყაროთ, გზაში... ბაზარამდე არც მიგიყვანთ.

რუისპირის სახიხკლკე ხიდის თავშია,



ხერგილის სასადილო—ბოლოში. ვერცხლისფერი ალგები რიყისპირებს მიჰყვებიან და შემოდგომით ყვითელ ფოთლებს მიმოაფენენ ტყვისფერ ასფალტს. მაწანწარა. ისევ რიყე, თელავის რიყე და ბაზარი: სოფლის მეურნეობის მაღაზია, რკინეულობის ფარდული, საქვაჭრობის დახლები — ზედ კრულ-ქრულა „ფუფუნების ტანისამოსით“, რენტგენის ფირფიტებზე ჩაწერილი „დამწვრის ჰანგები“, წვრილმანი საქონელი, ღვინო, არაყი, მწნილი, ქათმები, ინდაურები... ყარაჯლელი თათრები, სომხები, რუსები, ლეკები, თუშები, ფშავლები, ხევსურები, ქისტები...

— როგორი შავი თავიბირი გაქ, შვილო... მაგი ნაბაწში წინდები შაიღებება.

— დედი! შენ ე მაგ ქარტალჭურტალ შეეშვი და ფული მამაშადა, არ დაგავიწყდეს.

ყიდიან, ყიდულობენ, იფიცებიან, ცრუობენ, ქურდობენ, მრუშობენ, სვამენ. საბელაშვებული ყაყანია, პატიოსანი სიძუნწეა, გულუბყვილო გაბიაბრუებაა, ღიმილისმომგვრელი სერიოზულობაა. მერე დაიღლებიან, დათვრებიან, დაძლებიან... შებინდდება: დღით კმაყოფილი მემწვანილე ცარიელ ტომრებს ამოიჩრის ილიაში, უკანასკნელი მთვრალი ქისტიც მობარბაცდება და წავა, უკან გაბრუნდება ავტობუსი.

— ძანაც ნუ დაუშუშუნე, შვილო, ვერა ხელამ? — ფეხზე ვართ და ვირხევით.

— თქვენც ე მანდ მწვანე-მწვანე კვირტები არ დაგცვივდეთ.

გარწმუნებენ, იგინებიან, გთხოვენ, მოითხოვენ, გაძლევენ, ვართმევენ, გატყუებენ, ტყუელებიან... ბოლოკით, მწვანელით, პამიდორით, ბადრიჯნით, კალმახა სკოთი, ღანძლით დახუნძლულ დახლებთან დგანან... საქვაჭრობის „ფუფუნების ტანისამოსის“ ფარდულებს, „ბერეგისას“ საპარიკმახეროს, „პახას“ დუქანს უვლიან გარეშემო... ამბობენ: „შილდური პამიდორი კარგია“, „კონ-

დოლელების ბალი მატლიანი“, „შაიღებებს ამ შაირებით აქილაგებენ: „შალაურის ეში მეში — გულდურა და გოგრა ხელში“, „შალაურელებ ხორცე უყვართ ვირისა — გინდა იყო ერთიორი კვირისა“, ბაზრის ინსპექტორი — „ცენტერ მიშა“ შალაურელი გახლავთ და ცოტა ამრეზილადაც უყურებს მოშაირებს... ბაზრის კიბის თავში დაბალი ჯიხურია და შიგ ჟღალწვერა ხარაზი „რიჟა“, — კედლებზე სურათებია ერთიმეორეზე აკრული: არსენ მეკოკიშვილი, ხარება და გოგია, რაჯ კაპური, მანქანის სარკმელიდან თავგამოყოფილი ლეილა აბაშიძე, ტიტლიკანა ბრიჯიდ ბარდო...

— დედი. თუ გინდა ბილეთი ფულ ხახვში გაგიბრი.

— მამა გიცხონდება.

— მაშინა, ხუთი კილო მამყიდე.

— არა, შვილო, გალობით უნდა გავყიდო.

— ვაა! შენ ხუთი კილო მამასყიდე და თუ გინდა ჭიკჭიკითა?

ვიდრე უკან გაბრუნდებოდნენ, ქალები მკლაზიებს მოედებიან და ერთი ავტობუსით ადრე მიდიან კაცებზედ. კაცები გვიანობამდე დაალაჯუნებენ „სვეტებიან“ სასადილოში, მოედნის სასადილოში, „რიბასთან“...

— ხურდა მაგრა გამოჰკა, დედი, მაგ ყვინტლიან ცხვირსახოცში, არ დაგფანტოს.

— შენ იგეთი ყაირათიანი ჰჩანხარ, შვილო, ყარყატანთ ქალი უნდა გაგირიგო, კარგი ოჯახი გექნებათ, არაფერიც არ უშამს, ორი ქმრისაგან ექვსი დარჩა...

კვირიკეს ციხის, ვახვახიანთ ვალავნის, ერეკლეს ბურჯის, ფიქრის გორის და მამიყიან აღმართის თელავში რუხი რკინაბეტონის სილუეტები დააბიჯებენ: პრემიერული პროექტით მშენებარე ახალი თეატრი, ახალი სასტუმრო, ახალი კომუნალური საერთო საცხოვრებელი, პედინსტიტუტის ახალი შენობა, ახალი სტუდენტლავი.

„მართალია ჯენს უფვარდა ტარზანი,
მაგრამ მაინც გალაუჭრა ბაწარი...“

„დამწვარ სიმღერებს“ ასალებს ბაზ-
რის ბოლოში „ახპატელიანთ ტიგრანა“
— ასრულდებენ დამპალო და ლამაზ გო-
გია! შენ დაუჟა!

2. წარმოდგენა

ქადარი ნისლშია გახვეული.
ნადიკვარზე, საბილიარდოში, მარკი-
ორი ლუხუტა „მანთანს“ ეთამაშება
„პუქტურია გივიას“.

— თქვენ ისეთი კლიენტები ხართ,
ცარციო უნდა გაგიხაზოთ კაცმა —
ამის აქეთ არ გადმოხვიდეთო... თუ ვინ-
მემ გაგიცინათ, თავზე აჯდებით, მამა-
ძალი...

- კაცო მიდი დაააა...
- ხუთმეტნიანი კუთხეში, სტაპრაციენ-
ტნა!
- მაინც კარგად დაუმიზნე.
- დამიზნებულაია.
- ჯიბეში არ გაგივარდეს, ცოტა მო-
ღუნდი...

ნადიკვარზე ცაცხვი იდგა, დიდი, ბე-
ბერი ცაცხვი. მერე ქარიანმა დღეებმა
ტოტები შემოალეწეს. იქვე პატარა
აუზი დარჩა. გადასახედის ფერდობთან
ყავისფერი, გახუნებული ფანჩატურები
დღეობდნენ; ფანჩატურებში სა-
ღებავურილი, ცისფერი სკამებიცა, თუ-
ჯის ქანგიანი ფეხებით. ნადიკვრის სა-
სადილო — „პაველიონი“, ნაძვები, მო-
ფახფახებული, ჩუქურთმებიანი ხის სა-
ზაფხულო თეატრი, „ტანცკლაშადკა“...
ნოემბერია. ნადიკვარზე ცივა. თელავში
იშვიათადღა გამოდის ხალხი გარეთ.
ქადარი ნისლშია გახვეული.

ერთ სახლში ორი ძმა ცხოვრობს. ძვე-
ლი, მაგრამ, როგორც ამბობენ, საეჭვოდ
ძველი გვარის ჩამომავალნი. ერთი მძლო-
ლია, მეორეც აგრეთვე, ერთი ქეშად
ჩაგრებილი და დაბალია, მეორეც აგ-
რეთვე და მელოტი. (ღმერთმა ამრავ-
ლოს) ჰყავთ ცოლები და შვილები. იმათ-
გან ერთი გამოირჩევა, ქეშად ჩაგრები-
ლის და მელოტის პატარა ვაჟიშვილი,
მრგვალი და ვარდისფერი. იგი უაღრე-

სად ურჩი და შეუპოვარია: თავის ერთ-
ერთ (წლოვანებით გაცილებით უფროს)
ბიძაშვილს მისდევს და ცდილობს ანთე-
ბული ასანთი მიავდოს. ბიძაშვილი ჯო-
ხით იგერიებს და აგინებს.

— ჰაუჭან ბადრი ჯან! ჰაუჭან ბად-
რი ჯან! — ყოყინებს პატარა გოგონა:
მრგვალმა და ვარდისფერმა, სრულიად
მოულოდნელად, შარვალი ჩაიძრო და
იქვე ჩაჯდა.

— მანდა ნუ-მეთქი! — გადმოსჭექა
აივნიდან მსუქანმა დედამ. მრგვალმა და
ვარდისფერმა შარვალი აიწია. და პატა-
რა გოგონას წაუთაქა.

— ატანდა! — ყვირიან ბავშვები:
ცალქამოტეხილი ძროხა ფერდობზე
მოჩინდრიკობს და თავს აქეთ-იქით აქა-
ნავეებს, — უჯიშო ძალი ეტორღილე-
ბა. ნოემბერია, ბავშვებს სახეები ეწვე-
ბათ... ისინი ერთი გზით მიდიან, ერთი
ქეშად ჩაგრებილი და დაბალი, მეორეც
აგრეთვე და მელოტი...

წელს, (1972) მილიციის ძველი შენო-
ბა დაანგრეს. იქვე ააშენეს ფართო და
ნათელი შენობა, მილიციის ახალი შე-
ნობა. ვიდრე ნანგრევებს გაზიდავდნენ,
ჩამონგრეულ კედელზე ფანქრით მიწა-
წერი სტრიქონები იყო:

კაცო, წაგართვეს ხანჯალი, ჩაგავდეს
განსაცდელშია,
ეხლა შარ-შარა დადიხარ, შინდის
სახრეთი ხელშია.

ფიქრის გორაზე აღმართულა მშენე-
ბარე, მრავალსართულიანი სასტუმროს
რუხი პარალელოპიპედები. ამწის ქან-
გიანი აქური დაცურავს ლევა ცაში.
აქურის კედლებზე წითელი ბაირალი ფრ-
ალებს.

მოქანდაკე მერაბიშვილმა ერეკლეს
ძეგლი დადგა თელავში. ერეკლეს ცხენ-
ზე მჯდომარე ფიგურის რიყის ქვევით
ანაგები პოსტამენტი ხაზგასმით ერწყ-
მის ხავსიანი ბურჯის ფანქტურას. მას,
ერთმორწმუნე რუსეთის გზის არჩევა-
ნის სადასტუროდ, ფრანგულა ხმალი
ბასრით უპყრია ხელთ, რაც ხმალს ჯვარ-

ბაბლურ ბალარჯიშვილი
კალიგოლოგია

თან აიგივებს და მშვენიერად იკითხება ქართულად წყობილ აგურის მწვანე ხე-თა მაშვიან სასახლის გალავნის ფონზე. შთაბეჭდილებას აძლიერებს იქვე, პატარა აღმართს შეფენილი, ძველთელაური სახლები.

4. იმედიანობა

რამდენიც არ უნდა იარო, ბოლოს მაინც ამ კლდეს მოადგები — თუ შამშვებზე სანადიროდ გამოსულხარ. კლდეზე უნდა დაცურდე, თორემ სულ ერთია, ჩასვლისას წაიქცევი კლდიდან წყარო მოეთნავს და ძალიან ცივია, ისეთი ცივი, რომ შუა ზაფხულშიც კბილები დაგაზრებათ.

დღეს რაღაც მოხდება...

გოგია შამშვებზე სანადიროდ გამო-სულა.

დურმიშხანი კი, იმ ქალაქელ გოგონას-თან ერთად, მზია რომ ჰქვია და ქვეყანას გააფებინა თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობო, წყაროსთან ზის და მთელი გულისყურით უსმენს:

— ომარკა ძველივე გადასარევი ჰამ-ლეტია, ნუ, რაღაც კოლოსალურად გაიგო როლი... რა თქმა უნდა, ზიზი მამაშადებინა და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს... ნუ ზიზი გენიალურია... და სპექტაკლი არ დაიდგა! წარმოგიდგენია? რეჟისორების ინტრიგები...

— მაშ, მაშ. — თავს უქნევს დურ-მიშხანი და მართლაც ჰგონია, იცის რეჟისორების ინტრიგები — ისეთი ჭიშვიანი მკერდი აქვს მზიას.

— იმ როლ რაღა უყო?

— როგორ თუ რა უყო?! — გაეცინა მზიას. — მოამზადა?

— მერე და ეგრე მომზადებული ექნება? — დურმიშხანი იზნევა და წით-ლდება. მზია ყველაფერს მშვენიერად გრძნობს და სრულიად არ ცდილობს გაჰფანტოს დუმილი.

დღეს რაღაც მოხდება...

გოგიას და დურმიშხანს ძველი ანგა-რიშები აქვთ გასასწორებელი.

კლდეზე ვიღაც მოშლივინობს და იგინება. დურმიშხანი წამოხტა და საავ-

დროდ მოიღრუბლა. მზიამ შეკვივლებით აღნიშნა, თუ რა მოულოდნელი იყო გოგიას გამოჩენა და ინტერესით მი-აჩერდა ბიჭებს.

— რას ივინები? ვერავისა ჰხედამ!

— მაინც ვისა?.. — რაღაც სხვანაი-რად ილიმება გოგია.

— ვისა და... შენ შარზე ხო არა ხარ?

— პირდაპირ საქმეზე გადავიდა დურ-მიშხანი.

— რო ვიყო, რაა რო?

— დურმიშხანი წამოდი ჩემთან! — საქმეში ჩაერია მზია, დურმიშხანს ხელკავი გაუყარა და გვერდზე გაიყ-ვანა. დურმიშხანი მოგებულა: თოფიან კაცს შეჰხედა. არც გოგია იზნევა: ხმამალა იცინის და ორივე ლულას ცას დაუჭუჭუებს.

— ომარკა მამიკითხეთ! — შინაუ-რულად!

— ოხ შენით...

ეს იყო და ეს.

5. სტუმარი

მატარებლისთვის თელავი უკანას-კნელი სადგურია. ბაქანზე სამი კიბა-რისი დგას. მწვანე ვაზეთების კიოსკი, პატარა აუზი და სადგურის სასადილო. სასიამოვნო გარეგნობის ქაღარა კაცს და მის თანამგზავრ ქალს დამხვდურე-ბი სიხარულით ხვდება.

ის ჩუმად გადის სადგურის მოედან-ზე. ყველა ტაქსი დაკავებულია უკვე-ადის ავტობუსში — ავტობუსი ივსე-ბა — მძლოლი ყვირის: წავედით! — კარები იხურება.

ტომრები და კალათები, ჩაფსკვნილი ბიჭი, უღვაშა გლეხი, შავით მოსილი დედაბერი და ერთ წერტილს მიშტე-რებული ლოყებდაყდაყა გოგო... ავ-ტობუსი აღმართს შეუყვავ. ჩაფსკვნილი ბიჭი, ლოყებდაყდაყა გოგოს უცქე-რის ხშირხშირად.

— ნიკა!

— ჰა! — მძლოლი თავს სანახევროდ აბრუნებს.

— ზვალე პირ რო დაიბან, წყალი არ გადაღვარო.

— რათა... (რადაც სასაცილო იცის მძლოლმა).

— ბებიაჩემმა თეთრი ხალათი შამიკრა და უნდა შევდებო შევათა.

აშკარად თავს აწონებს ჩაფსკვნილი ბიჭი ლოყაწითელა გოგოს. ავტობუსი იცინის, ჭაყჭაყებს, — ბიჭი ალმაცერად უყურებს.

ულვაშებიანი გლეხი: — რა ენა აქ, კაცო...

შავებით მოსილი დედაბერი: — მე-ხი კი დავთხლოშე...

ბიჭს ვინ და დაუდგება? — საკუთარი თავი მოსწონს.

— გესმის?

— რაო, რაო, — ეპასუხება ისევ მძლოლი.

— იმ დღესა მამაჩემი ყოფილა ბაზარში. ხო და, ქალსა ხახვი ჰქონია გასასყიდათა. მამაჩემს უკითხნია, რას აფასებ კილოსათ. არა შეილო, გალობითა ვყიდო, ვაიგე? მამაჩემ კიღენა — შენ ერთი კილო მამასყიდე და თუ გინდა შალახოს ცეკვითაო...

ხარხარებენ, მაგრამ არა და არ იციანს ლოყებლაქაჟა, ქვედა ტუჩი ლამის გაკვნიტოს. ბიჭი უკანასკნელ ხერხს ხმარობს — გოგონასკენ მობრუნებული გულიანად იცინის.

ულვაშა გლეხი: არტისტები ხართ მამაშვილი, არტისტები.

შავებით მოსილი დედაბერი ლოყებლაქაჟას თავის მავალითს აძლევს — კერპი იყავი და კემუტით.

მოედანზე ჩამოვიდა. ახალ ბაღში, სკამებზე, პენსიონერები სხედან. იქვე, პატარა ბიჭები ვიღაც წვერმოშვებულ ცილინდროსანს ელაზღანდარებიან. პენსიონერებს თავშეკავებით ეღიმებათ. ის ნელი ნაბიჯით მიდის. სასადილოში შევიდა. სასადილო თითქმის ცარიელია (მხოლოდ ერთ მაგიდას უსხედან ახალგაზრდები და შებოლილ თევზს ლუდს აყოლებენ). დახლიდარს მელანქოლიური სახე მიუღია.

— პრიმა და ერთი ლუდი.

დახლიდარი ზანტად უსხამს ლუდს. ხურდას უბრუნებს და სხვათაშორის:

— პრიმა არ არის...

— ბოდიში, მაზანაშვილები საით ცხოვრობენ თუ იციო?

— მაზანაანი? სანდრო! — ეს ეტყობა იროდას სტუმარია...

მაგიდიდან ერთი ბიჭი ადგა და მიუახლოვდა.

— ქორწილზე ჩამოხვედით?

— დიახ.

— ეხლა ჩვენთან წამობრძანდით და მერე ჩვენ მივიყვანთ.

— არა, გამდლობთ, თქვენ მისამართი მითხარით და მე თვითონ მივაგნებ.

— ბაზარი იციო?

— იცით რა... ადრე ვყოფილვარ.

— მოკლეთ აი ეგრე გაუყვებით, ხიდის ქვემოთ ბაზარია, ბაზრის ბოლოში გზა გადაღის, იმ გზას გაჰყევით და... თვითონ მიხვდებით, იქ უკვე დიდი ამბავი იქნება.

— გამდლობთ.

— ეხლა ერთი კრუშკა მაინც უნდა მიირთოთ, ბარელამ გავეცანით და...

დასთანხმდა. მაგიდასთან მივიდა. გაცნო დანარჩენებსაც. ბიჭები ღიმილით და დაქადნებით უყურებენ — „ენახოთ ერთი...“

— ნათესავი ბრძანდებით?

— იროდის მამა და მამაჩემი ალალი დედაშვილები არიან.

— ვაა!...

— კი მაგრამ სიღამოს რაღა უნდა დალიოთ? — მოსინჯა სტუმარმა.

— ჰეჰე... დავლევთ, დავლევთ... არაყს ხო არ მიირთმევთ?

— არა და ნურც დამაძალებთ თუ შეიძლება. — დაფრთხა სტუმარი.

— როგო გეკადრებათ, არყის დაძალება რა ვაქაცობაა.

იღიმებთან. სანდრო ღიმილითვე აცილებს, ღიმილითვე ეშვებოდა.

გაზონებით შუა გაყოფილ ქუჩას გაუყვა, ხილამდე მივიდა, — ინიშნა. ბაზრის წინ მეწვრილმანეებს საქონელი გამოუფენიათ: თუნუქის ჭრაქები, კევი,

გააღურ გალაკჯიშვილი
კალეიდოსკოპი

ნემსები, შიბაქები... ერთი ქალი შიბაქს ყიდულობს.

— უფრო დიდი მინდა, ქაა...

— რა შამაღონე, ქალო, შენთვის ხო არ გინდა?

— იიი... ამოიწყვიდი... — ქალმა ქოქოლა დააყარა და განარბებული წავიდა. გაეცინა...

— ეეე! ქალაქელო! — რას იცინი? — რასაც ამათ უყურებ გარშემო, სუ ჩემი შიბაქებით არიან დაზრდილნი...

8. გუფურა

ბავშვობიდან მახსოვს, მაშინ ხიდის იქით, ქიჭიკიანთ სახლში ვცხოვრობდით, ვიღაც ცალყურა კახელი, სალამოობით, გუღურას ჩამოატარებდა. არც სალამი, არც გამარჯობა, — მხოლოდ უცაბედად გამოიხედებოდა: ვიცი, აქ ხარო, და გზას განაგრძობდა, გუღურის ხრიალით დაეშვებოდა თავთაქვეზე.

იმ კაცივით გამოხედავს ზოგჯერ შენი დღეები. უმეტესად კი მე ვარ შენზედ მოჩერებული და თითქო მინდა მივიხვდე სანიშნო: — საით მოვიჩერო ჩემი გუღურა?

ტყე ვრცელაა, ბილიკები კი მრავალი, — ზოგან ქვის სიმტკიცით დათქერილინი, ზოგან ბალახებში გზადაკარგულნი...

ხეტა შრიალში მიმალულა შენი ნიშანი და ჩემი გუჟანიც ტყის სილაღეს მიმიბარებია: — როგორ მინდა ვიცოდე, — საიდან მოჰქონდა იმ კაცს გუღურა...

„და მთვარიანში, ხევის პირას ვგროვებ პეშვით შენი ზეცის ციციანთელებს... სიზმარივით მისხლტებიან თითების შუა... საამური ჩქამით აფხიზლებენ ჩემს გარინდებას... მრავალყამიერი! მახეტილოს თრითინმა შენმა შენს გრილ ღამეში...“

მე უკვე ვიცი მზერა წამიერი: მე უკვე ვიცი იმ უცაბედი გამოხედვის მადლი და ძალა, ცალყურა კახელი დიდსულოვნად რომ იძლეოდა.

7. მუხარამა

იმ დღეს კიდევ, — წვიმდა, ასფალტი ლაპლაპებდა და მტვერყოლილი წვიმის წვეთები ფეხსამოსის პეინტებს წინწყლებად ეყარა. ღრიალით გავარდა საავადმყოფოსკენ წითელჯვრიანი მანქანა. თეატრის აივნის ქვეშ შეფარებულიმა თელაველებმა ცნობის წადილით გააყოლეს მზერა.

უფროსი მეგობარი ნიკოლოზი, უმცროსი მეგობარ დურმიშხანს ოჯახის საჰიბროტო საქმეებზე ებაასებოდა:

— საერთოდ, მამაკაცს კი არ უნდა დააშლევინოს ქალმა, უნდა მიახვედროს...

— მაშ, კაცო, ვეღარ მოვითმინე და მაგრისები დავყარე. ახლა დედაჩემი გამოვარდა: — ცოლს ასე უნდა ელაპარაკო? — აბა წარმოიდგინე, სხვამ რომ ეგრე უთხრასო...

— მერე?

— ვინ სხვამ-მეთქი, დედაჩემო?! შენ რა იგრე ლაპარაკობ-მეთქი? სხვამ ვინ უნდა უთხრას-მეთქი? — ეტყვის და დედას ვუტირებ-მეთქი...

თავისუფლების მოედნის მეორე ბოლოში, კინოს აფიშასთან, ანზორას მოფახფახებული ვილისი გაჩერდა. ანზორა გადმოხტა, კისერმხრებში ჩარგულმა ვადირბინა მოედანი და გასტრონომში შევარდა. უკან გზობისას დურმიშხანმა გაბმით და ხმამალა დაუსტვინა. ანზორამ ცალი ფეხი მანქანაში შედგა და კითხვის ნიშნით მიაჩერდა თეატრის მხარეს, ხელში რალაც შეხვეული ეჭირა. საითო, ხელის ქნევით ანიშნებდა დურმიშხანი. ანზორამ ხელითვე ანიშნა — მოდიო. დურმიშხანი საჩქაროდ გამოეშვიდობა დარიგების იშტაზე მოსულ უფროს მეგობარ ნიკოლოზს და გამოიქცა აბუშული.

ვილისში ოთხნი ისხდნენ: შოფერი ანზორა, ანზორას პატარა მეზობელი, დურმიშხანი და „პუქურიკა გიგია“. შუალამისას გავიდნენ. მანქანა მუნის წყლის მოსახვევს გასცდა და ნამკალებში გადავიდა. თოფებიც გაიყოლეს,

თუმცა ნადირობას შუქით აპირებდ-
ნენ (ათაფები ისე, იქნებ იქითობას რა-
მის გადავეყარათ). ვილისი ნელა მი-
დიოდა ნამკალშა. წინ სამნი ისხდნენ:
ანზორა, ღურმიშხანი და „პუტურიკა
გივია“. გივიას ხელში დამატებით აკუ-
მულატორზე შეერთებული პროექტ-
ტორი ეჭირა. ანზორა გამოცდილი მო-
ნადირე იყო. მისი იმედი ჰქონდათ
ღურმიშხანსაც და გივიასაც.

— წამაფაფრენ თუ არა, მარჯვედ
მიუშვი და არ მაარიდო.

პირველი მწყერი თითქმის მანქანის
ქვეშედან წამოუფრინდა. გივიმ სი-
ნათლის ნაკადში მოაქცია და დაბრმა-
ვებული იქვე, შედიოდნე მეტრის მო-
შორებით ჩასვა. ანზორამ მანქანა სწრა-
ფად შემოაბრუნა და მანქანის ფარების
შუქი მოარიდა მწყერს.

— ე მაგრე გეჭიროს... ტოჩკა არ მა-
ციდო... მწყერი იგეთი შობელძაღვლია,
სადმე ვაძვრება. — აჩურჩულდა ან-
ზორა და ღურმიშხანს ხელში მსხვილ
მავთულზე შემორკალული ბადე მია-
ჩეჩა. ღურმიშხანი მიეპარა, ბადე მო-
წინა... მწყერი წამოფრინდა და გა-
უჩინარდა. ვიდრე გივია მეორე მწყერს
„გააშეშებდა“, დაძაბულ სიჩუმეში მან-
ქანის თახთახი და ნამკალის ხოს ფხა-
კუნის ისმოდა მხოლოდ.

— ე მაგრე... ე მაგრე...

თვითონვე გადაძვრა ანზორა. მონა-
დირე ძაღლივით ფრთხილი ნაბულით
გაშეშდა მწყერის გვერდით, ისე, რომ
სინათლეში არ მოხვედრილიყო. მერე
მოწყვეტით მოიქინა ბადე, წამოდგა და
ღრეკვით წამოვიდა.

— აი ე მაგრე... მარჯვე კაცი ყვე-
ლაფერს მოინადირებს. მააშ კაცოოო...
გათენებამდე თექვსმეტი ცოცხალი
და სამი მკვდარი მწყერი მოინადირეს
— ერთმანეთს გადააბეს „რომი მონე-
ბივით“.

უკანგზობისას ანზორამ ბიჭები გა-
აფრთხილა:

— ეხლა მარჯვეთ დადქით აბა...
ნადარი ტყიპირებშია გამოფენილი.
ვილისს წინა საქარე შუშა ახსნა,

„ტელეგრეიკა“ დააფინა და ზედ
ფები დაალაგა.

— შენ რაღად გინდა? რულს ხელ
გაუშვებ? — იკითხა ღურმიშხანმა.

— მარჯვე კაცი ყველაფერს მოახერ-
ხებს. — აშკარად ანზორას მხაზერე გა-
დავიდა „პუტურიკა გივია“.

— აბა მა როგორ. — მიიღო ანზო-
რამ.

ღურმიშხანი დაიძაბა ისევ. ამ დროს
მანქანის ფარების შუქზე რაღაცამ
გაიბრინა. ღურმიშხანი დაფაცურდა.

— მალე, ბიჭო! მალე... — ან-
ზორა გიქვივით მიარბენინებდა მან-
ქანას მელიის კვალდაკვალ. მერე
საქვს ხელი გაუშვა, დუბლეტი დაახა-
ლა და მანქანა დაამუხრუჭა.

— გაგვექცა მაგის სუყველაფერი...
ანზორას მეზობელი, პატარა ბიჭიც
აჭიყყინდა უკანა მხრიდან:

— მა რაა, მამაძალი. დოყლაპიები-
ვით რო მიჩერდით, მა რა გეგონათ,
დავიციდიდათ?

ერთი სული ჰქონდა ანზორას, ყუ-
რის ძირში ეთხლიშა ღურმიშხანისთვის,
მაგრამ მამამისის თანამდებობა აკა-
ვებდა (ისე არც ღურმიშხანი დააყრი-
და კარგ დღეს).

გამობრუნდნენ. აღმართ-აღმართ შე-
ფენილი თელავი რიყრაყისფერში იზ-
მორებოდა. მამიყიანთ აღმართთან,
დილის მატარებელზე გამოსული, ხის
ჩემოდნიანი კახელები ტაქსებს ელო-
დებოდნენ.

8. დედა

დღე დიწყო: ჯორჯიაშვილის ქუ-
ჩას გაივლის, ნადიკვართან ჩაუხვევს,
მილიციას ჩაუვლის, თეატრს უკანა
ეზოს ცემენტაყრილ, დაბალ გალავანს
გაუყვება და მოედანზე გაივლის. ლენი-
ნის ქუჩა. „ლენტოს იუველირი“, სა-
ხელგამი, პურის მაღაზია, „ბერიაშვი-
ლის ბიჭის გასტრონომი“, ტაქსების
გაჩერება, ძველი გალავნის აფთაქი,

გააღურ გალავნის
კალიდოპოპოპო



ხიდის ყური... წითელ კიბეებს აივლის, ტაბელს გადააბრუნებს, თანამშრომლებს მიესალმება, თეთრ ხალათს გადაიცვამს, ჩანთას მაგიდის უკან გადადებს, მაგიდას მიუჯდება, სარეგისტრაციო ყურნალს გადაშლის... ეფიჭება.

შემოდგომობით და გაზაფხულობით რიყემ ადიდება იცოდა. შემდეგ ბეტონის გრძელი, ნაცრისფერი კედლებით მიუჩინეს კალაპოტი. ადრე, რიყის ჩაყოლებზე, ბაზრის პირდაპირ. სამკვდელოების გამურული ხის ფარდულები იდგა: შიგნიდან ეცხლი ლურჯ-წითელი შუქით ანათებდა და შავი მკედლეები უროებს იქნევდნენ.

დღეს სანიტარული წიგნაკები შედარებით ნაკლებია.. (სიმაჰრი საქვაჭრობაში მუშაობდა და სთხოვდა ხოლმე — ნაცნობი ნოქრებისათვის იქნებ როგორმე „ინგლისური მარლის“ ნაყენი აერიდებინა) და საერთოდ, ქალაქში შედარებით იკლო დეზინტერია.

ოცდახუთი წელია „სან. ბაქ. ლაბორატორიაში“ მუშაობს... ქალარა თმები... დაკრეფილი სახე... სათნო იერი... მეოთხედი საუკუნეა ამ ქალაქში.

„ბერიაშვილის ბიჭის გასტრონომი“, ტაქსების გაჩერება, ხიდის ყური, წითელი კიბეები, ვასერმანის რეაქცია, კოხის ჩხირები, მიკროსკოპის თვალისმომკვეთი ლინზა, ნაცხი დიფტერიიტზე... მეოთხედი საუკუნეა!

„ქმარი“ „ბიჭი“, „გოგო“, „მამა“, „სახლი“, „ქათმები“, „ცაგო“, „ეზო“, „კურკელი“, „საქმელი“, „სარეცხი“...

ბიჭს გზა-კვალი არ აერიოს... გოგოს არაფერი შეემთხვეს... ქმარმა დიდხანს იცოცხლოს ჯამრთელად...

ცხოვრება მიდის დაკრეფილი სახით. თბილი ქალარით.

საშინელ ამბავს ჰყვება ზიზი თანამშრომელი: ლალისყურელები ქორწილში დამთვრალან, სიძე დაჭრილა... რათ სვამენ ამდენს!.. ეგ დაწყველილი დეინოა ყველაფრის მიზეზი... ეგ არის ყველა დღეთის რისხვის სათავე... ნეტა როგორ არის ჩემი ბიჭი თბილისში! ზომ არ სვამს?!...

ცხოვრება მიდის დაკრეფილი სახით, სათნო იერით, თბილი ქალარით...

9. ორთქლით დაზინდული სარკმელი

რამდენი ხანია ყველაფერი ისე მოჩანს, როგორც ქუთუთოთა შორის შერჩენილი წვეთიდან — ზღვიდან ამოსვლისას რომ ფარავს მზერას და მთელი ხილული ნაპირი რამდენიმე სიბრტყეში ქანაობს, განუწყვეტილ იცვლის ფერებს და ფორმები ცხიმოვანი ლაქებზე ივლისება... ერთი უკიდევანო სივრცე დაუფლებულა და ამ სივრცეში მოხვედრა ტკივილია მზერის, გრძნობის, სმენის, — თუ რასაც ისმენ, რასაც ხედავ, რასაც გრძნობ, — იცი: მხოლოდ ზედაპირულია. იცი: პირობითი ნიშნებია აშკარად. ნამდვილი არსი კი შენი მზერის, შენი სმენის, შენი გრძნობის გარეშეა, შეუღწეველია მათთვის და დიდი ბედიდან — შენი წილი ბედი... ირგვლივ სივრცეა მხოლოდ და შენი წინათგრძნობა ჯიუტად უჩრის ქედს შენსავე სიფრთხილეს. ამით იმედს უფრთხილდები, რომელიც ვილაცის თუ რალაცის სიხლოვეს მიგანიშნებს და მონუსხული მიჩერებიხარ მირიად ფილტვაგან ამონადენ ორთქლით დაბინდულ სარკმელს... იქით რალაც ხდება... ვილაცეები მოძრაობენ...

იშვიათადღა გახსენდება წარსული: — გემი, სადღაც მიემგზავრებოდა... მაცუენებელი იღუმალებით იყო მიზანი მოცული... შენ მრავალი სერპანტინი გაკავშირებდა გემთან.. გემი დაიძრა. სათითაოდ და ნელა გაწყდნენ სერპანტინები, სათითაოდ და ნელა დაპყარგე სიმრავლე... დარჩი ერთი და ერთბედი, — უკანასკნელი სერპანტინით ხელში... გაწყდა ისიც და იგრძენი ძალა. გემი ნელა მიეფარა იისფერ პორიზონტს. შენ დარჩი ცარიელ ნავსაყუდელში. და ახლა ამ ხსოვნას წარსულისას, ვილაც ინახავს შენს გარეშე, ვილაც, რომელიც თვითონაც წარსულია.

მერე ვინ მოთვლის რამდენი მირაჟი... მიეცი მზერა. მიეცი სმენა. მიეცი გრძნობები.

10. პანტომიმია-იშორება

ვინ არის ის, რომელიც ერთი ნაბიჯითაც არ გცილდება, რომელიც შენი მეთრე ჩრდილია, რომელიც ყველგან გიდარაჯებს, რომელიც ღამეშიაც მზე-რას არ გაცილებს, რომელიც სიზმარშიც მოგყვება... რატომ არ გინდა გაქცევა? რატომ ვერ გაუბრუნებარ? რითი დაგატყვევებ? რად შეგბოქვას? რატომ ემორჩილები მონუსხული?... როდესაც მართლი ხარ — ზურგს უკან სიცრუეს ჩურჩულებს. როდესაც დანებდები სიცრუეს, რათა იგრძნო უსასრულობა — წინ აგესვეტება და უტიფრად მოგახლის სიმართლეს. რატომ გიკვევაცვს ფრთებს? რა უნდა...

ღვართქაფს გარიდებული, ჰერს შეფარებული — როდესაც ტყეები სითბოთი და სიმშრალით, ის მოვა და გეტყვის: — გადი გარეთ!... შენ ჰრელ ჩაჩს დახურავ, სახეს ორფრად შეიღებავ, მხიარულად გაიღიმებ და სევდიანად იხუმრებ: — წვიმაში გარეთ რა მინდა... ქოლგა ხომ არა ვარ?... და გახვალ.

11. ზუზ

შემოდგომით გომბორის გზა გადაგვილიათ?

მომწვანო ვერცხლისფერ გარეული ჟღალი ტყე გინახავთ?

მეწყყერით მოხეთქილი, ნესტიანი კახური მიწა?

მოულოდნელად ლეგა მინდორი გადაქანდება მარჯვნივ ან მარცხნივ. მაღალი მთები აღარც კი ჩანს — შენ ზედ ხარ, მთებზე. მხოლოდ მინდორია, დასალიერთან ტყვიისფერ ზეცას შეტყუებულნი... და სადმე განძარცვული, ცივი მარტოხე... და თითქოს ისეთივე ცივია ხე, როგორც მანქანის მინა...

დაღმა დაეშვები და უცაბედად (თუმცა ელოდი) ტყეში მოხვდები. ხეთა შორის მიწა თითქო სველი ნარინჯისფერია, თითქო ყავისფერი.. შავი, გამხმარი ტოტები ჯადოსნურად გახლართულან ბუჩქნარში... ბუჩქნარი მთლად მწვანეა, მუქი, და სადღაც შიგნით,

ძველი სიხსხსაე ჩარჩენია... ქედს შერჩენილ ნაცრისფერ ციხეს გარემოედინება რიყისქვების მდინარეკლდე მედგარია, დაფლეთილი, ნაფლეთებში ხავსი ჩაპუნია...

ასფალტის ქამანდის ვირაჟი აქვს მოდებული ლანდშაფტს... დგანან ხეები. ხეების ტყეა. დიდებული, მშვენიერი, კეთილმოყოფელი.. გზის პირას წყარო დაკარგულა, გაპარულა... ამოუშენებიათ აუზი, მაგრამ აქ დიდია თავისუფლების გრძნობა... იგი მეფობს. აქ გზაც ბევრია — ბილიკებად. ეს ტყე უღრანი არაა, აქ ადამიანები ებჭინებიან ბილიკებს... დადიან.

— ჰეეეი!... ექო ფოთლებში ირინდება.. ყვითელი ფოთლები, წითელი ფოთლები, ყავისფერი ფოთლები, მწვანე ფოთლები, ვერცხლისფერი ფოთლები... აქ ყველა ფერია. — ჰეეეი, გომბორის გზაოოო!... და სიჩუმე შინაურვივთ შედის ტოტების ტვერში. დინჯად ჩაიკრთება ბუჩქთა წიაღ. მიწაზე განირთხმება — სველ, თბილ, ბერქალის ხელებივით ნაოქიან მიწაზე.

12. ზღაპარი—I

ნიშამ ტყუბი მოიგო. გადიოდა წამებით საათები, გადიოდა საათობით დღეები, გადიოდა დღეობით წლები და ვერავინ შეიტყო, ვერავინ ინიშნა — ფერხორციანი და სალუქი ძროხა, რომელიც საკუთარი მადლის გაორებას ჰპირდებოდა თურმე პატრონს. მერე კი მიუმღერეს? „დარჩი პატრონს, გვარს ეკურთხეო...“

ჰოდა, ძროხას ჰყვარებია პატრონი, ჰყვარებია და უზრუნვია კიდევ, მხოლოდ თავისებურად, ძროხულად.

იმ კეთილსახსენებელმა პატრონმა კი, ერთი ხბორი ალაზნის გაღმა გაჰყიდა, მეორე ალაზნის გამოღმა დედა უტირა ხბორებს და თვითონ კი შეღმა-შეღმა შეწყვა ალაზანს. ერთი პატიოსანი კა-

გააფურ ბალარჯიშვილი
ალაღიფოცაოვი

ცი იყო — სიცოცხლეში ერთხელაც არ უძღვია ვინმეს გულის მოგება.

გადიოდა თვეობით წლები, საათობით თვეები, წამებით საათები...

„არ მოვიგაო“, და ატირდა ცოლი, ატირდა შვილი, ატირდა მამა — ჭაღარა შაქრო. არც კაცი მომკვდარა, როგორც კაცი, არც ძროხა, როგორც ძროხა, არამედ ხბორი: ორი ტყუპი, ორი ბოჩოლა... (რა ვქნა და კახეთში ბოჩოლებს ისე უყურებენ, როგორც ხაშლამას, ეს ოხერი...)

ისმებოდა და იცლებოდა შეკრების მიზეზიდან, ყოვლიწმიდამდე... ჰოდა, იმ კაცს შეღმა-შეღმა შემოაღამდა...

ღვთის წინაშე, არც კუნაპეტი გაკერპებულია, არც გრიგალა თქეში მოსთქლეშია ზეცას. — ერთი მთვარიანი ღამით გალიცილიდა ალაზნის ჭალა და კაცმაც ინატრა: ნეტავი ესლა გულგულის ბოლოს, ფშან წიწმატიანთან ვიყო... ჯერ მუნის წყალთან ძლივს იყო მისული.

უკვე კარბა შეღვრებული იყო შვლის ხორცის ფერი მზე, კაცმა სახლს რომ მიატანა. და, ჰოი საკვირველებავ! — ხბორების განტეგებას ვერ შეგუებული ცოლი, ხორხელის კლუბის გამგესთან ერთად გაქცეულიყო კოლოთოში. შვილები მეზობელს შეეხიზნა სამადლოდ. მამა, ჭაღარა შაქრო, ნათლულის ოჯახში განრიდებოდა შეურაცხყოფილ კერიას. ოღონდაც სახლი დაეშალა და თან გაეზიდა. ორი ფიცარილა დაეტოვებინათ კაცისთვის და ძროხა...

ერთი ფიცარი, ორი ფიცარი...
ძროხა და დარჩა მას საფიცარი.

18. ზღაპარი—II

ზღაპარი უცნაური და მკაცრი იყო: მწყემსმა და პრინცესამ თავიანთი სიყვარული ტყედ გაიტაცეს და სიცოცხლით ტპებოდნენ. ყველაფერი კარგად იყო, ვიდრე მწყემსი დათვთან ბრძოლაში თვალს დაკარგავდა და დაიფლითებოდა.

— თუ მართლა გიყვარვარ, შენც თვალი გამოითხარეო.

გაფითრებულმა პრინცესამ გამოითხარა და გაიფიქრა: სიყვარულსაც დამტკიცება სჭირდებოდა... დიდი ხანი არ გასულა და მწყემსს მარჯვენა შემოაღლა. ცალი ხელით იხუტებდა გულში პრინცესას და სიყვარულზე ღიღინებდა... მერე დაბერდა. დაბერდა და მოკვდა. პრინცესას ისეთი მაღლიერი გულისხმა დარჩა, ერთხელაც არ გაუფიქრია: დიდი გაუმადლარი ვინმე იყოთ ეს მწყემსი. წასვლა უნდოდა სადმე, მაგრამ სად წასულიყო? ვინდა შეიყვარებდა, რომელი პრინცი, ცალთვალას და ცალტვინას!?... და ზღაპარიც აქ თავდება... თემომ თვალები მიღუღა, ყელი გაისველა და გაიღიმა.

— მერე თემო? — დაინტერესდა მეგი.

— რა მერე!? ზღაპარი დამთავრდამეთქი...

— საწყალი, არა?

— ვითომ რატომაო!? რა მიარბენინებდა ტყეში?

— მწყემსი?!

— მწყემსი ფარას თავს რომ დაანებებს და სასახლის წინ ტანტალს დაიწყებს, აქაოდა იქნებ პრინცესამ შემიყვაროსო...

— ოხ... კარქი რა, თემოო... ვეღარ მესმის როდის ხუმრობ და...

— როდის ვემიმუნობ. არა?

მეგის გაეცინა გარეთ წვიმდა. მეგის თემო მოსწონდა. თემოს—მეგი და „შანტეკლერა მარინა“. ზღაპარი უცნაური და მკაცრი იყო.

14. სოფლის ბოლოში, სასაფლაოსთან

სოფლის ბოლოში, სასაფლაოსთან, პატარა ბიჭი, თხის ტყავით მოსილი, თვალებს აბრიალებდა, კბილებს აღრქიალებდა, ცივი ხმით ყვიროდა და თავისი ტოლების წინაშე, ტყის მეუფის საშინელ ძლიერებას განასახიერებდა. ბავშვები იცინოდნენ და მაშინ, როდესაც რომელიმე სიცილით დაოსებული სულს მოითქვამდა, თითქო უჩვეულო რამ ეგულებოდა, ანაზღუდულად ტყეს გახედავდა შემკრთალი.

ტყე სოფლის ბოლოს იწყებოდა, ფარავლი სოფელს, ზედ წამომდგარ მთის ფერდობს, მთაზე გადადიოდა და სილაღს, მთის გაღალმა, სხვა ცას შემდგარ, უფრო მაღალი მთების კალთების სილურჯეში იკარგებოდა. შორეული ცის და მთების გასაყართან თეთრად ელვარე მწვერვალები ჩანდნენ და ტყის მეუფის მბაძველი ბიჭი, თავდავიწყებით მროკველი, ხშირად ხელს იშვერდა იქითკენ.

სოფელში მოხუცები იშვიათად იგონებდნენ შემწარავ ტყის კაცს, რომელსაც მათზე ხშირად მათი პაპები იგონებდნენ და უფროზე ხშირად, პაპათა პაპანი მათნი. — ტყეში ტყის კაცი ჟოველთვის იყო: ხან ტყის ახლო სოფელს მონადირეს მოიხელთებდა და მერე, მის გზაკვალს სოფელს მტრთხალი წარმოდგენის ლაბირინთებში კარგავდა... ხან ვინმე სოფელს ქალს ამშობიარებდა უცნაური ნაყოფით, და მისი არაჩვეულებრივობით შეიქცევა სოფლის სიხანტეს... ხან რომელიმე სოფლივლს ძრწოლად გამოეცნალებოდა, რათა ძილისპირული ზღაპრის კეთილი დასასრული უფროზე სამშვიდობო ყოფილიყო... ხან რა და ხან რა...

არ ვიცი იყო თუ არა ტყის კაცი, მაგრამ ზღაპრად, — იგი იღუმალი ცთუნებით გარინდულიყო სოფლის ბოლოში, სასაფლაოსთან.

15. ლაბარამ (იუმორესკა)

მიდის, ფიქრობს, პასუხობს და უცაბედად რაიმე განაგონი აეკვიტება: „რა მითხრა?“, „ვინ მითხრა?“, „რად მითხრა?“, „ვინ იყო?“ და ამ დროს, გონება შეგუბებულ რუსავეთ ლაპლაპებს მზეზე... იქნებ ის, მთავარი შემხვედრის მთავარი სიტყვებია?

„მწვერავი ახლად მოტეპნილ ფეხის საბჭენიდან დაუნჯებით იშადებს დასაშვებს მომავალ ბედისწერაში... იქით თითქოს ნაავდრალი ველებია, — თეთრი, ონშივარა ნისლი ეხვევა მოცვისფერ ზეინებს... მფრინავი თეფშივით

გადაივლის მზიანი, პატარა მოლო, სადაც მფრთხალობით გარინდულა საფვარელი, უმწურო ბატყანი...“

ჯიბიდან ხელი ამოიღო და მზრებზე დაფერფლილი ზამთრის მირავეთ დასუსხული სახე მოისრისა: „ჰმ... იმ ლიტარეის ბილეთს მეორედ გავსინჯავ...“

16. „აუშურიპა ვივია“ სიავლილის ზხახხა

„ჯერ გგონია არ მოვკვდებო... მერე ექვი გეპარება, იქნებ მოვკვდეო... მერე გგონია, ნაღდად მოვკვდებო... მერე, მაგი დედაც ვატირე, თუ მოვკვდებო... მერე, ნეტა არ მოვკვდეო... მერე, მე რო არ მოვკვდეო... მერე ნაღდად იცი, რო მოვკვდები და მერე მართლა მოვკვდები...“

17. საბილიარდო („პირამილა“ და „ამერიკანა“)

ის მარტოა დიდ სახლში. დივანზე წამოწოლილა და ფირფიტებს უსმენს. გარეთ ცხელი ზაფხულია. სახლში გრილია. სახლის წინ ბაღია, ატმისა და ვაშლის ხეებით, პატარა ხეივანით ფოთლების სუნთქვა სახლში ღია კარიდან შედის და თუმცა ოთახში მუსიკის ხმა, მაინც ისმის... ეზოს კარები, ქვედა ანჯამაზეა ჩამოგლეჯილი და ირიბად იღუბა.

ის სიგარეტს ეწევა და კარგ გუნებაზეა — უხარია, რომ ეწევა, რომ ასე მარტოა, რომ თვრამეტი წლისაა, რომ უყვართ...

სახლს სხვა სახლები ეფარება — ქუჩიდან თითქმის არ ჩანს. ქუჩა პარკთან მთავრდება, ერთი პროვინციული ქალაქის პროვინციულ პარკთან, სადაც ყოველ საღამოა: საქანელა, კარუსელი, ნაყინი, წითელი მაქარაყინულის მამლეები, ფიჭვის ჯოხებზე შესკუპული, მოლიან მთელი ქალაქის მოსეირნე მობინდარენი, ნაცნობები და უცნობები, და ისინიც, რომელთაც ვერავინ ამჩნევს... პარკში ყოველ საღამოს მუშაობს სასადილო, საბილიარდო... საბილიარდო თუთუნის კვამლით გავსებულა,

გააღურ გალაკჯიშვილი
კალეიდონსკოვი

ისმის გინება, შარების ტკაცანი და დომინოს ჯახუნია... ქალაქში ზაფხულია!

მას აღარ სჭირდება ზაფხული, აღარ სჭირდება ქალაქი, აღარ სჭირდება პარკი, კარუსელი, წითელი მამალი... მას საოცრად მიმზიდველი ხმა, გაბუტული ტუჩები და მხრებზე დაფენილი თმები აქვს და მაღალია. მან ეს იცის, იგი თვრამეტი წლისაა.

- რა გინდა ყველაზე ძალიან?
- არ ვიცი...
- გიყვარს?...
- არ ვიცი.
- სიყვარული იცი?..
- არ ვიცი, ვიცი თუ არა...
- სულ?... ეს უკვე მეც აღარ ვიცი...

და საბილიარდოში, სადაც დღენიადაგ გაისმის შარების ტკაცუნი და დომინოს ქეების ჯახანი, — „თუთუნის კვამლში იცრიცება ერთი ზაფხულის დღეები...“

18. წყნარი ღამე და გადაყრილი კანუბანი

ტორშერს ღამის ქინკლები უტრიალებენ გარშემო და სინათლეში შეღწევას ღამობენ... სამზარეულოში ჩაიდანნი გადაყრილი კატის კნუტებივით კნაოდა...

ახალგაზრდა ცაცხვის ძირას, მწვანე ბალახებში, ხუთი თითოდლის კნუტი აფოფხდებოდა ერთმანეთს: გულის გამაწვრილებლად კნაოდნენ, ცდილობდნენ, უსუსური ძალით, ეგრძნოთ ან გაეგოთ საიდან მოხედნენ და სად... ცდილობდნენ დამამშვიდებელი სითბო მოენახათ, მაგრამ ერთიმეორის ოდნავ ანთებული სხეულების მეტი ვერაფერი... თითქო ცივი მინის ხუფი დამხოზოდათ უხილავი, გამკვირვალე და გაუღწეველი... სადმე სარდაფში კი გაოგნებული კატა აწყდებოდა ბნელ კუთხეებს და ალბათ ამოოდ.

ქინკლებს ღამის პეპელაც მიემატა. სარკმელი ღიაა და ყოველი ჭურის მაწანწალა მლილისთვის გზა ხსნილია. შიგნით ანთებული სინათლისკენ. ისინი სულ ახლოს მიდიან სინათლესთან, სულ ახლოს... მაგრამ ეს არ კმარა — შეღწევა საჭირო სადღაც, უფრო შიგ-

ნით და გულის გამაწყალბებელი ხათქახუთქი გაუდის ტორშერს, — ყურს თუ მიუგდებ მღილების ხმაურს. გარეთ შავი ღამეა: — ღამე... გარეთ ღამეა. გუშინ მთვარე სისხლისფერი იყო, მერე ფერი დაიბრუნა, — ცივი და მოთეთრო-მოყვითალო. მერე ღრუბლებმა დაფარეს და გაწვიმდა.

დღეს წყნარი ღამეა. აგერ უკვე საათი გავიდა, სამი მანქანის მეტს არ გაუვლია ქუჩაში. ისმის საათის ტიკტიკი და გადაყრილი კნუტების კნავილი სამზარეულოდან.

19. სმნაბიწინაბალური მკვი

ხმა გავარდა: მეგი ფეხი ფეხზე გადადებული ეწეოდაო.

ვერავინ მოიფიქრებდა თუ მეგი მოსწევდა, ისიც ფეხი ფეხზე გადადებული, მაგრამ რა არ ხდება...

თელავის თეატრის ძველ შენობასთან შადრევანია. აქ თავს იყრიან ქალაქის ბინადარნი. წინ მოედანია. აქეთ და იქით, — „ძველი ბაღი“ და „ახალი ბაღი“. იქვე ერთი ცნობილი გინეკოლოგი ცხოვრობს.

მე გადავწყვიტე მეგი მომენახულე-ბინა: ხანდაზმული ოჯახი, მრგვალ მაგიდაზე გადაფარებული ყვითელი ხავერდის სუფრა. ბროლის ვაზა, ბზის ტოტი, ვენური სკამები, მუქი მწვანე შპალერი — მოყვითალო ბადით, სივიწროვე, სარკმელში მეზობლის ეზო და კაკლის გაბარჯღული ხე... არა, ნამდვილად არ უნდა მოეწია მეგის. რამდენი უსიამოვნება შეიძლება მოჰყვეს ამას?... თუმცა იძახის: აქაური საზოგადოების არაფერი მერიდებო, მაგრამ მე ვიცი: პირიქით...

წარმოვიდგინე: სვამენ ჩაის: ჭადრაკი დედა, მელოტი მამა, დაჩაჩანაკებული ბაბუა... კარი ვილაცამ დააკაკუნა!!... აჩქარებული ნაბიჯის ხმა მიწყდა!! ... წავიდა!!! ... გაკვირვებული მელოტი მამა იღებს კარის ქვემოდან შემოცურებულ ბარათს:

„ოქვენნი შვილი ფეხი ფეხზე გადადებული იწეოდა. ოქვენნი კეთილის მხურველი“.

... უთქმელი ტრაგედია ტრიალებს
ოჯახში. მეგის გათხოვება ისედაც და-
უგვიანდა... აქვითინებული გავარდა სა-
წოლ ოთახში...

— ასეა, შვილო! — უნდა გაზარდო
მარგი ქმედების კოეფიციენტი და თავს
აღარ მოსჭრი ოჯახს! — მიაძახა მე-
ლოტმა მამამ, მათემატიკის მასწავლე-
ბელმა.

— საზიზღარი... მეშინი და ვითომც
ერუდირებული... ღორმუცელა...

«Прекрасным утром мая элеган-
тная амазонка на великолепном
гнедом коне скакала по цветущим
аллеям Булонского леса...».

მეგი... მეგი...

20. პენსიონარები

პატივცემულ ბატონ ლადოს, გადა-
თეთრებულ მოხუც პეტრეს, ერეკლეს
ციხის ქვიტიკირს, მწვანე ბუჩქებს, ცის-
ფერ სკამს, ცას, აკაციების დაქსაქსულ
ფოთლებს შორის, ლურჯად მობუ-
რულს, წითელ ბილიკზე მიმაველ სტუ-
დენტებს...

— ეხლა სხვა დროა... ეხლა ეგრე
აღარ იქნება... ხალხი ნასწავლი გახდა...

— ეეჰ... პატივცემულო ლადო! სწავე-
ლას რო დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს,
მაშინ ყველაზე ნასწავლი, ყველაზე
ღონიერიც იქნება...

— არც ეგრეა საქმე, ჩემო პეტრე...

— როგორ არა, პატივცემულო ლა-
დო... ხალხია მთავარი, ხალხი... სამა-
მულო ომი გახსოვთ?

— მახსოვს...

— რევოლუცია?

— მახსოვს.

— ჰაი დედასაა...

— ეგეც მახსოვს. მერე ისიც მახ-
სოვს, რომ შემოხვედით, ტყავის ქუ-
დითა და მაუზერით რომ დადიოდით...
თავყელიშვილების ანეტას რო მოეწო-
ნე...

— ჰოო... ეგ აღარ მახსოვს!... მარ-
თლა მოვეწონე?

— მაშ, მაშ.

— ჰეიი... კაი გრუზა ბიჭი ვიყავ მა-
შინა...

— რომ გესწავლათ, ხომ უკეთესი
იქნებოდით?

— დრო მქონდა რო... პატივცემულო
ლადო... არ ვისწავლე კი არა, ვერ ვის-
წავლე...

— თუმცა სადა გქონდათ დრო...
ცხენებზე ამხედრებულები დღელამეს
ტყვეტყე და მთამთა დასდევდით...

— ჰეე...

— სამაგიეროდ, ბევრი კარგი საქმე
გააკეთეთ...

— თქვენც ბევრი კარგი საქმე გაა-
კეთეთ, პატივცემულო ლადო.

ბილიკზე სტუდენტები მიდიან. ხა-
ლისით ლაპარაკობენ. მაღიანად ილუქ-
მებიან. გულიანად იცინიან.

წითელი ბილიკი... ცისფერი სკამი...
მწვანე ბუჩქები... ერეკლეს ციხის ქვიტი-
კირი... გადათეთრებული მოხუცი პეტ-
რე — ქამრიანი ხალათით, ქრომის ჩექ-
მებით... პატივცემული ბატონი ლადო
— ჩალის პანამით... თეთრი ტილოს
ფეხსაცმელით...

21. ავტობუსი — II

ყველაფრის მოყოლა ისევე ძნელია,
როგორც თქმა იმის, თუ როგორ შეე-
პარა ლაობა ბებერ ქადარს. ზოგი რამ
კი ჩანს: ქადართან სხეულდახეთქილი
ფითრიანი მსხლის ხეები იდგნენ (გვიმ-
რისფერ ფითრის ფოთლებზე ყალბი
მარგალიტები ეკიდა — რბილი და ცი-
ვი), იდგა ბოდოდი კაკალიც...

ახლა ბირდაბირ, იაპონურ გრავიუ-
რასავით დახვეწილი, თეთრმხრებიანი
კაკასიონია და გაღამიდან გარდამო-
მავალი, ცივი თეთრით მოკრიალებული,
ლაქვარდი ზეცა. ჩვენ შორის ხალიჩა-
სავით ჩაფენილა მწვანე, ხავსისფერი
ხეები... და ეს ხალიჩა ჩვენთან მთავრ-
დება: შიგადაშიგ გარეული, წითელ-
კრამიტის სახლები... კრამიტებს ქვე-
მოთ, თეთრ და ცისფერ კედლებს
ფონზე, გამომშრალი ხის ნაცრისფერი
მესრები...

გააღურ ბალარჯიშვილი
კალიფორნიაში

ფულუროები დაცემენტებულია. ზაფხულობით, წამახული ფოთლებიდან ნამგალები მოსრიალებენ.

ნამგალების ბუდეები ხისხლის მათხევარი თარბივით მყურია ტანზე — ამბობს ბებერი ცემენტის ღვგა ეპოლეტებიანი ჰადარი... 800 წელი!.. უცნაურია, რატომ არავის მოსდის აზრად: — 800 წელი!

შრიალებს ჰადარი ბებერი ჰადარი ცოცხალი ჰადარი.

გზა გომბორზე გადმოდის: შუამთა, კლდის ციხე... თეთრწყლებთან წიკლაურების, ჰინჰარაულების, გოგოჭურების, არაბულების, ყორიაულების თეთრკანინანი, მუცელმოდლეტილი ბაღლები, დარბიანი... ბუნჰნარი; სველი, ხაკისფერი ფერდობები... ეანგიანი ტყეები... თითქო ობმოდებული ლანდშაფტი... ნოემბერი..

ლოქინის ხილთან, გახუნებულ ავტობუსში მთვრალი თათარი ამოვიდა და სველი ტყაბუქის სუნი დააყენა ქედმორგვა კახელმა ადგილი დაუთმო.

— ჰეჰე... რა ზრდილობიანი ხარ, ილაე!? — — ქირქილებს ძმაკაცი.

— დაჯდეს თორე... ენას მაიშლის და სილაი შეხეტეჰება

— მაინც რა ბელი გაქ, კაცოოო.. — ქირქილებს ისევ.

— მააშ.. გუშინ დომინო ვეთამაშე და ჰეა გულყრასავით მოიდიოდა. — ხმა ამოიღო მესამე ძმაკაცმა...

ავტობუსი თბილისში შემოჰენდა.

22. კალეიდოსკოპი—II

კალეიდოსკოპი ერთი ჯაღოსნური ჰოგრია.

თეთრი ფერი ნათლად ადგია ყოველ კუთხეს, ყოველ წრეს, ყოველ ტალღას.

იგი ცოცხალია: — კალეიდოსკოპი. იგი ფეთქავს სისხლისფერი ალმურით, ყრუ რიტმით, ეს ფოთლების ძარღვებია — ბალახის მკვრივი შუაფხა, ნაძვის თითოთ გირჩის დაბინდული სიწორფელე... ასფალტის ბზართა ბადე — ელექტრომავთულების ეანგიანი აბლაბუდა-შინების ხრქიალი — კედლები, ზეები, ფანჯრები — წამით გაეღებულ უცნობი სახეები — ხორბლისფერი ღაწვები — ცხვირები — თვალები...



ახლა უნდა ჩემი ლურჯა
დაფრახტო და... პერქი —
მომეპნევა ტყეში ბლუჯად
საფეარელი ფერი.
ფერი შინდის,
ფერი ატმის,
ბროწეულის ფერი,
ახლა დროა, გულო, ნატვრის,
ახლა სივრცეც მღერის.
ახლა დროა ჩემი სრბოლის,
მინდა სრბოლამ მომკლას, —
ნახე ნისლის თეთრი ბოლო,
მწვანე კვირტებს ლობრავს.
გზნება თითქოს ისარბა,
მე — ფრინველის ფრთები,
რარიგ დასაფიცარბა:
ჭალა,
ველი,
მთები.
მართლაც ლურჯი ზღაპარბა
მიწა,
მღვლო,
კორდი,
ეს რა ვნება აბარბა.

გულო, ზვალის ლოდინს.
ზვალის მწიფე მზის მტვერი
დღეს საკინძეს იხსნის, —
ვარ ამ დღეთა მე მხვეალი,
სუნთქვა,
ხორცი,
სისხლი.

ახლა უნდა შევენივთო
ფერთა შუქთა ყოველ მისხალს,
ჩემო ლეგენდაც და მითო,
ვაზი ზვარში მეც კი მისხლავს.

გავა წლები...
წლების ნალებს
მოაქვს ხმები სეტყვის, —
იფრენს ლურჯა,
მაგრამ მალე,
ვიცი, ასე გეტყვი:
„— სიზმარო და სინამდვილეც,
მიფატრავ ტახის ეშვით, —
ეს რა ცოტა ვინადირე
წუთისოფლის ტყეში“.

(კოლხურა ქველი ცხოვრების ფრაგმენტა)

ნოემბრის ფრთავლი,
მკვდარი ფოთლები რემა
ირეკლება შენს თვალბში, სიღუ, —
ვინ მოვა ნეტა,
მწუხარების თალსს
ვინ შემოგძარცავს, სიღუ!
აწ ღრიანკალის ზოდიაქოდან
წარმართულ მოთქმას
მიყურადებ, სიღუ!
შორს, ლაქაშებში ჩარჩა შენი
ახალგაზრდობა, სიღუ!

ანაკლიასთან ყვავი
კიპარისს დააკვდა,
როგორც ღამის
მტკაველა ნაფლეთი, სიღუ,
და...
გამახსენდი,
კვლავ გამახსენდი, —
საოცარია ეს გახსენება, სიღუ!
მე სამუდამოდ ხომ უარგყავი, ჩემო თოლიგე!
თუ გამახსენდი, ეს ნიშნავს ალბათ:

იენისის აღზში უნდა ვგრძნობდეთ
იანერის ქარსუსს.
შემოდგომა...

იძარცვება ხეთა შტოები
და მესისზრება მამულის მზე
ფორთოხლისფერი!..

მეგრული ჯარბეაღი

მხროლავი ჭრაქი და ტაბლა ძველი,
შუაცეცხლი და მის ზემოთ ლარჭა, —
ჩუ!

აქ დაია ისევე მღერის,
თითქოს ლარჭეში გრიგალმა დაჭრა.

კედელზე წყვილი ზაფრანის აცმა,
იქვე კირზა და ჩოგან-საცერი, —
ღვევების ტერფი ატყვია ნაცარს
და გაჭვარტლული სხვენი დამცქერის.

კუთხეში მთვრალი ქვევრ-საწირველი,
ჭუჭრუტანაში ჭინკის ფართხალი, —

პირველყოფილი და საკვირველი,
კვლავ მიბრუნდება ხილვა მართალი..

შემოდგომის მზეს იმწყვედევს გიღელი,
(მზე მოწყვეტილა ნოემბრის ციდან),
შუკაში გოგო თიკნებს მიდენის,
სასაცილო და სულ ერთი ციდა.

ომბალოს, პიტნის და ძველი ქინძის
სუნი აუდის იმ დღეთა შრიალს, —
ეს მოგონება დღეს როგორ მიმძიმს,
მაგრამ დროს თვისი მოაქვს და მიაქვს.

იკულაზიტი ვერძილი თეას

ვარ მეცხოვნე —
ვწვევარ მახვილზე, —
შენი არყოფნა მწვავს და მაფხიზლებს.
რამდენი დღე და რამდენი თვეა,
დღე ისრითება უშენოდ, თეა!
უშენოდ მკლავს და მახრჩობს წყურვილი
და იწურება დღე აწურვილი.
მწუხრისფერებად, უშენოდ, თეა,
ეს ღამის ტანი ხომ სვედის პკეა.
თითქოს წაშლილან გზათა კვირბები
და წარსულ დღეებს რომ ვაკვირდები,

მაქვს დაცემული გულზე ბორზალი,
მღერის ჩემს კართან ჩემი მოზარე.
რამდენი დღე და რამდენი თვეა,
ჩემთვის უდაბნო ცახცახებს, თეა.
— რა ვშველება?
სანამ ივლის ასე ბეჩავი,
ეს ჩემი სვედა,
შენზე სვედა გაუხლეჩავი.
... ვარ მეცხოვნე —
ვწვევარ მახვილზე, —
შენი არყოფნა მწვავს და მაფხიზლებს.

ისე უბრალოდ, როგორც ცივარის
შეთამაშება ზეცის თაღებთან, —
მომინდა შენი სუნთქვა ცინცხალი,
მომინდა სოფლად ჭიშკრის გაღება.
თავბრუდამხვევი მარტის გალობა,
მზის სხივს წკრიალა ვერცხლად მოება, —
წვიმამ კვირტები როცა გალობა,

შეიბლაჯდა მათი უბრალობა.
არც მეფის სკიპტრა!
ტუნეა!
კვერთხი!..
ისე უბრალოდ, ვით მარტის წვიმა
იყავი, ხარ და დარჩები ჩემთვის,
რადგან ასეთი მიფარდი წინათ!

ს ა გ უ უ ა გ ო ს თ ა ნ

მთელი დღე მოთმინებით,
(ამგვარი მოთმინება ღმერთმა მოგცათ!)
ხის ჭრელ ჯიხურში,
(ჯიხური გაქვავებულ ზებრას ჰგავს
შორიდან),
ზის ჭადარა კაცი.

ზის და ელოდება!
რას?
ვერ გეტყვით, თუ რას!
აქ ხომ ჯერ არავის უნახავს
გაჩერებული მატარებელი.

გ ა ნ შ ო რ ე ბ ა

წენმა არყოფნამ
გულში ისე გაიარა,
ვით ძაფი
ნემსის ყუნწში გაივლის სოლმე
და...
კერავს ძაფი
დღეს შენზე სევდას.



ს ი ლ ა ზ ე

ჩემს ტანს დახატულს
მხურვალე სილაზე
ზვატი დღისა ვერ მოაშობს,
ტალღები შორით ვერ მისწვდებიან,
ვაბრუნდებიან უკან ქარები,
ცაში გაქრება წვიმების ზოლი...
ცხელ სილაზე ამწევებული
ჩემი სხეული სივრცეს ითხოვს...
ტაატიო იწვევს მაღლა-მაღლა აგვისტოს ბოლი
და ვიდრე ღამის უკუნეთი გადამკარგავდე,
ზომიანლოვდი...

ნ ა ზ ვ რ ა

ნუ,
ნუ მაჩუქებ,
ცისფერო ქარო,
დღეს მარტოობა მიჭირს ძალიან,
მანც მოგიხმობ; ჩემო ოცნებავ,
თუმცა სიზმრების კვირაძალია...

ნეტავ ყვაილი ვყოფილიყავი
ამქვეყნიური სიტურფით საესე,
მზის ჩობრიალე, კეთილი სხივი
გადამსხვრეული ცანცხალა წყალზე,
ქორთრა ტალღა სიჩუმის წიად
აზვირთებული უძირო ზღვაზე,
ყინულის კოშკი ვყოფილიყავი
შემორჩენილი მთის გალაჯანზე,
ბროლის ჩანჩქერი გახელებულად
გადმომზირალი აილამაზე,
დამძიმებული ღრუბლების სევდას
თუ გავფანტავდი სამშობლოს ცაზე,
არ ვინატრებდი უცხო დიდებას,
არ დამრჩებოდა თვალები სხვაზე.

მე — პარღისფერი ფთილის გორგალი

ოთხი მარტია,
რიალებს ქარი,
სცხვა მეფურად ფერმკრთალ განთიადს.
ფვაფი თუ ლეშხი,
ავდარბ,
დარი,
შორს მიათრევენ ზამთრის მანტიას.

ოთხი მარტია,
მე კვლავაც ვცოცხლობ,
მარადიული მწუხრი ანთია...

და ცის გორგალი — ნათელი ჩემი,
ისფე და ისფე
ოთხი მარტია.

„გალმა ნაპირი“

ტარიელ ჭანტურიას

გადაიწონა ყველა მირაჟი —
გათავდა,
მოჯის ღამე — ვამპირი...
სხვაგვარ სიცოცხლით მიილტვი შორით —
თვალთუხილავი სამყაროს წიაღ,
სად მზეობს სულის წმინდა ალავი,
თეთრი ქალაქი — გაღმა ნაპირი.

ციცაბო კლდეზე მიაშხვრევს ნეკნებს ავი ძახილი...
ჭეშმარიტებას აქვს სიმყარე,
თორემ ნილაბი შეთითხნილი პუდრით და გრიმით,
იაფად ფასობს,

შესაძენადაც არის ადვილი,
თავსხმაში დგება ჩაძირული თეთრი ქალაქი —
სული მარტვილი.

დაფურცლულ დღეებს მწუხრში მიაქვს საგალობლები,
უცხო ცთომილი ცისიერი ფიქრით ინთება,
გლაციცება,
ათინათობს,

კვლავ იბინდება —
თეთრი ქალაქი —
შეუღწეველ ლაბირინთებად...

ნაჩევეი გზებით ფერად ყვავილს მოიტანს ქალი,
იდუმალეებით შეძრულ მიწას მოავარაყებს

და ელოდება პირამიდის ლოდინით ქარი —
ასალ ნაპირებს
და სიცოცხლით სავსე ქალაქებს.

პოეტს, მეგობარს

ასლა მარტია — მალე ყველაფერს დაუბრუნდება
თავისი ფერი,
ურთხმელის ტანზე სიჩუმე მღერის,
ნელ-ნელა მათრობს და მეძალემა ოცნება —
ჩემი ამაყი გერი.
შესორცებულა მაღალ რტოებზე საუკუნეთა ყვითელი მტვერი,

დაღწილი მზე იღებება მეწამულ სისხლში,
თუ შენ პირველმა ააცილე სამიზნეს ტყვია,
დაიმასხოვრე,
რომ ყველა გზა — ერთ გზასთან მიდის —
სიკვდილთან, რომელს უკვდავების სახელი ჰქვია.

მომნატრებია ვერცხლისფერი ღამის თვალები —
ასლა მარტია...
ნუ გაიკვირვებ ამ სიგიჟეს — დაიმასხოვრე,
რომ სულის გარდა
არაფერი არ გვაბადია.

ხავსმა დაფლითა დროის ყველა ვრცელი კედელი,
რომელთ სიმაგრეს ასლო ფრძნობდი
ამ სიმალიდან,
ვერ გააკვირვებს მოქანდაკე და ვერც მჭედელი
საუკუნეებს,
დედამიწას
და პირამიდას.



საქმობლოს სადილაგელი

გვეჭირა დროშა — რწმენა ჩვენი ნირშეუცვლელი —
 ასჯერ, ათასჯერ შედებილი მამების სისხლით...
 წარსული არის უკვდავების თეთრი ფურცელი
 და ყველას, ყველას შეგვიძლია წაკითხვა მისი.
 ხან აღტაცებით, ხან წუხილით, ურვით, ტირილით
 თავს დაგვტრიალებს გარდასული შუქი და ჩრდილი,
 თრთის მათი სული უსამაროდ, როგორც ტირიფი —
 კამკამა ტბაში თავჩარგული ქარიან დილით.
 ეშმაც, უფალიც გვიმზადებდა მწარე განაჩენს,
 მაინც ვიარეთ, უღრტვინველად აღმა ვიარეთ,
 თუმცა აიძვრა ასჯერ ანდა ასიათასჯერ,
 მაგრამ ერთხელაც არ დამშრალა ჩვენი მდინარე;
 მტერს მივყიოდით, შემდეგ ვკრავდით თავთავებს ძნებად,
 ერთი სანთელი რომ აგვენთო ძვირფას მამულში,
 ალბათ ამიტომ ისტორიას შემორჩა ძველად
 ქართველი კაცის სინდის-ნამუსი.
 უსსოვარ დროში აფრენილი ბარტყივით ბუდით —
 გაუძლო რამაც მრავალ დეღემას, წარღვნას და წვიმას
 და მე ვინ მომცა, შენ ვინ მოგცა, ვინ მისცა იმას
 ნება — სხვაგვარი გვეხუროს ქუდი!..
 გვეჭირა დროშა — რწმენა ჩვენი ნირშეუცვლელი —
 ასჯერ, ათასჯერ შედებილი მამების სისხლით...
 წარსული არის უკვდავების ერთი ფურცელი
 და ყველას, ყველას შეგვიძლია წაკითხვა მისი.
 ახლა? ახლა კი დგას მიწაზე ისეთი დარი,
 წაუკითხავად ფოფელივე ნათელი არის:
 ძალიან დიდხანს მოელოდა ამნაირ ამინდს
 ის, ვისაც გული ხალხისთვის და ქვეყნისთვის ერჩის,
 ზეცის მანანა დაპშრიალებს დღითა და ღამით,
 მწყემსის წოწოლა ფაფახივით აწვეწოლ ჯეჯილს,
 აგე, ვენახში გლეხს უჭირავს ხელში სახხლაავი,
 შემოსვევია, როგორც ჭივოს, ლერწები ირგვლივ, —
 ვინც ლამობს — მისი დაანგრეთხ მაღალი ფიჭვი,
 ეს სილამაზე დაგვირღვიოს სუბულასავით,
 როგორ არ უნდა მოგვეთოს ქვეყნას იფი?!



ნაწილი პირველი

არც ბიბლიური გონების წარღვნა,
 არც ყაყაჩოთა ფერის მრავლობა...
 ის იმსახურებს,
 შეთვისხილის რტოებზე მალა,
 რომ სწვედეს მარად შთამომავლობა.
 გესმის?! ლილეოს აგუგუნება,
 ქარიშხლიანი,
 წამორჯვის თითქოს ზარები.
 და მუნჯება,
 ვარსკვლავიანი მწვანე ქულებით
 კარებს აღებენ ჭარდასული კომისარები...
 იდილიური,
 ხარაჩოთა უსიურ ტვერით,
 გადაიხილა,
 ყალყზე დგება ენგურზე ჰესი.
 ათათასი დაეცემა მიწაზე წელი,
 იქნები ისე უპირველესი.
 შეიფრთხილებ,
 წითელფრთხილს ოქროს ფრინველი,
 კაცობრიობის მთავალზე ტკბილი გალობით.
 შეიფრთხილებ ერთადერთი,
 თანაც პირველი,
 და სიტყვას იტყვის
 სიამაყე შთამომავლობის.
 შენ,
 კომუნისტი,
 ამხანაგი,
 მტკიცე,
 მართალი,
 რევოლუციურ ქარცვცხლიან ძღვევით მოსილი,
 უპირველესად,
 ხარ მსოფლიოს წინ წარმმართველი,
 მზისკენ აჭრილი კვიპაროსივით.
 არც ბიბლიური გონების წარღვნა,
 არც ყაყაჩოთა ფერის მრავლობა...
 ის იმსახურებს,
 შეთვისხილის რტოებზე მალა,
 რომ სწვედეს მარად შთამომავლობა.

ამ საგანი სასიძულად პირველთაგანი

არა, შხით,
არა, მთვარით ნაბანი
ბრძოლის კოშკები,
იასამანი...
შავი ქვა.
რკინა
და ზღვა მადანი,
აი, საგანი;
სასიმღერო, პირველთაგანი.

ვინ გადასერა
სფეროების ურიცხვი რიგი?!
ვინ გაარღვია
მნათობების ფერადი რკალი?!
რეალურია
დღეთა ჩემთა
ბრძოლის განრიგი,
შემოსაზღვრული
მიმოქცევის
უზუსტეს შკალით.

გზა,
გზა,

დღევანდელს,
ჭერიოკულს,
გმირულს და შემტევს,
ხარაჩობით განათებულ
პოემებს,
ლექსებს,
გზა ზეტაურებს —
პოეზიის ფოლადის მეფეთ,
გზა კალატოზებს —
პოეზიის ქვის ანგელოსებს.

დაეჯახება საუკუნეს
სხივი ლაზერის
და შეიმსხვრევა
საიდუმლოს
ყველა ცხრა კარი.
დრო,
დრო გეძახის:
მუშა ჩარხით,
კლექი ვაზებით,
აი საგანი:
სასიმღერო პირველთაგანი.

პურის ყანაში მზე იწვა ლალად
და ნეტარების ისროდა სხივებს.
მწიფე ყანაში მზე იწვა ლალად
და წელში ზნექდა საამო და თბილი სიმძიმე.

შენ მოდიოდი თავთავივით სავსე და ხრული,
ხორბლის სურნელით გაჟღენთილი, ჩამოშლილ თმებით.
შენ მოდიოდი თავთავივით სავსე და სიული
და იღვა ირგვლივ მზის და პურის ფვითელი ტბები.

თვინიერი და მომლოდინე შენი ალერსის
გაწვრთნილ ვეფხვივით გორათბდა ლამაზი ყანა...



„ბ ა რ ბ ი ე“

— მწუ, მწუ, მწუ, — დაარღვია დუმილი ვილაკამ.

— მწუ, მწუ, მწუ, — აჰყვა მას მეორე.

ჩოფურა ბიჭმა თვალები დაჰყიტა, მანაც დაუწრუპუნა.

ძალღმა ყურები ცქვიტა და დაკვირვებით დააქკერდა უცნობს.

— ბარბიე, ბარბიე, — არ მოეშვა ბიჭი.

ნაგაზმა კული გააქიცინა, ნაგვის გროვა მიატოვა, მოკლუზე უნდობლად გამოცუნცულდა და გაჩერდა.

ტრამვაი დაიძრა.

ძალღი ვაგონს დაედევნა. ელექტრონის ბოძს ძუნძულთი ჩაურბინა. სინათლეზე მკვეთრად გამოჩნდა მოუვლელი ნაგაზის უხეირო სილუეტი და სიბნელეში ისევ გაუჩინარდა.

ტრამვაიმ სიჩქარეს უმატა და მალე საზარლად აღმუვლდა.

ძალღმა გზისპირას დაყრილ მილებს გვერდი მოხდენილად აუარა. განიერ თხრილს თამამად გადაეგლო, მიწაყრილზე დახტა. მოულოდნელად თათებქვეშ ფხვიერი ნაყარი გამოეცალა; ნაგაზმა თავი ვერ შეიკავა, წაიფორხილა, ჩაიჩოქა.

— აჰჰ! — გაისმა ტრამვაიდან ალტაცებულ მგზავრთა შეძახილი.

ნაგაზი სწრაფად წამოიმართა და წინ მოწყვეტით გავარდა. გამეტებით შეუ-

ტია მანძილს. დაიღალა. დადორბლილი ენა გვერდზე გადმოუვარდა, მაგრამ აქოშინებული მაინც ჭიუტად მიჰყვა მორახრახე ვაგონს.

ტრამვაიმ თანდათან სვლას უკლო და გაჩერდა.

ძალღმა ახლოს მისვლა ვერ გაბედა, მოშორებით დადგა.

— ბარბიე, ბარბიე, — მოუხმო მას ჩოფურამ და ხელით ანიშნა, მოდიო. ნაგაზმა არ დააყოვნა, უმალ მიიჭრა ბიჭთან, წინ ჩაუცუცქდა. ჩოფურა სარკმილიდან მთელი ტანით გადმოიხარა. ძალღს ხელი გაუწოდა. ნაგაზი აცმუკდა და მალლა ახტა. ბიჭი გასწორდა. ძალღი მას ვერ მისწვდა, ქვაფენილზე წკმუტუნით დაენარცხა.

ტრამვაი დაიძრა.

ძალღი ვაგონს მიჰყვა. ბიგელიდან გადმოცვენილი ნაპერწყკლები ზურგზე კინდამ დაეყარა საბრალოს. დამფრთხალი წკავწყავით განზე გახტა.

უფასო სანახაობით ალტაცებულმა მგზავრებმა შეძახილებით გაამხნევეს იგი.

ნაგაზს გზიდან გადახვევა არ უფიქრია. ამდენი ძებნის შემდეგ როგორც იყო მონახა მფარველი — უტხო ჩოფურა ბიჭი.

ტრამვაიმ მალე სვლას უკლო და ისევ გაჩერდა. ძალღმა შესასვლელთან მიიბინა. ღია კარებთან წამით შეეყოვნდა,

მერე კიბებს თამამად გადაეგლო და ვაგონში ავარდა.

გაოცებულმა მგზავრებმა ბაქანისაკენ იბრუნეს პირი.

კონდუქტორს თვალები გაუფართოვდა და შეშფოთდა. ძაღლმა მგზავრები მშვიდად მოათვალიერა. კაცებს შორის ჩოფურა ბიჭი მონახა. კმაყოფილმა მოკლე, აბზეცილი კუდი გააქიცინა. კრძალვის ნიშნად ფეხებს შუა დამალა. იატაკზე გაწვა და არაჩვეულებრივი სიმსუბუქით გაცოცდა.

ჩია კაცმა კისერი ცნობისმოყვარედ წაიგრძელა. წინ ოდნავ გადმოიხარა. მარცხენა ხელით მუხლს დაეყრდნო, მარჯვენათი კი პიჯაკის ჯიბიდან მოოქრული პენსე ამოიღო და კეხზე დაიმარა.

მოეწონა ნავაზი.

ძაღლი მგზავრებს შორის გაუჩინარდა. მალე ჩოფურასთან მიცოცდა და გაიტრუნა.

ბიჭს ნიკაპი ნერვიულად აუთრთოლდა.

მგზავრები ახალი, თავშესაქცევი ამბის მოლოდინში გაირინდნენ.

ტრამვაიმ მოსახვევში ბოლო მოიქცინა. ყველა ერთნაირად შეაჩქარია ნავაზის ღრუნში უნებლიეთ ბიჭს ფეხზე წამით შეეხო და ისევ მოსცილდა.

— ვაიმე, მიშველეთ! — იყვირა ბიჭმა.

მგზავრები გახალისდნენ.

ბიჭი სკამზე შეხტა.

— წადი შენი; წადი, მომშორდი! — ფეხი მოუქნია ნავაზს.

ძაღლი დაფრთხა და თვალები უმწეოდ ააცეცა. გაძურწვა დააპირა, მაგრამ არ დასცალდა. ზურგში ტკივილი იგრძნო.

აიტანა.

კიდევ იგრძნო და ისევ იგრძნო. ამდენს ვერ გაუძლო. გააგებელი მამაკაცების მჭიდრო წრეს ეცა. ჩასუქებული მგზავრი ვანზე გახტა. ძაღლმა დრო იხელთა. გასასვლელს მიაწყდა. ბაქანთან ჩია კაცმა იმარჯვა. ნავაზს ქეჩოში სწვდა და ჰაერში აიტაცა. ძაღლმა უმწეოდ აასხმარტალა ფეხები. მერე კაცს

მკლავში ეცა. კანზე მსუბუქად გაჰკრა კბილი.

კაცმა ხელი არ გაუშვა. სკამზე ძაღლისძაღლად დასვა.

ძაღლი გაუძლიანდა. ჩიამ მისი დამშვიდება სცადა. ნავაზმა ახლა რბილი კინალამ გამოავლიჯა მას.

— რას შვრები, კაცო! — იყვირა მსუქანმა მგზავრმა, — ცოფიანი არ იყოს, გიკბენს.

— ნუ გეშინიათ, — დაამშვიდა ჩიამ.

— რაღა ნუ გეშინია, თქვენ თუ გიკბინათ, მერე ჩვენც მოგვდგება და დაგვცოფავს!

— არა!

— როგორ თუ არა! — შეშფოთდა მგზავრი.

— თავი დამანებეთ. — სთხოვა კაცმა.

ჩასუქებული მგზავრი დაწყნარდა.

ჩია ნავაზს მიუბრუნდა. თავზე ფრთხლად გადაუსვა ხელი. ძაღლს ალერსი ეამა და ღრენას უკლო. მაგრამ აელვარებული თვალების ცეცებას მაინც არ მოეშვა. როცა დარწმუნდა, რომ საფრთხე არსაიდან ელოდა, დაწყნარდა.

კაცმა ქეჩოში ჩავლებული ხელი ნელა გაუშვა.

ძაღლმა თავისუფლად იგრძნო თავი. გაქცევა არ უცდია. პიჯაკის კალთის ქვეშ შეყო ღრუნში და გაინახა.

მელუმარება ისევ მგზავრებმა დაარღვიეს. ვაგონში ჩურჩულმა იმატა. ჩასუქებულ კაცს კეფა აეწვა და უხერხულად შეიშმუნა. გასწორდა. თანამგზავრთა გამოხედვაში აუტანლად დამამცირებელი ირონია შენიშნა და აძლევდა.

— არაა!... — გაანავსავა ხელები მან.

მგზავრები გაირინდნენ.

ჩია კაცი გასწორდა.

— თქვენ მოგმართათ, თქვენ! — მიუბრუნდა მას ჩასუქებული.

გივი ვალაშვილი
„ბარბი“



კაცი ვაითცდა: — შეუ?

— ჰო, თქვენ, რას მომჩერებინებართ?! —
შინძარვეი ყოყლოჩინთბით იყითხა მან.
ჩია დაიბნა.

— არაფერს...

— ჰოდა, ეგრე, მოაცილე აქედან ეგ
ქონძღლიანი ქოფაკი!

ჩიას ეწყინა და არ უპასუხა.

— არ გესმის ჩემი?!

ჩიამ კვლავ არ უპასუხა.

— როგორ, მე თქვენ მახსარა ხომ არ
გგონივართ?! — აღშფოთდა მგზავრი.

კაცს ხხვა გზა აღარ ჰქონდა, უნდა
ეპასუხნა, სულ ერთია რა, რაღაც უნდა
ეპასუხნა.

— არ ვიცი, — ჩაილულულა მან.

— რაო?!

— არ ვიცი-მეთქი! — გაბრაზდა კა-
ცი.

— მაშ, არ იცი, პა? — ღრძოდ ვაე-
ლიმა ჩასუქებულს და ზანტად წამოი-
მართა.

ვაგონში ჩონჩქოლმა იმატა.

ჩია გაწითლდა.

— მანდ დაჯექი!

— რაო?!

— დაჯექი-მეთქი, — აენტო ჩია.

ჩასუქებული მგზავრი შეცბა, შემო-
ტეგას არ მოელოდა.

— ახლავე. — მორჩილად მიუგო მან
და სკამზე მოწყვეტით დაეშვა, შემ-
ფოთებულმა თანამგზავრებს გაჰხედა.

კაცებმა მშვიდად ყოფნა არჩიეს და
ურცხვად მოარიდეს თვალი ჩასუქე-
ბული მგზავრი დაიბნა, მარტოდ დარ-
ჩენილმა უსუსურად იგრძნო თავი და
კუთხეში აიწურა. ჩიას გული მოუღბა.
წუთით კიდევ შეებრაღა ჩასუქებუ-
ლი, მაგრამ მერე ბრაზი მოერია და
ყველა ერთნაირად შეზიზღდა. საზურ-
გეს ნერვიულად გადაეყრდნო, თვალე-
ბი მილულა და შვება იგრძნო.

პიჯაკის კალთის ქვეშ ნაგაზი მოუს-
ვენრად აწრიალდა. კაცი შეწუხდა.
ძაღლს ხელი შეაშველა. ნაგაზი გასწორ-
და, დრუნჩი გარეთ გამოყო და უფრო
მოხერხებულად მოკალათდა. მაგრამ
უქმად წოლა მალე მობეზრდა, გართო-

ბა მოინდომა, კბილებს ღმრთაობის
კაცს მკლავში წაეტანა, პიჯაკის სახე-
ლოზე ჩამოეკიდა და მუდს ძიძვენა
უწყო.

კაცი გაბალისდა, ხელი მიანდა, ნა-
გაზს აპყვა. მერე კმაყოფილმა ჩიფურა
ბიჭს გაჰხედა.

— დიდი მადლობა. — ღიმილით მი-
მართა მას.

— რაო? — შეკრთა ბიჭი.

— მადლობთ-მეთქი. — გაუმეორა
კაცმა.

— რისთვის?

— თქვენი შემწეობით საუცხოო ნა-
გაზი ჩავიგდე ხელში.

— ჰოო... — დამშვიდდა ბიჭი, —
არ ღირს. — მერე ყველას გასაგონად
ავღებულად ჩაილაპარაკა: — ნაგაზი
ახლა ვეცე!

ჩიას გაუღიმა.

ბიჭი გაოცდა.

— მართლა კარგი ძაღლია? — და-
ინტერესდა ის.

— უკეთესს ვერ ინატრებთ, — წმინ-
და ინგლისური ფოქსტერიერია. — აღ-
ტაცება ვერ დაფარა კაცმა.

— ინგლისური არა...

— გარეგნობით მაინც ვერ იცნით?

— რას ჰგავს, ერთი ციციწაა და კუნ-
ძივით თავი კი ადევს.

— გეთანხმებით, შეუხედავია, მაგ-
რამ მაჩვენე და ტახზე მისწრებაა.

— ეეგ? მაჩვენე? ტახზე?

— დიახ, დათვხეც შეიძლება დაიგე-
შოს.

— კურდღელზე? — აქილიკდა ბიჭი.

— კურდღელზეც!

მგზავრები გამოცოცხლდნენ.

— მელაზეც?

— მელაზეც.

— ვაჰ, აბა ეგ ყოფილა, — მთლად
აიშვა ბიჭმა.

ახითხითდა ყველა.

კაცს წყენა დაეტყო.

— ასეა! — მტკიცედ მიუგო მან. —
ამიტომ გიხდით მადლობას. ამ ჯიშის
ლევკი ხელზე ხუთი თუმანი ღირს!

— ის — გაოცდა ბიჭი. — ეგ თვი-

თონ რა ელირება? — სულმოუთქმელად იყითხა.

— არ იყილება.

— რატომ?!

— ნამუსიანი კაცი და მითუმეტეს, თავგამოდებული მონადირე კარგ ძაღლს არ გაჰყიდის.

ბიჭი აწრიალდა.

— თუკი დაუბერდათ?

— მაინც არ გაჰყიდის!

— აი, სულელები, რის მაქნისია დამძაღბული ქოფაკი.

კაცს დამცინავად გაეღიმა. — შენ ამას ვერ მიხვდები.

— რატომ ვერ მიხვდები? — იწყინა ბიჭმა.

— იმიტომ, რომ ძაღზე ახალგაზრდა ხარ.

ხანშიშესულები მიუხვდნენ ჩიას და დარცხვენნილებმა თავები ჩაქინდრეს.

— მაინც რა ელირება? — არ მოეშვა ბიჭი.

— ხომ გითხარი?!

— როდის?

— არ ი-ყი-დე-ბა!

— სხვას რომ გაუჭირდეს და გაჰყიდოს?

კაცმა ამოიოხრა, — თორმეტ თუმანს დაათასებენ. ას მანეთად კი დასთმობენ.

— მოდი, გავყიდოთ, — ურჩია ბიჭმა.

— მერე?

— ფული შუაზე გავიყოთ.

— სად მიდიხარ, ბიჭოვო, შენ?

— სად და შინ. — გაოცდა ბიჭი.

— ჰოდა, ჭკუით თუ არ იქნები, ამ შუალამისას სახლამდე ფეხით მოგიწევს ძუნძული.

— რა იყო, რა დავიშავე... — აწუწუნდა ბიჭი.

— ხმა გაიკმინდე, უგუნურო, მეტის ღირსი ხარ, — დატუქსა იგი ერთ-ერთმა მგზავრმა, — ღმერთმა ძლივს რაღაც გიწყალობა, შენ კი მოისროლე დასაღუბავში, წადი და ეძებე ახლა.

— რატომ, აქვე არ არის?

— მოგართმევენ. — ნიშნის მოგებით მიუგო მეორემ.

ბიჭს შერცხვა და გაჩუმდა.

ვაგონში მდუმარება ჩამოწვა, მერე მყუდროება ისევ დაირღვა, გარედან ბუზანკალა შემოფრინდა. ნათურას ბზუილით შემოიუარა. მონდომებით დიდხანს უტრიალა, უქმად წრიალი მალე მობეზრდა და კარში გაფრინა დააპირა, მინებს რაკუნით მიაწყდა, გარეთ ვერა და ვერ გააღწია, გახელებული ბაქანისაკენ გამოქანდა, ნავაზს თავზე გადაუფრინა, ძაღლი აცმუკდა და ჩაუსაფრდა, დიდხანს უთვალთვალა, აქეთობისას შესაფერისი ღრო იხელთა და სწვდა.

ბზუილი მიწყდა.

ნავაზმა საგულდაგულოდ დაწეწკა მწერი და დაბლა ჩააგდო, მერე აღმაცერად დააცქერდა. ბუზანკალამ ცოტახანს კიდევ აფხარკალა ფეხები და გაშეშდა. ძაღლი დარწმუნდა: „საქმე მოვათავივო“ და პატრონს ლაქუციტ აზხელდა.

კმაყოფილმა ჩიამ ნავაზს თავზე ფრთხილად გადაუსვა ხელი.

მგზავრები სათითაოდ წამოიშალნენ. გაოცებულნი მწერს ცნობისმოყვარედ დააცქერდნენ.

ძაღლის პატრონიც გახალისდა.

ქუჩა დაწყნარდა. ბოლქვებად ავარდნილმა მტერის კორიანტელმა ანძის მიღმა სიბნელეში შეუმჩნევლად იწყო ლვენთა.

მე უკან ვრჩები, აღარ მივყვები კმაყოფილ მგზავრებს. თვალებს ვხუჭავ, გონებას ვასვენებ, უცნაური ფაჩუნი მესმის... ვაყურადებ, მეჩვენება; თითქოს ციცაბო კლდიდან ლიცლიცა წვეთები ბზრიალ-ტრიალით ცვივიან დაბლა, მთელი სიჩქარით პიტალო ქიმებს ასკდებიან, ცამტვერდებიან, ანძის მკრთალ შუქზე მოელვარე ნაირფერებიც სიბნელეში იკარგებიან. არსით ხმაური, მყუდროებას კლდის ძირითად გამოყოფილი ნაკადულის ჩხრიალილა არღვევს და მეტი არაფერა.

საზოგადოებრივი საბჭოთაო

ანა ახმაგოვა

• • •

ჩრდილოეთის ზღვის ეს სანაპირო
ჩვენი განცდების საზღვარი იყოს.
ვერ გამოგია, მუსლმოდრეკილი
წუსარ თუ ხარობ, მიშვებ თუ მიხმობ.
აღარ მჭირდება ამიერიდან
ტყვე თუ მძევალი და მონა ჩემი.
მხოლოდ ამაყთან და სასურველთან
მექნეს ზიარი ლუკმა და ჭერი.

1922 წ.

■ ■ ■

არ მოსწრებია სულიერი ასეთ სექტემბერს,
თვით შემოდგომამ იმისთანა გუმბათი შექმნა,
რომ ცივ ნიავსაც არ აკარებდა.
გაოცებული იყო ხალხი, იწურებოდა
ენკენისთვე და შემოდგომა ზაფხულს ჰგავდა...
დაგუბებული წყლებიც გაბრწყინდნენ
ზურმუხტოვანი ფერადოვნებით.
თვით ჭინჭარიც კი ვარდს ბაძავდა თვის სურნელებით,
ის აისები, უჩვეულოდ მეწამული და დახუთული,
მთელი სიცოცხლე გვემასსოვრება.
მზე წააგავდა მუამბოხეს ჩვენთან შემოჭრილს
და გაზაფხულის მსგავსი დღეები
ისეთნაირად ეფერებოდნენ,
გეგონებოდათ ეს-ესაა მოიქარგება
ენძელეებით ქათქათა კალთა.
აი, ასეთ დროს შენც გამოჩნდი
და მშვიდად, დინჯად მოდექ ჩემს კართან...

1922 წ.

კ ე ნ ც ი

1. ათასცხრასორმოცნი

როცა ეპოქას ასამარებენ,
მწუხრის ფსალმუნებს აღარ გალობენ.
ჭინჭარ-ნარშავით მორთულ-მოკაზმულს
აღარ ტირიან, აღარ ნანობენ,
და მესაფლავეც ისე უჩქარის,
საფლავეში ცვივა ღორღი და ქაცვი.
ო, ღმერთო ჩემო! ამ სიჩუმეში
ჟამთასელის ხმასაც გაიგებს კაცი.
და მერე ისე ატივტივდება,
ვით მდინარეზე დამხრჩვალი გვამი;
მაგრამ უცხოა იგი შვილისთვის
და ზურგს შეაქცევს მას მთელი გვარი.
დაღონდებიან ამბის შემსწრენი,
მთვარე აწყდება შავლევა ღრუბლებს.
აი, — ძლეული პარიზის ირგვლივ
სწორედ ასეთი დუმილი სუფევს.

2. ლონდონელებს

აუჩქარებლად დაწერა ჟამმა
ოცდამეოთხე დრამა შექსპირის.
მონაწილენი პირქუში ლხინის,
ყველა ჰამლეტზე, ცეზარზე, ლირზე
უკეთ ვკითხულობთ მდინარის პირზე.
იქნებ სჯობია, რომ ჯულიეტა
ჩვენ გავაცილოთ სიმღერ-სიმღერით.
მერე მაკბეტსაც შევავლოთ თვალი,
ვით დასდევს აჩრდილი დანისა;
ოღონდაც არა ეს, ოღონდაც გვაშოროს
წაკითხვა ახალი დრამისა.

3. აჩრდილი

გამორჩეული მუდამ ლაზათით,
ბანოვანობით, ეშხით, სიმადლით,
რისთვის მეჩვენე გადაკარგულ წელთა სიღრმიდან,
რად მომავონე ის ნარნარი პროფილი შენი,
კარეტის კარის მიღმა რომ კრთოდა.
ერთნი დაობდნენ, რომ იყავი თვით ანგელოსი,
მეორენი კი ფრინველი უცხო.

ხოლო პოეტმა ლელს შეგადარა.
და შენ კი ყველას, ყველას ერთბაშად
ბნელდი წამწამთა მწველთა სიმუქით,
ვით დარიალის ასული ნაზი.
ჰოი, ანრდილო! შენ მომიტყევე,
მაგრამ ნათელმა ამა ამინდმა,
თან უძილობამ, თანაც ფლობერმა,
ნაგვიანვემა იასამანმა,
მე გამახსენა მშვენიერება შენი,
შენი უღრუბლო ცხრაას ცამეტი,
მზეთუნახავად შეგრაცხეს ოდეს!—
მე კი, ასეთი მოგონებები
ალარ შემფერის, ანრდილო, ვგონებ!

4.

ვის განუცდია ჩემზე უმეტეს
უძილობა თუ
ძრწოლა უფსკრულთ, ბილიკთ
წინაშე;
მაგრამ ეს ხმა ჰგავს რემის თქარათქურს,
ბუკის ხმობაზე რომ აჩქარდება.
და მე შევედივარ უკაცრიელ, საესე ბინებში
სადაც ახლახანს სიცოცხლე დუღდა,
აწ კი ბინადრობს მსოლოდ დუმილი.
უცხო სარკეში ირეკლება თეთრი ჩრდილები,
სადღაც შორეთში არის დანია,
თუ ნორმანდია, თუ აქვე, წინათ
ვყოფილვარ თავად და ის წარსული
აქ დამხვდა ახლა, როგორც გალია?

5.

მაგრამ არ მინდა გადაგავიწყდეთ,
რომ ვცხოვრობ ქვეყნად უკანასკნელად
და არ ვიქცევი არცა ნეკერჩხლად,
არცა მერცხლად და არცა ვარსკვლავად,
არც ნაკადულად, არც ზარის მოთქმად,
რომ კაცთა მოღვმა არ შევაშფოთო,
ან განგაშით და სულის კივილით,
არც სხვის სიზმრებში შევიპარები
გადაქანცული წემი ტკივილით.

1940 წ.

თარგმან ნანა ლვინევაძემ.

სსფურცელის ჩვეულები

მართაზ ჩახავა

კაკა ბაჭია

შეწირული ბავშვები

ურმის ბორბალი ტალახიდან ღრჭიალით ამოგორდა. მგლოვიარე კურდღლები ერთმანეთის გვერდით მიაბოტებდნენ.

— თქვენ რომ ბედი გქონოდათ, ქვეყანაზე არ გაჩნდებოდიით!... — მოთქვამდა დედა კურდღელი და ცრემლებს დაბალუპით ღვრიდა.

„ვაი, ვაი, ვაი, ვაააი!...“ — ბანს აღლევდნენ მოტირალს მოთანაგრძენე კურდღლები.

— არც მე გავჩნდებოდი ქვეყანაზე და ორთავე მოვისვენებდით!...

„ვაი, ვაი, ვაი, ვაააი!...“

— ეჰ, გაჩენის დღიდან ეგრე ყოფილა... — ხელი ჩაიქნია პაპა კიკომ.

— კი, მაგრამ სანამდე უნდა ვაძლიოთ, მაგ მსუნაგ მგელს ხარკი?!

წოწოლამ ახლა ცას ახედა.

ურემში გაბმული კურდღლები თავდაუზოგავად ექაჩებოდნენ ტლაპოში ჩაფლულ ჭრიჭინა ბორბლებს.

სოფლის შარა ტყის პირიდან გამოვიდა და ფერდობს აუყვა.

ურემზე გალია იდგა. გალიაში დამწყვდეული ბაჭიები სხმარტალებდნენ.

„იის!... დედიკოოო!...“ — მოთქვამდა ერთი ტანმომცრო ბაჭია და გალიის გიოსს ეჯაჯგურებოდა.

— შენ მოგიკვდეს შენი დედიკო და

მამიკოო!.. როგორ ვერა გშველი და საღწავიდე არ ვიციი!..

„ვაი, ვაი, ვაი, ვაააი!“ — ისევე ვიშვიშებდნენ დაზაფრული კურდღლები.

— ასე, წვალეებით გაგზარდე და შენა თავი ახლა მგელმა უნდა შემიჭამოს ხიდის თავზე!..

„ვაი, ვაი, ვაი, ვაააი!...“

— ამოვწყდით! ამოვწყდით! მანამდე თუ თითო ბაჭიას ჯერდებოდა თვეში, ახლა ორიც არ ყოფნის.

— ჩვენი სოფლის ბატონი ეგაა და რასაც ბრძანებს, კანონია.

კიკო პაპამ ცვლავ ჩაქინდრა თავი.

— თქვე საცოდავებო, შვილებო, ჩემიანებო და სხვისიანებო...

გალიაში გამომწყვდეული ბაჭიები ცახცახებდნენ. მძიმედ მიგორავდა ურემი. გალიის კუთხეში კაქა მიყუყუდიყო. ჩაფიქრებული მისჩერებოდა თავზემოთ მოქანავე ცას.

კაქას გაახსენდა ბედნიერი დღეები...

— ე, ჰეი!.. — მთის ქიმზე შემდგარმა კაქამ ორი თითი პირში იტაცა და ძლიერად დაუსტვინა. გუბურაში მოჭყუმპალავე ბაჭიებმა მაღლა აიხედეს. დოინჯშემოყრილი კაქა მედიდურად გაღმოსცქეროდა აქაფებულ მდინარეს.

მერე უცებ მაღლა შეფრინდა და თავდაყირა შურდულივით დაეშვა. ბაჭიებს შიშისაგან სუნთქვა შეეკრათ. დგაფუნზე მდინარიდან წყლის შხეფი აისვეტა. წვინტლას გული წაუფიდა...

...კაჟა ახლა ლოდოდან პირდაპირ ღუმფარას ფოთოლს დაახტა.

ღუმფარა სწრაფად გაიტაცა დინებამ. ბაჭიები ნაპირს აედევნენ. ტყისპირზე, აქა-იქ, სოკოები ფერადი ქოლგებივით ჩაფენილიყვნენ. ეკვალიპტისა და თუთის ფოთლებში გაბლანდული მზე ერთიანად ჩახჩახებდა.

დილა, დილა, დილა-ოდილა,
დილ-დილაო, დილა-ოდილა,
ე, ჰეი!.. ჰეი!..

კაჟამ სიმღერა დაიწყო. ლოდებში ჩაწნული მდინარე ნაპრალებში მძლავრად დგაფუნობდა. კაჟას თვალებში მზის ქარვისფერი სხივები ციმციმებდა. თავზემოთ წითელ პერანგს აფრიალებდა.

...დილა, დილა, დილა-ოდილა,
დილ-დილაო, დილა-ოდილა,
ე, ჰეი!.. ჰეი!..

ღუმფარა ლოდებში გაიხლართა. ცნობისმოყვარე ბაჭიები ნაპირ-ნაპირ მისდევდნენ. წვინტლამ რალაცას ფეხი წამოჰკრა და თავდაყირა გადავიდა.

— წვი-ნტლა!.. — ძახილზე ბაჭიები შეჩერდნენ. გორაკზე გადმომდგარი დედა კურდღელი წკებლას იქნევდა.

— მე თქვენ გიჩვენებთ!.. ახლავე სახლში!..

შეშინებული ბაჭიები ხტუნვა-ხტუნვით გორაკისაკენ გაიქცნენ.

— ე, ჰე, ჰე-ჰეი!.. მთელი ძალით დასტყვილა კაჟამ.

„ე, ჰე, ჰე-ჰეი!..“
„ე, ჰე... ჰეი!..“
„ე, ჰეი!..“

„...ჰეი!..“ — რიგრიგობით ჩაიგუგუუნეს მთებმაც. ამ ხმას ბაჭიების ჟივილხივილი მოჰყვა. კაჟა ტყიდან გამოვარდა. უკან ბაჭიები მისდევდნენ.

— არ გაუშვით! არ გაუშვით, ბიჭებო!..

კაჟა უცებ შორიდანვე შეახტა ეკვალიპტის ხეს და ელვის სისწრაფით კენწეროზე მოექცა. გავგნებული ბაჭიები ერთმანეთის გვერდით შედგნენ. ქარით დაჰქროდა კაჟა ხიდან-ხეზე. ხან ერთ ტოტზე კონწიალობდა, ხან მეორეზე. თვალბაჭყეტილი მისჩერებოდნენ ბაჭიები. ის იყო მაღლიდან ბზრიალით დაეშვა, რომ უცებ ბუჩქებიდან ჯალათები გამოცვივდნენ და აქეთ-იქიდან ხელი სტაცეს. შეშინებული ბაჭიები მიმოიფანტნენ.

— კაჟა უნდა მოკედეს, იგი სოფლისათვის საშიშია! — თქვა პირველმა ჯალათმა.

— სწორია! ერთი ციდა ბაჭია მთის ქიმიდან მდინარეში ისე ხტება, თითქოს წყლის ბინადარი იყოს! — სულმოუთქმელად მიახალა მეორემ.

— ისე დახტის ხიდან-ხეზე, თითქოს ფრინველი იყოს! — თქვა მესამემ.

— ჯიქურია და გაუტეხელი; მეტად საშიში იქნება, როცა გაიზრდება! — ამჯერად კვლავ მეორე ფიცხობდა.

— გადაწყდა, პირველი შესაწირი ბაჭია კაჟა იქნება! — ეს კი მამასახლისის საბოლოო განაჩენი იყო.

წინ ხიდი გამოჩნდა. ხიდის დანახვაზე ტურტლა ავიშვიშდა.

— აი, ხიდი, ეგ დასაწვავი ხიდი, რა მეშველებს!.. — დაიწყო კვლავ მგლოვიარე დედა.

„ვაი, ვაი, ვაი!..“ აყვნენ დანარჩენები.

— რა მეშველებს, აი ხიდი, ხალხნოო, დასანგრევი ხიდი, რამდენი ბაჭია შეიქამა ამ ხიდზე, ვაი!..

„ვაი, ვაი, ვაი, ვაი!..“

ურემი ხიდისთავთან შეჩერდა. — აბა, დაიწიეთ უკან! — მამასახლისმა ურემს მოწოლილი კურდღლები გაფანტა.

— სიჩუმე იყოს! მამასახლისი განაჩენს წაუკითხავს შეწირულ ბაჭიებს. — გამოაცხადა ჯალათმა. ტირილი შეწყდა. ვალიაში გამომწყვდეული ორთა-

ვე ბაჰია ფეხზე წამოდგა. მამასახლის-
მა ჩაახველა.

— ხალხნო! თქვენს წინაშეა დღევან-
დელი შესაწირავი კაჟა და ტურტლა
ბაჰია. ტურტლას თუ ვწირავთ, ეს იმი-
ტომ, რომ მის ოჯახს კანონის თანახმად
უნდა მიეცა ერთი შესაწირი. ჩვენთვის
სულ ერთია ტურტლა იქნება ის თუ
ყანყალა!

— ვაიმე დედა!..

— ნუ ხართ უმადურები! — მიუბ-
რუნდა ჯალათი ტურტლას დედას, —
ყველაზე საუკეთესო ბაჰია რომ წაგ-
ვერთმია, მაშინ რას იზამდით! ჩვენი
მამასახლისი გულმონწყალეა, არჩევანის
უფლება მოგვკათ! ხმას არ იღებს, როცა
თქვენ უსუსურ და უხეირო ბაჰიებს
მგელი აზრამუნებს. აბა, ერთი, სხვა
ყოფილიყო? განახვებდათ როგორი ბა-
ჰიები ეკადრებოდა ბატონ მგელს...

— შვილი, შვილია, დედა!..

— კარგი გეყოფა!

— კი მაგრამ მე რომელი უსუსური
მზახეთ. — ააჯაჯგურა კაჟამ ვალია.

— სამაგიეროდ უპატრონო ხარ! პი-
რობის თანახმად კი უპატრონოებს პირ-
ველ რიგში ვაძლეეთ.

— მე არა ვარ უპატრონო! — კაჟა
თვალეში მიაჩერდა მამასახლისს.

— მაშინ მოგვახსენე სად არიან შენი
პატივცემული მშობლები?

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჰო, სად არიან? რაც არასოდეს
გყოლია, დღეს საიდან გავიჩინებოდა?

— კურდღლები აყაყანდნენ.

— მე მამა მყავს, დიახ!.. — შეანჯღ-
რია ვისოსი კაჟამ.

— რაო?! — სიჩუმე ჩამოვარდა.

— დიახ, მამა მყავს!

— მერე და სად არის შენი მამა? —
მამასახლისმა დონინჯი შემოიყარა.

— სად არის?.. სად არის და ქალაქ-
ში!

შეიქმნა ერთი ჩურჩული.

— კაჟას მამა ჰყოლია! — დაიძახა
ვილაკამ.

ჯალათებმა გადაიხარხარეს. ერთმა კა-
ჟას-ენა გამოჟყუო.

— ვა, ქალაქელი მამა გყოლია...
მამასახლისის სიცილისაგან ხველები
აუვარდა.

— მაგ შენს მამას ერთი ჰკითხე, სო-
ფელს იკადრებს თუ არა?

— რატომაც არ იკადრებს!

— კი, მაგრამ მამაშენი რა ფერისაა?..

— დაიძახა ჭრელხალათიანმა ჯალათმა.

— რა ფერის? — კაჟამ კითხვა ვერ
გაიგო — რა ფერის და... — შეყოყმან-
და, ენა დაემა. ჯალათებმა ახლა უფრო
უმატეს სიცილს.

— ხალხნო! შესაწირი ხომ შესაწირია
და ამაზე ლაპარაკი ზედმეტია! ვერავინ
თვალს ვერ აგვიხვევს. ვიცი ვის ყავს
პატრონი და ვის არა. გამოიყვანეთ და
დააბით სოლებზე.

ჯალათები მამასახლისის ბრძანებაზე
გალიას მისცივიდნენ. ჯერ ტურტლა გა-
მოიყვანეს და ერთის ვაი-ვიშით ძლივს
მიაბეს სოლს.

სხმარტალებდა და ტიროდა ტურტ-
ლა.

— ნუ შეაჭმევთ ჩემს თავს მგელს,
შემიბრალებთ, ძმებო!..

ახლა კაჟა გამოიყვანეს ხელფეხგაკო-
ჭილი. ფრთხილად მიიყვანეს სოლთან;
იგი არც ტიროდა და არც უძლიანდე-
ბოდა ჯალათებს.

ერთმა, ის იყო, ფეხზე თოკის მობმა
დაუბირა რომ კაჟა უცებ სველი საპნის
ნაჭერივით გაუსხლტა ხელიდან და ხი-
დისკენ გაიქცა.

— არიქა, არ გაუშვათ! — გაცოფე-
ბული დაედევნენ ჯალათები. ხალხმა ყი-
ყინა დასცა. კაჟა სწრაფად მოეჭიდა ხი-
დის მოაჯირს და მალეიდან ისკუპა.
დგაფანით გადაეშვა აბობოქრებულ
მდინარეში.

ყველანი გაშეშდნენ.

ააბა ჯალაჯი

ქალაქში ცხელოდა, კიანჭველებივით
ირეოდნენ ერთმანეთში სხვადასხვა ჯუ-

მურთაზ ჩახაბა
ააბა ბაჰია

რის ცხოველები და ფრინველები. ქუჩა ფერადი მანქანებითა და ავტობუსებით გავესებულიყო. სადღაც ახლოს ტრამვაის ხარი წყრიალებდა. ქუჩის ორთავე მხარეს ასანთის კოლოფებივით ერთმანეთზე მიწყობილ, მაღალ, თეთრ შენობებს შუგულს ლაპლაპი გაუდიოდათ.

ის იყო კაჟა შედგა, რომ გამვლელმა მხარი ვაჰკრა. კაჟა წაბარბაცდა.

ქუჩის კუთხეში ხელგამოწვდილი მელია იდგა. ცხვირზე სათვალე ჩამოეგდო. ერთმანეთზე შეწებებული ქუთუთოებიდან ოდნავ მოუჩანდა გუგები. წელში მოხრილსა და გაძვალტყავებულს თავზე გაზნითული ფარფლებიანი ქუდი ეხურა. გვერდით ტურა მოკალათებულყო. ხელში ორხემიანი ვიოლინო ეჭირა და უიღბლო კაცის მელოდებს აწრინებდა.

— მოიღეთ მოწყალემა! მოიღეთ მოწყალემა!..

მელია შიგადაშიგ ჩაახველებდა; ხრინწიან ხმას ისუფთავებდა. კაჟა მელის მიუახლოვდა.

ხელგამოწვდილ მელიას არც კი ამჩნევდნენ გამვლელები: მგლები, თეთრხალათიანი სანიტარი თხები, ფერადქოლგიანი კენგურუები, მარაომომარჯვებული კუდბუთქა ციყვები, ჰალსტუხიანი ვირები, ფაფახიანი ლომები. ჰრელხალათიანი ვეფხვები, ორფეხზე მოსიარულე საცურაო კოსტუმში გამოწყობილი ბეჭემოთები, ფრაკიანი პინგვინები.

— მოიღეთ მოწყალემა!

მელიას გამოწვდილ ხელში ხურდა ფულმა გაიჩხრიალა.

— გმადლობთ, გმადლობთ! ნეტა შემეძლოს ბრმას თქვენი კეთილი სახის დანახვა. — მელიამ სიმწრით თავი გაიქნია, ხურდა ფული კი ხალათის ჯიბეში ჩაიყარა.

— აბა!.. — კვლავ გამოსწია სამათხოვროდ ხელი. წინ ქათმებმა ერთი ტკრციალით ჩაიქოთქოთეს. მელიას თითქოს უბებები ჩაეხაო, საცრის ოდენად გაუხდა გადმოკარკლული თვალები და კისერი კინაღამ მოედრიცა. გადასა-

სვლელიდან პოლიციელმა დათუნამ ხელჯოხი დაუქნია. მელიამ წამსვე პირი იბრუნა და თვალები მოჭუტა.

— მოიღეთ მოწყალემა! — წითელი გრძელი ენით მოილოკა პირი.

დათუნია გადასასვლელზე ბოლთას ცემას მოჰყვა.

გადასასვლელთან, ყირაფის თავზე შემომგდარმა ბუმ მწვანე თვალები გადმოკარკლა და ახლა უცებ წითლად ანთო; ერთბაშად დამაუხრუქეს მანქანებმა.

კაჟა მელიას წინ შედგა.

— ნუ გაჩერდებით, ყმაწვილო! — მხრები აიჩეჩა მელიამ, — გაიარეთ!

კაჟა არ იძვროდა, იგი ახლა ტურას მიაჩერდა.

— ჰო, რა იყო, ბიძიკო, — მიუბრუნდა მელია კაჟას, — მოგეწონა, კარგად უკრავს? — კაჟას ხმა არ ამოუღია, — გაიარე, გაიარე!

— სად უნდა გავიარო... ვაიმე თითქმის — კაჟამ ფეხის ცერი პირში იტაცა.

— გაიარე, შე მამაცხონებულო, და ფეხსაც არავინ დაგადგამს. ჩაილაპარაკა მაიმუნმა.

— აქაური არ უნდა იყოს, — თქვა ტურამ და დაკვრა შეწყვიტა.

— პატრონიც გაციებია, რაში მენადვლება, — მელამ ხელი წინ გაიწვდილია.

— მოიღეთ მოწყალემა!

კაჟა კვლავ წუწუნებდა.

— ისე ვერ გაივლიან, ფეხი რომ არ დაგადგან, ბინძური ქალაქი!

მელიამ ერთხელ კიდევ გამოხედა თავისი მოჭუტული თვალებით.

— გაიარეთ, გაიარეთ!..

— სად უნდა გავიარო, ნაცნობი მე არა მყავს და მეგობარი. ვიქნები თქვენთან, მიამხანაგეთ.

— რაო? სწორედ იმ გუნებაზე ვართ ახლა მე და ტურა, რომ კიდევ ერთი მუქთახორა შევამხანაგოთ.

— მე მუქთახორა არა ვარ, მე ყველაფერი შემეძლია.

— ხა, ხა, ხა!.. რა უნდა შეგეძლოს ერთი ციდა ბაჭიას. — მელიამ შორი-



დანვე მოჰკრა საკბილოს თვალი, — დაიწი, დაიწი! მოიღეთ მოწყალება! — ვერმა ყურების პარტყუნით ჩაიარა.

— მე, მე ყველაფერი შემიძლია, შემიძლია აღიდებულ მდინარეში თავით გადაეხტე და გავცურო!

— პარდონ, პარდონ! — მელიამ ფაფანაკი მოიხადა და მალა ასწია. ტურამაც ხმა ჩაისუფთავა.

— შემიძლია ხეზე ავცოცდე და ჯამბაზივით თოვზე გავიარო!

— პარ-დონ! — ახლა კი მელიამ და ტურამ, ერთად რევერანსი გაუკეთეს.

— უკეთესი ჯამბაზი ღმერთმა დასწყევლოს!.. — თქვა მელიამ და განზე ჩაიხიბინათ.

— აი, ახლა ამ მათხოვარ მელიას რომ ხედავ ხელებგამოწვდილს, მასაც უველია დიდების გზაზე. — ტურამ ნერწყვი გადაეყლაბა, — დიახ! დღესაც კი ახსოვთ გრაუცისა და ლულუქუცის, ჯანდაპატრისა და ბაღრიჯანდის, ზღმარტლანდისა და ჩიკორეთის ქვეყნებს მისი ფანდები. იგი იყო პირველი ჯამბაზი, მეტსახელად იანდუდ-ბულბულ-პარაბულად წოდებული; რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა მთელი ქვეყნიერება! ახლა, ახლა კი რა? დღეს ჩვენ ორთავენი მათხოვრები ვართ, — დაასრულა ტურამ.

— მაშ, არა გჯერათ რაცა ვთქვი? — კაქას თვალები აენთო. — არა ხომ? — მიხედ-მოიხედა, მერე ქუჩის გადასასვლელზე ჟირაფის გრძელ კისერს მოჰკრა თვალი. წამი და მოწყდა ადგილს. ქარის სისწრაფით გაიქცა. გადასასვლელთან მანქანებმა ერთბაშად დამუხრუჭეს, გაისმა პოლიციელის სასტვენის ხმა. კაქამ სხარტად გადაჭრა გადასასვლელი, ეცა ჟირაფის ფეხებს და თვალის დახამხამებზე თავზე მოექცა. შეშინებული ბუ ჰაერში შეფრინდა. მანქანებს თითქოს გზა დაეზნათო, ერთმანეთში აირივნენ.

კაქა უკვე ტროლეიბუსის მავთულზე კონწიალობდა. პირდაღებულნი მისჩერებოდნენ გამგელ-გამომგლეღნი. გულიანად ხითხითებდა კაქა; ხან ერთ მავ-

თულს შეახტებოდა, ხან მეორეს, ხეებს ასხმარტალებდა, გაჰყვიროდა. საოცარი ის იყო, როცა იგი მავთულს მოწყდა და მალა შეფრინდა, ყველას ეგონა მიწამდე სული არ დაჰყვებოდა; პოლიციელ დათუნის პირიდან სასტვენი გაუვარდა. ჰაერში ამოტრიალებული კაქა მავთულზე გვერდულად დაემვა, იხუვლა ხალხმა. მელიამ და ტურამ თვალები გადმოკარკლეს.

— არ გაუშვათ!.. — გაისმა პოლიციელის ყვირნი.

კაქა უცებ მოწყდა მავთულს და ქვეშ გამგელ რძის მანქანაში ჩახტა. ტროტუარზე მოძრაობა შეწყდა. მელიამ და ტურამ ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და კაქას საძებრად მოკურცხლეს.

ჯ ა მ ბ ა ზ ე ბ ი

— აბა, ცირკი, ნამდვილი სანახაობა, აქეთ! — გაჰყვიროდა ფურგუნის კოფოზე შემდგარი მელია და უშველებელ ენიან მათრახს ატკაცუნებდა. დაოთხილი გარბოდნენ შიგ შემბული ზებრები. ქარი არხევდა ფურგონზე მრგვალად გადაკიმულ ბრეზენტს, რომლებზეც დიდი წითელი ასოებით ეწერა:

„სენსაცია!.. ცირკი!“

მელიამ ფურგონი მოედნის ბოლოს შემოაბრუნა და სადავეები ღონივრად მოქაჩა. ეყვანების ქღარუნი შეწყდა. კისერმოღრეცილი ზებრები მიწას დააჩერდნენ.

დიდ-პატარა ფურგონს მიაწყდა.

— აბა, ჩქარა, ჩქარა, ჩამოყაჭეთ ფულები, თქვენ ნახავთ საოცარ სანახაობას! — დაიწრიპინა მელიამ.

ყველას სურდა შეეხედა თუ ვინ იყო ფურგონში. მელიამ ერთი ორჯერ თავზემით მათრახი აატკაცუნა.

— წრე, წრე! გაიწით, წრე შეჰკაოროთ!

„შეიქნა ერთი ფაცაფუცი.“

— ვინ არის ნეტა?!

მუხრანა ჩახავა
კაქა ჰაქია



— გვეჩვენოს! გვეჩვენოს!..

— ცოტა ფრთხილად, პატივცემულო მელიავ, მყვლეფავები არ იყოთ, თორემ. ხომ იცით, აქედან ვერ გააღწევთ.

— ჩამოყაპეთ, ჩამოყაპეთ! — მელიამ ახლა ფაფანაკით ჩამოუთარა წრეს. დამსწრენი ხურდა ფულებს უჩხრიალებდნენ გამოწვედილ ფაფანაკში.

როცა ჩამოვლა დაამთავრა, მელია კოფოზე შეხტა. სიჩუმე ჩამოვარდა. ძვირფასო და ყოვლად უძვირფასესო საზოგადოებავ! — დაიწყო მან. — თქვენს წინაშე გამოვა დიდად ღვაწლმოსილი და მეტად დაფასებული, ამჟამად საგასტროლოდ ჩამოსული ჯამბაზი — ბახ-ბარაახ-ბუმი!

იქუხა ტაშმა. ფურგონიდან ტურა გამოძვრა, მელიას გვერდით კოფოზე დაჯდა და ვიოლინო მოიძარჯვა.

— აბა! — მელიამ მათრახი შემართა.

„მტკიც!“ — გაიტკაცუნა მათრახმა. ტურამ მარში დაუკრა. ახლა კაჟა გამოძვრა ფურგონიდან, თავზემით, რკინის ღერძს ორივე ხელი სწრაფად ჩასჰიდა, ზურგიდან ამოტრიალებული ფურგონს ზედ თავზე მოექცა. შეიქნა ჩოჩქოლი. ღერძს რომელიც ფურგონის თავზე იყო აღმართული, ბოლოებში ცისფერი ალამი ამშვენებდა. კაჟამ ფურგონის თავზე რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, მერე შედგა, ღონიჯი მოიყარა და მედიდურად გადახედა დამსწრეთ.

— მაზურკა!.. — დაიყვირა მელიამ.

ჰაერში მათრახმა გაიტკაცუნა. გაისმა მაზურკის მელოდია. კაჟა ჩიტივით შეაფრინდა ღერძს, მერე თვალის დახამხამებაში რამდენჯერმე ზედიზედ ამოტრიალდა.

„ყოჩაღ! ყოჩაღ!..“ — გაისმა ოვა-ციები.

მელიამ ისევ ააზუზუნა თავისი მათრახი. კაჟამ ახლა ძელს ხელი უშვა და პირდაპირ კბილებით ჩააფრინდა. ამ სანახაობაზე ყველანი გაისუსნენ.

— დიახ, პატივცემულო საზოგადოებავ, — აღიმადლა ხმა მელიამ, თქვენს

წინაშეა ღვაწლმოსილი ჯამბაზი ბარაახ-ბუმი!

მაყურებლები პირდაღებული მისჩერებოდნენ კაჟას, რომელიც ღერძის გარშემო ბზრიალსავით ტრიალებდა.

მელიას მათრახის უცაბედ ტკაცუნზე კაჟა ღერძს მოწყდა და ჰაერში სამჯერ ამოტრიალდა.

იქუხა ტაშმა. ზებრებმა ფურგონი გაქაჩეს. მაღლიდან დაშვებული კაჟა ძირს პირაღმა გაიშხლართა.

— აი, უკანასკნელი ილეოთი ჩვენი ბახ-ბარაახ-ბუმი. — შეიცხადა მელიამ, — რომელიც იუწყება სანახაობის დამთავრებას. ნახვამდის, ნახვამდის, ძვირფასო მაყურებლებო. ელოდეთ ახალ-ახალ ნომრებს!

ტურამ კაჟა სწრაფად ფურგონში შეაგდო.

ხალხი ჩოჩქოლით აირია. ზედიზედ ატლასუნდა მათრახი, ზებრები დაიძრნენ, აეღარუნდნენ ეყვნები. მელია ახლა კოფოზე ფეხებით შედგა და სადავეები ღონივრად დაიქნია. ფურგონის თვლებში სწრაფად გადაჰრა მოედანი. ზებრები ქუჩისაკენ გასხლტნენ. მოედანზე ბული დადგა.

შ ა ს კ ე ნ ე ბ ა ზ ე

ქალაქის ბოლოში, მინდორზე, ფურგონი იდგა. გამოხსნილი ზებრები მდინარეზე წყალს სევამდნენ. მზე დასავლეთისაკენ გადახრილიყო. მელიას თავისი ფაფანაკი ძირს დაეგდო და გარშემო მეგობრები შემოესხა.

— ესეც შენ! — ამჯერად ვერცხლის ფული ტურას გაუწოდა. ტურამ ფული სწრაფად გამოართვა, ხელში შეათამაშა და შარვლის ჯიბეში გააქანა, — ეს კიდევ მე, — ფაფანაკში ფულებმა გაიჩხრიალეს. ტურამ კაჟას წინ დაყრილ მონეტებს დახედა.

— მუშაობაც ამას ჰქვია, — ააწყლპუნა პირი მელიამ, ამ ფულით ვალეზსაც გავისტუმრებთ და მოგვრჩება კიდევ. — კაჟას მხარზე დაჰკრა ხელი, —

ბი, ნახვ, მალე დიდი ფულის პატრონები გავხდებით!

კაქა წამოდგა. მელია შეიშმუშნა.

— აქი პირობა მომეცით, რომ ვალების გადახდის შემდეგ სოფელში ჩემთან ერთად იცხოვრებდით?

— კი, — მელიამ სათვალე შეისწორა, — განა ჩვენ ვამბობთ, რომ პირობა არ მოგეცით. მოგეცით, გეთაყვა, მაგრამ... განა ახლა მაგის დროა? ჯერ ეს ფულები, რაც დაგვრჩა, სინდისიერად გავიყოთ. მერე, ა, ბატონო!

— არ მინდა წილი! — წამოდგა კაქა.

— წილზე უარს ამბობს?! — ტურა მელიას მიაჩერდა. კაქამ მის წინ დაყრილ ფულებს ფეხი გაჭკრა. ფულები გაიბნა. მელიამ ტურას თათზე ფეხი დაადგა.

— ახლა ეგეთები არ იყოს, თორემ?! — დაუბრიალა თვალეზი, ტურამ ფულს ხელი უშვა, — მსუნავი ხარ და სხვა არაფერი, ხომ იცი, რომ ეგ ფული კაქასია.

— ვიცი და მერე შენ რა გინდა!

— მე კი არა, შენ რა გინდა... ცოტა ჭკუით!

კაქა ფურგონში შევიდა, მელიამ ძირს გაპნეული ფულები სწრაფად აკრიფა და თავის ტოპრაკში ჩაყარა.

— ნუთუ გავვიბრაზდა! — ამოიოხრა ტურამ და დაშინებულმა ფურგონს შეხედა.

— დემრთმა დაგვიფაროს! კაქას გაქცევა შიმშილს ნიშნავს! — პირი მოილოკა მელიამ.

— კი, მაგრამ პირობა რომ მიეცი, სოფელში არ მიჰყვები? — ტურას სიტყვებზე კაქამ ფურგონის ჰორილიდან თავი გამოჰყო. მელია გაცეცხლდა.

— აქი ამბობდი, შე წუნკალო, მილიონებს ვიშოვითო! თუ კაქა ქალაქიდან გავუშვით. ვინ მოგცემს სოფელში მილიონებს. წაჰყევი, ჭამე სტაფილო და იყავი ამ ბაჭიას მამა!

— ესე იგი!..

კაქას თვალეზი ცრემლებით აევსო.

— უმჯობესია, საქმეზე ვიფიქროთ. კიდევ მოასწრებდა კაცი ცირკის გა-

მართვას. მიდი ერთი ზებრები დაჭრე და ფურგონში შეაბი. მე კი კაქას მოვთაფლავ. — ტურა სწრაფად წამოხტა და მდინარისაკენ გაიქცა. ზებრები წყალს სვამდნენ.

მელიამ ფურგონის ღერძს ორპოტიკა გამოაძრო.

— კაქა, თუ კაცი ხარ, ნუ მოიწყენ, სალამოს კი დიდებული ვახშამი ვჭამოთ საუკეთესო რესტორანში. ერთი თოკი შესროლე! — პასუხი არ ისმოდა.

— გესმის, კაქა?!
არც ახლა ისმოდა კაქას ხმა. ტურას ზებრები დაეპირა და წინ მოუძლოდა. სადავის ბოლოები ხელზე დაეხვია.

— კაქა, არ გესმის?! — მელიამ ფურგონის ღერძს ხელი უშვა. ფურგონი აჯანჯლარდა. სწრაფად შემოტრბინა და ბრეზენტის ჰორილში თავი შეჰყო. — ვა! — თვალეზი გადმოკარკლა მელიამ. ფურგონში არავინ იყო. მიტრიალ-მოტრიალდა, მერე ქვეშ შეიხედა. — კაცო, გესმის, კაქა ხომ არ არის მანდ? — ტურამ მიმოიხედა, მხრები აიწურა.

— გეყოფა ხუმრობა, გამოდი, მაგეებისთვის არ გეცალიანს! კაქა, ჰო, კარგი, გამოდი!..

ხმა არსაიდან ისმოდა.

— კაქაა! — უცნაური ყვირილი აღმოხდა ორთავეს.

არც ახლა ისმოდა ბაიბური.

ხმა სოფლის ბოლოში ჩაიკარგა.

შხვედრა დათუნიასთან

— შეიძინეთ ბილეტები!..
ტრამვაი ზარის წყრიალით მიჰყვებოდა ქუჩას. შიგ ტევა არ იყო: ისე საშინლად ცხელოდა, ყველა ფანჯარა გაეღო. კონდუქტორი კენგურუ ჩანთაში ხელჩაყოფილი წამდაუწუმ აჩხრიალებდა ხურდა ფულს.

— აბა, ბილეტები! ბილეტები!

კაქა კიბეზე დადგა და სახელურს

შურთაჲ ჩახანაჲ
აჰაჲ ბაჰია



ლონივრად მოეჭიდა. ვილაცამ წინ ფუ-
ლი გაიწვდინა. კარებთან ჩოჩქოლი
შეიქნა: ის იყო ტრამვიამ მოსახვევში
ცეცხლი გაჰყარა, რომ კაქამაც ისკუპა.
თავი ვერ შეიმავრა და ქალბატონ ღორს
დაეჯახა. ღორმა წამსვე ყურში ჩაავ-
ლო ხელი.

- ფეთიანო, რა მოგივიდა?!
- თავი ვერ შევიმავრე, — თქვა
კაქამ.
- ცოტა ჰკუთით, თორემ თავს წა-
გაძრობ! — კინწი ჰკრა, კაქა წინ გავარ-
და, მერე ასლუჯუნდა.
- რა გინდა ბავშვთან! — შეაჩერა
ღორი დათუნიათ.
- რა მინდა და დამეჯახა, თვალეზში
სინათლე არა აქვს.
- შემთხვევით მომივიდა, — თქვა
კაქამ.
- აჰი, შემთხვევით მოსვლია, — ხმა
აღიმაღლა დათუნიათ.
- ჩემი საქმისა მე ვიცი, — თქვა
ღორმა და კუდი აიქნია, — შემიძლია
ახლავე დავაჰერინო, ვილაც მანანწა-
ლაა.
- არაფერიც, ბატონო, მე ეს შემ-
თხვევით მომივიდა!
- კაქა უფრო მეტად აზლუჯუნდა. და-
თუნიათ ხელი ჩაჰკიდა. ღორი წავიდა.
- ნუ ტირი.
- კაქამ თვალეზი ამოიწმინდა.
- მე, რომ მამა მყავდეს ამას არავინ
გამიბედავდა.
- რატომ, არა გყავს პატრონი?
- არა მყავს.
- სადაური ხარ?
- სოფლელი.
- ქალაქში რა გინდოდა?
- მინდოდა პატრონი მეშოვა.
- დღეს ყველას ღირსეული პატრო-
ნის შოვნა უნდა. იციან, უპატრონოებს
თუ რა დღე ელით. მუქთად უნდათ
ცხოვრება. ეს კი, ქალაქია, ქალაქი...
- მე არა ვარ მუქთახორა.
- ჰო, კარგი, გინდა შეგირდად ავი-

ყვანო, ლუკმა-პურს შეჰკამ, შეე-
ლი ვარ.

— გმადლობთ! — თავი დაუქნია კა-
ქამ და დათუნიას წინსაფარზე შეაჩერ-
და.

სახარველი და ურო

საბერველი ისევე ქშინავდა. გავარვა-
რებულ ნახშირის ქვევებს ყვითელი ალი
ასდიოდა. ხელეზდაკაბიწებული კაქა
მთელი ძალით ექაჩებოდა სახელურს.
დათუნიათ საკეცით გაწითლებული რკი-
ნის ნაჭერი აიღო და გრდემლზე დადო.
კაქამ საბერველს ხელი უშვა და ახლ
უროს დაწვდა.

— ძალიან მაღლიდან ნუ მოიქნევე.
— კაქამ დათუნიას თავი დაუქნია. ხე-
ლისგულეზზე დაიფურთხა, წინსაფარი
შეისწორა და აღმართა ურო. დათუნიათ
ლილინი დაიწყო.

ურო გავარვარებულ რკინის ნაჭერ-
ზე აკაენდა. კაქა უშენდა და უშენდა.
დათუნია კი თავისთვის ლილინებდა, თან
რკინის ნაჭერს მალიმალ გვერდს უნაც-
ვლებდა. სახეზე ხვითქი გადასდიოდა.

— კაცი არ დაიჭერებს, — ჩაილა-
პარაკა დათუნიათ თავისთვის, — რომ
ამ ერთ ციდა ბაჭიას ამხელა ძალა აქვს.

„კაკ-კუკი, კაკ-კუკი!“ — კაკანებდა
ურო გრდემლზე.

— ახლა კი შევისვენოთ, — თქვა და-
თუნიათ. კაქამ ურო განზე გადასდო.
წინსაფრით სახე მოიწმინდა.

— რად გინდა, ამდენი ხაფანგები? —
მიუბრუნდა დათუნიას.

— ხაფანგებს შემეკვეთენ? ხა-
ფანგებს ვაკეთებ. საკეცებს? ღიდი სია-
მოვნებით. მთავარია, ჯანი მქონდეს. მე
ამ ხაფანგებით ფულებს ვშოულობ,
ისინი კი ქურდებს იჭერენ.

— რანაირად?

— ხაფანგი სხვა რაა თუ ქურდი არ
დაიჭირა. ჩადგამ ფეხს და მორჩა.

— ვაა?!

— რა ვაა?! ჭურში გეძინა?!

ალაყაფის კარებს ურემი მოადგა. ზედ

ბომბორა ძალი იჯდა. მოსვლისთანავე დაიყეფა. დათუნია გამოეგება.

— ხაფანგების წასაღებად მოვედი, — თქვა ბომბორამ.

დათუნია ალაყაფის კარები გაუღო.

— მობრძანდით, — თქვა და კაქას მიუბრუნდა. — სამი ცალი ხაფანგი დიდუდ მავას. — თავით ანიშნა.

ურემი ეზოში შემოვიდა. კაქამ ხაფანგს ხელი დაავლო.

— უკეთესი არ იქნება. — თქვა დათუნია.

— გამისინჯე ერთი, — გადმობტა ბომბორა.

— დათუნია ხაფანგი გააწყო. მერე შიგ ჯოხი ჩაჰკრა. ხაფანგმა გაიტკაცუნა, ჯოხი შუაზე გადატყდა.

— ალალი!.. — თქვა ბომბორამ და ფული გაუწოდა.

— შენც იხეირე. გაგეწყვიტოს ქურდები.

— კაქამ ახლა მესამე ხაფანგიც ზედ დაავლო.

ურემი დაიძრა. ჭრილით გადავიდა ბოგორზე. ალაყაფის კარები მიხურეს.

— ესეც ასე!.. კაქა, მოდი, ერთი, აქ დამიჩქე, — ბაჯბაჯით გემართა დათუნია და ჯორჯოზე დაჯდა. კაქა მიუჩოჩდა. — ჰკვიანმა კაცმა ზამთრის საქმეზე ზაფხულში უნდა იზრუნოს თუ არა?.. კაქამ თავი დაუქნია.

— ჰო, და ყური დამიდგე. საზამთროდ შეშა გვინდა?... გვინდა! ესე იგი უნდა დაჩეხო და დახეხო კიდევ. ნახშირი ქურისათვის გვინდა?... გვინდა! უნდა მოზიდო და დაყარო. რკინა მოსამარაგებელია?... მოსამარაგებელია! ჰოდა, კაი დაგემართოს.

— კი, ბატონო, ყველაფერს გავაკეთებ. შეშას იმდენს დავხერხავ, მთელი ზამთარი გვეყოს. ნახშირს იმდენს მოვზიდავ, თავზე საყრელად გვქონდეს. საბერველს სულ ვაქმენ და სულს არ მოვატქმევინებ. უროს ვაკაყუნებ და არ გავაჩერებ. ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ...

— შენ ისე ლაპარაკობ, — სიტყვა გააწყვეტინა დათუნია, აკაციის ტყი-

დან გარეული ფუტკრის თაფლანი მოიტან, აი!..

— რატომაც არა, მოვიტანი!..

— ახლა კი ბაქიობ...

— მე ბაქია არა ვარ.

— შენ რომ გარეული ფუტკრის თაფლი, — დათუნია ნერწყვი გადაყლაბა, თვალეში ცრემლი ჩაუდგა, — მომიტანო, არ ვიცი, გადავირევი! აი, რასაც მთხოვ შეგისრულე, რასაც მთხოვ შეგისრულე!

კაქას ამ სიტყვებზე თვალეში დაებერა.

— კეთილი და პატიოსანი! — თქვა და წამოდგა.

თაფლი ხეზე

კაქა და დათუნია ტყის პირას მიადგნენ. ქალაქის ხმაური უფრო და უფრო მიჩუმდა.

— აი, მოვედით, — თქვა დათუნია და ხეს ზურგით მიაწვა. კაქა აკაციის ტყეს მიაჩერდა. მერე უცებ ხელის გულეზე დაიორთქლა და ჰაერი ღონიერად ჩაისუნთქა. გაოცებული დათუნია განზე გადაგა. კაქა ადგილს მოწყდა, მთელი ძალით გაქანდა წინ. დათუნია კბილები აუკაწკაწდა, კაქა უკვე ხეზე მიცოცავდა.

ფუტკრებიც ყოველის მხრიდან მიესივნენ. ზოგი ცხვირში უძვრებოდა, ზოგი პირდაპირ სახეზე ჰკბენდა. კაქა მაინც მალა და მალა მიიწვედა. ის იყო ხის ჯამი თაფლით გავსებულ ფულტროში ამოავლო, ფუტკრების მთელი ლაშქარი დაესხა თავს. ახლა კი თვალეზიდან დაბაღუბით გადმოსცივდა ცრემლი. კბენდნენ და კბენდნენ დაუზოგავად, ხან სახეში, ხან კისერზე, ხან ხელეზე.

დათუნია მოკრა თუ არა თვალი მალლიდან დაშვებულ კაქას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოკურცხლა.

მურთაზ ჩახაძე
აქაზ ბაშია



— დაიცა, ადამიანო!.. — დაედევნა კაჟა.

— ნუ მომდეგ, გესმის?! თორემ ეგ ფუტკრები მეც დამკბენენ, მეც!.. ძუნძულით გარბოდა დათუნია დაღმართში.

გზა

— ჭამე, შეგარგოს ღმერთმა, — თქვა კაჟამ და თავი მალლა ასწია. ფუტკრებისაგან დაკბენილი სახე ბურთივით ჰქონდა გასიებული.

მოჭირდაპირედ მჯდარ დათუნიას ჯამი მუხლებზე დაედო და ხის დიდი კოვზით მიირთმევდა თავლს. არც კი გაუგია კაჟას ნათქვამი, ხერებდა და ხერებდა.

— ჰო, ჰო, ჰო-ჰო!.. თაფლიც ამას ჰქვია!

კაჟამ ცხვირი დააცემინა.

— იცოცხლე რაღა, იცოცხლე!

— შიგ ცხვირში მიძვრებოდნენ, — კაჟამ სახეზე ხელი ჩამოსივა.

— რა უნდოდათ ნეტა?

— რა ვიცი, არ მაცლიდნენ, არ მატანდნენ.

— არ გატანდნენ რა, ვითომ რაო?!..

— რა ვიცი, ხომ გაგიგია, ჩემით და შენით...

— ჰო, ჰო, მაგრამ ეგ თაფლი, ეგ თაფლი კაცო, რატომღაც ბოლოს აკაციის გემოს ტოვებს, აი!..

— აკაციის გემოს?

— ჰო, აკაციისა, მაგრამ მე ვფიქრობ, აკაციის ყვავილის ნექტარი აქვთ ნაჭამი.

— მეც ასე ვფიქრობ... ჰო, და უნდა შემისრულო თხოვნა.

— გისმენ, გისმენ, — დათუნია მჯამი ამოლოკა.

— მამა უნდა გავხდე ჩემი!..

— შენ ღედა თუ გყავს?... — ამოტლიკა ჯამი დათუნიაში, შეაბრუნ-შემოაბრუნა და თავზე დაიხურა.

— მე არავინ არ მყავს! — კაჟამ თავი ჩაქინდრა.

— ესე იგი უპატრონო ხარ. კეთილი, ვიქნები შენი მამა მხოლოდ ჩემი ბრძა-

ნების გარეშე, თაფლის მოსატანად წახვალ, გაიგე?

— რა თაფლის მოსატანად?..

— ვერ გაიგე?

— ჩემს სოფელში თაფლი კისრამდეა.

— ვის სოფელში, ბიჭო?

— ჩემს სოფელში.

— შენს სოფელში, რა, ქალაქს მატოვებინებ თუ?!

— აკი თქვი, რომ წამოვალო?

— სად, ბიჭო?

კაჟამ ამოიოხრა.

— დიდი ხათრი მაქვს შენი, — დათუნია მჯამი თავიდან მოიხადა და ჩააკქერდა, — მაგრამ რა ექნა, სოფელში ვერ გამოგყვები.

— კარგი!.. — თავი გაიქინა კაჟამ და ჭიშკრისაკენ გაემართა.

— არ გეწყინოს თუ კაცი ხარ, შენ ისეთი ყოჩაღი ვინმე ხარ, ჩემზე უკეთეს პატრონს იშოვი, აი ნახავ, აი ნახავ!

კაჟამ ჭიშკარი მოიხურა და ცხვირპირდასიებული, თვალცრემლიანი გაუღდა გზას.

კაჟა რეზორანში

კაჟამ ახლა მოედანი გადაჭრა და ქვაფენილიან ქუჩას აუყვა. არც კი ამჩნევდა გამვლელ-გამომვლელს. უკვე დამდებოდა. ქალაქში ლამპიონები აანთეს.

ქუჩის კუთხეში რესტორანთან შედგა. ნიავს შემწვარ-მოხრაკულის სუნი გარეთ გამოჰქონდა. სასიამოვნოდ მოისმოდა ვიღაც მთვრალის ღიღინი. ორკესტრი ჩუმად უკრავდა.

უცებ, სადღაც დან, შეზარხოშებული ციყვები გამოცვივდნენ. ტაცეს კაჟას ხელი და კიბეები აარბენინეს...

— დღეს მეხანძრეების დღეა, მეხანძრეების!.. — მთელი ხმით გაჰყვიროდა ერთ-ერთი.

რესტორნის დარბაზი ჩახჩახებდა. თეთრხალათიანი ოფიციანტი ყანჩები ციბრუტივით ტრიალებდნენ.

— აქეთ, აქეთ მობრძანდით! — წინ

შევიცარი — ყვითელი ბუ — შემოეგე-
ბა და მაგიდისაკენ მიანიშნა. მოსულე-
ბი მაგიდას მიუსხდნენ.

— რას დალევთ, მეგობრებო? —
ერთმა მხარზე მოხვია კაყას ხელი.

— არა ვსვამ, — თქვა კაყამ.

— დღეს ჩვენი, მეხანძრეების დღეა,
ხომ იცი, ყველამ უნდა დავლიოთ, ყვე-
ლამ! ოფიციანტი!.. — დაიძახა კვლავ
მან.

— დიახ, — მათ წინ ოფიციანტმა
ყანჩამ კისერი მოიღერა, — რას ინე-
ბებთ?

— რაჟე მაგარი სასმელი.

— ბურახი, ნაბელლაევი, სქური, ლუ-
გელა. სხეთათაშორის ახალი ჩამოსხმაა.

— სამას სამასი ლუგელა! — წამოი-
ძახა მეტად შეზარხოშებულმა .

— ივლავ თავს?! — წამოხტა ერთ-
ერთი.

— მე ვერ დავლევ.

— იქნებ საჭმელი გნებავთ. ოფი-
ციანტი, ყველაზე დიდი სტაფილო კომ-
ბოსტოს პიურეთი გაწყობილი, სწრა-
ფად!

— მესმის, ჩემო ბატონო! — ოფი-
ციანტი სწრაფად მიტრიალდა.

გვერდითა მაგიდაზე მელია, მგელი და
დათვი ისხდნენ. კარგა ბლომად დაე-
ლიათ, ნაბელლაევის ბოთლები იატაკზე
უწესრიგოდ ეყარა. ორკენსტრატებმა
დაკვრა შეწყვიტეს, რესტორანში ღომი
შემოვიდა.

— ა, ჰაიტ!.. — დაიდრიალა. ოფი-
ციანტები მიესივნენ.

— ერთი გობი ბურახი! — თქვა და
ორკენსტრანტებს შეხედა. ორკენსტრან-
ტებმა დაკვრა დაიწყეს. ღომი მაგი-
დაზე ჩამოვდა, ყური მიუვდო მუსიკას,
ჩაფიქრდა.

— ინებეთ, — მოართვეს ოფიცია-
ნტებმა გობი ბურახით პირთამდე გავსე-
ბული.

— შეხეთ ხალხნო! ერთი გობი ბურა-
ხი!.. — დაიყვირა ვილაყამ. ღომი წა-
მოდგა.

— ამ სასმისით ყველას გაგიმარჯოთ,
ყველას.

მიიყუდა, გასუსულნი მიაჩერდნენ
ყველანი.

— ესეც ასე!.. — თქვა და დაცლილი
გობი, თავზე გადაივდო. — გინახივართ
ალბათ ცირკში თუ როგორ ვხტივარ
აღმოდებულ რგოლში.

— „გვინახიხართ, გვინახიხართ!“ —
გაისმა აქეთ-იქიდან.

— თუ გინახივართ, ძალიან კარგი.
ყველას ვთხოვ რესტორნის ეზოში გა-
მობრძანდეთ. დანარჩენს იქ გეტყ-
ვით. სწრაფად!

— ყველანი კარებს მიაწყდნენ, რეს-
ტორანში კაციც არ დარჩა. ხოლო კაყა
დასჩერებოდა მაგიდაზე უწესრიგოდ
დაყრილ ხორავს.

— მოიტათ გოდორი და ერთი ბოთ-
ლი ნავთი. — გასცა ბრძანება ლომმა.

ოფიციანტები სამზარეულოში შეე-
ვიდნენ. სწრაფად გამოუბრუნენეს გო-
დორი და ნავთი. ლომმა გოდორს ნავთი
დაასხა და მერე ასანთი გაჰკრა, ცეცხლი
ავარდა.

— აბა, ვის გინდათ ფულები!.. სიმ-
დიდრე... მანახეთ თქვენი გულადობა!
ვინც ამ ცეცხლმოდებულ გოდორს თავ-
სა ჰკრავს და მეორე მხარეს გაძვრება
შემისრულებია მისი ყოველი სურვილი!
არავინ არ იძვროდა. სიჩუმეში მხო-
ლოდ ცეცხლმოდებული გოდორი ტკა-
ცუნობდა.

— ხომ დაიჯერეთ, — დაიბუხუნა
ლომმა, — ასეთი რამ, მხოლოდ უძ-
ლიერესთ, მხოლოდ ლომებს შეუძ-
ლიათ! თქვენ კი ტყუილად როდი გაჩნ-
დით კურდღლებად, ციყვებად, მგლე-
ბად და მელიებად. მხოლოდ ლომებს,
დიახ, ლომებს შეუძლიათ, ასეთი საგმი-
რო საქმეების ჩადენა.

— მე გაძვრები! — გაისმა ხმა. ყვე-
ლამ ერთბაშად იქეთ გაიხედა. მათ წინ
სახეგასიებული ბაჰია იდგა, — მხოლოდ
სიტყვა, სიტყვა იყოს! — თქვა კაყამ და
გოდორს გახედა. გოდორი ცეცხლის
აღში გიხვივებდა.

მართაზ ჩახავა
აპაზ ბაჰია



— შენ? — ლომმა გაკვირვებით გახედა, — განა არ გეშინია, ამ აღმოღებულ გოდრისა, რომ ვერ შესძლო ძირის გაგლეჯა?!

— ნუ მაშინებთ, მთავარია სიტყვას არ გადახვიდეთ. ერთი თხოვნა უნდა შემისრულოთ.

— ლომის სიტყვა სიტყვაა...

— კეთილი! — კიდევ უფრო დააკვირდა კაქა გოდორს.

— დაიწვება, ცოდვია!.. — დაიძახა ვილაკამ.

— რა ძალა გადგას!

— არ მიუშვით, გასულელებულა! — ახლა ვილაკამ დაუსტვინა.

— ყველამ თავის საქმეს მიხედოს — ჩაიბუხუნა ლომმა, — იცოდე, ბაჭია, ჩემს ნიშანზე გამოიქცევი!

კაქამ თავი დაუქნია. გოდორი ცეცხლის ალში ფუთფუთებდა.

— წინ! — გაისმა ხმა. კაქა მოწყდა ადგილს. მაყურებელთაგან თითქმის არავინ სუნთქავდა, მხოლოდ კაქას ფეხების თქართქური მოისმოდა.

— ო, ჰა!.. — ერთდროულად დაიხუვლა ყველამ. კაქა ცეცხლის ალში შევარდა. უცაბედ ტაკანზე იქუხა ტაშმა. გარუჯული კაქა ბურთივით გავარდა მეორე მხარეს. ცეცხლმოდებული ერთხანს მოღზე მიგორავდა. მიესივნენ ყოველი მხრიდან.

— წყალი დაასხით, წყალი! — დაიძახა ვილაკამ. მზარეულმა ფანჯრიდან წყლით სასვე ვედრო გამოიწვდინა. სწრაფად დაასხეს კაქას. გარუჯული და შეტრუსული კაქა არ იძვროდა. ვილაკამ ფეხით გადმოაბრუნა, მუცელი ერთიანად გაცვითლებოდა, გამოიხედა, წყალი წურწურით ჩასდიოდა ჩაშუბებულ თვალის უბებში. ესმოდა ყაყანი. სახეებს კი ვერ არჩევდა.

— დაიწით, თავზე ნუ დაადგებით! — ლომის ბრძანებაზე წრე გაირღვა. კაქამ წამოიწია, მერე ბარბაცით წამოდგა და ლომის წინ ქუსლებზე შედგა.

— გისმენ! — თქვა ლომმა, — შენი სიტყვა წამსვე ასრულდება. ბრძანე! კაქას თვალებზე ცრემლი მოაწვა.

— როგორც იქნა!.. — წაილურჯო და ლომს მიაჩერდა.

— მილიონის პატრონი გახდა! — დაიძახა ვილაკამ.

— ბედიც ამას ჰქვია!

— გაქკაცია, გაქკაცი!

— გაკეთდა!.. — გაისმოდა ყოველის მხრიდან.

ლომმა თავი ასწია.

— ჰო, გისმენ!

— დღეის აქეთ, ჩემი მამა იქნები! — თქვა კაქამ ისე რომ ლომისათვის თვალეზი არ მოუშორებია.

— მე, შენი მამა? — ლომს ხარხარი აუტყდა. — განა შეიძლება ბაჭიას მამა ლომი იყოს?!

ხალხში ჩურჩული გაისმა. ვილაკამ დაუსტვინა. კაქა თვალეზში მისჩერებოდა ლომს. მოეჩვენა, თითქოს ლომმა შიგ თვალეზში ჩაისვა.

— შეიძლება! — ხმამალა თქვა კაქამ.

— ხალხნო, გაივით? თურმე ჩემი შვილი კურდღელი ყოფილა, კურდღელი!.. — ამ სიტყვებზე შეიქნა ერთი ხარხარი.

— ესე იგი, გატეხეთ სიტყვა! — თვალეზი ამოატრიალა კაქამ, — ესე იგი, გრცხენიათ ჩემი მამობის, რადგან ასეთი პატარა ვარ, არა? განა შენზე ნაკლები შემიძლია რამე. დმერთს რომ ჩემთვის შენი ნახევარი ტანი მოეცა, განახვებდი, როგორი უნდა ყოფილიყო ნამდვილი ლომი.

— ჰო, კარგი, სხვა რამე მთხოვე, გინდა ფული, ერთი სიტყვით რაც გინდა!.. კარგი, თუ კაცი ხარ!.. ხალხნო! — ლომი მერხზე შეხტა, — ჩემს ანგარიშზე გაბატყებთ ყველას!.. მუსიკა! — დაიღრიალა. გაისმა დაფდაფების ხმა. გაივსო ჭიქები სასამისებით. შეიქმნა ერთი ღრიანცელი და მთვრალეულთა ღიღინი.

კაქა გარეთ გამოვიდა. ფეხის გულეზი ეწვოდა. მთელი ტანი უხურდა. ნათურას შუქზე წყლის წვეთები სახეზე აქაიქ უციმციმებდა. რესტორნიდან კი

ისევე და ისევე მოისმოდა ლომის ღრიალი და მხეცების შერეული ჭაჭყანი.

სადგურში

გვიანი ღამე იყო. ბაქანზე სიჩუმე იწვა, ელექტროანძახე გამოკიდებული ნათურები მკრთალად ანათებდა. ლაპლაბებდა ლიანდაგი.

მოშორებით, მებისრის ფარდულთან, სამკუთხა წითელი ფარანი ენთო. შორიდან ორთქლმავლის კივილი მოისმა. ფარდულიდან ციყვი გამოვიდა და შლაგაბუმი გადაკეტა. საელმავლო დეპოდან ისევე და ისევე მოისმოდა ორთქლმავლის ქშენა და ბორბლების რახარახი. ნიავს მახუთისა და დამწვრის სუნნი მოჰქონდა.

ახლა მორიგე შიმპანზე გამოვიდა სადგურიდან. გამოსასვლელში შედგა; გაიზმორა, დაამთქნარა და მერე ზარისაკენ გვემართა. სამჯერ ჩამოჰკრა, ზარის ხმაზე მესამე ლიანდაგზე მდგარი სატვირთო მატარებელი შეჯანჯღარდა; აჯაჯგურდნენ ვაგონები.

ხმაურზე მერხზე ვაწოლილმა ბაჭიამ მხარი იცვალა. მორიგემ თვალი ჰკიდა და ფეხაკრეფით იქითკენ გაემართა. ჩუმად წამოადგა თავზე. ბაჭია არ განძრეულა, ხვრინავდა.

— შენ, ეი!.. გესმის?! — მორიგე შიმპანზემ ჯიბიდან სასტვენნი ამოიღო. მოკუნტული ბაჭია ჯერ შეინძრა, მერე გადმობრუნდა და თვალები ზანტად გაახილა. მორიგე ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა ერთიანად შეტრუსულ და სახედასიებულ ბაჭიას.

— რას აკეთებ აქ?!

— არაფერს, მინდა ღამე გავათიო, — ოდნავ გაღებული პირიდან ძლივს გამოსცრა ბაჭიამ.

— ღმერთო!.. ესე იგი უსახლკარო ხარ, მაწანწალა, არა?!

მორიგემ სასტვენნი პირში იტაცა. სტვენის ხმაზე პოლიციელი დათუნებები სადგურის შენობიდან გამოძუნძულდნენ. მათაც იტაცეს პირში სასტვენნი და ერთი ქოთქოთი ატეხეს. კაჟა სწრაფად

გადმოხტა მერხიდან და სკვერისაკენ გაიქცა.

— აქეთ, აქეთ!.. — მორიგე შიმპანზე ხელების ქნევით მოუხმობდა პოლიციელ დათუნებებს და სკვერისაკენ ანიშნებდა. ახლა დათუნები შევარდნენ სკვერში. მერე მხრიდან კაჟა გამოხტა და ლიანდაგს აედევნა. მერხზე შემხტარმა შიმპანზემ ყიყინა დასცა. დათუნები სკვერიდან ძუნძულით გამოცვივდნენ. პირველ ლიანდაგზე სატვირთო მატარებელი გამოჩნდა. იგი რახარახით უახლოვდებოდა კაჟას. ჰირში სასტვენგაჩრილი და ლოყებდაბერილი დათუნებიც მიწას არ ადგამდნენ ფეხს, ისე გამორბოდნენ. — არ გაუშვათ, ეგ მაწანწალა, არ გაუშვათ!.. — ხტუნაობდა მერხზე შემხტარი მაიმუნი. ის იყო ვაგონებმა გვერდით კაკან-კაკანით ჩაიქროლეს, რომ კაჟა ქარივით მოწყდა ადგილს და მადლა შეფრინდა. პირდაღებული დათუნები ერთმანეთის გვერდით შედგნენ. სახელურზე ჩაფრენილ ბაჭიას გრუხუნ-გრუხუნით მიაქანებდნენ ურა ცხენებვით აწყვეტილი ვაგონები.

ხანძარი

— არიქა, ხალხნო! ხანძარია, ხანძარი!..

ხუთსართულიანი შენობის წინ, ქუჩის კუთხეში შეიქნა ერთი წივილ-კივილი. სახურავს უკვე კვამლი ასდიოდა. ცხოველები ფანჯრებიდან შეკრულ ფუთებს ჰყრიდნენ.

— წყალი, ხალხნო, წყალი!..

— სახანძროს დაურეკეთ, სახანძროს!..

— დავიღუპეთ, დროზე თუ არ ვუშველეთ, შეიძლება ცეცხლი გვერდითა შენობებს მოედოს. დაიწვა მთელი ქალაქი!..

— არიქა, ქალაქი დაიწვება!..

მურთაჲ ჩახაზა
კაჟა ბაზია



შენობის ქვეშ ტევა არ იყო. ერთმანეთში ირეოდნენ ვეფხვები, მგლები, მელიები, ლომები, ჟირაფები, ბეჭემოთები. ვილაცხებმა კიბე მოარბენინეს და შენობას მიადგეს.

— აბა, ახლა მაინც რომელი ხართ გულადი, დროზე! ჩქარა!

— არავინ იძროდა, სახურავს კი კვამლი ისევ ასდიოდა.

— სადაცაა სახანძროც მოვა! — აუჩქარებლად დაიძახა ვილაცამ.

— მაგათ მოსვლამდე ნახევარი ქალაქი გადაიწვება, ნუთუ არც ერთს არ გებრალემათ თქვენი ქალაქი!

უცებ, წრე თეთრმა, გრძელწვერა თხამ გაარღვია და პეტელით კიბისაკენ გაიქცა. ყველანი გაისუსნენ. არც კი შეჩერებულა თხა, შორიდანვე შეახტა კიბეს და რამდენიმე საფეხური სწრაფად აირბინა. უცებ უკანა ფეხი დაუსხლტამალიდან თავდაყირა გადმოეშვა და პირდაპირ კირიან კასრში დგაფანი მოადინა. მისცვიდნენ, კირში ამოვლებული თხა ძლივძლივობით ამოათრიეს კასრიდან. შეიქნა ერთი სიცილ-ხორხოცი. თხას კირიანი წყალი წვერებიდან წურწურით ჩამოსდიოდა, ფართოდ გახელილი თვალების მეტი არა უჩანდა რა. გრძელ წამწამებზე კირის ნალექი დასდებოდა.

უცებ საიდანღაც ელვის სისწრაფით გამოვარდა კაქა. ფეხი არ დაუკრავს კიბის საფეხურზე, წამსვე სახურავზე მოექცა.

ბაჭიას დანახვზე ყველამ გაიოცა.

— რას უდგებხართ, წყალი, წყალი მომაწოდეთ!

— არცერთ ონკანში წყალი არ მოდის! — დაიძახა ვილაცამ.

— დავილუბეთ, დავილუბეთ!..

უცბად ხიხინზე ყველამ ერთბაშად მოიხედა. ბეჭემოთმა უზომოდ დააღო პირი.

— არიქა, ვედრო, ვედრო, წყალს გვაძლევს ოჯახაშენებულის!

— ჟირაფმა თავისი გრძელი კისერი ყვე-

ლას გადაატარა და მოსახვევში ბულ ვედროს დასწვდა კბილებით.

ბეჭემოთის ღია პირიდან წყალმა იფეთქა. ჟირაფმა სწრაფად შეუშვირა ვედრო; წამი და პირთანვე გავსებული მალლა აღმართა, კაქამ სწრაფად გამოსტაცა პირიდან ვედრო და შიგ ბუხარში ჩაასხა.

— ეგრე, ეგრე!..

— ყოჩად ბაჭია! ყოჩად! — გაისმა ყოველის მხრიდან გამამხნევებელი შეძახილები.

— ბეჭემოთი ერთიმეორეზე ავსებდა გამოწვდილ ვედროებს და თან ხიხინებდა. ჟირაფი კი იღერებდა თავის მაღალ კისერს, წყლით სავსე ვედროს წამდაუწუმ აწვდიდა კაქას. ციბრუტივით ტრიალებდა კაქაც.

— ხალხნო, ცეცხლი ჩაქრა! ცეცხლა ჩაქრა!..

გაუწწული კაქა კიბეზე დაეშვა.

— ყოჩად, ყოჩად ბაჭია! — რამოდენიმე ტაში შემოჰკრა.

შორიდან სახანძრო მანქანების ზარების წკრიალის ხმა მოისმა.

— მოდიან, მოდიან! — დაიძახა ვილაცამ.

— სულზე მოგვისწრეს!..

— დაანებე თავი. მაგათი იმედით!.. მოსახვევში დაფეთებული შემოვარდნენ სახანძრო მანქანები. იქვე ერთმანეთის გვერდით დაამუხრუჭეს. მეხანძრე კულბუთქა ციყვები სწრაფად გამოცვიდნენ მანქანებიდან და რეზინის მილები ჩახრახნეს. მერე ერთდროულად ჩაჰბერეს მანქანებმაც. მოტორების გუგუნში არაფერი ისმოდა. ვილაცამ ხმამალლა დაუსტვინა. დაბნეული და დამფრთხალი ციყვები წინ და უკან დახტოდნენ. სირენის ხმაზე მილებიდან წყლის ჭავლმა იფეთქა. რამდენიმეს მილი ხელიდან გაუსხლტა. წყლის შეხეფები გარშემო მიმოიფრქვა. დამფრთხალი ხალხი აქეთ-იქით მიაწყდა.

კაქამ მხრიდან ჩემოდანი გადმოიღო და კენგურუს ფეხებთან დადგა. კენგურუმ ქოლგით მზე მოიჩრდილა, ხელჩანთა გახსნა.

— ინებეთ! — გაუწოდა ფული. კაქა ფული დააჩერდა.

— გეცოტავა, ყმაწვილო? — დაკეტა ხელჩანთა კენგურუმ.

— გმადლობთ, — თავი დაუქნია კაქამ და ტროტუარს აუყვა. კენგურუმ ერთხანს უყურა ქუსლებზე მოსიარულე ბაჭისა და მერე თავი გაიქნია.

ქალაქის ქუჩებში დღეს ისე ცხელოდა, როგორც არასდროს. ტროტუარებზე ტევა არ იყო.

კაქა საფუნთუშესთან შეჩერდა. ღია კარებიდან რამოდენიმე ერთდროულად გამოვიდა. ერთმა მხარი გაპკრა — კაქა წაბორძიკდა. ერთბაშად მიაქციეს ყურადღება. ტკივილისაგან მხრებში მოხრილს სახე დაღმეჭოდა.

— ნუ გაჩერდებით გამოსასვლელში!..

კაქამ პასუხის გაცემაც კი ვერ მოასწრო, ხალხის ნაკადმა პირდაპირ საფუნთუშეში შეაგდო.

ხილგამოყოლებით, ტროტუარზე წელა მოაბიჯებდა კაქა. ორივე ხელში ერთი დიდი ფუნთუშა ეჭირა და უხასიათოდ ილუკებოდა. უცაბედ კვილზე გამვლელ-გამომვლელი ხიდის მოაჯირს მიაწყდა.

— კაცი გადავარდა! — დაიყვირა ვილაცამ. კაქამ მოაჯირიდან გადაიხედა, წყლის ზედაპირზე ფაფანაკი ტივტივებდა.

— დაიხრჩო კაცი!..

— დედა, დედა!.. — ატკარცალდნენ ქათმები, აყუტყუტდნენ ინდაურები.

— წაიღო წყალმა, უშველეთ!..

არავინ არ იძვროდა. მერე წყალწაღებულს ნაპირ-ნაპირ აედევნენ. წყალწაღებული ხან ჩაიყურყუმელაგებდა, ხან კიდევ ზედაპირზე აფართხალდებოდა.

— დაიხრჩობა. მეორედ ამოაგდო წყალმა! — დაიყვირა მაიმუნმა. ცნობისმოყვარე ცხოველები ერთმანეთს

ანიშნებდნენ ხან მოტივტივე ფაფანაკზე ხან კიდევ წყალწაღებულზე.

— რაც მართალი მართალია, ძნელია ახლა ამ ადიდებულ მდინარეში მაგის შეეღა.

— გადახტით, რას უყურებთ, დაიხრჩობა!.. — ქოთქოთებდნენ ქათმები.

უცებ საიდანღაც გამოვარდა გრძელწვერა თხა და ნაპირიდან ისკუპა. წყალში ბათქანი მოადინა. წამი და ჩაიძირა.

— არიქა, ცურვა არ სცოდნია, დაიხრჩობა! — დაიყვირა ძროხამ.

ყველანი მღვრიე წყალს დააჩერდნენ. სიღრმიდან თანდათან ამოიზიდა თხა და ახლა მთელი ტანით ამოვარდა მალა. ვიღაც რქაზე წვდა და ნაპირისაკენ დაითრია. რამოდენიმე კუდზე ჩააფრინდა, ერთიანი ძალით ამოსწიეს. თვალებგადმოკარკლული თხა ნაპირზე დააწვინეს. გაბრუებულმა რაღაცის თქმა დააპირა. პირიდან წყალმა გადმოხეთქა. მერე თვალები ამოატრიალა და რამდენჯერმე უღონოდ დაიკიციანა.

— ცურვა თუ არ იცოდი, სად ხტებოდი, შე მართლა თხა! — გაუჭავრდა მაიმუნი. თხას პასუხი არ გაუცია, ქლოშინობდა.

წყლის დგაფანზე ყველამ თვალები დააჭყიტა. წამი და ზედაპირზე ბაჭია ამოტივტივდა. ელვის სისწრაფით მოუსვა მხარული.

— მიუსწრებს თუ არა!..

— თუ ვერ მიუსწრო, გათავდა! — დაიძახა ვილაცამ.

კაქამ ჩაიყურყუმელავა.

„უპა!.. — ერთბაშად იხუვლა დიდპატარამ, როცა იგი წყალწაღებულიანად მალა ამოვარდა. კისერმოფამფალებულ, გაძვალტყავებულ მელიას კაქა ყურში ჩაფრენოდა.

„იანდულ-ბულბულ-პარაბულ?“ —

უფრო მალა ამოუწია თავი და დააკვირდა. მელია არ სუნთქავდა. „ბედშავი იანდული“... — კაქა მარცხნივ ამო-

მუთათა ჩახაპა
კაქა ბაპია



ტრიალდა და ახლა გვერდით იწყო ცურვა, ჩოჩქოლი მიწყდა.

— შეხეთ, შეხეთ ამ ბაჭიას!..

— ეგ ვინა ყოფილა!

— ვაჟკაცია, ნამდვილი ვაჟკაცი!..

— ბაჭიას ვაუშარჯოს! — გაისმა აქეთ-იქიდან მოძახილები. კაჟა ღონივრად ჩაბრუნდა კისერში. თვალდახუჭულ მელიას კისერი მოღრეცოდა, ცხვირი კი მალლა ჰქონდა აშვერილი. ძლიერს მოაბორწიალებდა კაჟა.

შორიდან პოლიციის მანქანის ხმა მოისმა. ახლა ყველამ იქით გაიხედა. ის იყო ნაპირს მომდგარი კაჟა და მელია ამოათრიეს კიდევ, რომ მანქანებიც იმავე ადგილზე გაქვავდნენ.

ხელჯოხებით შეიარაღებულმა პოლიციელებმა ხალხის ჯგროს ალყა შემოარტყეს.

— რაშია საქმე?..

ორი პილიციელი გამოიქცა და კაჟას აქეთ-იქიდან ხელი სტაცეს.

— რა გინდათ მაგასთან! — დაიღრიალა მარტორქამ.

— შენ შენს საქმეს მოუარე! — პოლიციელი დათუნია მერე კაჟას მიუბრუნდა.

— თქვენ დაკავებული ხართ.

— რა გინდათ ჩემგან? — კაჟამ თავი მალლა ასწია. სახეგასიებულსა და შეტრუსულს წურწურით ჩამოსდიოდა წყალი. დანარჩენებმა პოლიციელებმაც კაჟას გარშემო მოიყარეს თავი.

— დიას, თქვენ დაკავებული ხართ! — თქვა გამხდარმა პოლიციელმა, რომელსაც ხელზე ცისფერი ბაფთა ეკეთა.

— რა დაშავა, ხომ ხედავთ, კაცი დახრჩობას გადაარჩინა. ამისათვის იჭერთ? — წამოაყრანტალა ვირმა და ყურები შეაბარტყუნა.

— ხალხნო!.. ხმა აღიმაღლა ცისფერბაფთიანმა პოლიციელმა, სამი დღეა ამ მაწანწალას დასაჭერად დავდევთ. საღვთოში ეძინა. უპატრონოა, გაიგეთ?

— არაფერიც!.. — ასლუკუნდა კაჟა.

— ჩვენ მოვალენი ვართ, — განაგრძო ცისფერბაფთიანმა, — უპატრონო,

მაწანწალები დავიჭიროთ და ჩავსვათ.

— მყავს ბატონო, პატრონი! დიას მყავს! — ახლა მეტად ატირდა კაჟა.

— ვინ გყავს, ბიჭო?

— მამა მყავს, ბატონო!

— მამა ყოლია, რა გინდა ძმაო, — კული აიქნია მაიმუნმა. ხალხში ერთი მითქმა-მოთქმა შეიქნა.

— მამა მყავსო ამბობ, არა? კეთილი, გესმით ხალხნო, მამა მყავსო ამბობს: აბა, ერთი რომელი ხართ ამისი მამა დაგვენახეთ!

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჰო, დაგვენახეთ რომელი ხართ მამა, თორემ წაიფყვანთ ახლა და ციხეში ჩავალბობთ.

— მეე!.. — გაისმა თხის პეტელი. ახლა ყველამ იქითკენ გაიხედა. გრძელწვერა თხა ხალხის ჯგროდან ბანცალბანცალით გამოვიდა და პოლიციელების წინ შედგა.

— მე! — გაიმეორა კვლავ.

— მერე, შე რჯახაშენებულო, შვილს პატრონობა უნდა. მოკიდე ხელი და უპატრონე! — პოლიციელი ახლა კაჟას მიუბრუნდა — თუ კიდევ დაგინახე, რომ საღვთოში დაწანწალებ, მორჩა, მერე პატრონიც ვერ გიშველის. ახლა მიპატიებია.

კაჟამ ცრემლები ამოიწმინდა.

— წადი ახლა! — უბიძგა პოლიციელმა.

— წამოდი, ბიჭო, აქეთ! — თხამ კაჟას თავით ანიშნა, კაჟა აედგნა.

— აბა, დაიშალენით, ჩქარა! — პოლიციელებმა ხელჯოხები აიქნიეს. ხალხი ყოველი კუთხით გაიფანტა.

— შეჩერდით! შეჩერდით! — გაისმა საშინელი ყვირილი. მანქანებში ნახევრად ჩამსხდარი პოლიციელები გაშემდნენ. გაშმაგებული მიარღვევდა წრეს წითურ-წითური კატა. იგი დაფეთებული მოიჭრა პოლიციელების მანქანასთან და ხელი თხისკენ გაიშვირა.

— გესმით! ეგ თხა ტყუის! ტყუის! შვილი არა ჰყავს, იცრუა. ერთი ჰყავდა

და ისიც მგელმა შეუჭამა! დიახ, მიიღეთ ზომები!..

უველამ ერთბაშად ქუჩაში მიმავალ თხასა და ბაჭიას შეხედა.

მათ თითქოს არაფერი გაუგიათ, დინჯად მიაბიჯებდნენ ერთმანეთის გვერდით. მერე, უცებ, ელვის სისწრაფით მოსწყუნენ ადგილს და მოსახვევს მიეფარნენ.

ერთდროულად დაქოქეს პოლიციელებმა მანქანები, ერთდროულად შემობრუნეს მოედანზე ბორბლების დრეკალით და შურდულივით გაგარდნენ წინ.

ქუჩაში მანქანების კვამლი დადგა. სირენის ხმა თანდათან მიწყდა.

სოფელი

აქა-იქ მდინარის ნაპირზე თეთრი რიყის ქვები ეყარა. კაჟა ლოდზე პირადმა იწვა და შეტრუსულ მუცელზე მრავალძარღვას ფოთლებს იდებდა. გრძელწვერა მდინარიდან ამოვიდა და კაჟას გვერდით მოლზე გაწვა.

— თქვენი სახელი? — კაჟამ კიდევ ერთხელ დაფერთხა მრავალძარღვას ფოთოლი.

— ბელიამინი, — ქვემოდან ამოხედა, — ბელიამინ ბეს მეძახიან. თქვენ?

— მე, კაჟას, — კაჟამ ხელები გაშალა და თავქვეშ ამოიღო.

— აი, ჩემი სოფელი!..

— ლამაზია ძალიან. — ბელიამინმა თავი წამოსწია.

მალლიდან დაშვებული მდინარე აქ ფერდობზე ტყდებოდა. მერე ხმაურით წვებოდა გრძელსა და განიერ ვაკეზე.

— კიდევ კარგად დაუძვერით იმ ავაზაკებს. — კაჟა ცას მიაჩერდა.

— მართლაც და საოცრებით გადავრჩით.

— თქვენ მაშინ შვილი ახსენეთ...

ბელიამინ ბემ თვალები დახუჭა და თავი მწვანე მოლზე ფრთხილად დადო.

— შვილი მყავდა, კა, დედა აღრე გარდაეცვალა, ცელქი იყო, ძალიან დაუდგრომელი. მე ვუყვარდი, მეც ძლიერ

მიყვარდა, მერე ერთ დღეს სახლიდან გავიდა და...

— რა იცი იქნებ!.. — კაჟამ თავი წამოსწია.

— ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, და არ ვიცი, რა უბედურება ტრიალებს ჩემს თავზე. სულ პატარა იყო და ამიტომ მეცოდება ძალიან...

— რას იზამ, თავზემოდ ძალა არაა. — კაჟამ ხელი აიქნია.

— იგი იყო ჩემი სიცოცხლე და ტორამ შემეჭამა მგონი.

— არა, ტურა ვერ შეჭამდა.

— სულ ერთია. მე მაინც დავდივარ და დავეძებ. ყველა დაჩაგრული და უმწეო ჩემი შვილი მგონია. მინდა მეგობრული ხელი გავუწოდო. განსაცდელი-საგან ვიხსნა. საერთოდ, სიკეთე მინდა ქვეყანაზე და დამცინიან.

— თქვენ ძალიან კეთილი ხართ, ბელიამინ ბე. ღმერთმა შეგვახვედრა ერთმანეთს. იცოდეთ სირცხვილს არ გაუმეტ. მე ვიქნები ის შენი დაკარგული შვილი. შენი შვილიც ჩემსავით პატარა იქნებოდა, ალბათ.

— კაჟა, შენსავით პატარა იყო ისიც!..

— მე ყველაფერი გავაკეთე, რათა ღირსეული პატრონი მეშოვა. დამაკვირდი რას გვაგავარ?

— ვიცი, ჯამბაზობაც ვნახე შენი, ხანძრის ჩაქრობაც, ადიდებულ მდინარეში კაცის გადარჩენაც, ცეცხლწაქილებული გოდორიც და რომ იცოდე, ყველაფერმა ამან გამოვინიანა პატრონი. მე შენი ვაჟკაცობა და გამბედაობა მომეწონა. ამ ქვეყანაზე შენც ეძებ, კაჟა და მეც მოგიკვდეს ჩემი თავი! მე მამა და შენ შვილი!

კაჟა და ბელიამინ ზა სოფელში

— შეხეთ, ხალხნო, შეხეთ!..

მალლობზე გადმომდგარი კურდღლები ერთმანეთს ანიშნებდნენ შორიდან მომავალ თხასა და ბაჭიაზე. მთელი

შურთაჲ ჩახხაჲ
კაჟა ბაშია

კურდღლევი გარეთ გამოფენილიყო.

— ვინ უნდა იყვნენ, ნეტავ?

— სამტროდ მოდიან თუ სამოყვროდ?!

— სამტროდ რომ მოდიოდნენ, ასე შუაგზით არ გვეახლებოდნენ. — თქვა წვინტლას მამამ.

— კაცი არ ვიყო, თუ ესენი ავი სულები არ არიან!

„ავი სულებიო!“ — ერთბაშად გაიოცეს.

თხამ, რომ გორაკზე გამოფენილ კურდღლებს მოჰკრა თვალი, კაჟას რაღაც გადაულაპარაკა და შემდეგ ამაყად ასწია თავი.

— წვერებიანია! — დაიძახა ვილცამ.

— რქები ხალხნო, რქები! — კურდღლები ახლა სულ თვალზედ გადაიქცნენ.

— სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ყველანი სახლებში, ჩქარა! — ეს კიკო პაპას ბრძანება იყო. ყველანი უხმაუროდ შეიძურწნენ სახლებში.

გორაკზე პირველად გრძელწვერა თხა ამოვიდა. უკან ბაჭია ამოჰყვა. მთელი გორაკი დაცლილი იყო. ჩამიჩუმი არ ისმოდა. გრძელწვერამ და ბაჭიამ ერთმანეთს შეხედეს. კორტოხებზე, აქაიქ, კურდღლების ფერადი სახლები იყო შეფენილი. ღრიჭოდ დატოვებულ კარებიდან მამაცი კურდღლები ცალი თვალით იჭყიტებოდნენ.

— გამოდით. ნუ გეშინიათ, კაჟა ვარ, კაჟა ვარ-მეთქი!

აჭრიჭინდა ღრიჭოდ დატოვებული კარები, გამოეფინენ ყოველის მხრიდან. შორიახლოს შედგნენ და თვალიერება დაუწყეს გრძელწვერას და ბურთივით გასიებულ ბაჭიას.

— ეგ რა მოგსვლია, ბიჭო, როგორ გატრუსულხარ და დასიებულხარ.— ყავარჯნით ხელში გამოცალკევდა კიკო პაპა.

— იქნებ ზოგიერთს ეგონა არ დაებრუნდებოდი. ან კიდევ მართლაც უპატრონო ვიყავი .აი, მამაჩემი, გაიცანით! — კაჟამ გრძელწვერასაკენ გაიშვირა ხედა.

— თხა!.. — გაიოცეს ერთბაშად.

— დიახ, თხა, სწორედ ეგ არის ჩემი მამა.

თხის ხსენებაზე გრძელწვერამ კისერი მალლა აიშვირა და ენით თუთის ტოტი მოიწვდინა. კაჟამ ქვემოდან ამოხედა.

— თქვენი სახელი? — მორიდებით ჩაეკითხა კიკო პაპა.

— ჩემი? — გრძელწვერამ მოწყვეტილი ხეშხეშა თუთის ფოთოლი პირში აახრამუნა, — ჩემი სახელია ბელიამინ ბე, — დღეჭილი ლუკმა გადაყლაპა. მერე ისევ თუთის ხეს ახედა. ბაჭიებს სიცილი წასკდათ. კაჟამ ჩაახველა.

— კეთილი და პატიოსანი. კაჟა, შვილო, ძალიან გაგვახარე შენი დაბრუნებით.

— აწი ვინ გაუბედავს კაჟას რამეს! — ხელი აიქნია ტურტლას მამამ.

— მყოლია თუ არა პატრონი. ვერავინ დამაბრალებს უპატრონობას; რადგან ოჯახი არ მქონდა, ადვილად წამომკრეს ხელი. უპატრონოდ ხმას ვერ გამცემს აწი ვერავინ. მე ჩემი სოფელი მიყვარს.

— ნამდვილად, ჩემო კაჟა. ისეთ სახლს ავიშენებთ, რომ სოფელში მეორე არ იქნეს. ჰოდა, შენ და შენმა მამამ იცხოვრეთ ბედნიერად. მთელი სოფელი დაგეხმარებით!..

— მერე, ამ სახლში სითბო თუ იქნება, სითბო? — იკითხა ბელიამინ ბემ და კიკო პაპას შეხედა, პაპას გაუღიმა.

— სითბოც იქნება, შვილო- მამ, ამ ბუხარში ცეცხლს რომ შეანთებ, განა არ გათბებით?

— კაცო, კი, მაგრამ არაფერში არ წაგეხმაროთ? — წამოიწია ბელიამინ ბე.

— სოფელს რადგან სურს პატივი გცეს. შენც მაღლობა თქვი და დაცადე. ხალხნო, მართალი უნდა ითქვას, ალბათ ყველას როდი გაეხარდა კაჟას დაბრუნება, მაგრამ ჩვენ ხომ გავგეხარდა.

„გავგეხარდა, გავგეხარდა“!.. — აყაყანდნენ კურდღლები და ბაჭიებო.

სახლი ახუნის

— შენ ერთი, ლურსმანი მომაწოდე, — ხოტორამ ჩანთაში ხელი ჩაჰყო და ბლუჯა ლურსმანი ამოიღო. ბუხარზე შემომჯდარმა ოსტატმა კურდღელმა წინსაფარი შეისწორა და ხელში ჩაქუჩი აათამაშა.

— აბა, დასცხეთ, ბიჭებო, დასცხეთ!.. სადილობამდე უნდა გადავხუროთ კიდევაც.

სახურავზე შეცვენილი კურდღლები წამდაუწუმ აკაკუნებდნენ ჩაქუჩებს. ძირს ყავარი ზვინად ეყარა. ერთიმეორეზე ეზიდებოდნენ კურდღლები ყავარს.

— ბელიამინ ბე, ბატონო, ბოდიში და ეს რქები რად გინდა? — ამოუჭდა გვერდით ხოტორა ბაჭია. მერე რქები შეათვალიერა.

— როგორ თუ რად მინდა, — ბელიამინ ბემ თავი აიქნია, — რა ვიცი, რაც მახსოვს სულ თავზე მადგას.

— გიშლის სიარულს? — მარცხნიდან ახლა ქინძა ბაჭია ამოუჭდა.

— თქვენ, ეი, ზღმურტლიანებო, ნუ გაუთამამდით, ნუ შეაწუხებთ კაცი, გაიგეთ?! — კიკო პაპამ ბიჭებს ჯოხი დაუქნია. ბელიამინმა ახლა მზერა პაპას მოაშორა და ქინძაზე გადაიტანა.

— სიარულს რა? ფეხებზე კი არა მაქვს ამოსული.

ბაჭიებს სიცილი წასკდათ.

ფერდობზე სტაფილოებით დატვირთული ბაჭიები ამოვიდნენ.

— აი, აქ დაყარეთ, — კიკო პაპამ ჯოხით ადგილი უჩვენა. ბაჭიებმა დაყარეს.

— კი, მაგრამ ამდენი სტაფილო რად გინდოდათ? — მალლიდან ოსტატმა კურდღელმა გადმოიხედა.

ბელიამინმა სტაფილოების ზეინს გადახედა.

— რაა, კაცი ეს.

— სტაფილოა, სტაფილო! — ქინძამ რამოდენიმე ცალი ბელიამინს გადააწოდა. ბელიამინმა სტაფილო გახიჩნა, მერე ერთი დაიღმიჭა და გადმოაფურთხა.

— რაა, კაცი, ეს?! — კიდეც ერთხელ გადმოაფურთხა. ბაჭიები აკისკისდნენ.

— შეხეთ, შეხეთ, კაცას მამას სტაფილოს ჭამა არ სცოდნია! — დაიყვირა ხოტორა ბაჭიამ. მალლიდან კაცამ გადმოიხედა.

— სტაფილოს არა ჭამს!.. — უჩვენა გახიჩნილი სტაფილო ხოტორამ. ბაჭიები კვლავ აკისკისდნენ. კიკო პაპამ ჯოხი აღმართა.

— თქვე მამაძაღლებო, თქვენა!..

— აბა, დაუღებთ აქედან!.. — რქა აიქნია ბელიამინ ბემ.

ბაჭიები სიცილ-სიცილით ფერდობზე დაეშვნენ.

— ხალხნო! ხალხნო! — აქლომინებული ამოვარდა ფერდობზე ყანყალა ბაჭია. ყველამ ერთბაშად მუშაობა გაწყვიტა.

— ჰო, ამოიღე ხმა! — კიკო პაპა თვალბში მიაჩერდა.

— კაცას ჩამოსვლა მამასახლისს შეუტყვია. იმან კი მგელთან კაცი აფრინა. „მგელთან კაცი აფრინაო?!..“ — გაეშმდნენ კურდღლები.

გამცემი უხიჯარს

ლამის წყვედიადში მხოლოდ მდინარის ხმაური მოისმოდა. ტყეში სინთუმე იწვა. სიბნელეში ხიდის ბოძები ლანდებად მოჩანდნენ.

— ჩუმად, მგონი ხიდზე ვიღაც გამოჩნდა. — თქვა ხეზე გასულმა კაცამ და ტოტი გადასწია. ქვეშ მდგარი კურდღლები ხეს ამოეფარნენ. ფეხის ხმა თანდათან ახლოვდებოდა.

— ტარხუნაა სულწაწყემენილი! — ჩაილაპარაკა ქინძამ, — სიარულზე ვცნობ.

ის იყო ხის ქვეშ გაიარა კიდეც, რომ უცებ მალლიდან ნაბადგადაშლილი გადმოეშვა კაცა. ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო გამვლელმა, უკვე ნაბადში იყო

გახვეული. აქეთ-იქიდან გამოცვიდნენ
კურდღლები და ტარხუნა გაკოქეს.

— არ გაგვექცეს! — თქვა ქინძამ და
ხელები ღონივრად მოუჭირა.

— ნუ შიშობთ, ვერსად წაგვივა! —
კაცამ შეპყრობილს ნაბდიდან თავი გა-
მოუჩინა.

— რა გინდათ ჩემგან! — ძლივს გა-
მოსცრა კბილებიდან. — მე ტარხუნა
ვარ.

— ვიცით ვინცა ბრძანდებით და იმი-
სათვის ვაგოქეთ. თუ სიცოცხლე არ
მოგბეზრებია, ახლავე-თქვი: რა ამბავი
მიუტანე მგელს, ჩვენ ყველაფერი ვი-
ციოთ.

კაცამ კისერში ჩაუჭირა.
— მე არა ვარ დამნაშავე. დამა-
ვალეს.

— გვითხარი, რა ამბავი მიუტანე, რა
თქვა მგელმა. ჩქარა!

— ბელიამინისა და კაცას ჩამოსვლის
ამბავი ვაცნობე. შეწირვის დღეს იმ
ბაჭიებთან ერთად რიგგარეშე უნდა იქ-
ნეს შექმული კაცა და მამამისი. მგელმა
თანხმობა განაცხადა, დავალებას შევას-
რულებო.

— იცოდე, — კაცამ ტარხუნას ხელი
გაუშვა, — სიცოცხლე მიჩუქნია, თუ ამ
ამბავს მამასახლისს ეტყვი, კარგი დღე
არც შენ დავადგება, რადგან საიდუმლო
გაეცი. ახლა კი წადი. წადი!

— ნუ გაუშვებთ, ეგ კიდევ გაგე-
ცემს! — თქვა ქინძამ.

— არა და არა, ღვთის გულისათვის
მე თქვენი მტერი არა ვარ; დღეის შემ-
დეგ მოყვრად მიმიღეთ.

— ჰო, კარგი, წადი!

— ღმერთმა იცოდეს მტერი არა
ვარ!..

ტარხუნა ღამის სიბნელეში გაუჩინარ-
და.

ბელიამინ ბა სიმღერა

— დელი, დელა, დილ ვოდილა.

აბა დელი დელა, დილვოდილა!

პეეე!..

პეეე!..

სიღერ-სიმღერით მიუყვებოდა ბილიკს

ბელიამინ ბე, თან თავს აქეთ-იქით აქი-
ცინებდა. მწვანე ტყით შეფენილი მთე-
ბი თითქოს გარშემო ბრუნავდნენ. სა-
ამოდ მოისმოდა წყაროს ჩუხჩუნი და
ფრინველების სტევნა.

— დელი, დელა, დილ ვოდილა,
აბა დელი-დელა, დილვოდილა!

პეეე!.. პეეე!..

ბუჩქებიდან ბაჭიამ თავი გამოჰყო.

— ფხუქ!.. — ჩაიფხუქუნა და ჩაიმა-
ლა. ბელიამინმა სიმღერა შეწყვიტა.

— პეტელა პეე!.. — გაისმა ბუჩქებ-
ში. ბელიამინმა იქეთ გაიხედა.

— პეტელა პეე იქნება, ერთს დაგი-
ქერთ და!.. — გააქიციანა კული.

— პე-პე!.. — ახლა წინა ბუჩქები აშ-
რიალდა. ბელიამინმა ყურები გააპარ-
ტუნა და გულდაგულ აუყვა, თოკივით
დაგრეხილ ბილიკს.

— ფხუქ!.. — დაფეთებული გამოხტა
ბილიკზე თვალეზად ქცეული ბაჭია და
დაბნეული ზედ მაყვლის ბარდებს მი-
აწყდა. ბელიამინ ბეს სიცილის წასკდა-
ბაჭია თოფნაკრავივით მოწყდა ბარ-
დებს და უკანვე გადახტა.

— პეტელა პეე!..

— პეტელა პეე!..

— პეტელა პე იქნება, ერთს დაგი-
ქერთ და!..

ბილიკი ახლა ტყის შუაგულიდან
ფერდობს აუყვა. თეთრად ქათქათებდა
ყურძნის აკიდოსავით დახუნძლული აკა-
ციის ყვავილები. ნიაგზე ნელა ირხეოდ-
ნენ რქემომდგარი თუთის ფართო,
დაძარღუთი ფოთლები.

თუთის ფოთლების დანახვანზე ბელი-
ამინ ბეს წვერები აუცანცარდა. შედგა,
მიიხეღ-მოიხედა, მერე პირი ააცმა-
ცუნა, წინა ფეხებით ფერდობს მიადგა-
ენა გამოყო და კისერი წაიგრაქელა.

— პე-პეე!.. — ჩაუბრინ-ჩამოურბი-
ნეს ზურგს უკან ბაჭიებმა სიცილ-კისკი-
სით. ბელიამინმა რაღაცის თქმა დაუპი-
რა. ენის წვერიდან ტოტი აუსხლტა,
სიმძიმე იგრძნო. შემობრუნდა. კულზე
დაკიდებული ბაჭია კონწიალობდა და
ფეხებს ჰაერში ასხმარტალებდა.

— თიბტ, შე მამაძაღლო!.. — გად-
მოხტა ფერდობიდან.

ბაჭიები კისკისით გორაკზე აცვივლ-
ნენ.

— ერთიც იქნება დაგიპერო და...
უყურე ამათ?!..

გორაკზე გადმომდგარი ბაჭიები თა-
ვებს აქიციებდნენ.

— პეტელა-პეი!..

— პეტელა-პეი!..

— ჰამასაც არ გაცლიან შეჩვენებუ-
ლები! — გაიქნია კული ბელიამინმა და
ბილიკს აუყვა.

წყალდიდობა

გადაუღებლად წვიმდა. აღიდებული
მდინარე ახლა ნაპირებს გადმოველო,
ფარდობები უამრავ ნაკადებად და ჩან-
ჩქერებად დაიღარა. ღამის სიბნელეში
დამფრთხალი და ნახევრად მძინარე
კურდღლების წივილ-კივილი მოისმო-
და...

— აუუუ!.. ხალხნო, წყალმა ქვეყანა
წაიღო, გაიღვიძეთ!..

— არიქა!..

— ბავშვებს მიხედეთ!..

— წყალმა წაიღო, უშველეთ!..

— აქეთ, ჩემსკენ, ჩემსკენ!.. — გაპ-
ყვროდა მთელის ხმით ბელიამინ ბე-
კაყა ბელიამინის ზურგზე გადაკიდებულ
გიდელებში ერთიმეორეზე სვამდა ბა-
ჭიებს. შეშინებული ბაჭიები ტიროდნენ,
ძაგაგებდნენ.

— ნუ ტირით, ბიძიკონებო, ნუ-
რაფრის გეშინიათ, აგერაა თქვენი ბე-
ლიამინ ბე!... პე!.. — მთელის ხმით გაპ-
ყვროდა ბელიამინ ბე და მალღობისა-
კენ მიიწევდა. გიდელებში ერთმანეთზე
დაყრილი ბაჭიები სხმარტალებდნენ.

— გორაკზე, ყველანი გორაკზე! —
ეს კაყას ხმა იყო. იგი ციბრუტივით
ტრიალებდა. წყალწაღებულ ბაჭიებს
იპერდა და ხეზე სვამდა. — დაშინებუ-
ლი ბაჭიები ღონივრად ეკიდებოდნენ
ტოტებს.

— გორაკზე, გორაკზე!..

დიდ-პატარა გორაკისაკენ მიიწევდა.
ვინ იცის ბელიამინ ბეს მერამდენედ

გადაჰყავდა ბაჭიები. წვიმამ თანდათან
გადაიღო. წყალმაც იკლო.

ბაპიივი შეჩვივნიან ბელიამინს

— ნუ ცქმუტავთ, თორემ ყველას
ძირს გადმოგყრით.

ბელიამინ ბემ ზურგზე შემჯდარ ბა-
ჭიებს ამოხედა. ბაჭიებს ერთმანეთის-
თვის წელზე მოეხვიათ ხელები.

— ბელიამინ ბე, გაიქეცი, რა? —
კისერზე მოეხვია წინა ბაჭია.

— საღ შემიძლია, თქვე მამაძაღლე-
ბო, ამდენი?

„შეგიძლია, შეგიძლია“. — აყაყანდ-
ნენ ერთხმად ბაჭიები.

— შემიძლიაო?! — ბელიამინ ბემ
კისერი მოღრიცა და მალლა აიხედა.

— არ გეშინიათ, რომ გადმოცვივ-
დეთ?

„მიდი რა, ბელიამინ ბე, მიდი!..“

— კეთილი და პატიოსანი. თქვენ მე
ვინა გგონივართ! — ბელიამინი შედ-
გა, თვალები ბუსავით დააბრიალა, გა-
დახტა წინა ფეხებზე და უკან ტლინკე-
ბი აჰყარა, დაიფრუტუნა და ძუნძული
დაიწყო.

— „უფრო ჩქარა, უფრო ჩქარა!..
— აჰყაბინდნენ ბაჭიები. ბელიამინ ბემ
სირბილს უმატა. ბაჭიები ღონივრად
მოუჭიდნენ ერთმანეთს.

„ღეღი, ღელა, ღელი-ღელა!..“

ბელიამინი დოდის ცხენივით თავმო-
წონედ სცემდა წინა ფეხებს და კისერი
წინ ჰქონდა გაშვერილი. ზურგზე გაკ-
რული ბაჭიები, სხმარტალებდნენ, ვერ
ისვენებდნენ.

„ღეღი, ღელა, ღელი-ღელა!..“

ბელიამინი ახლა პეტელით მდინარე-
საკენ გაიქცა. ერთიანად გახალისდა.

— „აჩუ, აჩუ!“ — მდინარეს მიუახ-
ლოვდა თუ არა სირბილს უკლო. ნა-
პირთან შედგა. — აბა, გეყოფათ ახლა,
გადმოხტით!

მშობთაჲ ჩახხვა
აჰუა ბაპიია

— კიდევ რა, კიდევ რა!.. — ბელიამინმა კისერი დაიქნია, დაიფრუტუნა და იქვე ნაპირზე წყალში ჩაწვა.

ბაჭიები ერთმანეთის მიყოლებით გადმოცურდნენ.

— ბიჭებო, ჩვენს ბელიამინს ზურგი დავბანოთ! — დაიძახა ერთმა. ბაჭიები ერთამულთ წყალში ჩაცვივდნენ.

„აბა დელი, დედი-დელა!..“

გაუსვენს და გამოუსვენს ბელიამინს ზურგზე ღორღი და ქვის ნამუსრევი. პეშვით ასხეს წყალი. ერთი რქებზე შეაჯდა და შუბლის ხეხვა დაუწყო. ვილცამ ჩლიქებში ფიჩხი შეუღიტიანა.. ბელიამინ ბემ თვალები ფართოდ გაახილა და შორს ჩამავალ მხეს მიაჩერდა.

— ეჰ, რა ლამაზია მზე!..

ბაჭიებმა ჭყუმბალობას თავი ანებეს და ბელიამინის გვერდით გაწვენენ წყალში.

— რატომ არის მზე ლამაზი? — ჩაეკითხა ბელიამინ ბეს ხოტორა ბაჭია.

— რა ვიცი, მართლაც რატომ არის მზე ასეთი ლამაზი? ალბათ იმიტომ, რომ შორსაა.

— რომ იარო, იარო და არ გაჩერდე, ბოლოს და ბოლოს მიხვალ თუ არა მზესთან?

— სულ ხომ ვერ ივლი, დაიღლები.

— თუ გინდა მზესთან მიხვიდე, სულ უნდა იარო და არ გაჩერდე.

— ხელში თუ აიღებს კაცი?

— კი, დაირსავით აიღებს ხელში, მისვლაა მთავარი.

— არ დაგწვავს?

— ღამე უნდა ახლო ხელი.

— შენ გიყვარს მზე, ბელიამინ?

— მიყვარს, რატომაც არა.

გორაკიდან სტვენა მოისმა.

— გვეძახიან, — თქვა ტურტლამ. ბელიამინ ბე წამოდგა.

— აბა, ჰე, წავედით.

— შეგვისვი მხარზე, რა. — დაეჭყყანა ხოტორა.

— კარგი, გეყოფათ, სად შემიძლია ამდენი.

— ჩვენი ბელიამინ ბე თუ ახლა ტურტლა გადაუხტა წინ.

ბელიამინმა წვერები ააცმაცუნა, მერე ერთი ჩაიფრუტუნა და მიწაზე გაწვა.

ბაჭიები სწრაფად შეაცოცდნენ ზურგზე. მზე ახლა ნახევრად ჩასულიყო. ისევ შრიალებდა ტყე... ბელიამინი ბილიკს აუყვა, ზურგზე შემდგარი ხოტორა ბაჭია ხელეხს იქნევდა. დანარჩენი ბაჭიები ერთმანეთის მიყოლებით ჩამორიგებულნი იყვნენ.

ტყეში ისევ და ისევ ქლურტულებდნენ ფერადი ჩიტები.

ბელიამინ ბე დინჯად აუყვა მწვანეში ჩაფლულ ბილიკს.

თათბირი

— როგორ მოვიქცეთ, ბიჭებო. არ მინდა ჩემი გულისთვის სოფელი ააწიოკონ, თორემ მამასახლისს წიხლებით ჩავექოლავდი. — კაყამ ოთახში გაიარგამოიარა.

ერთმანეთის გვერდით მსხდომი ბაჭიები ხმას არ იღებდნენ.

— ნურავის მოჰკლავთ ღვთის გულისათვის. არ ვუნდივართ, ხეირი ნახონ. ჩვენ კვლავ მოვნახავთ ჩვენს გზას, — თქვა ბელიამინ ბემ და ჰერს ახედა.

— ჩვენი გზა აქ გათავდა! — ანეთო კაყა, — სისხლი და ხორცი გაცყიდე ამისათვის მე!

— კაყა, თქვენი წასვლა აქედან არ იქნება. — მიუბრუნდა ხოტორა კაყას.

— ერთი რამე უნდა გითხრათ, ახალგაზრდებო. მზის გაჩენიდან დღემდე ამგვარ ყოფაშია ჩვენი სოფელი. პატრონი კი არასოდეს გამოსჩენია. ყველა უბედურების მიეზი სოფელში ერთია, თუ ვინმეს ვინმესთვის რამე წაუტომევა, თუ ვინმეს ვინმე მოუკლავს, რამე მოუპარავს, უსამართლოდ მოქცევა, ყველაფრის მიზეზი ერთია მხოლოდ.

— თქვი, კიკო პაპა, თქვი!

— მეგლი, შვილებო, ბატონი მეგლი, აი, მიზეზი!

ბატები შეიშმუნენ. კაჟა იატაკს დააჩერდა.

— მერე ამ მგელთან ჩვენ, კურდღლებმა, რა გავაწყობთ! — ხელები გაშალა კაჟამ.

— ის, რაც თქვენმა მამებმა ვერ გააწყეს.

კაჟა ახლა უფრო მეტად დააშტერდა იატაკს, მერე უცებ შემობრუნდა.

— არის გამოსავალი!

— სოფელი ერთი აზრით სუნთქავს, შვილო, თუ რამ დიდი საქმე გადაგიწყვეტია, მხარში ამოვიდგება ყველა.

— ხაფანგი, ხაფანგი უნდა დავუგოთ მგელს! — კაჟამ თვალელები ააბრიალა.

„ხაფანგი?“ — გაიოცეს ერთხმად.

— დიახ, ხაფანგი!

— მერედა სოფელში ვინ გვეყავს მაგის გამკეთებელი-

— მე, მე გავაკეთებ, კიკო პაპა, მე! — ახლა ყველამ კაჟას შეხედა.

— ეგ მაინც ვისწავლე ქალაქში, თუ რაშიში გამოიადგა.

— აბა, ბიჭებო, ახლა გმართებთ სიყოჩად. უნდა ჩამოიაროთ სოფელი. ვისაც რამდენი სურს შეეწიოს ამ დიდ საქმეს. შეთქმულებას ყველას ნუ გაანდობთ. კაჟა, შვილო, ჩაუდგე საქმეს სათავეში. შენი ჭკუის და ძალის კურდღელი სოფელში არავინ არის. ყველას უყვარხარ, მხარში ამოვიდგებიან.

— გადაწყდა! — წამოიდა კაჟა, ხვალვე შემოვივლით სოფელს. მხოლოდ სანდო ოჯახებს. ზედ კი ბაზრობაზე გავიტანთ ხორაგს.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

სოფლის შამოვლა

— მიანძელო!

— რომელი ხარ!

— გამოგვხედე, ერთი!

ჭიშკარს ბელიამინ ბე, ხოტორა, ქინძა და ყანყალა მისდგომოდნენ. ოჯახის უფროსს გამოსვლა შეაგვიანდა. ბელიამინ ბემ ღობიდან თავი გადაპყო და იქვე ახლო-მახლო მოიბალახა. გამოჩნ-

და თავსაფარწაკრული კურდღელი, ხელში თოხი ეჭირა.

— შემობრძანდით! — მოიპატიჟა კარსმომდგარი სტუმრები და სათითაოდ დააკვირდა, — გაპირვება ხომ არაა რამე?! — ახლა ბელიამინ ბეს მიაჩერდა. ბელიამინმა კისერზე დასეულ ბუზებს რქებით აუქშია.

— უნდა გაგიმხილოთ საიდუმლოება. სოფელმა პირი შეკრა, მგლის ბატონობიდან თავი უნდა დააღწიოს... ხომ არ შეეწეოდით რამით ამ დიდ საქმეს?

ხოტორა თვალელებში მიაჩერდა მასპინძელს. მასპინძელმა თავზე წაკრული თავსაფარი მოიძრო და შუბლი მოიწმინდა, მერე ორივე ხელი ცად აღაპყრო.

— ღმერთო დიდებულო, ოღონდ ჩემს სოფელს ეშველებოდეს და სარჩოს კი არა, სულს მოგცემთ, სულს! აქეთ გამოიხედე ერთი! — გასძახა მასპინძელმა. სახლიდან დიასახლისი კურდღელი გამოვიდა.

— იცოდეთ, ამ ამბავს ყველას როდი ვუშხელთ. თქვენი ოჯახი სანდო ოჯახია, თორემ ხომ იცით...

ხოტორამ აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა. დიასახლისიც მოადგა კარს.

— ქალო, წლის სარჩო შუა გაყავ. დიდ საქმეს ასე სჭირდება. აბა, დაფაცურდი.

დიასახლისი წამსვე ნალიისაკენ გაიქცა.

— შემობრძანებულიყავით შინ!

— არაფერია, ჭირიმე, წინ დიდი გზა გვიდევს და...

— მაშინ დამელოდეთ, ახლავე! — ახლავე! — ახლა ოჯახის უფროსი დიასახლისს აედევნა.

— კარმა დაიჭრიალა. ნალიიდან ერთმანეთის მიყოლებით გამოვიდა ზურგზე ტომარამოვადებული ცოლ-ქმარი. წელში მოხრილები ჩქარი ნაბიჯით გამოემართნენ ჭიშკრისაკენ.

— ა, კეთილი საქმისათვის მოგახმართოთ ღმერთმა.

მურთაზ ჩახავა

აბა ბაშია

ბაჭიებმა სწრაფად ჩამოართვეს ტომრები. ბელიამინ ბე მიწაზე გაწვა. ტომრები მხარზე შეადგეს და სარტყლები გადაუქირეს. დანარჩენი ტომრებიც მთარგეს კარგად და წამოდგომაში მიეშველნენ. ბელიამინ ბე წამოდგა.

— მადლობას მერე გეტყვი, ახლა წავიდეთ! — ხელი ასწია ხოტორამ.

ბაზრთა

შორიდან მაღალი ქვითკირის კოშკი გამოჩნდა. თაღოვან გუმბათში ზარები კონწიალობდნენ. კოშკის წინ გაშლილი იყო გრძელი დახლები ერთმანეთში ირეოდნენ კურდღლები. დახლები გაფსებული იყო ბროწეულთ, სტაფილოთი, კომბოსტოთი, მიწის თხილით. ტყემალი ტაშტზე იცლებოდა. მიწის თხილი — კარდალზე, კომბოსტო და სტაფილო კიდევ ათას რაღაცაზე. მთელი ბაზარი სკასავით ზუზუნებდა.

— აბა, გზა, გზა გვიტყეთ!..

მოედანზე ბელიამინ ბე შემოვიდა. იგი მთელი ტანით მაღლა ამოზიდულიყო ამ ტანმორჩილ კურდღლებში, ზურგზე ტომრები ეკიდა. ტომრებზე კაჟა იჯდა, უკან ხოტორა, ქინძა, ყანყალა და ტურტლა მიჰყვებოდნენ. მოსულს გზა უტიეს.

ბელიამინ ბე დახლის გვერდით შედგა. ბაჭიები სწრაფად მიესივნენ. ზურგზე შემოსალტული თოკები დახსნეს, ტომრები ძირს ჩამოცივიდა.

— აბა, აქეთ!..

— ვის რა გნება, ჭარხალი, სტაფილო, აქეთ, აქეთ!.. — გაიძახოდა მთელი ხმით ხოტორა. დიდ-პატარა იქეთ მიაწყდა. ბაზრის ბოლოში კვილი გაისმა. კაჟა დახლზე შეხტა. ბელიამინმა წრე გაარღვია.

ჯალათები ხელფეხაკოჭილ ბაჭიებს მიათრევდნენ.

— ნუ დამიღუპავთ შვილს, ნუ შეაჭმევთ მგელს!..

მოსტკვამდა ბაჭიების დედა. ხალ-

ხი შეწუხებული სახეებით მისჩვენებდა და მტირალს.

— ტყუილად გგონიათ უპატრონოებითა და ლატაკებით გამოიკვებება თქვენი მგელი. ხვალ და ზეგ, როცა უსუსურები და ლატაკები დაიწვებიან, ჯერი თქვენს შვილებზე მიდგება. მაშინ ნახავთ როგორია შვილის სასიკვდილოდ გამეტება.

ჯალათებმა ბაჭიები კოშკში შეათრიეს.

— აბა, აქეთ, რკინაზე და ნახშირზე იცვლება, რაც კი გავგაჩნია.

კოშკის აივანზე მამასახლისი გადმოდგა. ხმაური მიწყდა.

— წვილ-კვილი საქმეს არ შველის. ვითომ რა, ამაზე ნაკლები ბაჭიები შეეწირა ჩვენი სოფლის კეთილდღეობას?

— დროებითია ამგვარი კეთილდღეობა, საშინელია! — დაიყვირა ვიღაცამ.

— გაფრთხილებთ, როგორც ყოველთვის წესიერად მოიქცეით. ზეგ ხიდისთავთან ბატონმა მგელმა რამე ავად არ ინიშნოს, თორემ კარგად იცით, რა დღეს დააყრის ჩვენს სოფელს.

— ვაი, ვაი!..

— სადაა ხამართალი! — ახლა მეორე მხარეს დაიყვირა ვიღაცამ.

ტურტლას დედა, გულწასული წაათრიეს სახლისკენ. კაჟამ, ბელიამინმა და ხოტორამ ერთმანეთს გადახედეს.

ბაზრები ხაზანს აკეთებენ

ღამე იყო, ფაცხაში, შუა კერასთან, საბერველი ქშინავდა. ხოტორა და ქინძა ბაჭია მთელი ძალით ექაჩებოდნენ საბერველის სახელურს. აღმოღებულ ნახშირს საბერველი უფრო და უფრო აღვივებდა.

კაჟა საკეციტ რკინის ნაჭერს დასწვდა და გრდემლზე შემოდო. პიტნამ და ყანყალამ უროები მოიმარჯვეს. აკაკუნდნენ მძიმე უროები. კაჟა რკინის ნაჭერს ჩქარ-ჩქარა უცვლიდა გვერდს. ქშინავდა და ქშინავდა საბერველი. კერიის შუაგულში კი ისევ და ისევ ღვიოდა ბროწეულისფერი ნაკვერჩხლები და ნებერწკლებს ჰყრიდა.



ჯარალა

კვირა დღე იყო. უკვე დამდებოდა. სოფლის ბოლოში, მოედანზე დიდბატარას თავი მოეყარა. კურდღლები აქა-იქ ჭგუფ-ჭგუფად იდგნენ. ქვევით ბაჭეობი ბურთს თამაშობდნენ.

— კაქას გაუმარჯოს, კაქას! — ყაბაღასი შეისწორა წოწოლამ.

— თქვენი გამარჯვება.

— მამაშენს თუ ეძებ, სოფელშია წასული დაირის საშოვნელად, ბაჭეობთან ერთად.

— დაირაო!.. — კაქამ მხრები აიჩეჩა.

— რა ვიცი, ასე თქვა, დაირა მაშოვნინეთ და მე თქვენ განახვებთ, როგორი ცეკვა-თამაში ვიციო.

კაქას გაეცინა.

ერთგან სიმღერა გაისმა. ახალგაზრდები იქით მიაწყდნენ. ყოველგვარი თამაშობანი შეწყდა. სიმღერამ იმძლავრა.

კაქამ ქინძას და ხოტორას თვალით რაღაც ანიშნა.

ახლა დაირას ბრაგუნე გაისმა. გაქაფული გამობოდა ბელიამინი. ყველამ იქითკენ გაიხედა. შეიქნა ერთი სიცილ-ხორხოცი.

— შეხეთ ბელიამინ ბეს, შეხედეთ!.. ხოტორა და ქინძა ხალხის ჭგუფიდან გამოვიდნენ და სწრაფად გაცილდნენ იქაურობას.

— აი, დაირაც, აი, დაირაც!.. — აქლოშინებული მოვარდა ბელიამინ ბე. აქლოშინებული მოიჭრნენ ბაჭეობიც.

— ბელიამინ ბე ახლა დაუვლის! — დაიყვირა ვიღაცამ.

— დაუვლის და როგორ!

— ნამდვილი მოცეკვავეა, შეხედეთ, შეხედეთ!..

ბელიამინ ბემ დაირა მოლზე დაღო.

— მართალი გითხრათ დიდი ხანია არ დამიკრავს. — თქვა და უზომოდ დააღო პირი, ჰაერი შეისუნთქა.

— არა უშავს რა, მიდი!.. — დაიყვირა ვიღაცამ.

ბელიამინ ბემ დაირა აიღო, უკანა ფეხებზე შედგა, დაირა რქებზე მიიბჯინა და ააბრაახუნა.

ბაჭეობმა კისკისი დაიწყეს.

— მიდი პეტელე-ბე, მიდი!..

ბელიამინ ბე წრეში გაიჭრა.

— აბა, ტაში ბელიამინ ბეს, ტაში!..

ტაში და სიმღერა ერთდროულად გაისმა.

ფეხები აბაყუნე,
ყურები აპარტყუნე,
ეგ დაირა ქღრიალა
ურტყი და აბრაგუნე.

ტაში, ტაში, ბელიამინ,
ტაში, ტაში, რერო...
ვერ გაჯობებს ვერავინ,
ჩვენო საყვარელო!

ბელიამინ ბე წრის შუაგულში შედგა და უკანა ფეხებით ტლინკი აპყარა, შეიქნა ერთი ხარხარი.

— მიდი პეტელე-ბე, მიდი!..

ბოლო მაღაყზე ხელიდან დაირა გაუვარდა. ბელიამინ ბე გადახტა. მოლზე უკანა ფეხები გაუცურდა, პირადმა გაიშხლართა. იმატა ხორხოცმა. ბაჭეობი სიცილით გაიგუდნენ. მამასახლისს და ჯალათებს ხველება აუვარდათ, ზეზე წამომდგარი ბელიამინ ბე კვლავ წრეში გავარდა. ამან უფრო გაახალისა მაყურებელი.

უკვე ჩამობნელდა. კოცონიც აანთეს. ხელში ყველას ანთებული მუგუზლები ეჭირათ. ბელიამინის გარშემო ცეცხლის ენებით წრე შეეკრათ. ისევ და ისევ მოისმოდა კურდღლების სიცილ-კისკისი. ისევ და ისევ გაისმოდა ბელიამინის დაირის ბრაგუნე და ომახიანი შეძახილები.

ხაზანგი

— აქეთ, ჩემსკენ! თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა კაქამ.

ლამის სიბნელეში ხიდის მახლობელ ბუჩქებთან რამდენიმე ბაჭიამ გაიშლიგინა. მდინარე მძლავრად ედგაფუნებოდა ნაპირს.

მშრთაჲ ჩახხაჲ
კაჲა ბაჲია

ბაჭყელები ძლივს მოათრევდნენ რკინის ხაფანგს. მერე შუა ხილზე დააგდეს. კაქამ სწრაფად ააწყო ხაფანგი. ბაჭყელებმა ხაფანგს თივა და ფიჩხი დააყარეს. ხაფანგი სულ მთლიანად დაიფარა. უცებ სტვენა გაისმა!.. ყველანი გაშეშდნენ.

— ნიშანია, ვინ უნდა იყოს! — კაქამ ყურები ცქვიტა.

— ჩქარა ბუჩქებში!

სწრაფად გადაირბინეს ხიდი და ბუჩქებში მიიმაღლნენ. სტვენა განმეორდა. მერე შრიალმა იმატა და ტყიდან ბელიამინ ბე გამოვიდა. აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

ბაჭყელები ბუჩქებიდან გამოძვრნენ.

შეხვედრის დღე

ურმის ბორბალი ტალახიდან დრტყილით ამოგორდა. მგლოვიარე კურდღლები ხელებდაკრფილნი ურემს უკან მიჰყვებოდნენ.

ურემზე დადგმულ გალიაში ორი ბაჭია სხმარტალებდა.

ერთმანეთის მხარიმხარ ჩამდგარი მოაბიჯებდნენ კაქა, ხოტორა, ქინძა, ყანყალა, ტობრაკა და ბელიამინ ბე. მამასახლისი ურემს წინ მიუძღოდა. ჯალათები უკან მიჰყვებოდნენ. შეწირულების დედები ერთნაირად მოსთქვამდნენ ერთნაირადვე აძლევდნენ ბანს გულშემატკივრებიც.

— თქვენ რომ ბედი გქონოდათ, ქვეყანაზე არ გაჩნდებოდით!

— „ვაი, ვაი, ვაი, ვაააი!..“

— როგორ გზრდიდი და ახლა მგელმა უნდა შემიჭამოს შენი თავი!..

„ვაი, ვაი, ვაი, ვაააი!..“

ხიდიც გამოჩნდა. კაქამ და ბელიამინმა ერთმანეთს შეხედეს.

— აბა, გაიწით უკან! — ხელი აღმართა მამასახლისმა.

ხალხი განზე გადავა. ჯალათებმა ფრთხილად გამოაღეს კარი და შეპყრობილი ბაჭყელები სათითაოდ გამოიყვანეს.

— „ვეაააი!..“ — კანკალებდნენ ბაჭყელები. ჯალათებს ღონივრად ჩაეგლოთ

ხელი მკლავებში. დედებმა უფროსები ტეს კვილს. შეწირული ბაჭყელები სოლებზე ერთმანეთის გვერდით დააბეს. მამასახლისმა ურემი შემოაბრუნა და ხალხის წინ შეაყენა. ახლა ჯალათებმაც დაიწიეს უკან.

ხიდის გაღმიდან მგლის ყმული გაისმა. გლოვის ხმა სწრაფად მიწყდა. თითქოს ყველას სუნთქვა შეეკრაო, არავინ იძროდა. ხიდის მეორე თავში მგელი გამოჩნდა. თავი მალა ეჭირა. პირი ოღნავ გაეღო და ცეცხლისფერი ენა მოუჩანდა. კვერცხისოდენა თვალებს აბრალებდა. თან დინჯად მოაბიჯებდა. კაქა, ბელიამინ ბე, ხოტორა, ქინძა და ბაჭყელები თვალებად ქცეულიყვნენ. ისინი ახლა ნამდვილად არ სუნთქავდნენ.

მგელი სულ წინ და წინ მოიწევდა. ორიოდ ნაბიჯილა ჰქონდა დარჩენილი ხაფანგამდე, ის იყო უნდა დაედგა კრდეც ფეხი ხაფანგზე, რომ გამწარებული ყვირილი გაისმა.

— შეჩერდი, შეჩერდი!.. ხილზე ხაფანგია დაგებული, ხაფანგი!..

ყველანი განცვიფრებული მიაჩერდნენ ტარხუნას.

— რაო!.. — ხახადაფრენილი მგელი უკანა ფეხებზე შედგა, — მე თქვენ გიჩვენებთ!.. — დაიღრიალა.

„დავიღუპეთ, დავიღუპეთ!..“ — დაფეთებული კურდღლები ერთმანეთში აირივნენ. ატყდა გნისი. მგელი ხიდიდან გადახტა. პირდაღებული პირდაპირ ნაპირისაკენ გამოქანდა. ლურსმნებივით მოუჩანდა გრძელი კბილები.

ბელიამინი მალღობზე შეხტა.

— ხალხო, ტყეში! ტყეში!

დიდ-პატარა ტყისაკენ გაიქცა. მგელი გაცოფებული ამოვარდა ნაპირზე და ბელიამინ ბეს დაადგა თვალი. ბელიამინ ბემ რქები დაიქნია და უკანა ფეხები ფერდობს ღონივრად მიასო. თვალები მუშტის ოდენა გაუხდა, ნესტოები დაეებრა. მგელი შორიდანვე შეხტა და ზემოდან დააცხრა. ბელიამინმა დაიფრუტუნა და რქები აიქნია. ორივენი ფერდობიდან დაგორდნენ. წამი და მგელი წამოიჭრა, შემოტრიალდა, ფერდში

ეცა, სისხლმა იფეთქა, ბელიამინმა ყბაში წიხლი უთავაზა. ის იყო მეორის მონაცვლება მოუნდომა, რომ მგელმა ფეხი პირში იგდო და ღონივრად დაასო კბილები. დაასო და ბელიამინმაც სწრაფად გამოსტაცა, ფეხზე ტყავი წაჭვრა და ჩლიქზე დაეკიდა. ის იყო მგელმა უზომოდ დაალო პირი და წამოიწია, რომ ბელიამინ ბე უკანა ფეხებზე გაწვა და ბურთივით მალა ავარდა. გაქნეული რქები პირდაპირ მუცელში ატაკა. მგელი ორჯერ ამოტრიალდა ჰაერში და იქვე ზღართანი მოადინა.

ბელიამინი ტყისაკენ შემობრუნდა. ტყიდან დაშინებული კურდღლები და ბაჭიები იმზირებოდნენ. მერე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ, ერთი უღონოდ დაიპეტელა და ჩაიკეცა.

აშრიალდა მთელი ტყე. ყოველის მხრიდან დაიძრნენ კურდღლები. ფლატზე მუცელგამოფატრული მგელი ეგდო. ბელიამინი მძიმედ სუნთქავდა, ნესტოები უტოკავდა.

— ბელიამინ! — კისერზე მოეჭიდა კაჟა, ბაჭიებს ერთბაშად ტირილი წასკდათ.

— ბელიამინ ბე, ეს ჩვენ ვართ დამნაშავე, ჩვენ!..

— არა, ძვირფასნო, თქვენ ისეთი კარგები ხართ...

— ნუ მოკვდები, ბელიამინ ბე, ნუ მოკვდები, ძალიან გთხოვთ, ყველანი გთხოვთ!

— ეს ახლა საჭირო არ არი... რომ იცოდეთ რა კარგები ხართ...

— ჩვენ არასოდეს აღარ დაგიძახებთ პეტელა პეს.

— რატომ, დამიძახებთ.

— ჩვენ ამას არ ვიზამთ!..

— დამიძახებთ, მიხარია, თქვენ რომ პეტელა პეს მეძახით. ახლაც დამიძახებთ, გამაჯავრებთ.

— ჩვენ ამას არ ვიზამთ.

— ძალიან გთხოვთ, აი, ძალიან, დამიძახებთ პეტელა პეე, აი, ახლა, ამ წუთას.

ბაჭიებს თვალეგში ჩამდგარი ცრემლები დაბალუპით გადმოუცვივდათ.

— ჰო, გელოდებით!..

— პეტელა-პეე!.. პეტელა-პეე!.. — სლუჯუნით იმეორებდნენ ნაცრისფერი ბაჭიები.

— ო, რა კარგები ხართ, ჩემო ნაცარებო, მაჯავრებთ, არა?

— ჰო, მაგრამ კი არ გაჯავრებთ, ჩვენ ვტირით.

— ნუ იტირებთ. თქვენი პეტელა-პეე, მუდამ მხიარული იყო, რა მისი ბრალია თუ გტოვებთ.

ბელიამინ ბემ თვალეგები გადმოაბრუნა, უბეები ცრემლებით ავესო.

— თქვენ ტირით, ბელიამინ ბე?!

ბელიამინ ბემ თეთრი წვერები შეარხია. კიდევ ერთხელ ამოატრიალა თვალეგები და თავი განზე გადაუვარდა. თვალეგბადქეუული ბაჭიები სუნთქვა-შეკრული მისჩერებოდნენ ბელიამინის წითლად შეღებულ შუბლს და ბარდებში გაჩრილ წყვილ რქას.

„ბელიამინ ბე!..“ აღმოხდა ყველას ერთხმად.

საღდაც ახლოს ნაკადული წანწყარებდა.



გიორგი სანაღირაძე

კვალნი მკინც რჩება

ერთი სიტყვით, დიდებულად ვიმგზავრე. მაგრამ დროისა და ტექნიკის ამ რაციონალურ თანწყობას ერთგვარი შიშიც ახლდა.

არა, არ იფიქროთ, თითქოს ეს შიში ერთი დღის მანძილზე სამჯერ გამოცვლილმა თვითმფრინავმა გამოიწვია. მე სხვა რამ მადარდებდა. მეშინოდა ადგილზე არ დამხვედროდა ის ადამიანი, რომლის გულისთვისაც მოგზაურის გულა-ნაბადი ავიკარი და ცხრა მთას იქით გადავიკარგე. მით უმეტეს, როცა არც წინდაწინ შემიტყობინებია და საერთოდაც, მისი პიროვნების შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა. სწორედ ამიტომ იყო, რაკი ბრესტის მიწაზე დავიგულე თავი, პირდაპირ საგანგებო საკონტროლო-საშვები პუნქტისაკენ ვავშურე.

ბრესტის უზარმაზარი სადგური გულუნებდა, ჩაქოლილ ვაგონთა რახრახს იმეორებდა და თავისებური, მხოლოდ სასაზღვრო სადგურებისათვის დამახასიათებელი დაძაბულობით იყო დაყურსული. მებაყეთა დარბაზის პოვნა არ გამჭირვებია. საკონტროლო — საშვები პუნქტიც იქვე მიმასწავლეს. სწრაფად ავირბინე მეორე სართული და — „კუბლაშვილის ნახვა გნებავთ?“ — მკითხა მორიგეობისაგან გადაღლილმა, საოცრად თავაზიანმა მაიორმა. ვიფიქრე. აი, ახლა მეტყვის, — შვებუ-

ლებაშია ან სხვაგანაა გადაყვანილიო. მაგრამ ოფიცერი დუმდა. პაუზა დიდხანს გაგრძელდა და მთელი ამ დროის მანძილზე მაიორი გულდაგულ მათვლიერებდა. „ნათესავი ხომ არ ბრძანდებით?“ — მკითხა ბოლოს. მე ვუთხარი საიდანაც ვიყავი. სახე ერთიანად მოუსინათლდა. „კუბლაშვილი ამჟამად განწესშია. ეს აქედან ოცი კილომეტრით არის დაშორებული. მაგრამ მკინც დაგალაპარაკებთ.“ — დასწვდა ყურმილს, რომელიდაც ციფრი დაასახელა და ჩასძახა: „ვარლამ მიხაილოვიჩი? გამარჯობა. სტუმარს მიიღებ?“

ვერ წარმოიდგენთ, რამოდენა ტვირთი ჩამომცილდა.

პირველი შთაბეჭდილება დიდ რამეს ნიშნავს თურმე. გამომიციდია, — ჩახვალ რომელიმე უცხო ქალაქში, არაფერი არ იცი, არავის არ იცნობ. და აი, პირველი შემხვედრი ახდენს შენი შეხედულებების ფორმირებას. თუ უქმურია ეს შემხვედრი, ხასიათწამსდარი ივლი. ხოლო თუ გულდიაა და მოყვასი შუქნაფერი და ლამაზი მოგონება ზრჩეხა. საგანგებო საკონტროლო-საშვები პუნქტის ოფიცერმა ორმაგი სიხარული მომანიჭა: საოცრად თავაზიანი და სტუმართმოყვარე იყო ხოლო როცა ჩვენს თანამემამულეს ელაპარაკებოდა, მიმართავდა, არა როგორც ეს

სამხედროშია მიღებული — წოდებით, არამედ სახელითა და მამისსახელით. მაიორის ხმაში რაღაცნაირი მორიდება, სითბო იგრძნობოდა, და მე მივხვდი: ის, ვის სანახავადაც ჩამოვედი — უყვარდათ, აფასებდნენ, უფროს მეგობრად მიაჩნდათ.

ასე აღმოვჩნდი მასთან, ამ ტანდაბალ, ცოცხალთვალემა მამაკაცთან, რომელიც მრავალი წიგნის, სატელევიზიო გადაცემისა თუ ფილმის გმირი გამხდარიყო.

ვიჯექით სასტუმრო „ბუგის“ კომფორტაბელურ ნომერში. გავცქეროდით შორს, სკვერის იქით, ბარე ღრუბლებთან გატოლებულ ხიშტს — ბრესტის ლეგენდარული ციხე-სიმაგრის დამცველთა უკვდავსაყოფად შექმნილი მემორიალის უმთავრეს დეტალს, და ესვამდით ყავას. კაჩხაზე ვარლამის ქული და ფარაჯა ეკიდა. ვიღრე სასტუმროში მოვიდოდა, გზაზე წვიმამ მოუსწრო (ოჰ! ეს გაზაფხული!) და ერთიანად ამოილუმბა. კაჩხის ძირში, იატაკზე პაწია ტბორი გაჩნდა — სველი ფარაჯიდან წყაპა-წყუბით ვარდებოდა წვეთები. სარკმელი ღია გვექონდა. გარეთ, როგორც ვთქვი, გაზაფხული დაბლობებდა და ვერხვის ხეებს, მთელი ბრესტის ალყაში რომ მოუქცევიათ, სულის შებერვლა აკლდა — უმალ დასკდებოდნენ და გარეთ გამოიშლებოდნენ კვირტები.

ვიღრე შევხვდებოდი, ყურმოკრულმა თუ წაკითხულმა თავისი ქნა და ჩემს გონებაში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სახელოვანი კვალმაძიებელი იმ დევმირად ჩამოიქნა, რომლის კლასიკურ პორტრეტს პატარაობიდანვე მივჩვიეთ — მაღალ-მაღალი, ლაბადამოსხმული, ერთიანად დაკუნთული მამაკაცი, გვერდზე დარდიმანდულად რომ მოუვდია ავტომატი და ვეება ხელის მონრდილვით იტკირება შორს... მის უკან კი მკაცრ ფირნიშზე ოქროს ასოებითაა გამოყვანილი — „სსრკ“. მაგრამ ჩემს წარმოდგენაში ჩამოქნილი დევმირის სახე ერთბაშად გაქრა, როცა ოთახში

შემოვიდა კაფანდარა, ფერმკრთალი მამაკაცი — ვარლამ კუბლაშვილი.

ახლა შორს არის იგი.

შორს არის ბრესტის ხმაურიანი ვაგზალი და სუფთა, ყვავილების გაზონებით მოგვირისტებული ქუჩები. მე ვხედავ როგორ გამოდის იგი სახლიდან, როგორ შეიხედავს ქუჩის კუთხეში მოთავსებულ გასტრონომში. წამით შეიხედავს — იქ მეგობრები ჰყავს, — და მსუბუქი ნაბიჯებით დაუყვება მოსკოვის ჰროსპექტს. ამ ქალაქში იშვიათია ადამიანი — მას არ იცნობდეს. თითქმის ათი დღე გავატარე მასთან. ერთხელ, როცა ფოსტაში ვიყავით, მე გავიგე, როგორ გადაულაპარაკეს ერთმანეთს ახალგაზრდებმა: „დახე, ვინ მოსულა!“ „ვინა?“ — იკითხა მეორემ. „მიშა“. გამიკვირდა. ერთი პირობა ვიფიქრე, ვარლამის მამის სახელი ახალგაზრდამ მის სახელად მიიჩინა მეთქი. მაგრამ ახალგაზრდა არ ცდებოდა. „მიშა“ ვარლამისათვის კონტრბანდისტებსა და ვალიუტით მოვაჭრეებს შეურქმევიათ.

— ეს იმ ახალგაზრდისგან გაიგონე, ხომ? — მკითხა ვარლამმა და გაიღიმა. თვალთა უბეებთან კიდევ უფრო მოუმრავლდა ნაოჭები.

— ყოფილი „ფარცოვნიკია“, — მითხრა ცოტა ხნის შემდეგ, — ახლა გამოსწორდა. ვიცნობ მაგას. „მიშა“ კი მაგის დაბადებამდე შემარქვეს კონტრბანდისტებმა. ეს გვიან გავიგე.

ახლა შორს არის კონტრბანდისტებისა და სასაზღვრო რეჟიმის სხვა დამარღვევთა რისხვა — „მიშა“. შესაძლოა, ამ წუთს იგი მისთვის ჩვეული სიმშვიდით ადის საზღვარზე გაჩერებულ ვაგონში. ერთმანეთზე მიყოლებით აღებს კუბეებს და თავაზიანად მიმართავს მგზავრებს:

„სასაზღვრო განწესი. გთხოვთ წარმოგვადგინოთ საბუთები“.

მხოლოდ ოც წუთს გრძელდება ეს

ვიორგი სანადირაძე
კვალნი მაინც წაშლას

პროცედურა. მაგრამ რა დაძაბული, რა შრომატევადია ღროის ეს მცირე მონაკვეთი. რამდენ ცოდნას, რამდენ გამჭვრიახობას და, მე ვიტყვოდი, რა შინაგან ალღოს მოითხოვს! ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი ადვილია: გაჩერდა საზღვარზე მატარებელი. ჩამოიარა საგანგებო საკონტროლო სამსუვები პუნქტის თანამშრომელმა და თვალის უბრალო გადავლებით შეატყუო — ვის კონტრაბანდა მიაქვს და ვინ საზღვრის დამრღვევია. ასე მეგონა მეც. ასე ფიქრობს ალბათ ყველა, ვისაც ზერელე წარმოდგენა აქვს ამ სამსახურზე.

ათი დღის წინათ მესაზღვრეთა საკონტროლო — საშვები პუნქტი ხმაურით, გუგუნითა და უზარმაზარი სარკინიგზო კვანძის უჩვეულო ფუსფუსით შემეგება. ასევე იყო მაშინაც, როცა ვარლამ კუბლაშვილი ჩვენი ქვეყნის უკიდურეს აღმოსავლეთიდან ცნობილი კვლამაძიებლის ნიკიტა კარაცუბას სკოლის დამთავრების შემდეგ ბრესტში ჩამოვიდა. წარამარა მიქშუტუნობდნენ ორთქლმავლები, განძელებზე მიღრჭიანლებდნენ ბორბლები. ერთმანეთში გადახლართულ უთვალავ ლიანდაგებზე, როგორც ახლა — მაშინაც ცისტერნები იდგნენ, იდგნენ ნახშირით, ხეტყით, დაზგებითა და, ვინ იცის, კიდევ რით დატვირთული შემადგენლობები... როგორ არ გავდა ეს ყველაფერი საზღვრის მოჩვენებით მყუდროებას! და მიუხედავად ამისა, ვარლამ კუბლაშვილი აგერ საუკუნის მეოთხედია სწორედ აქ ექებს საზღვრის დამრღვევთ, კონტრაბანდისტებს..

საკონტროლო — საშვებ პუნქტ „ბრესტში“ გატარებულმა ათმა დღემ სულ გამიქარწყლა ყველა მითი და გადმოცემა მესაზღვრეთა ცხოვრების რომანტიკაზე. აქ აღამიანები ვერაფერით არაჩვეულებრიობას ვერ ხედავენ თავიანთ სამსახურში. ასეა ვარლამ კუბლაშვილიც. მის ცხოვრებაში ყველაზე უმთავრესი და უპრაჩვეულებრივესი ეს შრომაა. აგერ საუკუნის მე-

ოთხედია იგი უმწიკვლოდ ემსახურება ჩვენი ქვეყნის ყველაზე საპასუხისმგებლო უბანს — საზღვარს. ეს იყო დიდი სულიერი გამოცდისა და ბრძოლის წლები. დიახ, შემთხვევით არ გაჩენილა ფრთიანი გამოთქმა — საზღვარი იგივე ფრონტიაო. და ეს მარადი ფრონტი შენგან ითხოვს ელვისებურ მოსაზრებულობას, გაბედულებას, დაკვირვებას, გამოცდილებას, განათლებას...

კონტრაბანდისტებისათვის — უცხოელებისათვისა და „ჩვენიანებისათვისაც“ კარგად არის ცნობილი ეს ტანდაბალი, ერთი შეხედვით, ყველაფრისადმი ფლეგმატურად განწყობილი ადამიანი. გონების თვალთ მე ვხედავ, როგორ ამოწმებს იგი საზღვარგარეთიდან მომავალ ან საზღვარგარეთისაკენ მიმავალ საბარგო მატარებლებს. ვხედავ მდინარე ბუჯზე, ბრესტის ვრცელ სარკინიგზო კვანძზე... დილიდან საღამომდე, ანდა პირუკუ, იგი საბაჟოს მუშაკებთან ერთად დაუჭარობს შემადგენლობებს შორის, „მიგნავს“ ვაგონებს. საოცარი ორთაბრძოლაა. კონტრაბანდისტები ცდილობენ, რაც შეიძლება უკეთ გადაძალონ დეფიციტური საქონელი, ოქრო, ფული... მათი გამოგონებლობა და ფანტაზია გაუგონარ მასშტაბებს აღწევს. რა ფანდებს არ მიმართავენ ისინი საკონტროლო — საშვები პუნქტის თანამშრომელთა ვასაცურებლად. სამალავებს სრულიად მოულოდნელ და საამისოდ აბსოლუტურად წარმოუდგენელ ადგილებში აწყობენ ხოლმე. მერამდენე წელიწადია ეს ორთაბრძოლა გრძელდება კონტრაბანდისტებსა და „მიშად“ ცნობილ კვლამაძიებელს შორის.

რას არ ყვებიან მასზე!
რა ლეგენდებს არ თხზავენ!
ერთი ცხადია — როცა ვარლამ კუბლაშვილი გადის განწყისში — საგანგებო საკონტროლო — საშვები პუნქტის თანამშრომლები დამშვიდებული არიან. — კუბლაშვილს არაფერი გამოეპარება.

მთელი ჩემი მივლინების პერიოდში ვცდილობდი, ჩავწვდომოდი ამ გამზდარი, უკვე წლებით დამძიმებული ზემდევის საიდუმლოებას. ღმერთმანი, ეს შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ რომ, ამის გასაგებად კუბლაშვილის ცხოვრებით უნდა იცხოვრო... ერთი შეხედვით თითქოს განსაკუთრებული არაფერია. დაიბადა ტყიბულში, სოფელ ახალდაბაში. მე ვიცი, ეს ლამაზი, წყალწითელას სასაზღვროდ შეფენილი სოფელი, სადაც უპირატესად ჩიისა და მესიმინდობას მისდევენ. მამა ადრე დაელუბა და შვიდწლედის დამთავრების შემდეგ ვარლამი იძულებული გახდა შახტში წასულიყო სამუშაოდ. შახტში მუშაობდა ბიძამისი, მეშახტე იყო მისი უფროსი ძმა გრამიტონი. ფიქრობდა თუ არა კვლამაძიებლობაზე? არც ფიქრობდა და არც გაეგონა. ბიძა ჩეკისტებზე უამბობდა ხოლმე. მაგრამ არც ამ უშიშარი ადამიანების თავგადსავლებს ვაუბირობებია მისი მომავალი. ეს დიდი სამამულო ომის დროს მოხდა, როცა ახალწვევრულვაშმედგრილი ბიჭი ჩვენნი ქვეყნის შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნეს საზღვრის დასაცავად.

იქ, საზღვარზე მან ბევრი რამ ისწავლა. მთელს მის სამსახურს ლეიტმოტივად გასდევდა ერთი ყველაზე აუცილებელი სიბრძნე — რაც შეიძლება სწრაფად გაერკვით ურთულეს, დახლართულ სიტუაციებში. საზღვარზე ბალახის წყირი რომ წყირია, ისიც ბევრ რამეზე გიამბობს ხოლმე. ამიტომ ვარლამს განზე გაწეული პაწია კენჭი, უყურადღებოდ გადავდებელი პაპიროსის ნაშევი, მავთულზე შეტოვებული თმის ღერო და სხვა ათასი წვრილმანი ამცნობდა კვლამაძიებლის ურთულესი პრაფესიის საიდუმლოს. დანახულის გაანალიზება გამოადგა აქაც, საკონტროლო — საშვებ პუნქტზეც...

მატარებელი ჩერდება. ვარლამ კუბლაშვილი თანმხლებ მესაზღვრესთან ერთად სწრაფად აღის ვაგონში. ყოველი წამი ძვირფასია. — საერთაშორისო

ექსპრესი მკაცრად დადგენილ დროში უნდა შემოწმდეს.

პირველი კუბე. ოთხი მგზავრი. ჩვეულებრივი ფორმლობა: — „სასაზღვრო განწესი. წარმოვედგინეთ საბუთები“. ვინც არ უნდა იყო, ვალდებული ხარ დაემორჩილო ამ მოთხოვნას. ასეთია წესი.

მეორე კუბე. აქ სამი მგზავრია. მოხუცი, ერთიანად გაქაღარავებული მამაკაცი და ახალგაზრდა ცოლქმარი. „ერთი ოჯახია. — სწრაფად დასკვნა კუბლაშვილმა, — კაპიტალისტური ოჯახი. ფუფუნებაში იღრჩობიან“. ისევ ჩვეულებრივი მიმართვა, ისევ ჩვეულებრივი პროცედურა. საბუთების მიწოდებისას მოხუცმა რაღაც თქვა. ახალგაზრდა ქალმა კვერი დაუკრა და სანდომიან სახეზე ღიმილი გადაეშალა. მისმა ქმარმა სარკმელში გადაიხედა. იგი ჭორფლიანი გახლდათ. თვალდაწითლებული და სპორტული აღნაგობისა. მათ თითქოს ჩვეულებრივად, ძალდაუტანებლად ეპირათ თავი. და მაინც, მათ ყოველ მოძრაობაში, გამოხედვაში, ღიმილში რაღაც არაბუნებრიობა იგრძნობოდა. კუბლაშვილი მოუსვენრობას გრძნობს. სწორედ ამის გამოა, რომ იგი აყოვნებს საბუთების დაბრუნებას. გაიხედა ქანდარებისაკენ, ქანდარებს ზემოთ შედგმული ჩემოდნებისაკენ... არა, მეტი დაყოვნება აღარ შეიძლება, სხვა კუბეშიც უნდა შეიხედოს. პასპორტებს ხურავს, პატრონებს უბრუნებს და... მაგიდაზე ბუტერბროდების მთელი მთაა აღმართული. პურის კობტად დაჭრილ ნაჭრებზე ხიზილალაა წასმული. იქვეა ღიმილიათის ბოთლები და კონიაკი „ენისელი“. თითქმის ყველაფერი ხელუხლებელია. თითქმის... თუ ზედა ბუტერბროდს არ ჩავთვლით, რომლის კიდე ისეა ჩამოკბეჩილი, როგორც ამას მიზეზიანი, მადადაკარგული ადამიანები შვებიან ხოლმე.

გიორგი სანადირაძე
კვალე მაინც წამება

— აქ ცხელა, ბატონებო, — თქვა კუბლაშვილმა, — თანაც ვხედავ, უმადობაც გქონიათ, ხომ გაფუქდა ამდენი ხიზილალა?!

ქალმა ისევ გაიღიმა. ბერიკაცმა თავის გაპრიანებულ ფეხსაცმელებზე დაიხედა. სპორტული აღნაგობის მამაკაცმა კი ერთიანად მოსინათლული თვალები მიაბჯინა კუბლაშვილს.

— ჩემი მეუღლე... დიახ, ჩემი მეუღლე... როგორ გითხრათ... — დაიწყო დამტვრეული რუსულით, — ცოტათი შეუძლოდა, მიზეზიანობს. მერე ეს მგზავრობა... გადაიღალა, ალბათ.

რა საოცრადაა მოწყობილი ადამიანის გონება! ვიდრე ქერათმიანი ახალგაზრდა მამაკაცი სიტყვას სიტყვაზე აბამდა, კუბლაშვილის გონებაში ათასი ფიქრი აიშმუშნა. ერთი ცხადი იყო — შავხიზილალიანი ბუტერბროდების ყიდვა მათ ვაგონ-რესტორანში, ან სადმე სხვაგან არ შეეძლოთ. ხოლო რომც ეყიდათ, მათ მაინც არ ექნებოდათ ზემოდან ასე გულუხვად წასმული ხიზილალა.

მაშ, რაშია საქმე?

ბუტერბროდები აქვეა გაკეთებული, კუბეში. მაგრამ თუ აქვეა გაკეთებული, რისთვის სჭირდებოდათ მთელი გორა?

გონება შეუსვენებლივ მუშაობდა.

კუბლაშვილმა წარბი აპრინა. თხელ, სუფთად ამოპარსულ სახეზე ეშმაკეულმა ღიმილმა გადაურბინა.

— ეს ხომ ჩვენებური კონიაკია! — თქვა და „ენისელს“ სინათლეზე გაუხედა — ღმერთების სასმელია!

— თუკი ბატონი ინებებს!.. — შეაპარა ახალგაზრდა კაცმა. და კუბლაშვილს ისევ უცნაურად მოეკუმშა გული — ახალგაზრდამ საოცრად წმინდად წარმოსთქვა ეს ფრაზა. დატრიალდა ქერათმიანი ქალი. მაგიდაზე გაჩნდა ლამაზი ორთომელები. ბერიკაცმა „ენისელს“ საცობი ააძრო და ორთომელების შევსება დაიწყო.

— ბატონს ჰყავს, ალბათ, მეუღლე... — იკითხა ახალგაზრდა კაცმა. — მისი დღეგრძელობისა იყოს... — და ჭიქა

გადაჰკრა. მაგრამ ბუტერბროდისათვის ხელი არ უხლია.

„ღმერთმანი, უცნაური ხალხია, — გაუელვა ვარლამს. — შესანიშნავად იციან, რომ ჩემი დალევა დანაშაულია და მაინც მთავაზობენ ჭიქას... ეს უფრო თავის მოქონვას ჰგავს... ანდა... ანდა მათ უნდათ, რაც შეიძლება სწრაფად გავიღე აქედან“.

— მე რომ არა ვსვამ? — თქვა ნამალადევი სინანულით, — ყოველ შემთხვევაში აქ, პოსტზე.

— ოო, ჩვენ არ გაგცემთ! — გაიცივნა მამაკაცმა.

— თუ ნებას დამრთავთ, ერთ ბუტერბროდს ავიღებ მხოლოდ!

ვარლამს არ შეუხედავს მგზავრებისათვის. მაგრამ მან იგრძნო — როგორ გაჰკრა ყოველ მათგანს შიშის ღენმა, ინტუიციით იგრძნო. ამას განგებ აკეთებს ხოლმე — ერთი შეხედვით მთელი გულისყური თითქოს სხვა რამეზე აქვს გადატანილი, სინამდვილეში კი ამით მის გვერდით მყოფ ადამიანებს საშუალებას აძლევს გამოამეღავნონ თავისი თავი.

მხოლოდ წამს თუ შესცქეროდა ვარლამი მაგიდაზე დახვავებულ ბუტერბროდებს. მაგრამ ეს წამი მარადისობად გადაიქცა თითქოს. რამდენი რამის შემჩნევა მოასწრო მან დროის ამ უმცირეს მონაკვეთში: ქალის თლილმა თითებმა კაბის კალთის ქვევით, მუხლისთავთან რაღაც უცნაური მოძრაობა გააკეთეს. ბერიკაცმა პირი გააპლაკუნა და სავსე ორთომელი მაგიდაზე დაღო. ახალგაზრდა მამაკაცმა, აქამდე ფეხი ფეხზე რომ ჰქონდა გადადებული, მარჯვენა ფეხსაცმლის ჭეხტი მარცხენაზე ჩამოისვა.

— ბატონს რომ მართლა გაუწყრენენ? — იზოვა გამოსავალი ახალგაზრდა კაცმა, — ეგ მეც როგორ გამომრჩა. ჰა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ხომ ასეთი რამეები აკრძალულია. თუმცა... — ისევ გაიღიმა და, როცა კუბლაშვილმა მისი მზე-

რა დაიჭირა, შიშის ნატამალიც არ შე-
უნიშნავს, — როგორც გენებოთ...

— რად უნდა გამიწყარენ? მე მგონი,
ჯერჯერობით არაფერი დამიშავებია.

როცა ვარლამი ბუტერბროდს დას-
წვდა, ახალგაზრდა კაცს სახე გაუფით-
რდა. უკანასკნელ მოდაზე მორთულმა
ჭალმა ხელები კალთაში დაიკრიფა და
თითები ერთმანეთს გადააქდო. ბერი-
კაცი სარკმელში იცქირებოდა. იცქი-
რებოდა და ერთიანად თრთოდა.

ვარლამს ხელისგულზე ეღო ბუტერ-
ბროდი. მისთვის უკვე ყველაფერი ნა-
თული იყო — ამოდენა პურის ნაჭერ-
ზე ზემოდან რაც არ უნდა სქლად წა-
უსვა ხიზილალა, მაინც არ იქნება ასე-
თი მძიმე. ახლა მხოლოდ უკანასკნელი
„წვრილმანი“ იყო დასაზუსტებელი —
რამ დაამძიმა ბუტერბროდი? მან ჯი-
ბისაკენ წაიღო თავისუფალი ხელი და
ჩაყუდა ამოიღო. მგზავრები უკვე ვეღარ
ფარავდნენ მღელვარებას. მათ ეს
მღელვარება კიდევ უფრო გაუძიფრ-
დათ, როცა ვარლამმა ჩაყვის პირი ხი-
ზილალას ფენის ქვეშ გაატარა და რა-
ღაც მკვირვ საგანს წამოსდო. მერე
სწრაფად გადაამორა ხიზილალა და
ამოიჭრათული პურის გულიდან ოქ-
როს მონეტებმა გამოანათა.

— საოცარია, — მხრები მოწურა
ახალგაზრდა კაცმა, — საიდან, როგორ?

— მართლაც! — კვერი დაუკრა ქალ-
მა:

ბერიკაცმა თავის ენაზე ჩაიბუზუნა
რალაც. ახლა მის სახეზეც გამოიკვეთა
გაკვირვება.

— მეც ეგ არ მაინტერესებს?! —
თქვა ვარლამმა და ახლა მეორე ბუტერ-
ბროდისაკენ წაიღო ხელი.

... საერთაშორისო ექსპრესმა ზუს-
ტად დანიშნულ დროზე აიღო კურსი
საზღვარგარეთისაკენ. ვარლამი მეფის
დროს მოჭრილი ორმოცდაათი ოქროს
მონეტით დატვირთული ბრუნდებოდა
საკონტროლო — საშვებ პუნქტში. მან
წამით წარმოიდგინა კუბეში მჯდომი
სამი ადამიანი, რომლებიც საოცრად
„გაკვირვებულნი“ დარჩნენ, თუ ვის

მოუვიდა აზრად მათ ბუტერბროდებში
ასეთი უცნაური სამალავის მოწყობა.

რას იზამ, კაცი ყველაფერს მოესწ-
რები თურმე.

მათ მაგიდაზე კი ქართული კონიაკი
დევს. ვარლამს მაშინვე თვალში მოხვ-
და ეს კონიაკი. მართლაც, რომ ძვირფა-
სი რამაა. შინ, ახალდაბაში რომ იყო,
სწორედ მაშინ გამოატანეს ორი ბოთლი.
ერთს საკონტროლო — გამშვები პუნ-
ქტის ბიჭებთან ერთად გამოუყვანა
წირვა, ერთს კი მეუღლის დაბადების
დღეზე გახსნის...

და უცებ გონება უნათდება.

ჰო, მართლა, ეს მერამდენედ უბი-
რებენ კონიაკით მოსყიდვას?

რა სიმდაბლეა, რა ზნედაცემულობა!
სწორედ ასეთი ნალექი დარჩა მას
ამ რამდენიმე ხნის წინათაც, როცა
განწესიდან დაბრუნდა შინ.

მაგრამ მანამდე?

მანამდე უკვე შემოწმებული ორთქ-
ლმავლის ტენდერიდან ქოთქოთით
გადმობობდა გოდორა მზარეული და
ხვინჯათი მოფენილ პლატფორმას გაუ-
ყვა. მხარზე წნული კალათა შემოედო.
კალათში კი ბაცად ზიზიმივებდა ანტრა-
ციტი. უჭირდა სქელუას. ძლივას ით-
ქვამდა სულს. წარამარა იწმენდა
ოფლს. სწორედ ამ დროს შეეფეთა მას
კუბლაშვილი. მოფარებით იღვა. სა-
ტვირთო ვაგონის კედელს მიყრდნო-
ბოდა და პაპიროსს სწვედა. ორთქლ-
მავლიდან გადმოსული სქელუა მზარე-
ული რომ დაინახა, მაშინვე ეჭვის ნა-
პერწყალმა გაკენწლა. წამით გაკენწლა.
რადგან მაშინვე უარყო იგი.

რა სისულელეა!

განა ასე შეიძლება — ყოველი ადა-
მიანის დამნაშავედ მიჩნევა? ცხადია,
არ შეიძლება.

ვარლამი სწრაფად მოსცილდა ვაგო-
ნის კედელს. მიმწვარი პაპიროსი ჩექ-
მის ქუსლით ჩააქრო და ლიანდაგი გა-
დაჰკვეთა. აუჩქარებლად მიაბიჯებდა.

გიორგი სანადირაძე
კვალი მაინც რჩება

ზოლოს სულ მოუკლო ნაბიჯს. შინაგა-
 ნი ხმა უფრო და უფრო ეწიწებოდა
 მზარეულისაკენ. შედგა. კარგახანს ორ-
 ჭოფობდა. შემობრუნდა. მთელი მისი
 არსება უცნაურ სურვილს მოეცვა. ახ-
 ლა მას სჯეროდა, სჯეროდა კი არა,
 დარწმუნებულად იყო, რომ სქელუას
 არც მთლად წმინდა სურვილი ამოძრა-
 ვებდა.

რად დასჭირდა ანტრაციტის თრევა?
 განა თანაშემწე არა ჰყავს?

ეს უცხოელი მზარეულები ასეთ შავ
 სამუშაოს არ კადრულობენ ხოლმე!

სწორედ ამიტომ გაჩნდა იგი ვაგონ-
 რესტორანთან. დააკაუნა. კარი მზარე-
 ულმა გაუღო და ისე გაიბადრა, რო-
 გორც სასურველი, დიდი ხნის ნატ-
 რული ადამიანის დანახვისას ხდება
 ხოლმე.

— ოო, — ხელები ფართოდ გაშალა
 მზარეულმა, — სწორედ რომ დროზე
 მოხვედით. ეს წუთია საუზმე მოვიმზა-
 დე... აბა, რა შეწუხებთა, როგორ გეკად-
 რებათ?! მობრძანდით, ნუ დაგავიწყ-
 დებთ, რომ აქ მე ვარ ბატონ-პატრონი.

სქელუამ თვალის დახამხამებაში გა-
 აწყო სუფრა. კარადიდან გამოიღო
 თლაშობები, ჩანგლები, თეფშები...

— დიდებული მწვადი შეგწვი. ნაღ-
 დი სუკია ჰე, ჰე, არ ვიკეხნი, მაგრამ
 ასეთ მწვადს მთელი ევროპა რომ მოი-
 ართ, ვერსად მიირთმევთ.

— მაპატიეთ, — დაიწყო კუბლა-
 შვილმა, — მე მხოლოდ ერთი წუთით
 მოგწყვეტთ თქვენს დიდებულ მწვადს,
 მე მხოლოდ დაზუსტება მინდა...

— ოღონდ არა მშიერ კუჭზე. იცი,
 — უცებ შენობით მიმართა ზემდეგს.
 — ისეთი კონიაკი მაქვს ნაშონი, მარ-
 შალსაც რომ გაუმასპინძლდე, არ შეგ-
 რცხვება. სულ ცოტას დაგისხამ... გა-
 სინჯე მაინც... — უცებ დადუმდა. მო-
 კუთხულ თვალებში შიშმა გაუელვა.
 კუბლაშვილი შეურხველად იდგა შუა
 ვაგონში და სახეზე საოცარი სიმშვიდე
 გამოხატვოდა.

— სამსახურებრივი მოვალებების
 შესრულების დროს მე არ ვსვამ... —

თქვა მან, — განა ამისთვის შემოვიხე-
 დე თქვენთან? მე მინდა დავაზუსტო,
 რით ანთებთ ღუმელს?

— ღუმელს? — წარბები გაოცებით
 აპრიხა სქელუამ, — რა დასაზუსტებე-
 ლი ეგ არის. ცხადია, ნახშირით! და
 უნდა ვითხრათ, რომ ეს წყველი ღუ-
 მელი საოცრად ბევრსა ნთქავს. ნახში-
 რის თრევას ვერ ავუდივარ. თანაც
 თითქოს ჰინაზე, თანაშემწე გამიხდა
 ავად. ლამის სიქა გამძვრეს.

— მაშ, შეიძლება სამზარეულოში
 შევიხედო? — თვალები სქელუას მუ-
 ცელს მიაბჯინა კუბლაშვილმა. სქელუ-
 ას მუცელზე დაწყობილი ხელები წა-
 ნით შეტოკდნენ.

— ერთი წვეთი მაინც დალიეთ, რომ
 იტყვიან, მკვდარს ვააცოცხლებსო,
 სწორედ ისეთი კონიაკია.

კუბლაშვილი უკვე აღარ უსმენდა. შე-
 ალო სამზარეულოს კარი და მიმოიხე-
 და. ქურაზე ქვაბები ბუყბუყებდნენ.
 შემწვარი მწვადის ისეთი მადისაღმძვ-
 რელი სურნელი ტრიალებდა, ვარლამ-
 მა უნებურად გადაყლაპა ნერწყვი. მზა-
 რეული არ ტყუოდა, მან მართლაც
 იცოდა თავისი საქმე!

მაგრამ ვარლამ კუბლაშვილმაც ხომ
 იცოდა თავისი საქმე? მაშინვე ეცა
 თვალში კედელთან მიდგმული ანტრა-
 ციტინი კალათა. იქვე იყო საწვავისათ-
 ვის პირთამდე გატენილი ყუთიც. იმ
 ყუთში ბარე ერთი კვირის მარაგი მა-
 ინც იყო. მაშ, რად დასჭირდა მზარე-
 ულს ანტრაციტის თრევა? ზემდეგმა
 საწვავისათვის განკუთვნილ ყუთში ჩა-
 იხედა. ამაოლაგა ჩამდენიმე ბრიკეტი.
 წამით მოხედა მზარეულს. იგი საოცარ
 გულგრილობით აბოლებდა სიგა-
 რეტს. ვარლამმა კედელთან მიდგმული
 კალათისაკენ გადაიჩოჩა. მზარეულმა
 ზედიზედ მოქაჩა სიგარეტი.

— მომისმინე... — ჩახრინწული
 ხმით წარმოსთქვა მან, — მოდი, გუ-
 ლახდილად მოვილაპარაკოთ. მით უმე-
 ტეს, რომ არავინ გვისმენს... ვხედავ,
 რომ კვალს მიაგენი... რა დაგიმალე, რა-
 ლაც პატარა საჩუქარი მიმაქვს... ქალი-

სათვის... ხომ იცი, მათი ამბავი, ეს რომ გახმაურდეს, სამუშაოს დაეკარგავ. ჰოდა, ნუ მიზამ ამას.

— პატარა საჩუქარია? — არც მოუნებდავს, ისე იკითხა კუბლაშვილმა.

მზარეული უსიამოდ შეიშმუნა.

— იქნებ ცოტა მეტიც იყოს. რა მოხდა მერე. აიღე ხუთი ასიანი და ლაპარაკსაც მოვრჩეთ..

კუბლაშვილი ერთბაშად შემობრუნდა. მზარეულმა მის გამჭოლ მზერას ვერ გაუძლო. თავი დახარა.

ვარლამმა მალე მიაგნო ანტრაციტში დამალულ რკინის ყუთს. ხელი გადაუსვა ხეშემ ზედაპირს. მან იგრძნო, როგორ დაზრინა ტანში, როცა მზარეულმა შეთავაზებულ თანხას შეეცარიული საათი „ლონჯინი“ დაუმატა. მუშტი მოკუმბა, წამიც და წითლად გაუღებავდა მზარეულს გაქსუებულ ცხვირპირს. მაგრამ საკუთარი ნერვების მოთოვვა შესძლო. კონიაკი, რომელიც მკვდარს აცოცხლებს... ქვეყნად ყველაზე უგემრიელესი სუკი... ხუთი ასიანი... თან შეეცარიული საათი „ლონჯინი“ — უკეთესს ვერც ინატრებ!

— მაშ, როგორ, მოვრიგდეთ? — სულ დაეყუჟა მზარეულს ხმა.

— მაგ საკენკით ჩვენთან ვერავის მოატყუებ... — ფოლადივით გაიწკრილა ზემდეგის ხმამ და ვეება ტანის მზარეული შებარბაცდა, სიგარეტი გააგდო და ტაბურეტზე რომ არ დამჯდარიყო, შიშისაგან ფერდაკარგული მიწაზე მოაღენდა ბრავგანს.

რამდენი ასეთი შემთხვევა ახსოვნვარლამს!

მაგრამ მათზე ლაპარაკი არ უყვარს ხოლმე. არ უყვარს და ძალაა?

სამაგიეროდ, გულუხვად მიმასპინძლებოდნენ კუბლაშვილისეული თავგდასავლებით ის ადამიანები, რომლებიც მუშაობენ მის გვერდით, უყვართ, აფასებენ...

ჯერ კიდევ ფეხი ზეირიანად მოკიდებულიც არ მქონდა ბრესტის მიწაზე. რომ მაშინვე კუბლაშვილის განწესში მიკრეს თავი: მართალი გითხრათ, საო-

ცარ მღელვარებას ვგრძნობდი.

ერთი იმიტომ, რომ საზღვარზე ვიყავი, მეორეც, იმიტომ რომ ყოველგვარი შემზადების გარეშე ჩავეფლე საკონტროლო-საშვები პუნქტის მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობაში. რამდენიმე ხნით მე თითქოს კუბლაშვილის თანაშემწე ვავხდი. ფეხდაფეხ დავეყვებოდი. ვამოწმებდით შემადგენლობებს — საზღვარგარეთიდან მომავალთ და საზღვარგარეთისაკენ მიმავალთაც. ერთად ვსადილობდით. ერთად ვწევდით სიგარეტს და, ცხადია, ბრესტის რკინიგზის კვანძის ვრცელ ტერიტორიაზე ვათვალისწინებდით იმ სამალავეებს, რომელთა წყალობითაც კონტრაბანდისტები მესაზღვრეებისა და საბაჟოს მუშაკთა თვალის ახვევას ცდილობდნენ. ერთი შეხედვით, მეჩვენებოდა, რომ კონტრაბანდის ძებნა, მისი აღმოჩენა და ამოღება არც თუ ისე ძნელი საქმე იყო. მაგრამ ასე იმიტომ მეჩვენებოდა, რადგან ჩემი წინამძღოლი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სახელოვანი კვალმაძიებელი ვარლამ კუბლაშვილი გახლდათ. სინამდვილეში კი ეს პროფესია, მე ვიტყვოდი, განსაკუთრებულ ნიჭსა და რაღაც ზეადამიანურ ინტუიციას მოითხოვს. ყველაფერ ამას ემატება ფსიქოლოგია, მოსაზრებულობა, არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალა და წარმოიდგინეთ, რკინიგზის ტექნიკის ზემდგომი ცოდნაც.

მე ვკითხვ:

— ეს უკანასკნელი რაღა საქიროა?

ვარლამმა თვალები მოჭუტა.

— მაშინ აქ მუშაობას არავითარი აზრი არ ექნებოდა. — მითხრა მცირე ხნის შემდეგ.

მალე მე საშუალება მომეცა დავრწმუნებულიყავი მისი სიტყვების ქეშმარიტებაში.

●
ვარლამი საკმაოდ დიდი გამოცდილებით ჩამოვიდა ბრესტის საკონტრო-

გიორგი სანაღობაძე
კვალნი მანინი რჩიბა

ლო-საშვებ პუნქტში. მას უკვე საზღვრის ოცდაათი დამრღვევი ჰყავდა შეპყრობილი. გავლილი ჰქონდა ნიკიტა კარაცუპას შესანიშნავი სკოლა და მაინც... მას ხელახლა მოუხდა სწავლა. მასწავლებლებში მას ყოველთვის წყალობდა ბედი. ასე მოხდა ახლაც. ზემდეგმა ვასილ სერედამ გაცნობისთანავე მოხიბლა. ზამთარი იყო. ისინი აუჩქარებლად დააბიჯებდნენ განძელებზე თოვლსაცავ ფარებს შორის, ათვალიერებდნენ წყალსაქანს, მებისრის დაგვალულ ჭიხურს... დროდადრო ვარლამი ზემდეგსაც შეხედავდა. მკაცრი, ენერგიული ნაკვეთი ჰქონდა ზემდეგს. თვლებში რალაცნაირი თბილი, ოდნავ მკრთალი შუქი. თითქოს დაგცინის და არც დაგცინის.

აი, უცებ თავს განზე სწევს, მოჭუტული თვალებით იყურება და რბილი, ხვერიდოვანი ხმით ამბობს:

— ჰოდა, იმას გეუბნებოდი, — თითქოს ადრე დაწყებულ საუბარს განაგრძობსო, ისე დაიწყო სერედამ. საერთოდ, საუბრის ასეთი მანერა ჰქონდა. — ჩვენი სამსახური არც მთლად ისე ადვილია, ძმაო. უფრო მეტიც — იგი მძიმეა, სულ უცხოელებთან გვაქვს საქმე. აქ სიმტკიცეა საჭირო და თუ შეიძლება ასე ითქვას, დიდი დიპლომატიაც. ზედმეტმა ეჭვმა შეიძლება შეგაცდინოს და პატიოსან ადამიანს მიაყენო ჩრდილი. ეს უკვე ჩვენი მუშაობის მარცხია. მაგრამ არც მტრის გაშვება შეიძლება. გესმის, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მტერი კი აქ სხვანაირია, ელევანტური, ჩინებული მანერებითა და მომნუსხველი ღიმილით აღჭურვილი. მის სულში ჩახედვა არც ისე ადვილია. მოდი და, თუ ბიჭი ხარ, გაიგე, რა კონტრაბანდას მიათრევს. კონტრაბანდა კი ათასნაირია. არის ეკონომიურიც და იდეოლოგიურიც. ანტი-საბჭოთა წიგნები, ჟურნალები, „სექს ბიულეტენები“, და რა ვიცი, კიდევ რა...

ეს უკვე იცოდა ვარლამმა. ადრეც გაეგონა.

ჰე, ფიქრობდა იგი, ძალით რამდენ რაფერი გააწყვეს ჩვენთან, ეშმაკობით უნდათ მოგვიგონ. სწორედ ეს უთხრა სერედას.

სერედამ შეიკურთხა.

— უჰ, მაგათი!.. ყოველნაირად ცდილობენ მოგვეუსხონ ე. წ. „დასაღვთოური ცხოვრებით“. მაგრამ რეკლამას გაუძლებდა კაცი, მის უკან აქტიური დაზვერვა რომ არ იყოს ამოფარებული. ზოგს ნიადაგის სინჯები მიაქვს. ზოგს ვალუტა... ხოლო ნარკოტიკები? იცი, რამდენი ნარკოტიკი ჩამოგვიერთმევია მათთვის? ბევრი... ზღვა...

როცა შენს მოვალეობას ასრულებ, მალ-მალე საათზეც უნდა დაიხედო. თორემ მატარებლის შეყოვნებისთვის თავზე არავინ გადაგისვამს ხელს. შემადგენლობის დასათვალისწინებლად მკაცრად დადგენილი დროა და კეთილი ინებე, ჩაეტიე ამ დროში. ხოლო ამ ერთიციცქნა მონაკვეთში ლოკომოტივს ჰანჭიკებად ვერ დაშლი... ამიტომ ნამეტანს ნუ იფხვაცუნებ და ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე ნუ მოჰყვები ბორიას — არამედ იფიქრე. იფიქრე, სად შეიძლება დიმილოს საზღვრის დამრღვევი, ან სად შეუჭუჭყავს კონტრაბანდა. ასეთი ადგილები კი მრავლადაა, — სწორედ ამ საუბრის შემდეგ სერედა თვითონ ჩაუჯდა ვარლამს — ასწავლიდა ლოკომოტივის ტექნიკას — ორთქლმავლის, თბომავლის, ვაგონების მოწყობილობას.

კუბლაშვილი გაოცებული იყო სერედის გამჭრიახობითა და მოსაზრებულობით. სერედამ ლოკომოტივების ტექნიკა ისე იცოდა, როგორც ყველაზე მაღალი თანრიგის ამწყობმა ოსტატმა. იცოდა, როგორ გამოიყურებოდა ჰანჭიკები, თუ ისინი ნახევარი წლის, ან რამდენიმე დღის წინათ დაამაგრეს. ერთი სიტყვით, ეს იყო ძალზე რთული სკოლა. სერედა ვარლამთან ერთად კონტრაბანდას წარმოუდგენელ ადგილებში აღმოაჩენდა ხოლმე — ტაფაზე ამიშხინებულ ბევსტექსში, ორთქლმავლის ფანარში, წყლიანი ტენდერის

ფსევრზე, თვლის ქუროს მანუთში, საფერფლეში, ტუალეტში, წვნიან ქვაბში...

ზოგჯერ გული წყდებოდა, აი, მან — გამოცდილმა და სახელიანმა მესახდერემ ვარლამ კუბლაშვილმა ვერ შენიშნა სამალავი, სერედამ კი იქედან ოქროს საათები ან ოქროს მონეტები ამოიღო... თითქოს ერთად ათვალიერებდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, სხვადასხვანაირად უყურებდნენ. აი, ცოცხი. კუბლაშვილმა მშვიდად გაუარა მას, ფეხითაც კი ვაასწორა. განსაკუთრებული არაფერი, იყო — ყოველ მემანქანეს სჭირდება ცოცხი. მაგრამ სერედამ თითქოს თვალებით გაცხრილა იგი. ასწია, შეატრიალ-შემოატრიალა, და მისი სახელურიდან ასი დოლარი ამოიღო...

იმ ღამეს ვარლამი გულდამძიმებული დაბრუნდა შინ. ცოლმა უგუნებობა შეატყო. მიზეზი ჰკითხა.

— გადავიღალე, ალბათ, — წუხილი დაუმალა ცოლს.

— რასაც შენ მუშაობ, სულ როგორ გიღვია, სული! — გაუღიმა ცოლმა.

„და მაინც არაფერი გამოდის“. — გაიფიქრა ვარლამმა.

მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და მან პირველი კონტრაბანდა აღმოაჩინა. აღმოაჩინა ორთქლმავლის ფარანში.

მისი წარმატება სერედას უფრო გაეხარდა. ერთიანად ცქმუტავდა, ადგილს ვერ პოულობდა, თვალები მოელვარე ნაპერწკლებით ჰქონდა სავსე.

— მაინც როგორ მიაგენი, ა? — ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა ზემდევი.

— აბა, რა ვიცი, — იშმუშნებოდა ვარლამი, — ფარანი დაგვიანებით გამოვიდეს და... მე ვიფიქრე...

— როგორ თუ დაგვიანებით? — უკვირდა სერედას.

— ჩვეულებრივ, მემანქანეები ფარანს გასვლამდე კარგახნით ადრე გამოჰკიდებენ ხოლმე. აქ კი თითქმის გასვლის წინ გამოიტანეს...

— აი, თურმე როგორი ყოფილხარ,

მაიკო! — მხარზე ხელი დაუტყაპუნა სერედამ — მიდი, იმუშავე!

მერე, წლების განმავლობაში კუბლაშვილმა ასი ათასობით მანეთის ღირებულების კონტრაბანდა აღმოაჩინა, მაგრამ აგერ აქამდე ახსოვს თავისი პირველი ნადავლი — წითელი რეზინით გადაჭერილი, გაქონილი დასტადოლარებისა, ორთქლმავლის მარცხენა ფარანში რომ გადაენახათ.

დიდხანს ვერ მოიხსენებდა იმ ღამით. იწვა გაქათათებულ ლოგინში, რომელიც მზითა და ბალახის მოტყბო სურნელით იყო გაფლენილი, — უხმოდ მისცემოდა განცხრომას — მთელს სხეულში უცნაური ქრუანტელი უვლიდა — ეს სიხარული იყო, პირველი გამარჯვებით გამოწვეული სიხარული. ღმერთმანი, ძალზე სასიამოვნოა, როცა იცი, რომ სარგებლობის მოტანა შეგიძლია. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, როგორც ძლიერი, საოცრად ვერაგი მტრის განიარაღების შემდეგ. არა, ამჯერად კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ კონტრაბანდისტებს... ბრესტის საკონტროლო-საშეგები პუნქტის ფხიზელ კონტროლიორებს ჰქმნა რიტი კვალმაძიებელი შეემატათ...

ვარლამ კუბლაშვილმა თითქმის განთიადზე ჩასთვლია. ჩასთვლია და ამასობაში განწესში ვასვლის დრომაც მოატანა. ჩიტივით იყო, ლაღად. სერედა სადგურში ელოდა. დღეს მათ სამგზავრო მატარებლები უნდა დაეთვალიერებინათ. ცხელოდა. სერედამ ბოლო კუბედან დაიწყო შემოვლა, კუბლაშვილმა თავიდან. სულ თორმეტი კუბეა. ვარლამს ექვსი კუბე უწევდა. მეოთხე კუბეში, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, ზრდილობიანად მოხადა მგზავრებს ბოდიში შეწუხებისათვის და უცებ... მისი მზერა მიეზღინა ზედა პლაფონის ერთ-ერთ ჭანჭიკს. ამ ჭანჭიკს რაღაც პაწია, თითქმის უხილავი განაკაწრი აჩნდა. „იქნებ ვინმემ ამოაძრო სტვალი და პლაფონი მოხსნა?“ — გაუელვა.

გროგვი სანაღირაძე
კვალნი მაინც რჩება



ვაგონის გამცილებელს უხმო.

— მითხარით, გეთაყვა, კუპეში ნათურა ხომ არ გადამწვარა?

— ნათურა? — გაიმეორა გამცილებელმა, — რაღაც არ მახსოვს, რომ ჩემი მორიგეობის დროს გადამწვარიყოს. იქნებ... ჩემი შემცვლელის დროს მოხდა... არ ვიცი... დანამდვილებით ვერ გეტყვი.

სარკმელთან შუა ხნის მამაკაცი იჯდა ჭრელი ხალათი ეცვა.

„განაკაწრი ახალია. ცხადია, სულ ახალია.“ — ფიქრობდა ვარლამი.

— იქნებ მგზავრთაგან ვინმემ ახლი ხელი პლაფონს? — თქვა ვარლამმა და მგზავრებს გადახედა.

სარკმელთან მჯდომი ჭრელხალათიანი მამაკაცი შეცბა. პაპიროსს წაეტანა და ნერვიულად გააბოლა.

— საინტერესოა, — თქვა ვარლამმა, — მაშ, საიდან გაჩნდა განაკაწრი?

— რა განაკაწრი? — ვერ მიხვდა გამცილებელი.

— ეხლავე გავიგებთ, — გაიღიმა ვარლამმა ქანდარაზე ასასვლელი კიბე მოიმარჯვა და ზედ შედგა. მგზავრები, გამცილებელი და ვარლამის შეყოვნებით დაინტერესებული სერგედა მოუთმენლად აღევნებდნენ თვალს ვარლამის თითების მოძრაობას. აი, მან სქვალეები ამოხრახანა, მოხსნა პლაფონი და ქვევით ჩამოიხედა. სერგედა დაინახა.

— ჰო, რა მოხდა? — ჰკითხა ზემდეგმა

— რაღაც ფუთაა ჭერზე.

— მერე ჩამოხსენი.

— ახლავე, — თქვა ვარლამმა და მისი „ახლავე“ სულმოთქმას უფრო ჰგავდა.

პლაფონის ჭერზე მიმაგრებულ პატარა ფუთაში აღმოჩნდა ოქროს საათები, დიდძალი უცხოური ვალუტა, ოქროს მონეტები...

— ყოჩაღ! — უთხრა სერგედად ისე უბრალოდ, თითქოს განსაკუთრებულად არაფერი მომხდარიყოს. და კუბლაში იწვიოდა, რომ დაიწყო მისი ნამდვილი, დამოუკიდებელი სამსახური.

ხოლო კიდევ რამდენიმე დღე სერგედად გამოუცხადა:

— დღეს მე და შენ უკანასკნელად მივდივარ განწესში. ამიერიდან დამოუკიდებლად იმუშავებ.

კუბლაში გაეხარა და ეწყინა კიდევ. მაგრამ უფრო?

— გეწყინა ხომ? — ჰკითხა სერგედად, როცა ბრესტის რკინიგზის ვეება კვანძის ტერიტორიაზე მიაბიჯებდნენ, — ნეც მწყინს.

ისევ ცხელოდა და განძელებს შორის დაყრილ ქვიშაზე მახუთი ზომიმიბდა. ცაზე უხარმახარი, მუქი ღრუბლები შექუჩებულიყვნენ. ქარი არ ჭროდა, მაგრამ ჰაერში მოახლოებული ქექა-ქუხილისა და წვიმის სუნი ტრიალებდა. ფერდაკარგული ხეები დახატულებით, უმოძრაოდ იდგნენ სადგურის გაყოლებით.

ვაგონების დათვალიერებისას სერგედა ექსტერნული დამუხრუჭების წელასთან დაიხარა. სახეზე ძლივს შესამჩნევმა ჩრდილმა გადაურბინა, კუბლაში ეგონა, მომეჩვენაო, რადგან ზემდეგმა ისევ ჩვეულებრივი გამომეტყველება მიიღო.

— ეშმაკმა დალახვროს. ზემდეტი მომდის უკვე! წაიბუზღუნა სერგედად და წელას მოსცილდა.

— ერთი წუთით, — თქვა ვარლამმა, — მეც შევხედავ!

— შეხედე! — კვერი დაუქრა სერგედად. ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, გააბოლა.

ვარლამი ჩაფიქრდა: ცხადია, ზემდეგი გამოცდას მიწყობს; რაღაც მართლა შენიშნა საექვო და განგებ გადაგა განზე. აბა, ვარლამ! ყურადღებით, ვარლამ! არ შეცდე! მაშ, რაშია საქმე? ხან საიდან შეხედა წელას და ხან საიდან ვაგონებს შორის გაბმული წელა თითქოს არავითარ ექვს არ იწვევდა. მაგრამ... მაინც რაღაც აკლია. მოდი, ერთად კარგად ვიფიქრო... და მოიფიქრა: წელას აკლდა ორთქლის მარგულირებელი „ჟულაშები“. მობრუნდა სერგედად



შეხედა. სერედა დაგორგილ კვამლს უსტეროდა.

„იქნებ განგებ მომიწყო?“
„რა სისულელეა“.

„უბრალოდ, დაემთხვა და აი, ბატონო, გამოცდის საშუალებაც მოეცა“.

მოძებნა წვრილი მავთული და შეკყო წელაში. მავთული გაიღუნა — ევლარ შევიდა ღრმად.

წვიმის მსხვილი წვეთები აწვაპუნდნენ ვაგონის სახურავებზე.

— იჩქარე, ვარლამ! გაწვიმდა.

— გაწვიმდეს მერე. — გაიღმა ვარლამმა და წელა მოსწია. — ვატყობ, აქ სხვანაირი წვიმის მოწმენი გავხდებით! — და იგი მართალი გამოდგა: მიწაზე ჩხრიალით დაცვივდა ოქროს მონეტები...

მერე სერედა და კუბლაშვილი უკვე საწვიმარ ლაბადებში გამოწყობილნი ამოწმებდნენ ვაგონებს.

სერედა შეჩერდა. შეჩერდა ვარლამიც.

— აი, სულ რაც მინდოდა მეთქვა შენთვის. — თქვა სერედამ გულლიად.

— რა უნდა გეთქვა? — უცებ ვერ მიუხვდა კუბლაშვილი.

— რომ მე შენთვის ზედმეტიცა ვარ ახლა. აბა, ერთი კაცის საქმე რად უნდა ვაკეთოთ ორმა?

ვარლამმა გაიცინა. მას უყვარდა ეს ახოვანი, ცისფერთვალა ზემდეგი.

— მაგრამ მაინც ხომ ერთად ვიქნებით?

— ცხადია, — დაეთანხმა ზემდეგი. — ობიექტი ერთი გვაქვს — საზღვარი.

● იგი ხშირდ იგონებს მამისეულ სახლს. საკმარისია თვალი დახუჭოს, რომ მაშინვე მოესმას სოფლის ვიწრო გზაზე კრიალით მიმავალი ურმის ხმა და დობიროში გამოფენილი ბავშვების ყრიაპული. მისი ცხოვრება არაფრით არ განსხვავდებოდა ამ ბიჭების ცხოვრებისაგან. დადიოდა სათიბში, მწყემსავდა საქონელს, კრეფდა ჩაის, კრაქის უტუქზე სწავლობდა გაკვეთილებს. მამა

ძლიერი ჰყავდა, მკვრივად ჩატსუნული და მხრებფართო. დაკოყრილი, ხეშეში ხელები ჰქონდა. ჰოდა, უყვარდა ბიჭს, როცა შახტიდან დაბრუნებული მამა ნავახშმევს საწოლთან დაუჯდებოდა და თავზე გადაუსვამდა ხელს. გარეთ, ლაფაროში კი უცნაური ლანდები დაფათურობდნენ, და წყალწითელას ფშალიან სანახებიდან მოპარული მელია რა ხანია ამფოთებდა კარიაში საიმედოდ შეყუთულ ქათმებს... ბიჭს უყვარდა მამის დამსკდარი, კოყრებიანი თითები. განსაკუთრებით მაშინ, როცა მამა ეალერსებოდა. გატრუნული იწვა, უსმენდა ხეთა წვეროკინების შარიშურს და ყველაზე ბედნიერ ადამიანად წარმოედგინა თავი. რა დაამახსოვრდა მას კიდევ იმ შორეული ბავშვობიდან? ლამაზი, ჯადოსნური ცისარტყელა. ეს ცისარტყელა მოულოდნელად ამოიწვევრებოდა ახალდაბის იქით, ჩრესილის ხოტორა მთებიდან და მათი სახლის უკან, ზედ კერიასთან ჩაესობოდა უხილავი კუდით. ჰოდა, ჰქონდა ბიჭს ლამაზი ოცნება. ცისარტყელა კიბედ განოეყენებინა, ასულიყო ზევით, სულ ზევით, ჩამჯდარიყო თეთრ ღრუბელში და შემოევლო ქვეყანა, მაგრამ ეს ოცნება ისევ არამყარი და ჰაეროვანი იყო, როგორც თვით ცისარტყელა — რამდენიც არ შეეცადა ბიჭი ცისარტყელას ჰოვნას, ვერასოდეს მიაგნო.

ოჯახი დიდი ჰქონდათ. სადილად რომ დასხდებოდნენ, ბარე თვრამეტი სული მოიყრიდა თავს. ეს იმიტომ რომ ბიჭაც — ზურაბიც მათ ეზოში ცხოვრობდა, ერთ სახლში.

სწორედ ამ ბიჭამ გაუწია მამის მაგივრობა, როცა მამამისი ერთ მშვენიერ დღეს ჩვეულებისამებრ ვახშობისას აღარ დაბრუნდა შინ — შახტი, სადაც იგი მუშაობდა, მავნებლებმა ააფეთქეს...

სწორედ იმ დროიდან დაჰყვა სამშობლოს მტრებისადმი სიძულვილი. მერე ეს სიძულვილი კიდევ უფრო გა-

გიორგი სანაღირაძე
კვანი-მანის-ჩხიბა



უმძაფრდა, როცა 1942 წელს თავის თანატოლებთან ერთად სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. თავდაპირველად ეგონა, — ფრონტზე გვაგზავნიანო. მაგრამ თვეზე მეტი იყო ეშელონი შეუჩერებლივ მიდიოდა და მოუსვენრობა დაეტყო.

— რაღაც არ ჰგავს, რომ ფრონტზე მიყვავდეთ! — უთხრა მეგობრებს.

რუსული თითქმის არავინ იცოდა. მაინც გაიგვს: ეშელონს გეზი შორეული აღმოსავლეთისაკენ აედო.

— ფრონტზე გავგზავნეთ, ჩვენს მამებთან, ჩვენს ძმებთან და თანატოლებთან ერთად გვინდა ვიბრძოლოთ!

— მოითხოვეს ჰაბუკებმა.

— იქაც ფრონტია.

— სად, ზურგში? — გაიკვირვეს.

— იქ ზურგი კი არა, საზღვარია.

თითქმის ომის დამთავრებამდე შორეულ აღმოსავლეთში გაატარა და, როცა ჩვენმა ქვეყანამ განთავისუფლებული მიწები დაიბრუნა, ვარლამ კუბლაშვილი ახალადგენილი საზღვრის დასაცავად გადმოიყვანეს. ომი დამთავრდა. მაგრამ მაინც მძიმე დრო იდგა. მესაზღვრეებს ათასი ჯურის მავნებლებთან და ბანდებთან უხდებოდათ ბრძოლა. ვარლამს ბევრ ოპერაციაში მიუღია მონაწილეობა. არასდროს შეურცხვენია საბჭოთა მესაზღვრის ღირსება და სახელი. და ყოველთვის, როცა ჯაშუშის კვალს აედევნებოდა, წარმოიდგენდა აფეთქებულ შახტს, სამუდამოდ რომ შთანთქა მამამისი... ეს იყო და ეს. მერე დანარჩენი გამოცდილებასა და სიმამაცეზე იყო დამოკიდებული.

ასე იყო მაშინაც, როცა საზღვარი ერთდროულად მთელმა ჯგუფმა დაარღვია. სულ უფრო და უფრო მიიწვიდნენ წინ. ვარლამის ძალღს „ბალეტში“ ერქვა. „ბალეტმა“ სწრაფად აიღო კვალი. მთელი ათი კილომეტრი სდიეს მესაზღვრეებმა ბანდიტებს. ტყის პირას ერთი პატარა სახლი იდგა. უხმეს მის პატრონს. გამოვიდა მოხუცი კაცი. „უცნობები ხომ

არ შეგინიშნავს?“ ჰკითხეს მესაზღვრეებმა. ისინი იცნობდნენ ამ მოხუცს, სანდო მოხუცი იყო. „იყვნენ, — თქვა ბერიკაცმა, — როგორ არა! ტყენი წამართვეს, ფურგონი წამართვეს, შაშხი წამართვეს და ტყეში გაუჩინარდნენ“. მარტი იყო. თოვლი დნებოდა და ატალახებულ გზებზე სიარული ჭირდა. არ გასკირვებიათ საზღვრის დამრღვევთა ადგილსამყოფელის დადგენა. ამასობაში დამხმარე ძალაც მოვიდა. შემოართყეს ალყა. ბანდიტებმა შესძლეს ხელიდან გასხლტომა. მთელი ღამე სდიეს კვალდაკვალ. განთიადმა პატარა სადგურთან მოუსწროთ. „ბალეტმა“ სატვირთო ვაგონთან მიიყვანა მესაზღვრეები. ვაგონი გარედან იყო გადაკეტილი. „ნუთუ „ბალეტში“ შეცდა?“ ერთმანეთს გადახედეს მდევრებმა. ორთქლმავალმა და იქშუტუნა და ეშელონი დაიძრა. „ბალეტმა“ საშინელი ყეფა ასტეხა. „გააჩერეთ ორთქლმავალი!“ — ბრძანა კაპიტანმა ლოგინოვმა. გააჩერეს. მოვარდა შემადგენლობის უფროსი — „რაშია საქმე?“ „გააღე ვაგონი!“ რა გზა ჰქონდა, მასვე ჩაეკეტა და მასვე უნდა გაეღო. საზღვრის დამრღვევნი უსიამოდ იშუშნებოდნენ დღის სინათლეზე. იარაღი არც ერთს აღარ აღმოაჩინდა. ეს მესაზღვრეებმა ადრევე იცოდნენ, რადგან ალყიდან გასვლის შემდეგ, რაც კი იარაღი გააჩნდათ, გზადაგზა გადაეყარათ. როცა ყველანი გადმოვიდნენ ვაგონიდან, ზემდეგმა მალკოვმა დაიძახა: „აქ მგონი ყველა არ უნდა იყოს!“ შეიხედეს ვაგონში. ერთიც იქვე წევს. წევს უძრავად. თავი კი ქვითა აქვს გაჭეჭილი. ბანდიტების მეთაური ის ყოფილიყო. ბევრი ცოდვა აწვა და რაკი ჩავარდნენ, თანაშემწისათვის ებრძანებინა, ქვა ჩამართყიო. ხალხის შურისგებისა შეეშინდა.

აი, ასეთი რთული დრო იყო. ქვეყანა ომით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა. რაც დრო გადიოდა, ნაწილ-

ში, საგუშაგოზე ძველი მეგობრებიდან თითქმის არავინ დარჩა, ხოლო ვინც დარჩა, მასაც გასაფრენად ფრთა ჰქონდა აწყობილი. მერე შინიდან რა გულსამაჩუყებელ, რა მონატრებულ წერილებს სწერდნენ... მშობლიური კერა ეძახდა. მას კი საოცრად ეძნელებოდა საზღვრის დატოვება. საზღვარი მისი ლამაზი სიყვარული და სიმამაცის ჭეშმარიტი სკოლა იყო. საზღვრის მოჩვენებითი სიჩუმი გარეშე ვერ წარმოედგინა სიცოცხლე.

მაგრამ დადგა დღე, როცა მას თვითონ უნდა გადაეწყვიტა მომავალი: საზღვარზე დარჩენილიყო თუ შინ დაბრუნებულიყო.

იგი დიდხანს წრიალებდა ნაწილის მეთაურის კაბინეტთან. სწორედ აქ, დერმატინით აქედილ კართან პირველად იგრძნო მან რაღაცნაირი შიში. არა, ჭერ კიდევ უნდა მოიფიქროს... კიდევ უნდა ასწონ-დასწონოს. ასეთ ორქოფულ მდგომარეობაში იგი არასოდეს ყოფილა. ერთიანად არეული მიუახლოვდა სარკმელს, ეზოში გადაიხედა და სწორედ ამ დროს ვიღაცამ მარწუხებში მოიქცია თითქოს — ისე მაგრად მოხვია ხელები. სწრაფად შემობრუნდა. გაშეშდა: კარაცუბა? ნიკიტა თევდორეს ძე კარაცუბა! მისი აღმზრდელი და კვალმაძიებელთა სკოლის ხელმძღვანელი!

ერთმანეთს გადახევივნენ.

— საიდან სადაო, ა? — ახლა განზე გადგა და ხარბად ათვალერებდა თავის ყოფილ მოსწავლეს სახელგანთქმული კვალმაძიებელი.

— დავაქცაეებულხარ, მომაგრებულხარ!

კუბლაშვილი თვალგაბრწყინებული შეჰყურებდა კარაცუბას. „რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ... ოდნავადაც არ შეცვლილა: იგივე ხორბლისფერი სახე, იგივე ენერგიული გამოხედვა. ეს არის ოლონდ — საფეთქლები შევერცხლია...“ და კიდევ კუბლაშვილი ფიქრობდა კარაცუბას სკოლაში, მის გვერდით გატარებულ დღეებზე. სწორედ

იმ დროიდან დაჰყვა — ყველაზე უფრო ზედმიწევნითი წესრიგიანობა და სიბეწვე.

— მოიცა, მოიცა! — უცებ მხარზე დაადო კარაცუბამ ხელი, — რაღაც მოწყენას გატყობ, რაღაც გაწუხებს...

ძალიანაც რომ გინდოდეს, კარაცუბას დაუმალავ რამეს? ვერ დაუმალავ. პოდა, ვარლამმა მაშინვე მოხსნა გულში დაგროვილ სათქმელს თავი. უამბო, როგორ ესიზმრება მშობლიური გორაკები, ხეობაში დაჰუჭკუალი ოდები, მუდამ ტანმარჩხი და მაინც საშიში წყალწითელა... უამბო დედაზე, ძმაზე, დაზე...

კარაცუბამ ყურადღებით მოუსმინა, მერე თავი გააქნია და გაიღიმა.

— მაშ, მამისეული სახლი გენატრება? რას იზამ, ბუნებრივია. თანაც არც საზღვრის მიტოვება გინდა. ვიცი, გიყვარს მესაზღვრის სამსახური. ეს მოწოდებაა. მაგრამ მე მახსოვს, ჭერ კიდევ ჩვენთან, სკოლაში ახალბედა მესაზღვრეებს შორის კამათი ატყდა, თუ ვის სად უნდოდა სამსახური. რამდენი ჭაბუკიც იჯდა ოთახში, იმდენი სხვადასხვა აზრიც იყო. მაშინ ერთმა კომუნისტმა, მეშახტის შვილმა საბოლოო წერტილი დაუსვა კამათს. მან თქვა, ყველგან ჩვენი სამშობლოაო. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ის ახალგაზრდა კომუნისტი შენ იყავი, ჩემო ვარლამ... ამ სამშობლოს გაფრთხილება, მოვლა უნდა... ეს კი შენისთანა ადამიანებმა უნდა გააკეთონ.

კარაცუბამ ამოისუნთქა, წარბები თითებით მოიყლიმა და ვარლამს თვალებში ჩაჰხედა:

— რამდენი ჯაშუსი შეიპყარი სკოლის შემდეგ?

ვარლამი დაიბნა. არ ელოდა ასეთ მოულოდნელ შეკითხვას. მერე გონება მოიკრიფა. მას ძალიან უნდოდა ეამბნა თავისი მასწავლებლისათვის თებერვლის სუსხიან ღამეზე, როცა მძიმე,

ბიორგი სანაღირაძე
კვალნი მანდს რჩება



გაუკვალავ თოვლში დივერსანტებს ეძებდა. ბოლოს, როგორც იყო, დაინახა ისინი... განთიადი ძლივს ახელდა თვალებს და გვიბნარევ სივრცეში რაიმეს გარკვევით დანახვა შეუძლებელი იყო. პირველად დივერსანტებმა ესროლეს. მერე თვითონაც ისროლა. მთელს მის სხეულს შიში დაუფლებოდა. მან დასძლია ამ შიშს და გაიმარჯვა. აი, ამაზე უნდოდა ვარლამს ეამბნა. უნდოდა გაეხსენებინა საყვარელი ძაღლის — „ბალეტის“ დაღუპვის ამბავიც. როცა ჯაშუშის ტყვიით ფეხმომტკრეული ძაღლი ყინულოვან მდინარეში გადავარდა... გადარჩენით კი გადაარჩინეს, ეს იყო ოღონდ. ფილტვების ანთებას ვეღარ დაუსხლტა... სდუმდა ვარლამი. ფიქრობდა. ფიქრობდა იმ დღეზე, როცა ის და ეფრეიტორი კირიუხინი კვალდაკვალ მისდევდნენ კორდონს იქიდან შემოპარულ ჯაშუშს... ირგვლივ თოვლი იდო და თოვლი დნებოდა. ხუტორებს ღრმა ძილით ეძინათ, ისინი კი მიდიოდნენ და მიდიოდნენ, ძლივს ითქვამდნენ სულს. მათ ზემოთ ხან ჭოტი გაიკვილებდა, ხანაც დამფრთხალი გარეული იხვეები გადაიქროლებდნენ უხელით. ბოლოს ისიც დაინახეს — მტერი! მტერმა იარაღი იშოშვლა. ისროდა. გაშმაგებით იცავდა თავს, მაგრამ მაინც შეიპყრეს...

— რა ვითხრათ, — გამოერკვა ფიქრებიდან ვარლამი. — აბა, მე სად მოვალ თქვენთან. დასახელებისაც კი მრცხვენია.

— ხომ გულით იბრძოლე? — იკითხა ნიკიტა კარაცუპამ.

— გულით, — თავი ასწია ვარლამმა.

— მამსადამე, ჩვენი სკოლის სახელიც არ შეგირცხვენია. პოდა, ახლა, როცა ასეთ საპასუხისმგებლო არჩევანის გაკეთებას აპირებ, მოდი ყური მიუგდე ჩემს რჩევასაც. იქნებ გამოგადგეს, ა? ნუ მიატოვებ საზღვარს.

— არ მივატოვებდი, მაგრამ ამ ბოლო დროს მიჭირს, ჯანმრთელობამ მიღალატა მგონი. ვეღარ დავრბივარ ძვე-

ლებურად. რევატიზმია თუ ბაა, არ ვიცი — მკლავს სწორედ.

კარაცუპამ ისევ მძლავრად დაჰკრა ბეჭზე ხელი.

— მაგას მოეველება. სამსახურს კი შენთვის ცოტათი უფრო მსუბუქეს გამოვნახათ. დიახ, დიახ! ნუ მიყურებ აგრე! ამას მე გეუბნები, ნიკიტა კარაცუპა. აბა, წამოდი ჩემთან ერთად! — და ნაწილის მეთაურის კაბინეტისკენ წაიყვანა.

რამდენიმე დღის შემდეგ ზემდეგი ვარლამ კუბლაშვილი ბრესტის საკონტროლო საშვებ პუნქტში გადაიყვანეს...

●
იგი ხშირად იხსენებდა ამ პირველ დღეს. „რა უნდა ვაკეთო აქ?“ — ფიქრობდა მაშინ საზღვრის მდუმარებას ნაჩვევი კაცი. აქ ყველაფერი უჩვეულო იყო მისთვის. მაგრამ დრო გამოხდა, ბრესტის საკონტროლო-საშვები პუნქტის საიდუმლოებებში სავსე საქმიანობამ იგი თანდათან ჩაითრია, მოხიბლა და ახლა მის გარეშე ვერც წარმოუდგენია სიცოცხლე. რა ადამიანებს არ შეხვედრია იგი აქ. რა ნიღაბს არ იშველიებს დამნაშავე მესაზღვრისა და მებაჟის თვალის ასახვევად. ერთნი საოცრად გულმშვიდად გამოიყურებიან, მეორენი ზედმეტ ყურადღებას იჩენენ, მესამენი ისე გართულან კითხვით, თითქოს თავზე წამომდგარ კონტროლიორს ვერც ამჩნევენ... რას იზამ, დამნაშავეს თავისი მეთოდები აქვს. მესაზღვრეს — თავისი.

რამდენი საინტერესო შემთხვევა ჰქონია ვარლამს! ჰე, ყველა მათგანის გახსენება და ჩამოთვლა შეუძლებელია. მე ახლა ვიცი, გავა კიდევ რამდენიმე ხანი და კუბლაშვილთან გატარებული დღეები ერთ პატარა წიგნში მოიყრიან თავს. ეს მომავლის საქმეა. მაგრამ ახლა მისი საქმიანობის დაახლოებითი სურათის შესაქმნელად, კიდევ რამდენიმე ეპიზოდს მოვიყვან:

... საბაჟო დარბაზი.

ერთიანად დაჭიმული, ელევანტური მამაკაცი, ოლიმპიური სიმშვიდით მიუახლოვდა მაგიდას და ზედ ყვითელი ჩემოდანი დასდო.

რას იზამ, წესი წესია — საბაჟოს კონტროლიორები ყურადღებით აკვირდებიან ბარჯს. ელევანტური მამაკაცი დამშვიდებით აბოლებს სიგარას, კუბლაშვილს მაშინვე არ მოეწონა იგი. ხომ ხდება ასე, ადამიანს არაფერი არ დაუშავებია შენთვის, შენ კი — არ მოგწონს. გაღიზიანებს მისი მანერები, ჩაცმულობა, ხმა... კუბლაშვილმა დეკლარაციაში ჩაიხედა. უცხოელი ტურისტი ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის შემდეგ შინ ბრუნდებოდა. საინტერესოა, რა კაცია, რით სუნთქავს. მაგრამ ჰკითხავ კი?.. ვერ ჰკითხავ. სტუმრებისათვის ასეთი შეკითხვების მოცემა არ შეიძლება და კუბლაშვილიც უხმოდ შესცქეროდა უცხოელს.

უცნაურია, ფიქრობდა იგი. თითქოს მოდების ეურნალიდან გადმოსულა. ხელში კი გაზეთში გახვეული მოგძრო ფუნთუშა უჭირავს. ცხადია, არაფერია გასაკვირი, როცა ფუნთუშა, ორცხობილა ან ღვეზელი ბავშვს უჭირავს. მაგრამ ასეთ ელევანტურ მამაკაცს... ცხადია, არ შეეფერება... მაშ, რაშია საქმე?

გონების კუნძულში ჯერ კიდევ გაურკვეველი აზრი შეიშმუშნა. კარგი, ბატონო, არ მოსწონს მას უცხოელის გამომეტყველება, არ მოსწონს მისი საოცრად თვითდაჯერებული, გაქვავებული სახე... მერე რა მოხდა, ვანა ამისთვის შეიძლება გამოდავება? ზედმეტ ეჭვიანობას მიაწერა აფუთფუთებული ფიქრი. რაში ენაღვლება ფუნთუშა უჭირავს ხელში, თუ გოგორა პური?.. ასე ჰოკმანობდა. და უცებ მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. „გეთყვია, აბა, ერთი გამოართვი ფუნთუშა“. — წასჩურჩულა საბაჟოს თანამშრომელს.

ტურისტის სახეზე უცნაურმა ღიმილმა გადირბინა. ეს ღიმილი დანაშაულზე წასწრებული ადამიანის თვალთმაქცურ ოინს უფრო ჰგავდა. მაგრამ

წამის შემდეგ ძლივს მისახვედრი რუსულით გამოცრა:

— რა უფლებით ჰკიდებთ ხელს? ეს ხომ არაპიგიენტურია?!

— ყური მიგდეთ, ბატონო... — მკაცრად, გამოკვეთით წარმოთქვა ვარლამმა. რითაც აშკარად მიანიშნა, გაძალიანება არ ღირსო. ტურისტმა მაშინვე დასდო გაზეთში გახვეული ფუნთუშა მაგიდაზე. გაზეთი გაიშალა. კუბლაშვილი დაიხარა, ჰაერი შეისუნთქა. არ შეცმდარა: ყველაფერი ზედმიწევნით ზუსტად იყო გაკეთებული, რამდენიც არ უნდა უყურო — ვერაფერს შეამჩნევ. სამაგიეროდ აი, სურნელი ამხელს ყველაფერს. დიან, თაფლის სურნელი. ამ თაფლით კრილის ხაზია ამოვსებული. უნაკლო ნამუშევარია!

კუბლაშვილმა უხმოდ აიღო ფუნთუშა, ძალდაუტანებლად გადახსნა შუაზე. იქიდან კი საგანგებოდ დაგორგლილი ასმანეთიანები გადმოცვივდა.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი... — ითვლიდა საბაჟოს გაკვირვებული თანამშრომელი, — სულ ათი ასმანეთიანია, ვარლამ მიხაილოვიჩი! — თქვა მან ბოლოს.

ვარლამმა თავი ასწია. თვალებში ძლივს შესამჩნევი ირონია გაუკრთა.

— რა თქმა უნდა, ბატონ ტურისტს წარმოდგენა არა აქვს, ვის მოუვიდა თავში ფუნთუშისათვის ასეთი გემრიელის „სატენის“ გაკეთება...

მერე ვარლამი ხშირად ადარებდა მისი სახის გამომეტყველებას ვინმე კალნინიუკისას. სულ სხვადასხვა ტიპები იყვნენ. გამომეტყველება კი ერთნაირი ჰქონდათ. ეს კალნინიუკი, იმ ტურისტისაგან განსხვავებით სულ ძველმანებში იყო გახვეული. ბრესტის ერთ-ერთ დაწესებულებაში ცეცხლფარეშად მუშაობდა. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სეროფიანი წყალიც არ დაუღვია, რა ვქნა, ცეცხლფარეში ვარ და ხელღვასი მეტის საშუა-

გიორგი -სანადირამა
ავალი მიწის რაზმა

ლებას არ მაძლევსო... სინამდვილეში მთელი კონტრაბანდისტული ქსელის სული და გული იყო. ყველა ძაფი მის აგარაკთან იყრიდა თავს. ვერ ივარგა მისმა მეთოდმა. ვარლამ კუბლაშვილმა მის ეზოში მეფის დროს მოჭრილი სამასი ოქროს მონეტა ამოიღო, რომელთა საერთო წონა ერთ ფუთზე მეტი გამოვიდა.

ესეც შენი ხელფასის შემყურე ცეცხლფარეში!

ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი პატარა მონაკვეთია ვარლამ კუბლაშვილის ბიოგრაფიიდან. საზღვარზე უმწიკვლო სამსახურისათვის მას მიღებული აქვს ორი წითელი ვარსკვლავის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი... უამრავი მედალი... მის პირად ანგარიშზეა ოცდაათი ჯაშუში და კონტრაბანდისტებისათვის ჩამორთმეული „ქონება“, რომელთა ღირებულება რამდენიმე მილიონ მანეთს შეადგენს...

ორჯერ დაესხნენ თავს... ერთი თავდასხმა რამდენიმე წლის წინათ მოხდა. მეორე... ჰო, მეორე ვერა და ვერ ამოუგდია თავიდან. საზღვარგარეთ მიმავალ მატარებელს ბუფის ხილთან ერთგვარ „პროფილაქტიკას“ უტარებენ. აქედან ლიანდავი იცვლება, რაღაც სანტიმეტრებშია განსხვავება და შესაფერის ბორბლებს უდგამენ. ვარლამი სწორედ ბორბლების გამოცვლას უცქეროდა ხიდიდან; ის-ის იყო ვაგონი თავის მგზავრებიანად ასწიეს... ხიდის ბოლოდან სამი მამაკაცი დაიძრა მისკენ. მაშინვე მიხვდა, კარგს რომ არ უპირებდნენ. მოემზადა. შეტაკება დიდხანს არ ვაგრძელებულა. ამ ერთი შეხედვით სუსტმა, კაფანდარა ზემდეგმა გასაოცარი მოხერხებულობა გამოიჩინა... მატარებლის ქვეშ უპირებდნენ ჩავდებას... დანითაც დასჭრეს კიდევ... ლავიწის ძვალმა უშველა. დანა აისხლიტა... ვარლამს არ უყვარს ამ შემთხვევაზე საუბარი. მაგრამ იგი არასდროს არ ავიწყდება. დიახ, საზღვარი საზღვარია... ყოველთვის მზად უნდა იყო. საკმარისია წამით მოადუნო სი-

ფხიზლე, რომ მტერი მაშინვე წამოკყოფს თავს.

„რაც გინდა გვთხოვე, ოღონდ მაქედან გადაბარგდი, — შემოუთვალეს კონტრაბანდისტებმა, — გვაცოცხლე და შენც იცოცხლე.“ „გადასაბარგებელი“ პირობები ასეთი გახლდათ: შავი ზღვის სანაპიროზე კომფორტბელური აგარაკი, უახლესი მარკის „ვოლგა“ და ასი ათასი მანეთი წვრილმანი ხარჯებისათვის.

ვარლამ კუბლაშვილს ელიმება ხოლმე, როცა ამ „პირობებს“ გაიხსენებს. ეტყობა, მართლაც მაგრად გაამწარა კონტრაბანდისტები, რაკი ასე გულუხვად იბერტყავენ ქისას...

ახლა შორს არის იგი. მე გონების თვალთ ვხედავ მის სახეს. ამ სახეზე წლების ანაბეჭდების გარდა, არის რაღაც ისეთი, — შესაძლოა სიმტკიცე ან დაჯერებულობა, რაც დიდი ხანია არის და კიდევ დიდ ხანს იარსებებს მასში.

იგი შუალამისას ბრუნდება შინ. მის ერთადერთ ქალიშვილს რახანია სძინავს. მეუღლე კი...

— მაპატიეთ, ცოტა შემავგვიანდა, — ეტყვის ვარლამი.

— კარგი „ცოტაა“, — გაიღიმებს ქალბატონი ნელი, — შენ სულ ასე იცი, ეტყვი, სადილობისას მოვალო, და შუალამისას შემოაბიჯებ.

— ხომ იცი, საქმე... — უხერხულად აარიღებს თვალს ვარლამი. იგი სწრაფად იბანს პირს და მაგიდასთან ჯდება. — აბა, რა გვაქვს დღეს „დღის წესრიგში?“ შემწვარი ხორცი? დიდებულა. თუ ღმერთი გწამს, მოდი ჩემთან ერთდ ივანშემ, მე კი ვახშამთან ერთად ვისადილებ კიდევ...

შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდება კუბლაშვილის ოჯახში.

სამზარეულოში ანთებულ ნათურაზე დიდხანს იფართხუნებს ღამის ფარვანა, იფართხუნებს და ისიც მიწყნარდება.

მაგრამ სიჩუმე ერთი წამითაც არ ჩამოვარდება ბრესტის უზარმაზარ სადგურში. — იქ წამდაუწყემ მიდიან და მოდინ მატარებლებმა.

სხვადასხვა კუთხის უკიდეგო...

ალბათ ჩვენი რესპუბლიკის არც ერთ რაიონში არ იგრძნობა საქართველოს ყველა კუთხის სუნთქვა ისე ძალუძად, როგორც ლავოდეხში. აგერ რომ დინჯი კახური თუ რაჭული კილო მოხვდება უფროს, იქვე იმერლის ან გურულის მკვირცხლი სიტყვა მოგატყეებს სმენას. ლავოდეხი მინიატურადად წარმოდგენილი საქართველოა, აშბობენ აქაურები. და სტუმარიც ამ აზრს უთუოდ გაიზიარებს, როცა ამ რაიონის მრავალდარგოვან მეურნეობას და აქაურ მცხოვრებლებს ვიხილავთ.

მაგრამ მარტო სხვადასხვა კუთხის ქართველთა სიმრავლით როდი ეძახიან ასე ლავოდეხს. როგორც საქართველოში საერთოდ, რომელი ერის წარმომადგენელს არ ნახავთ აქ. ნახავთ უბრალო გამგულს, ტურისტად ან სტუმრად მოსულს კი არა, აქაურს, მკვიდრს. ისეთს, რომ გეტყვის: პაპანემი აქ დაბადებულაო. ცხოვრობენ ერთიად, ძმურად, ერთ საქმეს აკეთებენ, ერთ მიზანს ემსახურებიან, ერთი წარმატებით მოაქვთ თავი, ერთმანეთს ჭიხან და ლხინს იზიარებენ ქართველები და რუსები, უკრაინელები და ბელორუსები, ოსები, ებრაელები, სომხები და მრავალი სხვა ეროვნების წარმომადგენლები. მარტო ერთ, ქალაქის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში თორმეტი ეროვნების ოჯახი ცხოვრობს. ერთმანეთში სიამტკიბილობისა და სიყვარულის მეტი არაფერი იციან, მაგრამ რაც მართალია, მართალია, კარის მეზობლებთან აზერბაიჯანელებთან განსაკუთრებულად მძლავრი და ღრმა ფესვები აქვს ლავოდეხელთა მეგობრობას. ბელაქნიდან ისე ხშირად მოდიან ავტობუსები ლავოდეხისაკენ და პირიქით — ლავოდეხიდან ბელაქნისაკენ, ვინ იფიქრებს, ეს ორი რაიონული ცენტრი სხვადასხვა რესპუბლიკაში რომ არის. ავტობუსების ხშირი მიმოსვლა ერთი შეხედვით თითქოს და ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ თუ დაუყვირდებით, ეს ხშირი საქმიანი-სამეურნეო თუ კულტურული ურთიერთობა იმას ჰგავს, ერთი დედამამიშვალეებს ხშირად რომ მიუწყევთ გული ერთმანეთისაკენ, უერთმანეთოდ გაძლება რომ არ შეუძლიათ. დიახავ, ერთი დედამამიშვილები არიან, დიდი

საბჭოთა ოჯახის შვილები და საღ ვაგონილა მშა მშას თვალში არ შესციციენებდეს, მხარს არ უმაგრებდეს!

აზერბაიჯანელი და ქართველი ძმები ამას წინათაც შეხედნენ ერთმანეთს მეგობრობის საღამოებზე — ჯერ ლავოდეხში, შემდეგ ქალაქ ხაქიალაში.

მაგრამ სულ სხვაა ახალგაზრდობის შეხვედრები, დაუვიწყარი სიტყვები, მომავლის გეგმებზე დიდი საუბარი, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაწოდებული სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებულ მიღწევათა დემონსტრაცია და ბოლოს, სახელდახელო კონცერტები. ცეცხლოვანი ხალხური ცეკვები, აზერბაიჯანული თუ ქართული სიმღერები და ახალგაზრდა ავტორის მიერ ფიცივით წარმოქმნილი სამეგობრო ლექსი:

ხელი ხელს მივცეთ, —
ფიცი ფიცს შეჭრავს,
აელვარდება ყველა მიზანი;
და ვსახელოთ სამარადისოდ
ჩვენი რუსთველი, თქვენი ნიხამი.

ასეთი სულსკვეთებით არის გამსჭვალული ყველა შეხვედრა, განსაკუთრებით კი ეგრეთ წოდებული აპრილის შეხვედრები. უკვე მეთხუთმეულია ლავოდეხის რაიონისა და აზერბაიჯანის სსრ ბელაქნის რაიონის ახალგაზრდები ყოველ 24 აპრილს — ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღეს — ორი რესპუბლიკის საზღვარზე იკრიბებიან. აქ, მეგობრობის ხიდის მახლობელი ფერდობი მოვიხივოთ ახალგაზრდებით, მოწყვეული ძველი კომკავშირული მუშაობით, შრომის ვეტერანებით იფარება და თავი ეხსენება „სიყვარულის გუდას“. მაგრამ ეს მხოლოდ პირველ შეხვედრაზე, ოფიციალური მიტინგის დაწყებამდე. მიტინგზე კი ქართველი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები საქმიანად მსჯელობენ მოფლიოს ახალგაზრდობის საერთაშორისო პრაქტიკებზე, იმედისა და ძმობის სიტყვას უზღავნიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქვეყნების ახალ თაობას. აქ, ამ ფერდობზე, მეგობრობის ხეივანმა უნ-



და იშრიალსო, — გადაწყვიტეს ლაგოდებელმა და ბელჯუნელმა ახალგაზრდებმა. მალე ამ გადაწყვეტილებას ხორცი შეესხმება და ამ მეგობრობის ხეივანში ქართველია და ახერხაჯანელია ფუქემყარი მშობახა და მეგობრობის სიინტერესო სტორიას მრავალი ღირსსახსოვარი ფურცელი შეემატება.

— ქართველი კაცი ბუნებით ინტერნაციონალისტია. ასე იყო ოდითგანვე და, შით უფრო, ასეა ახლაც. ჩვენი რაიონის რომელიც გვნებათ კოლმეურნეობის მავალით აირჩიოთ, — ღმილით ამბობს საქართველოს აქვე ლაგოდების რაიონის პირველი მდივანი ჩემს ხაიძე.

მე პირადად. რა თქმა უნდა, ოდნეადაც არ მუპარება ეკვი ჩემალის სიტყვების სისწორეში, მაგრამ ერთ-ერთი კოლმეურნეობის მავალით მივც უნდა ავირჩიოთ. აი, თუნდაც ნინიგორი იყოს, ნინოს ხეც გვერდით რომ დაუყვება.

ამ კოლმეურნეობას „დრუება“ ჰქვია, ყველასათვის და ყველა ენაზე გასაგები სახელი. ქართველებთან ერთად აქ ცხოვრობენ რუსები, უკრაინელები ბელორუსები, ოსები. ერთნაირი ვატაობით მისდევენ მეთამბაქოეობას, მემცენარეობას, მეგობსტენობას, მეცხოველეობას, ერთად ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმებს, ერთად დადიან კინო-თეატრებში სხვადასხვა ეროვნების ქალიშვილები და ქაბუკები, ერთმანეთის გვერდით მუშაობენ ქართული და რუსული საშუალო სკოლები, ერთად იცავენ თავიანთი სოფლის სპორტულ ღირსებას.

აი, ფართო მოასფალტებულ გზას, რომლის ორივე მხარეს კონტად ჩამქრივებულან მწვანეში ჩამქვარო მშვენიერი საცხოვრებელი სახლები, შეწყობილი ნაბიჯებით მოუყვებიან ახალგაზრდები. ოპო; პროექტორული შტაბი კლუბში ჩობრძანდებო, ჩაიქილიეს გოგონებმა და სათითაოდ შეათვალიერეს საუბარში გართული ბიჭები: შოთა ვენკლაშვილი, ტოლია ავდიენკო, ანზორ პაპაშვილი და გიორგი ისტაევი. საქილიყო აქ რა იყო, ბიჭები მართლაც კლუბში მიდიოდნენ, მაგრამ გოგოებს რომ ჰკითხოთ, პროექტორული შტაბის წევრებს საქმე ბევრი არაფერი აქვთ, უმათილად წესრიგი და სიმშვიდე ყველგან და ყოველთვის. მაგრამ სულ სხვანაირად ფიქრობს ამ შტაბის ნელმძღვანელი კომპაჰვირელი. გიორგი ისტაევი: მართალია, წესრიგი და სიმშვიდე არ აქვია სოფელს, მაგრამ ეს იმიტომაც არის, რომ ყველგან და ყოველთვის იგრძნობა შტაბის წევრების ფხიზელი თვალის.

იმ დღეს კლუბში ლექცია ტარდებოდა. მოწვეული ლექტორი ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას და მის სიკეთეზე ესაუბრებოდა მსმენელებს. გულსიყურით უსმენდნენ ლექტორს, რომელიც ხაზგასმით ლაპარაკობდა

ეროვნული სიამაყის გრძნობაზე, რამაც მათ და არამც არ უნდა დაგვეწყნოს სხვა ერების წარმომადგენელთა მიმართ პატივისცემა, პატივითიზმზე. მას საუკეთესო გაგებაზე, ახალგაზრდის შინაგან კულტურასა და ტაქტზე, საერთო საქმესა და დიდ ამოცანებზე.

ლექტორს სოფლის ახალგაზრდობის სახელით მადლობა გადაუხადა კოლმეურნეობის კომპაჰვირის ორგანიზაციის მდივანმა ნოდარ კიკლაშვილმა და კმაყოფილებით განუცხადა — თითქოს ყველა ჩვენგანის სათქმელი თქვით. მხოლოდ ჩვენ ამ საკითხზე ლაპარაკი ნაკლებად გვეხებრება, საქმით კი თავს არ ვირცხვეთო.

არადა, ყოველივე ეს და სხვა საუბრებიც მხოლოდ იმიტომ არის, რომ საქმით არ შეირცხვიანოს თავი აღამიანმა. საქმე კი მართო ფიზიკური შრომა და სახალხო დოვლათის დაგროვება როდია. რა თქმა უნდა, ეს ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობის საქმეა, მაგრამ იგი არაბრად იქნება ჩასაგდები, თუ ეს დოვლათი პატიოსანი, გაგებული და თავისი ქვეყნის მოყვარე აღამიანის ხელით არ იქნება შექმნილი. განა ნაკლებმნიშვნელოვანია თუნდაც ის, თუ რა კოლექტვში, რა გარემოში შეიქმნა ეს დოვლათი, სიტხვის ამ ნერგმა სიყვარული, მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროში იხარა, თუ შურისა და ჭიშობის სარეველას ძლივს დააღწია თავი?

ნინიგორის კოლმეურნეობა „დრუებაში“ სიტხვის ნერგი სწორედ რომ სიყვარულმა და ურთიერთპატივისცემამ ახარა. ამ ნერგს ერთნაირი გულმზურვალეობით ელოლიაგებოდნენ ქართველი მეთამბაქოე აკაკი ხუციშვილი, რუსი მწველავი ლალი კლიაჰოვა, უკრაინელი მეფრინველე კლავია რაზდაბუდო, ბელორუსი ანატოლი ავდიენკო, ოსი იზოდოც ცხოვეტოვი და მრავალი სხვა მათი თანატოლი და მეგობარი.

ერთსულოვან ოჯახში ნათესაესა და მეგობრებსაც ხომ უფრო მოუწევს გული. ალბათ იმიტომ არის, რომ ნინიგორის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე ბაისუბნის უღელტეხილზე, სადაც დრუებულებმა ობელოსი აღმართეს და ტყე-პარკი გააშენეს, მთელი რაიონის ახალგაზრდობა ერთად ზეიმობს ხოლმე კომპაჰვირის დაბადების დღეს. მასპინძლები დიდად აუასებენ ლაგოდებელი კომპაჰვირელებს ამ არჩევანს და ყოველმხრივ ეძლეობენ კიდევ მეტი სიყვარულითა და ერთსულოვნებით შეკრული და საერთო მეცადნეობით ზეავდუღეველი მეგობრული ოჯახი დაახვედრონ სასურველ სტუმრებს.

თამბაქოსფერი შემოდგომა შინ არ აჩერებს ახალგაზრდებს. მათი ხალისიანი შრომა უმტკიცეს დუღაბს უმზადებს იმ მშვენიერ საკაცობრიო მიზანს, რომელსაც კომუნისში ჰქვია და რომელიც ახალგაზრდობამ უნდა დაავიარგვის.

სეითოლეის ნახიჯები

აქსენ ბალაშვილი

დიდი ჯაჭვი

დაიწერა ძველი, გაიჭრა საძირკველი, ფუძელ ჩაღულაბდა ხალხთა ძმობა და აშენდა ახალი, თავისი ენერგეტიული ბაზით.

ზღაპრული ამბავი მოხდა, შეიკრა ევროპის დიდი ჯაჭვი, მრავალმა სახელმწიფომ თავისი ელექტრომეტურნეობა გააერთიანა და საჭიროებისდამიხედვით, ენერგია თავისუფლად გადაედინა-გადმოედინება.

ათეულ-ათასობით მანქანა ერთ ქსელში ჩაირთო, ურალში, ბულაქშეში, ბაქოში და სხვაგან მოშუავე „თბოსადგურებისა“ და „ჰესების“ გენერატორებმა „ზაჰესის“ გენერატორების სისწირეზე უნდა იტრაილონ, მათი ბრუნე ერთმანეთს უნდა დაემთხვეს, სხვა შემთხვევაში დიდი ჯაჭვის სინქრონიზაცია დაირღვევა.

ამ გიგანტის სამართავი ცენტრი ბრალაშია, საწყისს მრავალ ათასეულ კილომეტრებზე გაფანტული რაიონებიდან იღებს; რაიონები კი დიდი ჯაჭვის ძირითად რგოლებად ერთიანდებიან.

ერთ-ერთ ასეთ მოზრდილ რგოლს წარმოადგენს „საქმთავარენერგო“ თავისი სადისპეტჩერთი. — ამ სამსახურის მამამთავარია კონსტანტინე გავნიძე, ზრდილობიანი, ღინჯი, დარბაისელი, სპეციალისტების კარგი აღმზრდელი და თანვე მათი მეგობარი.

ახლაგზრდები აქ მართლაც ბევრნი არიან: კახაბერ ხერხეულიძე, ომარ ხელაძე, ზურაბ ნიჭაბაძე, იაგო ქოქრაშვილი, მარლენ ძნელაძე, ბორის კოკორიძე და სხვები.

დღევანდელი საწარმო დაფუძნებულია ელექტროობაზე, უმისოდ ვერ მოქსოვ ქსოვილს, ვერ დაბეჭდავ წიგნს, ვერ გამოაღწობ ფოლადს, ვერ ააშენებ სახლს, ვერ ააგებ კოსმოსურ ხომალდს.

ღამე. ისვენებს ქვეყანა, სძინავთ მშრომელებს; „საქმთავარენერგოს“ ბევრ მუშაკთან ერთად არ უნდა გძინოთ ზემოჩამოთვლილ ახლაგზრდებს, რომ ხვალ ფეიქარმა მოქსოვოს

ღამაში ქსოვილი, მეტალურგმა გამოაღწოს ფოლადი, მშენებელმა ააშენოს სახლი.

ისინი ღამეებს თეთრად ათენებენ, ჯარისკაცული შემართებით დგანან ვეებერთელა ქსელის სამართავ პულტთან და ასეულ კილომეტრებიდან მართავენ „ჰესებს“, „თბოსადგურებს“, ანაწილებენ ელექტროენერგიას.

ამას სჩადიან ჩვენი ბიჭები, მართლაც რომ სასახელო ახალგაზრდები გვყავს.

შარშან, ქართველმა ენერგეტიკოსებმა გამოიმუშავეს 10,5 მილიარდ კილოვატ საათზე მეტი ელექტროენერგია. აქედან 68% მოდის გარდაბნის საკონდენსაციო თბოსადგურზე „გრესი“.

ამ სახელოვანი ობიექტის თავეცი, გიორგი მიქიაეა უაღრესად პატიოსანი ადამიანი, მოშვირნე მეურნე და ხალხის მოსიყვარულე ხელმძღვანელია.

უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში ამ გიგანტს, ელექტროენერგის დაუშრეტელ წყაროს, მიღებული აქვს სიკავშირი და რესპუბლიკური მრავალი ჯილდო.

„გრესის“ ათასეულიან კოლექტივის ახალგაზრდების წვლილი განუზომელია. ამ მოწინავეობაში არ მინდა სახელოვან საწარმოდან გამოვეყო ვუშინდელი ომკავშირელები და პირტიტველა აუმაწიელები, ისინი ერთმანეთს ტოლს არ უდებენ, ყველანი ჭებას ღირსნი არიან, მემანქანეები და ელექტრიკოსები, სამაქროების ცვლის უფროსები და ზეინკლები. შემეკეთებლები და შემდღუღებლები: ლევან სივსივაძე, ნიკო ჭალაღონია, ვარლამ გოდერძიძე, გიორგი შესაბლიშვილი, ჯემალ აკობია, ეალიკო ბადალაშვილი, გენო მანჩხაშვილი და სხვები. ქების ღირსია მათი მრჩეველი და მათი მეგობარი, კადრების განყოფილების გამგე ნოდარ ქუთასელი.

ყველამ კარგად იცის, რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა მაქსიმ გორკი ქარხნის ისტორიის დაწერასა და თანდათანობით მის შექმნას.

ამ დიდ ობიექტსაც აქვს თავისი ხანმოკლე,



მაგრამ გვირობით აღვსილი წარსული და მას აღვწინსაურებთ. ძალიან გარკვეულია იქნება თუ მას დაეხმარებიან და ჩვენშიც დაამკვიდრებენ დიდი ჭარხნების ისტორიის შედგენას. ეს ისევე საბრძოლო და საინტერესოა, როგორც ქალაქების სათავგადასავლო ამბები.

ჩვენი შთამომავლობისთვის დიდად საინტერესო იქნება ევროპის დიდი ჯაჭვის შექმნის ისტორია, მომავალში მას ალბათ აფრიკისა და აზიის ენერგეტიკული ქსელიც შეუერთდება.

ამ ზედილე ჯაჭვს წარსული არც თუ ისე დიდი ხნისა აქვს, 1917 წლით იწყება, რევოლუციის ჯარისკაცის შემოვლელი ტანსაცმელია ჩაგვარებული და წინააღმდეგ ვაჭყაყურად მოქმედებს. მხოლოდ, შიმშილით, მიწშიღვნი მიტოვებული და შეუპოვარი შრომით. ჩვენი სახელოვანი მამები დაბრკოლებად აღმართულ გრანიტის კლდეს შიშველი ხელებით შეეხებენ, ლოდები კბილებით დაფშვენენ და თავიანთი შთამომავლებს სინათლეზე გაიყვანეს.

დიდება მათს შემართებას! მათგან საფუძველდაყრილ ენერგეტიკულ ბაზას, მომავალი უფრო დიდი აქვს, 1980 წლისთვის ელექტროენერჯია თითქმის ორჯერ მეტს დაგვიტოვდება, სათანადოდ უნდა ვაჩვენოთ მისი გამოუმუშავება; აზერდება „ჰესები“ „თბოსადგურები“ და „ატომური ელექტროსადგურები“.

ეს მოხდება მეცნიერულად დასაბუთებულად, ზუსტად გათვლილი გეგმით, რომელსაც ემსახურება საკავშირო კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტი, თავისი მრავალი ფილიალით და უაღრესად კვალიფიციური კადრებით.

ერთ-ერთი ასეთი ფილიალია „ენერჯოსტელპროექტის“ საქართველოს განყოფილება. ჩვენს ტერიტორიაზე არსებული ყველა გადამცემი ხაზი მათი დაპროექტებულია. ამ სამეცნიერო ობიექტს ხელმძღვანელობს ილია კეჭელარია, პეყენ ახალგაზრდა, კვალიფიციური სპეციალისტები: ჯემალ გოციროძე, დავით ლეწეფაძე, ჯემბერ გველესიანი და სხვები. — დადიან მინდვრებში, მთებზე, კლდეებზე, არჩვენებ მოხერხებულ ტრასებს, თივლისწინებენ გეოლოგიურ და მეტეოროლოგიურ პირობებს და აპროექტებენ 35, 110, 220, 500 კილოვოლტის გადამცემ ხაზებს.

ვთქვათ, ამ დიდ ქსელში ვილაცას რაღაცა გაზრდა, ანდა საჭიროა სახელდახელო პატარა ობიექტის დაპროექტება. — აქვე არიან „გაუქირების ტრეკინგები“, თავიანთი ინიციატივით და მუყაითი ახალგაზრდებით: რეზო სიქინავა, თამაზ შიროტაძე, ანუკო ფიცხელაური და სხვები. ეს ახალგაზრდები ყოველ წელს მზად არიან დაგეგმონ პატარა მესაქონლეობის ფერმის ავტომატიზაცია და რ, კილოვოლტის გადამცემი ხაზი, პატარა ქვესადგური და დაბალი ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობა. — ესეც საჭი-

რო და აუცილებელი რამ არის, უამისოდ „საქართველოს ენერგეტიკა“ ევროპის ენერგეტიკულ ჯაჭვში ვერ ჩაერთვებოდა.

ამჟამად, ჩვენი ტერიტორია დაქსელილია 35, 110, 220, 500 კილოვოლტის ხაზებით, გადამცემი ტრასები გადის კლდეებზე, ქალაქებზე, სოფლებზე, მინდვრებზე, ტყეებზე და მდინარეებზე. სათქმელად ყველაფერი ადვილია, საქართველოს ენერგეტიკული ქსელი ევროპის დიდ ჯაჭვშია ჩართული, ზუსტებენ მაღალ ანძებზე დაკიდებული, შავად გარუჯული მავთულები, ამის აშენება ძალიან ძნელი იყო, მაგრამ აშენეს, შეუძლებელი შეძლეს, ოცნება სინამდვილედ აქცეულ და ამანი ყველაზე დიდი წვლილი ახალგაზრდებს მიუძღვით. ინსტიტუტიდან გამოსულ პროექტებს ხორცს სწორედ ისინი ასხამენ.

სადაც მიუვალში, 25 მეტრიან ანძებზე ასვლა-სა და მუშაობას უბედურს მძინელობა, ცმაწვილის გამოკრიახი თვალი და დეგემირის მარჯვენა სჭირდება, ორას მეტრიან ფრიალო კლდეზე გადამსვრილ სამავთულე ისარზე ქაპრით, ზოგჯერ კი ცალი ხელით უნდა დაეყიდო და მოკიშული დენსადენი იზოლატორების ასმულაზე მკვიდრად დაამაგრო.

აშენებულა მრავალი ასეთი ხაზი, ვინ ააშენა? ახალგაზრდებმა.

უფრო რთული ხაზები შენდება, ვინ აშენებს, ცადატყორცნილ ანძებზე ვინ ადის?

ისევე ახალგაზრდები.

სწორედ ისინი ემსახურებიან ცხოვრების განვითარების მთავარ ბაზას, ქვეყნის ელექტროფიკაციას. — მათზე უნდა იწერებოდეს ნარკვევები, მოთხრობები, ლექსები, რომანები. არ იწერება, დასანაია.

წელს ამინდ ძალიან ჭირვეულობს, ენერგეტიკოსებს დიდი ჯიფა ადგათ, ხშირია კოკისპირული წვიმები, ღვრცოფი საძირკველს უთხრის ანძის, ქარიშხალი გლეჯს მავთულებს. დაზიანებული უბანი ევროპის დიდი ჯაჭვიდან სწრაფად გამოჰყავს ავტომატს და ტვირთი გადამაქვს პარალელურ ხაზზე.

ამ რთული ავტომატის მუშაობას თვალყურს ადევნებს სარელო და ცეცის ცენტრალური სამსახური.

ერთ გადამცემ ხაზზე თუ სხვა დანადგარზე, დგას მრავალი რეღე, თავისი უთვალავი კოქებით, გამართვებებით, წინააღმდეგობებით და მოვერცხლო კონტაქტებით. მუშაობენ სხვადასხვა მაჩვენებელზე რეჟიმით გათვლილ დროის მონაკვეთში. თუ იმ მაჩვენებელზე არ იმუშავა და დაპროექტებულ სეკუნდის მეთოდებში არ ჩაეგია, ქსელის სინქრონიზაცია დაირღვევა, რგლო ამოვარდება დიდ ჯაჭვიდან და პირველად სქემის აღდგენას შეიძლება საათებიც კი დასჭირდეს.

ამ რთულ და მეტად საპასუხისმგებლო უბან-

ზეც მუშაობენ საკმაოდ ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი სპეციალისტები: რომან ბუბუტე-ნიშვილი, თამაზ თხელიძე, სოსო ტყეაბაძე, ბორის შიგინიშვილი, ბიჭიკო ვაბუნიანი...

„საქმთავარენერგოს“ ქსელში სინქრონიზაციის ირღვევა, ამაში დიდი წვლილი ზემოთ ნა-მოთვლილ ახალგაზრდებსაც მიუძღვით.

1972 წლის 4 სექტემბერს ღამით, თბილისსა და რუსთავს შუა კოკისპირულმა წვიმამ და ქარიშხალმა წააქცია 220 კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის ორი ანძა. დაზიანებული უბანი რე-ლევებმა სისტემიდან სწრაფად ამოაგდეს და 200 მეგაჟატიანი ტვირთი გადაიტანეს პარალელურ ხაზზე.

თბილისის სარაიონო ქსელში აწკრილდა ხაგანგაშო ზარი, ნავთლუღის დიდი ქვესადგურ-იდან, ავარიულად გამორთული გადამცემი ხაზი გასინჯეს ხელსაწყოებით, ზუსტად მოძებ-ნეს დაზიანებული ადგილი, ორიოდე საათში ბრიგადა უკვე იქ იყო და მუშაობდა.

ძირითადად ამ საქსელს რაიონის ტერიტო-რიაზე იმყოფება „საქენერგოს“ საკვანძო ქვესა-დგურები და მის ტერიტორიაზე გადის მთა-ვარი გადამცემი ხაზები.

ამ უბანში დაზიანებული ყოველი გადამ-ცემი ხაზი და საქვესადგურო დანადგარი უნდა შეკეთდეს სწრაფად, ელვისებურად.

მართალია, ამ დროს ენერჯის ნაკლებობას არაფერ განიცდის, მაგრამ პარალელური გადამ-ცემი ხაზი, ან საქვესადგურო დანადგარიც რომ დაზიანდეს, მთელი სისტემა დაირღვევა, ეს არის მეტი რთული და საპასუხისმგებლო უბანი.

ამ რაიონს სათავეში უდგანან ვახტანგ ქინქ-ლაძე და იური ლორია.

სამუშაო დღე დამთავრდა, ყველა მშრომელი თავისუფალადა, ღამით მშვიდად დიძინებს. „საქმთავარენერგოს“ ბევრ მუშაკთან ერთად, ეს ორი კაციც, უკვე დღეა თუ ბნელი ღამეა,

მანინ სამხსურში იმყოფება, სათანადო პუნქტ-მა დროის ყოველ წუთს იცის მათი სამყოფელი. ავარიის შემთხვევაში ათიოდე წუთში ისინი უკვე თავიანთ პოსტებზე არიან.

ასე იყო ამჯერადაც. უამინდობამ წააქცია ანძები, ქარი ქრის და მოღის შხაპუნა წვიმა. დაყოვნება არ შეიძლება, პარალელურად რომ დაზიანდეს, ვეღარ იმუშავენს მრავალი ქარხანა, გაჩერდება ბევრი საწარმოო, გადამცემი ხაზი სწრაფად უნდა აღდგეს, მთელი დატვირთვით მუშაობს სახაზო ბრიგადა, გამოცდილი სპეცია-ლისტების გვერდით შრომობენ ახალგაზრდები, შალვა ჭაჭაიას ტოლს არ უდებს ელგუჯა სონ-დულაშვილი, ვალიკო და მიხეილ მუჯრისვილე-ბი, შრომაში ებაჭებებიან ძმებს, ხაჩიკოვებს. — ეს ბრიგადა ინტერნაციონალურია, ერთად შრო-მობენ ქართველი, რუსი, ბერძენი, ოსი... სასწ-რაფად უნდა აღადგინონ დაზიანებული ხაზი, ამინდი ჭირვეულობს, მაგრამ მის ჭირვეულობას არაფერ უტყვერის, ბრიგადა მუშაობს შეუსვენებ-ლად, პურის მოსატანად არაფერს სცალია, საქ-მელი მოაქვს, ხან ვის და ხან ვის.

შეუბოვარმა შრომამ თავისი გაიტანა, დროის მცირე მონაკვეთში აღდგენილია გადამცემი ხა-ზი, ბიჭებს თეთრად კბილებილა მოუჩანთ, ძა-ლიან დაილაღნენ, ეძინებათ და ერთმანეთს მა-ინც უღიმიან.

„საქმთავარენერგოს“ სისტემაში შედის ბევ-რი ასეთი ბრიგადა, ბევრი რაიონი, ბევრი „ჭე-სი“ და ბევრი „თბოსადგური“, ყველა ისინი ქების ღირსნი არიან.

გულისტკივილით უნდა აღვნიშნო ერთი ნაკ-ლიც, — მეურნეობის ამ წამყვან უბანს აქვს თავისი კავშირგაბმულობის ქსელიც, მის გამარ-თულობაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდე-ბული და ასეთ წარმოების კავშირგაბმულობას ხარვეზებით მუშაობა არც ეპატიებათ და არც ეკადრება.



— 70 —

ბესარიონ ულენტი



ქართული საბჭოთა კრიტიკის გამოჩენილ წარმომადგენელს ბესარიონს ულენტს 70 წელი შეუსრულდა.

თითქმის ნახევარი საუკუნეა ბესარიონ ულენტი ქართული საბჭოთა მწერლობის მოწინავეთა რიგებში დგას და დაუცხრომელი ენერგიით ემსახურება ჩვენს ლიტერატურასა და კულტურას. არ არსებობს ოდნავ ღირებული ნაწარმოები, მოვლენა, სასიცოცხლო პროცესი, რომელსაც იგი სათანადოდ არ გამოხმაურებოდეს და თავისი ავტორიტეტული აზრი არ გამოეთქვას.

ჩვენი მწერლების არა ერთსა და ორ თაობას დახმარებია იგი ზრდასა და დაოსტატებაში, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადებია უოველგვარი მანკიერებისთვის, არასოდეს მორიდებია ლიტერატურულ ცხოვრებაში აქტიურ ჩარევას, რადგან უოველთვის მიაჩნდა, რომ კრიტიკოსის უპირველესი ვალია, დაუხანებლად გამოეხმაუროს უოველ სიახლეს, შეაფასოს ყველა ახალი ნაწარმოები, იყოს შუამავალი მწერალსა და მკითხველს შორის.

ბესარიონ ულენტის სტატიები, რეცენზიები, მიმოხილვანი ჩვენი კრიტიკული აზროვნების თავისებური მატრიანაა, სადაც თვალნათლივ ჩანს ქართული საბჭოთა მწერლობის მიერ გამოვლილი დიდი გზა, ასახულია ყველა წარმატება თუ მარცხი, წინააღმდეგობანი თუ ცალკეული ვითარებები; სადაც დაინტერესებული მკითხველი უოველთვის იპოვის იმ ფაქტიურ მასალას, ურომლისოდაც კულტურული ცხოვრების ერთიანი სურათის წარმოდგენა ძნელი იქნება.

დღეს მსოცვანი მწერალი ჩვეული ენერგიითა და დაუნდობელი პირდაპირობით განაგრძობს მოღვაწეობას და მკითხველთა მაღალ სამსჯავროზე კვლავ გამოაქვს პრობლემათა რიგი, რომელთა გამო მსჯელობაც გადაუდებელ საქმედ მიაჩნია; დღესაც იგი დაუცხრომლად იბრძვის ქართული კრიტიკის აღმავლობისთვის, იბრძვის საიმისოდ, რომ სათანადო ავტორიტეტი შეუქმნას მას.

ეურნალი „ცისკარი“ თავისი მრავალათასიანი მკითხველთა სახელით ულოცავს ბესარიონ ულენტს ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ხანგრძლივ და ნაყოფიერ სიცოცხლეს.

შ ე რ ი ლ ე ბ ი

ბუკავა ასათიანი

კუმენურობის პრობლემა დღევანდელ ქართულ პროზაში*

«Вам ли, любящим баб да блюда,
жизнь отдавать в угоду?!»
ბ. შაბაიძისაძი.

„შევუნდო შემცოდეთა თუ შევავადე?“
ალ. ჯაფარიძე.

გასული საუკუნის ყველაზე ალღოიანი ფრან-
გი კრიტიკოსი სენტ-ბევი, რომლის თვალწინ
რამდენიმე ლიტერატურული თაობის დაძაბულ-
მა ცხოვრებამ განვლო და რომელიც თავის
სამშობლოში თანმიმდევრულად აღმოცენებული
და გაუქმებული ხუთი პოლიტიკური რეჟიმის
მომსწრე გახდა, ერთ გვიანდელ წერილში სხვა-
თაშორის შენიშნავს:

„უოველი დიდი პოლიტიკური და სოციალუ-
რი რევოლუციის დროს იცვლება ხელოვნებაც...
მასშიც ხდება რევოლუცია, მაგრამ ის ეხება
არა მის შინაგან პრინციპებს — ხელოვნების
საფუძველი უცვლელია — არამედ მისი არსე-
ბობის პირობებს, გამოხატვის საშუალებებს,
მის დამოკიდებულებას გარემომცველი საგნე-
ბისადმი“.

* ეს წერილი უშუალოდ გაგრძელებაა „ლიტე-
რატურულ საქართველოში“ რამდენიმე თვის
წინ გამოქვეყნებული კრიტიკული ჩანაწერები-
სა — „დიდი მოლოდინის“ სახელწოდებით.

ვინც მას ჩვეულებრივ მიმოხილვად ჩათვლის
და სათანადო ინფორმაციის მისაღებად განეწ-
ყობა, უმჯობესია ამაოდ დროს ნუ დაკარგავს.
მე განვიხილავ არა ლიტერატურის მდგომარე-
ობას, არამედ ერთ საკითხს და მასთან დაკე-
შირებულ მოსაზრებების საილუსტრაციოდ
რამდენიმე ნაწარმოებს მივმართავ. სხვა ამო-
ცანა ამ წერილს არა აქვს.

60-იანი წლებისთვის ჩვენს სოციალურ ყო-
ფიერებაში ზემოთ ნაგულისხმევი ხასიათის ვარ-
დატეხა ცხადია, არ მომხდარა, მაგრამ ზოგი-
ერთ სიახლეს მაინც ჰქონდა ადგილი და, რაც
მთავარია, ამ სიახლეებმა გამოიწვიეს მნიშვნე-
ლოვანი ძვრები საზოგადოებრივ ცნობიერე-
ბაში.

ადამიანთა დიდი ნაწილისთვის, პირველ რიგ-
ში მათთვის, ვინც განსაკუთრებით მგრძობიარე-
ბა ყოველივე ახლის მიმართ — თავისი უსი-
ქლოლოგიური შედეგებით, ეს იყო თავისებური
„არამაზის მსხვერვის“ ხანა. უფრო ვიწრო,
წმინდა ლიტერატურული გაგებით კი ეს იყო
ზოგიერთი დისკრედიტირებული ნორმის, ზო-
გიერთი მანამდე ეჭვმიუტანელი ეთიკური და
ესთეტიკური ეტალონის ხელყოფისა და მკაც-
რი გადასინჯვის დრო.

60-იანი წლები დღემდე გრძელდება ჩვენს
მწერლობაში. მათი მთავარი სულისკვეთება
დღესაც ცოცხლობს და არ არსებობს, ჩემი აზ-
რით, ისეთი ძალა, რომელსაც ჩვენი შეჩერება
ან უკან მიბრუნება შეეძლოს.

თუ გასული ათწლეულის ლიტერატურამ ვერ
შეძლო ზოგიერთი. მის მიერვე წამოწყებული
საქმის ბოლომდე მიტანა — ეს იმის გამოც.
რომ ამგვარი ამოცანა მას არც დაუსაზავს. არ-
რისიმე დასრულება ან დაგვირგვინება წარმო-
ადგენდა მისი ისტორიული მისიის დედააზრს.



ეს იყო დიდი ცვლილებებისა და კიდევ უფრო დიდი მოლოდინის წლები...

ყოველივე ზემოთქმული არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ ახალი ათწლეული მხოლოდ განვლილის გადამდგერებაა, მხოლოდ წინასწარ-შეჭენილი ინერციის შედეგი.

უკანასკნელ დროს ქართულ პროზაში ჩაისახა ახალი ტენდენციებიც, გამოიკვეთა ახალი სულიერი მიდრეკილება.

ლიტერატურის მთავარი მიზანსწრაფვა არ შენელებულა, არ შეცვლილა მისი „შინაგანი პრინციპები“, მაგრამ ამ შინაარსის სახელებში მოხდა ზოგიერთი აქცენტის თვალსაჩინო გადაადგილება.

60-იანი წლები ჩვენი მწერლობის წარმმართველი ნაწილისთვის სხვათაშორის იმგვარი სულისკვეთებითაც აღინიშნა, რომელსაც ნოდარ დუმბაძე თავის უკანასკნელ რომანში (ნახევრად სერიოზულად) „სენტიმენტალურ ჰუმანიზმს“ უწოდებს.

ერთ-ერთი ტონის მიმცემი თვისება ამ მიმართულებისა იყო ჰუმანისტური ლმობიერების მოტივი. სწორედ ეს მცნება წააწერა თავის დროშას, კერძოდ, იმდროინდელმა ახალგაზრდულმა პროზამ: მეტი შემწყნარებლობა ადამიანური სისუსტეებისადმი, მეტი სიყვითე, გულისხმიერება, თანალობა* საერთოდ ადამიანისა და კერძოდ „პატარა“, „რიგითი“ ადამიანის მიმართ.

ეს იყო ბუნებრივი რეაქცია ჩვენს საზოგადოებაზე ცხოვრებაში გამოვლენილ იმ ცნობილ ანტიჰუმანურ „გადახრებზე“, რაც უშუალოდ წინ უძღვოდა ამ ლიტერატურის აღმოცენებას.

მოხდა ისე, რომ ჩვენ წლების მანძილზე შევეჩვიეთ სიტყვა „ადამიანის“ არა მხოლოდ ამაყად, არამედ ერთგვარად სიმკაცრითაც წარმოთქმას. «Человек — это звучит гордо!» — ვიტყვის ამ ლაბიდარულ, სიმხნევის მომნიჭებელ ფრანგში ვხედავდით ახალი ჰუმანიზმის დედა-აზრს; მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად გვაიწყებოდა ამავე მწერლის ხევა, არანაკლებ საგულისხმო სიტყვები ადამიანის მიერ დამახსურებელი თანაგრძნობის შესახებ: «Милосердие, которое — более всего много — заслужено человеком...».

აი, რა ვაიხსენა და რა შთაგონა თავის მკითხველს ვასული ათწლეულის საბჭოთაო მწერლობაში. ლიტერატურას თითქმის ხმა გაუთბა. ავტორმა დაუფავა თავის გმირებს. ალერსიანი დამილით მიმოავლო თვალი ცხოვრებას და ხეივანის გამაზნევებელი რწმენით განიშსუკვალა...

70-იანი წლებისთვის ჰუმანური სულისკვე-

* თუ არ ვდებდი, ეს დიდი ხნის მიეწყებულ ქართული სიტყვა სწორედ მაშინ შემოვიდა და დამკვიდრდა ჩვენს ლიტერატურით ტერმინოლოგიაში.

თება ქართულ მწერლობაში დრამატული დილის ახალ კუთხეებს, ახალ შრეებს სწვდება და ამავე დროს ახალ, თითქმის მოულოდნელ ელფერს იძენს.

მართალია, ზოგიერთი მწერალი არსებითად ძველ გზას მიჰყვება (რადგან ამ უკანასკნელს ჭერ კიდევ არ ამოუწურავს თავისი ყოთაღმობილური ამოცანა), მაგრამ ამასთან ერთად თავს იჩენს და თანდათან ძლიერდება სხვა მიმართულებით გამახვილებული ინტერესებიც, სხვაგვარი განწყობილებები.

აქ აქტიულებია ითქვას ზოგიერთი ჩვენი დროისთვის უკვე ჩამოყალიბებული პროზაიკოსის შემოქმედებაში გამოვლენილ ტენდენციებზეც.

ცხოვრების სასტიკი კანონის გამახვილებული შეგრძნება, მისი გათვალისწინების აუცილებლობა აქცენტირებული სახით წარმოგვიდგება, კერძოდ, გრიგოლ აბაშიძისა და რევაზ ჯაფარიძის ახალი ისტორიული რომანების გამოქვეყნებულ თავებში (მხედველობაში მოქვს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი ნაწყვეტები).

გრ. აბაშიძის რომანის („ცოტნე ან ქართველთა დაცემა და აპოკალიფსი“) დრამატული, ჩემი აზრით, თავისებურ პოლემიკურ მიმართებაშია აკაკის ცნობილი პოემის ანალოგიურ ეპიზოდთან. როგორც ვიცით, „ნათელას“ შინაარსის ერთ-ერთი მთავარი მოტივი მტრისადმი უღმობის იდეაა (გავისხენოთ ტიციან ტაბიძის: „მე ბავშვი ვიყავ და არ ვიცოდი, ნათელას სისხლი რისთვის სწყუროდა...“); მაგრამ პოემის ფინალურ ეპიზოდში, როგორც თავისებურად გამოწყალისი, ძალაში შედის მტერ-მოყვარობის მიღმა მდებარე რაინდული სულგრძელობის ლიქტატი (მხედველობაში მოქვს ნიონის მოულოდნელი ექსტი!).

გაფრთხილება, რომელსაც ცოტნე დადიანი იღებს გრ. აბაშიძის რომანში, სწორედ ამ ილუზიის დარღვევას ემსახურება.

მგლის მიმართ ყოველგვარი „ლოიალობა“, მასთან შეთანხმების, დომობის, მისთვის გულისანუყვების ნებისმიერი ცდა მხოლოდ გაუღებურად იქცევა — ასეთია იმ არაკის დედა-აზრი, რომელსაც ცოტნეს მისი ერთგული მეგობრები უყვებიან.

ვერავი, დაუნდობელი ძალის როლში აქ გარეშე მტერი გამოდის.

რევაზ ჯაფარიძის რომანში ასეთ ფუნქციას შინაური მტრავალი — გადარჩეულბული თანამემამულე ასრულებს. ეს გარემოება კიდევ უფრო ამძაფრებს მასში ასახული კონფლიქტის შინაარსს.

ძნელია იმის თქმა, რა მიმართულებით განვითარდება ამ ორი ნაწარმოების სიუჟეტი, მაგრამ მათ გამოქვეყნებულ ნაწილებში ხაზგასმული ფსიქოლოგიური ვითარება უთუთოდ ნი-



წინადადება დღევანდელი ქართული პროზისთვის.

არანალებს საფულისხმოა, რომ 70-იანი წლებისთვის დაახლოებით ასეთივე ხასიათის სიმპტომები აღინიშნა ლიტერატურაში ახალმოსული ზოგიერთი ავტორის შემოქმედებაშიც.

ხინმაფილის უჩვეულოდ გამაყვრებული ხედვა შემინევა, ყველად, გვი მიღწეულარის მოთხრობაში „მეამბოხენი“, რომელიც აგრეთვე ისტორიულ მასალაზეა დაწერილი.

ამ ნაწარმოების მხატვრულ ლოგიკას, მასში ასახულ ცხოვრების უსასტიკეს წინააღმდეგობებს კიდევ უფრო შორს გავყავართ ჰუმანურობის, როგორც ტოლერანტული მსოფლგაგების, სახელებიდან.

ცხადია, მე მხედველობიდან არ მჩრება, რომ ამ ნაწარმოებებში ჰუმანური მოქმედების პრობლემა სპეციფიკური ასპექტით დგას. მღობიერების მოთხოვნისგან 60-იანი წლების პროზაში ძირითადად ერთი მისამართი ჰქონდა: „მოყვასი“, თანამოქმედ, თანამოქალაქე; აქ კი ჩვენს წინაა მტერი, „მოსიხლა“. შესაბამისად შეცვლილია პრობლემის ასპექტი, ჩემი ამოცანაც სწორედ ამ ცვლილების მითითებაა.

60-იანი წლებში ახალი პროზისთვის უცნობი არ ყოფილა ბოროტების (სოციალური მანკიერების) პრობლემა. მაგრამ მისთვის არსებითად (აბსოლუტური მნიშვნელობით) უცხო იყო „მტრის“ ცნება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თანამობა ამ ლიტერატურაში თავისებური ფორმით მტრზეც ვრცელდებოდა. ყველაზე მაჯიფოდ გასული ათწლეულის პროზისთვის დამახასიათებელი ეს თვისება ნორდარ დუმბაქმ გამოხატა აბბბოს სახეში („მშინიანი ღამე“). არჩილ სულაკაურის „აბელის დაბრუნებაში“, რომელიც ამ მხრივ თითქოს განცალკევებით დგას, სხვა — უფრო მკვეთრი სურათია. მაგრამ აქედ აქცენტის ქვეშ მოქცეულია აბელის სულიდობა, მის ხასიათში ჰუმანური საწყისის შემუშავებლობა და არა კენის ანტიდამინური არსი. აბელის ძალი სწორედ იმაშია, რომ ის კუნდალ არ იქცევა (ისევე როგორც „მშინიანი ღამის“ გმირს არ შეუძლია დამახასიათებელი სამეგობრო მიუზღოს ქალას).

ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული „აქცენტების ვადაადგილება“ დღევანდელ ლიტერატურაში სხვა მიმართულებითაც შეიმჩნევა.

როგორც აღვთქვამე შევნიშნეთ, მწერლობაში ახალმოსული თაობის წარმომადგენელი ზოგჯერ სხვებზე მახვილად გრძობს და ვანსაუთრებით მაჯიფოდ გამოხატავს დროისმიერ განწყობილებას.

ამ აზრის დამადასტურებელია, ჩემი ფიქრით, ვლიდამერ სიხარულიძის ორი მოთხრობა „მეათე მოწმე“ და „უხამსი“, რომლებიც პირადად მე აღნიშნული ფსიქოლოგიური შეტრიალებების სოფლისხმო გამოვლენებად მიმანინა.

„მეათე მოწმეში“ თანამოქალაქეთა თლობით გამოწვეული რისხვის მოტივი (კოროლანისებური კომპლექსი) მოქმედების წარმართავ იმპულსად გვევლინება. ხოლო „უხამსში“ ჩვენს წინაა არსებითად ახალი ფსიქოლოგიური ფენომენი.

„პატარა“, ცხოვრების მიერ დაჯანბნილ ადამიანი, რომლის სახე სამოციანელებმა გულისხმიერი თანაგრძნობის პოსტამენტზე დაყენეს აქ უჩვეულო იერით წარმოგვიდგება. მართალია, ის უბედურია, მაგრამ მის უბედურებას ჩვეულებრივი ადამიანური გულისხმიერება უკვე ვეღარ შევლის. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს „უბედურება“ მას ძვალსა და რბილში აქვს გააქდარი. მისი ამოყვეთა უკვე შეუძლებელია.

ვ. სიხარულიძის გმირი დასრულებული, გამოუსწორებელი არამზალაა. მოყვასის თანაგრძნობა მას მხოლოდ აბოროტებს...

უფრო რთულად, წინააღმდეგობრივი, კრიზისული თვისებებითაა დახატული პატარა ადამიანის სახე თამაზ ჭილაძის „მდგმურებში“. ასეთი სირთულე ხასიათისა, მისი შინაგანი წინააღმდეგობების ესოდენ სასტიკი გამიშვლება არსებითად უცხო იყო 60-იანი წლების ახალგაზრდული პროზისთვის, ყველად; „პონის ვტლის“ ავტორისათვის. „მდგმურების“ მთავარი გმირი შინაგანად დაბრუნებულია, დაბნეული გამძვინვარებული ცხოვრების წინაშე; მაგრამ ბოლოს მას ერთი მისთვის უჩვეულოდ მაჯიფო აზრი ეუფლებს: ადამიანი სიბრალულს არ მოითხოვს. ის ამ უნდა გოფვრადეს, ამ უნდა გძულდეს. სიბრალული ზერევე, დამამკირებელი გრძნობაა. ადამიანთა ურთიერთობების, მოქმედების, საერთოდ ცხოვრების აზრი მხოლოდ ნამდვილ სიყვარულში, ამ ნამდვილ სიძულვილშია ასეთია ამ გმირის საბოლოო დასკვნა.

ჩემს მიერ აღნიშნული რამდენიმე ლიტერატურული ფაქტი (მიუხედავად მათი შინაარსობრივი არაერთგვაროვნებისა) ერთი მიმართულებით უნდა ამხვილებდეს მკითხველის ყურადღებას: ცხოვრების შინაარსი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ჩვენს იდეალური წარმოდგენა მის შესახებ. და თუ ცხოვრებაში გარკვევა გინდა, არაფერზე — არცერთ ობიექტურად არსებულ წინააღმდეგობაზე — აღარ შეიძლება თვალის დახეუქვა.

...და, ია, ჩვენს წინაა ორი სულ უკანასკნელ დროს გამოქვეყნებული ნაწარმოები, სრულიად სხვადასხვა ტიპის პროზა, სხვადასხვა მასალა, სხვადასხვა ისტორიული გარემო, საწყაროს ხედვისა და წარმოსახვის სხვადასხვა სტილი და მანერა...

„ამ ბოროტებას ახლა კეთილი გულით ვერ

გზარამ ახასთიანი
ჰუმანურიზმის პრობლემა



შეაჩერებ, აგი გავთვალავ, გავათხასისებებს, მიწათთან გავასწორებებს ამ ბორბლებს ახლა მხოლოდ ძალიან თუ უშველს, დიდი, დამთრგუნველი ძალია... — ამის პირველი მოთხრობის ყველაზე უწყინარი გმირი ამბობს.

მეორე ნაწარმოებში სიკეთეზე მსჯელობა ასეთი მიმართულებით ვითარდება:

„მისი ნდობა და გულკეთილობა... ბორბლად გადაუხადეს. მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო. ...ამგვარი „ვალი“ უმთავრესად ასე ნაზღაურდება: ბორბლებით, ღალატითა და სისხლით... მათ უკვე უსწავლიათ შენგან და საკუთარ თავზეც გამოუცდიათ, თუ რა ბორბლების მოტანა შეუძლია უთავბოლო, უანგარეშო სიკეთესა და ხელგაშლილობას...“

შენმა გაუთავებელმა ქადაგებამ კაცთმოყვარეობაზე, შენს საკუთარ შეილებს, რომლებიც ძიულბული იყვნენ ესმინათ ეს ქადაგება, მრავალი არასწორი წარმოდგენა შეუქმნა არა მარტო კაცთმოყვარეობაზე, არამედ საერთოდ ცხოვრებაზე...“

რა არის ეს? — ჰუმანურობის ელემენტარულ პრინციპებზე უარისტყმა, პირალი ვალნიანების, უცნაური ახირების გამოხატულება თუ რაღაც უფრო სერიოზული, საზოგადოებრივად უფრო მნიშვნელოვანი სულიერი მიმართულების ნიშანი?

ნუ ავჩქარდებით. ამ ნაწარმოებებისა და მათ ავტორების შეწუხება ჩვენ კიდევ მოგვიხდება. ახლა კი უფრო თანმიმდევრულად მივყვეთ მოვლენათა განვითარებას.

60-იანი წლების დამდეგს ქართულ პროზაში თავი იჩინა რამდენიმე თვისობრივად ახალმა ტენდენციამ. სინამდვილისადმი ერთგვარად შერბილებული (მიმტევებლური სულისკეთებით, გულითადი ლირიზმით დამთბარი) დამოკიდებულება სხვათა შორის ორი მიმართულებითაც გამოვლინდა.

ეს იყო, ერთის მხრივ, ზნეობრივი უშედავითობის (თავისებური ეთიკური რიგორიზმის) უკიდურესობათა წინააღმდეგ მიმართული, ახერხოდ ლიტერატურაში ფსევდო-სერიოზულობის უარყოფელი ტენდენცია.

არსებობს ერთი ინგლისური სიტყვა, რომელსაც რუსულად «важничать» შეესაბამება, ხოლო ქართულად «გაკვიფვად» შეიძლება ითარგმნოს. როდესაც ბერნარდ შოუ ამბობდა: «მთავარია არ გავიკიფხოთ», ცხადია, მას პირველ რიგში, თანამემამულეთა ცნობილი მანერები მჭიდროდ მხედველობაში, მაგრამ ამ მოწოდებას უფრო ფართო მნიშვნელობაც გააჩნია. დეარქონილი, გაკვიფებული, ფსევდო-მნიშვნელოვანი სტილი ჩვეულებრივ გონების სიწყიფეს და გულნამდვილობას მალავს. ყოველივე ეს ფარისევლობის ძველი ნიღბებია.

სისწრაფე აღ უკანასკნელის წინააღმდეგ იყო მიმართული, კერძოდ, ის მზიარული, უპრე-

ტენზიო, მდებარეობს უნაწილობის კალკონსიონის მერლდ ნოლარ ლუშმაძემ შენოიტანა ჩვენს მწერლობაში ათედსი პირველი მოთხრობით.

ვიქტორ შკლოვსკი ერთ თავის ბიოლოგიკონდელ პოლემიკურ წერილში (სტრუქტურალნიზმის ერთერთი ლიდერთან კამათის დროს) აღვილად შესამჩნევად ირინით დასტენს: «Трудно писать статьи без терминологии».

შესაძლოა ჩემი «ტერმინოლოგია» მოკლებული იყოს სიზუსტეს. ეს თვით ლიტერატურული მოვლენის არათრინარტულობითა გამოწვეული.

კიდევ უფრო ძნელი იქნება სიზუსტის დაცვა მეორე ტენდენციის დახასიათებისას. საგულისხმოა, რომ ეს უკანასკნელიც 60-იანი წლების ქართულ პროზაში შემდგარ კიდევ ერთ საინტერესო ლებიტთანაა დაკავშირებული.

მხედველობაში მავსს თამაზ კილიაძის პირველი მოთხრობა: «გასიურნება პონის ეტლით».

ჩემი აზრით, აღნიშნული ტენდენციის თავისებურება თვით ამ მოთხრობის სათურშივე გამოხეული. მართალია, «გასიურნება» ლიტერატურისმცოდნეობას სამუშაო ტერმინად გვრამაოდება, მაგრამ თავისთავად ეს სიტყვა საკმაოდ ზუსტად ხვდება ნიშანში.

ცხოვრებისეულ ვითარებათა გულმოდგინე გამოძიების ნაცვლად აქ ჩვენ გვათავაზობენ ერთმანეთისაგან თითქმის დამოუკიდებელ შთაბეჭდილობათა რიგს. თვალის ერთი მოვლენით ფიქსირებულ (როგორც ეს წინასწარ დაუგეგმავი მოგზაურობის დროს ხდება) მდგომარეობებს, სავანთა კონტურებს, სინამდვილის ცალკეულ შტრიხებს. მკაცრი სოციალური განაჩენის ადგალს მოვლენათა წმინდა ემოციურობა, ან გემოვნებისმიერი შეფასება იყავებს. ასე ხორციელდება ამ მოთხრობაში, კერძოდ, მთავარი გმირისადმი ანტიპოდურად დაპირისპირებული «მეშანსური» გარემოცვის კრიტიკა.

სინამდვილე აქ გარკვეული თვალსაზრისით სანახაობას ემსგავსება, რომელსაც ეს გმირი (ახლავაზრდა მხატვარი) თავისი სახელსახსის სარკმლიდან გაყურებს.

თუ პირველ შემთხვევაში (ნ. დუმბაქესთან) შემოსვენებული «რიგორიზმი» და მოვლენათა «გამოძიების» პედანტური საფუძვლიანობა მოგერიებულია ლალი იუმორით, აქ (თ. კილიაქესთან) მათ თავისებური ესთეტიკაში უპირისპირდება.

ორივე შემთხვევაში «განაჩენი» სავრძობლად შემუშავებულია.

ალბათ ბევრი დამეთანხმება (ცხადია, ავტორების გამოკლებით) თუ ვიტყვი, რომ «მე, ბეზია, ილიკო და ილარიონი» ყველაზე ძლიერი ნაწარმოებია ნ. დუმბაქის ღღემდე გამოქვეყნებულ მოთხრობათა შორის, ხოლო «გასიურნება პონის ეტლით» ღღეს მხოლოდ პირველ «განაცხადად» შეიძლება ჩაითვალოს თ. კილიაძის ბიოგრაფიამ.



ახლა ფეხს იდგას აღსანიშნავი, რომ შემდგომში არცერთი ამ კატორთაგანე არ დასჯერდა იმას, რის მუხუცებლადაც ჩვენ მათი პირველი ლიტერატურული ცდები დავსახეთ.

მათი შემდგომი მოძრაობის დღეაახრი, ისევე როგორც მათელი ჩვენი ახალგაზრდული პრობლემა-განვიხარებების მთავარი გეზი დაახლოვებით ასეთი იყო:

არა მხოლოდ სიკეთეს სიტყვიერი აღმსარებლობა, არა მხოლოდ გონებაშეხილური, სმენის-მაიმებელი ენაშეხობა სიკეთეზე, არამედ შეუპოვარი (თუ საჭიროა სასტიკიც, უშეღავათო) მოქმედება ქვეყნად მისი „გარეული არსების“ დასამკვიდრებლად!

არა მხოლოდ „სეირნობა“ რეალობის გასწვრივ, არამედ ცხოვრების შეუაღელში შეჭრა, მის წიაღისეულ შრებთან, შინაარსთან, გულის-გულთან მიახლოვება!

აღნიშნავ კიდევ ერთ, თანამედროვე ლიტერატურული პროცესისათვის უთუოდ ნიშანდობლივ გარემოებას.

უტრადღება, რომლითაც პიროვნების სახე შეიმოსა 60-იან წლებში, მოასწავებდა ჩვენი ლიტერატურის მიერ აღამიანის „ამქვეყნიური“ იმპულსების, მისი ბუნებრივი მოთხოვნილებებისა და უფლებების საბოლოო აღიარებასაც.

ეს იყო კიდევ ერთი იმ ასპექტთან, რომელიც იმ წლების ქართულმა მწერლობამ გაამახვილა პუბლიკის ცნებაში.

დღეს განსაკუთრებით გარკვევით ჩანს ამ მიმართულებით გაამახვილებული ინტერესის ისტორიული კანონზომიერებაც და მისი (ასევე დროისმიერი) ცალმხრივობაც.

პირობული, თეთი ლიტერატურაში უკანასკნელ გარემოებას შემამოთხოვებელი ხასიათი არ მყოლია, მაგრამ სწორედ იმ წლებში მის ირგვლივ (საქმაოდ ახლო მანძილზე) თავი იჩინა ერთი შეუსაბამობა.

პიროვნების ბუნებრივ უფლებათა ხაზგასმით წარმოჩენას, რაც სხვადასხვა ფორმით (როგორც მოთხოვნილება) საზოგადოებრივი ცნობიერების თითქმის ყველა უბანს შეეხო, ჩვენს სოციალურ ყოფიერებაში როგორღაც დაემთხვა სხვა მხრივ მიმართული უცნაური გულგრილობის აღმოცენება.

შედეგობაში მაქვს გარკვეული ინდიფერენტობაში პიროვნების ვალდებულებათა მიმართ — იმ უაღის ფსიქოლოგია, რომელიც გაყოლი საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული არსებობდა-იან იყო ქართველი აღამიანისთვის.

მოსხა ისე, რომ თავისთავად სალი, ისტორიულად აუცილებელი მიმართება გამოყენებულ იქნა როგორც ფსიქოლოგიური წინაპირობა ჩვენი საზოგადოებისთვის მიუღებელ განწყობილებათა გასანარებლად.

თვალსაზრისი, რომლის შექმნაც აღამიანის პიროვნება დანახულ იქნა თავის ბუნებრივ გა-

მოვლანებებში, როგორც ასექტურ-ფარგონიანი ლტერი ცურწმენებისგან განთავისუფლებული ინდივიდი — სამოციანი წლებისთვის ეთიკურად სავსებით რეაბილიტირებული ეს თვალსაზრისი ზოგიერთთა მიერ გაგებულ იქნა, როგორც შეუზღუდავი ეგოცენტრიზმის გამართლება.

გარდა ამისა, ზოგმა ცურწმენებთან ერთად თავისი გუმინდელი რწმენაც დასთმო, რადგან მხოლოდ სიტყვით გახლდათ მისი აღმსარებელი.

და აი ამ „უღმეტი ტვართის“ მომორებით გაღლებული პიროვნება, რომელმაც თავი ბედის რჩეულად წარმოიდგინა, თავდაიწყებით ვეცეთა „ამა ქვეყნის დაუთმობელ სიმამ“...

სიმართლისთვის უნდა ითქვას, რომ ასეთ პიროვნებას არ დავიწყნია ზოგიერთი ტრადიციით შექმნილი ცნება. მაგალითად: „მამული“, „ერი“, „დედაცა“ და ა. შ.

მაგრამ მამულიშვილური გრძნობებით აღტკინებისას (რომლის დროს მას, პირველ რიგში, თავისი ლირსული „შვილობა“ გვირდოვრუანტელს), მის ნეტარებით დაბინდულ მზერას ძალიან ხშირად რჩებოდა მხედველობიდან ამ სიტყვის პირველი ნაწილის რეალური შინაარსი, მისი ამჟამინდელი კონკრეტული მნიშვნელობა.

აბსტრაქტი იქნებოდა ხელოვნებისგან (ცერძოდ, მწერლობისგან) პასუხი მოგვეთხოვა იმის გამო, რაც მის გარემომცველ სფეროებში მისგან დამოუკიდებელი მიზეზების შედეგად ვითარდება. თუმცა დრო ზოგჯერ მთულოდნელ შესაბამისობებს აწყლავებს სრულიად შეუსაბამო სფეროთა შორისაც.

შემთხვევითი არ არის, რომ 70-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში გაისმა სხვაგვარი (დისკონანსური) ხმები თანამედროვე აღამიანის მოქალაქეობრივი ვალდებულებებისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციის თაობაზე.

ამგვარი ნიშნები დაეტყო, კერძოდ, საზოგადოებრივ განწყობილებათა მიმართ ყველაზე მგრძნობიარე ყანას — ლირიკულ პოეზიას.

„ვალაუზნელი ვალის“ შეგნება სხვადასხვა ფორმით გამოიხატა მურმან ლებანიძის, არჩილ სულაყურისა და ტარიელ ჭანტურის ახალ ლექსებში. მუხრან მაკავიარიანის უკანასკნელ ლირიკულ ციკლში. ეს მოტივი ბუნებრივად დაუთქვამდა „მკაცრი მერმისის“ თემას. ნუ შეგვკართობს ეს გარემოება, რომ ამ ახალმა შეგნებამ პოეტის ცნობიერებაში გამოიწვია მტიკინეული დაემკვებაც საკუთარი მოქალაქეობრივი შესაძლებლობების მიმართ, თავისებური დაბნეულობის გრძნობა.

ასეთი კრიზისი პოეტისთვის გაცილებით ნუ-

გურამ ასათიანი
პუბლიკისტი

ლებ საშინაო, ვიდრე ოლიმპური სიმშვიდე ან საკუთარი ნაღველი უსაზნო კმაყოფილება.

პრაქტიკული რეალიზაციის გარეშე დარჩენილი პოტენციის მწვევე განცდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, ჩემი აზრით, ახალგაზრდა ინტელიგენტის ცნობიერებაში ჩამოყალიბებული იმ „უცნაური“ ფსიქოლოგიური ანომალიისა, რომელიც აღწერილია ქართულ პროზაში შედარებით ახალმოსული კიდევ ერთი ავტორის მიერ. მხედველობაში მაქვს აკაკი ვასაძის მოთხრობა „მატილის აკლდამები“...

უკანასკნელ წლებში ცხოვრებამ დაბეჭდვებით მოგვთხოვა უფრო ფხიზლად მიმოგვეხედავინებო.

ლიტერატურა განუყოფელი ნაწილია საზოგადოებრივი ცხოვრებისა და როდესაც სიტყვა ეხება ზოგჯერ ნაკლს, „ღარღვევას“, „წივარღნას“, პრეტენზიები ზოგჯერ მისი მისამართივით ცხადდება.

მე მინდა არ ვისახე მათ აცილებას. მივჩინე ნიშანდობლივია ერთი გარემოება: რამდენიმე წლის მანძილზე ქართული მწერლობა იღვწენდა სწორედ ისეთ ნიშნებს, რომლებიც დამაჯერებლად მეტყველებენ საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ მისი მგრძობიანობის საყმაღარ მაღალ ხარისხზე.

უფრო მეტიც: გამოირკვა, რომ ის არათუ არ ნამოთრნებოდა ცხოვრებას, არამედ გარკვეული თვალსაზრისით გამპრიახობის უფრო მეტ უნარს იჩენდა, ვიდრე ის პირნი, რომლებიც მისგან სულ უკანასკნელ დრომდე უცნაურ „ლოიალობას“ მოითხოვდნენ.

როგორც ქართულ ლატერატორს, მე შესაძლებლობა მეძლევა სიამაყით აღვნიშნო ეს ფაქტი.

ქართულმა მწერლობამ 70-იანი წლებისთვის განსაკუთრებით მძაფრად იგრძნო ჩვენს სინამდვილეში ანაქრონიზმის სახით აღმოცენებული სოციალური ძალის („ახალი ბურჟუაზიის“) ცხოვრების წესისა და ზეგობრივ მისწრაფებათა არსი, საზოგადოებრივ განწყობილებაზე მათი ზემოქმედების რელიური საშუალებები; მიხვდა, რომ ამ უკანასკნელის პრაქტიციზმი, დაურბეტელი ენერჯია, მოქმედებისუნარიანობა შეუღლებული იყო მომაკვდინებელ სულიერ მცონარებასთან.

ჩვენი მწერლობის მოწინავე ნაწილმა არა მხოლოდ ზურგი შეაქცია მასთან დამოხილვის მიძიებელ პირთ, მან პირველმა ახადა ნიღაბი და საქვეყნოდ გამოაჩინა ამ ფენის წარმომადგენელთა ნამდვილი სახე.

ე. წ. „ნულოზების“ კასტა ჩვენში ანაქრონიზმის სახით წარმოიშვა. ის არალეგალურად ეითარდებოდა, იმთავითვე გრძობდა თავის ყილბედად მდგომარეობას, მშვენივრად ხედავდა,

რომ კანონგარეშე (როგორც სახელმწიფო რიგი კანონის, ისე არსებული ეთიკური კოდექსის წინააღმდეგ) უნდა ევლო.

თავის საქმეებს ის ხელთათმანებით აკეთებდა, რადგან იცოდა, რომ საზოგადოების თვალში ეს ქუქყიანი საქმე იყო.

ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობდა. დღისით თუ წუმეში უხდებოდა ღვინო, საღამოს ხელპირდაბანილი და ზედამწეებით მოკამშული „ჩრეულ საზოგადოებაში“ ტრიალებდა.

თანდათან ის გაზულუქდა, გათავხდდა, ცხოვრების გემო გაიგო და თავისი გემოვნების დაყმაყოფილება მოინდოდა.

მწერლობაში ის ეძებდა გასართობს და კიდევ იმას. რაც მის ბურჟუაზიულ „სენტიმენტალიზმს“ შეესატყვისებოდა.

დღისით თუ ვინმეს ხელისაუკანაკლებლად მოვლდავდა, საღამოს აუცილებლად საღმე უნდა დაეხარჯა ალერსის მარაგი.

დღეს ხშირად ვაივარებთ ასეთ გამოთქმას: „ღრეობა ეჟაინობის დროს“. მე მინდა გავახსენოთ, რომ ამ „ავისმეტყველი სერობის სურათები, რომელთაც ჩვენი გონება უნდა გამოფხვზღებინათ, პირველად სწორედ ქართული ახალგაზრდულ უნარის წარმომადგენლებმა დავიხატეს...“

ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება 70-იანი წლების ქართული მწერლობისა გამოიხატა თავისებურ მიღრეკილებაში, რომელსაც ბოროტების მიმართ არა მხოლოდ აქტიურ შეუწყნარებლობის, არამედ უმალ, უყოყმანოდ „ველში წვდომის“ სურვილი შეიძლება ეწოდოს.

ეს მიღრეკილება სხვადასხვა ფორმით ვლინდება.

პირველ რიგში უნდა ითქვას იმ ავტორებზე, რომლებიც ცდილობენ თავიანთი სახელი დაიარქვან საგნებს, უცერემონიოდ, ზედმეტი ლიტერატურული ქარაგმებისა და „რევერანსების“ გარეშე შეუტონ სოციალურ მანკიერებას და მის მატარებელ ცოცხალ პერსონებს.

— ხდება ისეთი რამ, — გვეუბნებიან ისინი, — რაც უკვე აღარ გვიტოვებს მსჯელობის, აღონ-დაწონის, სურბულოზური ანალიზის შესაძლებლობას. ამისთვის ძალიან ცოტა დრო დარჩა. აუცილებელია ჩარევა! აუცილებელია, რაიმე ელონოთ იმის ვალსაარჩენად, რასაც ჩვენს მეტი ველარაინ უშველის.

70-იანი წლებისათვის ტიპური მოვლენად შეიძლება ჩითვალოს, კერძოდ, ჯანსუღ ჩარკვიანის პოემა „რწმენის კედელი“ და გურამ ფანჯიკიძის რომანი „თვლი პატიოსანი“.

გ. ფანჯიკიძე, ისევე როგორც ჯ. ჩარკვიანი, ოპტიმისტური ბუნების მწერალია. მის რომანში არის მძიმე სიტუაციებიც, სასოწარკვეთის ნოტებიც, მაგრამ როგორც მწერალი, ისე მისი მთავარი გმირიც სულს სიღრმეში დარწმუნე-

ბუნნი არიან, რომ ბთროტებას მოეცლება. მართალია, ეს ობტიმიზმი რომანის ფინალში საკმაოდ აბორიგინალურია ცრემლნარევი-ბრა-ვერული იტრით წარმოგვიდგება, მაგრამ მისი არის მინც სალია.

საჭიროა ბრძოლა, ხელის ვასკრა, მაშინც კი, როცა მხოლოდ მინიომის მიღწევა ძალგის, არც ერთი წუთით არ შეიძლება გადადო მს, რაც პირადად შენ მოგეთხოვება — შენს გონებას, შენს სიტყვას, თუნდაც შენს კუნთებს... „თვა-ლი პატიოსანი“, როგორც ასეთი რწმენით გამ-სკვალული ნაწარმოები, ჩვენი დღევანდელი სა-ზოგადოებრივი ცხოვრების წიაღიდან აღმოცე-ნებული უთუოდ სიცოცხლესუნარიანი განწყო-ბილების ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა.

სინამდვილეში (ყრბოდ, თანამედროვე ქარ-თული სოფლის სინამდვილეში) არსებული წი-ნალმდეგობების შეუფერავი წარსლისხვით ვა-მორჩევა ლაღი მელაშვილის რომანი „ყაბა-ხი“, რომლის მეორე წიგნი ახლახან გამოიცა.

ეს ნაწარმოები ორი ათეული წლის მანძილ-ზე იქმნებოდა. მასში ჩატყულია არა მხოლოდ დიდი შრომა, არამედ დიდი შთაგონებაც და, რაც მთავარია, ჭიუტი რწმენა იმ ახალი სუ-ღეობის ფორმაციის აღმინების მიმართ, რომელთაც დრომ თავიანთი ქვეყნის რეალური სვე-ბედის გამგებლობისაკენ მოუწოდა. ავტო-რის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ, ამ ფართო რეალისტურ ტილოზე ხანგრძლივი შემოაზი-სის (მაშინაც კი, როდესაც მხატვრული ნეგა-ციის ელემენტებს ნაწარმოებში მისხლობით წონიდნენ, რათა „ავსა“ და „კარგს“ შორის სასურველი პროპორცია არ დაკარგულიყო), ის არავითარ კონიუნქტურულ ზემოქმედებას არ დამორჩილებდა მისი მთავარი მოკარნახე სიმპ-რთლე და სინამდვილე იყო. სამაგიეროდ დღე-ვანდელ ქართული კრიტიკა. სწორედ ამ ნაწარ-მოებში ხედავს ჩვენი დღევანდლისთვის დამახასია-თებელი სალი კრიტიციზმის განსაკუთრებით მკაფიო გამოვლინებას.

მთხედვალად სიუჟეტური ქარგის ერთგვარი სქემატიზმისა, რომელიც საბჭოთა ლიტერა-ტურისთვის საკმაოდ ნაცნობ კოლიზიას ეყრდნო-ბა, „ყაბახი“ მდიდარია ცოცხალი, ცხოვრებო-დან ზუსტად ამოწერილი სურათებითა და ხა-სიათებით, რის გამო მისი შინაარსი ნამდვილო-ბის შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველში.

სამოცდაათიანი წლების ქართული ლიტე-რატურა ეჩვევა საგნებისთვის თავთავიანთი სა-ხელების დარქმევას. ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს იოლი ხელობაა. ბევრს დიდი ხანია დაავიწყდა რე, ზოგს საერთოდ არ უცლია მისი შესწავ-ლა.

ამ აზრის საალუსტრაციოდ შეიძლება საკ-

მაოდ მდიდარი მასალის მოხმობა, მაგრამ მე თავს უფლებას მივცემ ერთგვარად სუბიექტური ციუთ და პირველ რიგში ერთ საყთხზე შეფ-ჩერებ მკითხველის ყურადღებას.

ახალგაზრდობის თემა დიდი ხნის მანძილზე მეტად ცალმხრივად შეუქდებოდა ქართულ საბ-ჭოთა ლიტერატურაში.

სასურველი ზოგჯერ სინამდვილედ წარმო-გვიდგებოდა და ვეღარ ვამჩნევდით იმას, რაც ნამდვილად ხდებოდა და ვითარდებოდა მომა-ვალი თაობის ცხოვრებაში.

დადგა ისეთი დღე, როდესაც ჩვენი საზოგა-დობის ყველა სატყვარმა, ყველა საჭირო-როტო კითხვამ თითქოს ერთ პრობლემაში მი-ყარა თავი.

სწორედ ამ პრობლემის რეალური შინაარსი იქცა იმ მგრძობობიარე ნივთიერებად, რომელთან შეხების დროსაც უნდა გამოძვლავნებულყო ჩვენს სოციალურ ფსიქოლოგიაში ამოტიტივე-ნული ზოგიერთი „შენარვის“ არსი.

60-იანი წლების დამლევს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ერთი არალიტერა-ტურული შინაარსის წერილი: „როცა ოჯახში ავადმყოფია“. ამ წერილის ავტორს მკითხველთა საკმაოდ ფართო წრის გამამხნეველები უყრა-დღება ხვდა წილად.

მთხედვალად ამისა, პირველ ხანებში მას ერთი უსიამოვნო ექვი ღრღინდა: ხომ არ იყო მისი გამოსვლა საზოგადოებრივ პროცესებში სათა-ნალოდ გაუთვითცნობიერებელი აღამიანის მიერ უსაფუძვლოდ აკვიატებულ „მანიკურ“ განწყო-ბილებათა შედეგი?...

გავიდა რამდენიმე წელი და ჩვენ ვხედავთ, რომ ახალთაობის პრობლემა სწორედ თავისი უმტყენეულესი ასპექტით მოექცა ქართული მწერლობის ყურადღების ცენტრში. განსაკუთ-რებით უნდა ითქვას „ციხისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ლიტერატურის შესახებ...

ელიშერ ყიფიანის „ცაში ასროლილი ქულები“ სერიოზული სჯის საგნად იქცა, როგორც ჩვენში, ისე — რუსულად გამოცემის შემდეგ — არაქართულ ლიტერატორთა წრებშიც.

ამ მოთხრობაში მთავარია მისი ავტორის-თვის დამახასიათებელი ფიქიზი დამოკიდებულე-ბა მასალისადმი — სისუფთავის, შინაგანი წე-სიერების თითქმის ფიზიკური შეგრძნება.

თემა, რომელსაც გვი ეძღვნება მხოლოდ ამ-გვარ მოპყრობას იტანს. მხედველობაში მავქს მონარდი აღამიანის სულიერი სამყარო — მისი ზნეობრივი ჩამოყალიბების პროცესი.

„გრძნობათა აღზრდას“ ელიშერ ყიფიანის მო-თხრობაში ერთი სიუჟეტური ხაზი ვასდევს: ამ-ბავი (კომპოზიციურად) აგებულია დეტატიკურ საფუძველზე. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა „ცაში ასროლი-

გვარამ ახათიანი
პუშკინის პარკში

ლი ქულებს“ განხილვის დროს, რომელიც მოსკოვში მოეწყო. შეიძლება თუ არა, „სტრიოზულ“ ლიტერატურაში დეტექტივის ელემენტის შეტანა? — დაახლოებით ასე ეღრღრა რუსი ლიტერატორების მიერ დასმული კითხვა. ამ საკითხის გარკვევა გაუთავებლად შეიძლება კამათი (თუმცა დოსტოევსკის ავტორიტეტი საკმარისი უნდა იყოს მის გადასაწყვეტად). ასეა თუ ისე, ჩვენს წინაა რამდენიმე ცოცხალი ფაქტი თანამედროვე ქართული ლიტერატურადან. დეტექტივური ხერხი შეინიშნება არა მხოლოდ ელიშერ ყიფიანის მოთხრობაში, არამედ ვრიგოლ აბაშიძის „ყურანალშიც“. მისი ელემენტები სხვადასხვა ფორმით შესულია აგრეთვე არნილ სულაკაურის „ოქროს თევზში“, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთამუხაში“ და გუგრაშვილის „ხეობისაგან“ რომანში.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს უბრალოდ ამთხვევით იყოს გამოწვეული. უფრო მეტიც: ჩემი აზრით, აქ მნიშვნელოვანია არა იმდენად თვით ლიტერატურული ხერხი, რამდენადაც ის სპეციფიკური შინაარსი, რომლის ხაზგასმაც მის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს.

მხედველობაში მაქვს ამ ნაწარმოებებში ასახულ მოვლენათა დანაშაულებრივი არსი. დაახლოებით ასევეა გააზრებული ეს ელემენტი ა. სულაკაურის უკანასკნელ მოთხრობაშიც, რომელიც სულ ახლახან გამოქვეყნდა „ციკოსრის“ პირველ და მეორე ნაწილებში.

„ლუკა“, მისი ავტორისათვის განსაკუთრებით ძვირფას გარემოში გვაბრუნებს.

თითქოს „მტრელებისა“ და „წყაღდილობის“ დეკორაციები არ აუღლია და ისე იხლება ფარდა. აქ ცხოვრობს კიდევ ერთი პატარა ბიჭი. ცხოვრობს თავის მსგავსთა შორის... მაგრამ როგორც თანდათან ირკვევა, ადამიანები მხოლოდ გარეგნობით გვანან ერთმანეთს.

პირველი ციტატი, რომელიც მე მოვიტანე ამ წიგნის დასაწყისში ნაწარმოებისა და ავტორის მიუთითებლად, სწორედ „ლუკადანაა“ ამოწერილი.

ლუკა — სათნო, კაცობიერად ხეობის, ანდუყაფარის ერთადერთი მეგობარი და მოწაფე — იზრდება სასტიკ სამყაროში. მის გარშემო ტრაილბენ ადამიანები, რომელთაც მოყვასის დანდობა არ იცინა.

„საკვიფო“ მათთვის ლიტონი სიტყვაა, და — რაც მათ ზნეობას და მოქმედებას განსაკუთრებით, ავისმეტყველ იერს ანიჭებს — ამ ადამიანებს აქვთ ძალა, „შეძლება“...

ლუკას სამყაროს გათვლად ემტკრება, მას უკავი შეახვს ხელი, უკავი შეტეხვს კარები, რომელსაც ის ამოღო რაზავდა.

და აი მისი სულიერი ოსტატი უარს ამბობს თავის მოძღვრებაზე: „ამ ბოროტებას ახლა კეთილი გულით ვეღარ შეაჩერებ“... ეუბნება იგი ლუკას.

ამის შემდეგ იწყება პალუტინაცია; რეალურად გაღადის სიზმარში, კოშმარულ ჩვენებებში.

მკითხველისთვის თითქმის შეუძლებელია იმ ზღვარის დადგენა, საიდანაც მეორე პირველს ცვლის. უნდა ვიფიქროთ, რომ მათი გამიჯვნა ავტორს შემთხვევით არ დაეფყინა: სიზმარში ჭარბობს კოშმარის ელემენტები, რაღაც შემზარავი, შეიჭრა სინამდვილეშიც. მართალია, პალუტინაციების დროს მთავარისა (რომლის სახე საერთოდ ხელოვნურად გამოიყოს მითხრობის ამ ნაწილში) საღვთო წერილის ენობრივობას ამბობებული ლუკას დაშორებისას: ადამიანთათვის ჭვარცმის, სხვათა ცოდვების მისახანებლად მოთმინებისა და თავდადების მორალს უქადაგებს მას — მაგრამ, ეს ათვისთავად მარგალსმეტყველი შეგონება აქ უკვე ვეღარ აქვს მისი ანდუყაფარის სიტყვების ემოციური ზემოქმედებას.

— „ამ ბოროტებას ახლა ძალა თუ უშველის, დიდი, დამთრგუნველი ძალა!“...

ასეთია ამ სიტყვების დედააზრი.

აჩილ სულაკაური როგორც პროზაიკოსი 60-ან წლებში ჩამოყალიბდა. მის შემოქმედებით ინდივიდუალობაში თავისებურად გამოიხატა. ზოგერთი სწორედ ამ დროისთვის დამახასიათებელი მხატვრული ნიშანთვისება. როგორც მხატვარი ის ბევრად უფრო ძლიერია მაშინ, როდესაც აუქანალებელი ხელით წერს, ზომიერად გამოყენებული თანაგრძობით უთვალთვალებს თავის პერსონაჟებს, ვიდრე იმ მომენტებში როცა მათი სულის კრიზისულ მდგომარეობას გვიხატავს. მკითხველთან საუბრისას მას დაფიქრებისთვის, საგანათა ბუნებაში ჩადრმავებისთვის მისი განწყობა უფრო ეხერხება, ვიდრე აღშფოთება ან აღფრთოვანება.

მითუმეტეს საგულასხმოა, რომ ასეთ მწერალს ებადება მძაფრი შინაგანი მოთხოვნილება — ახალი თვალთ შეხედოს თავის მიერვე ერთგვარს უკვე ასახულ სინამდვილეს.

არა, ის ახალ დასკვნებს არ გვეთვავობს. არავითარ მიზეზებს არ იძლევა თავისი მძიებელი, ცხოვრებას პირველ აღმართთან შევიდებულ გვირისთვის, არც მკითხველს მოუწოდებს რაიმე წინასწარ პროგნოზირებული ნაბიჯისკენ. ის სკამს მტკივნეულ კითხვებს. რათა ჩვენ ამინერიდამ მათ გადაუწყვეტლად მოსვენება აღარ შეგვეძლოს.

ვისი სიბრძნეა უფრო მართალი — დავრდომილი ანდუყაფარისა თუ სულით ავადმყოფ მთავარისას? შეიძლება თუ არა მათი შერიგება?

არის თუ არა მესამე გზა? საკვირველია: თითქმის არავინ არ დაფიქრებულა იმაზე, რომ ეს კითხვა ტრადიციული ქართული მწერლობისათვის. მაგრამ ამის შესახებ უფრო ქვემოთ.

თამაზ ჭიაბაძე, ისევე როგორც „ლუკას“ ავტორი ტიპური წარმომადგენელია ვასულ აბ-

წლებში... შემოქმედებითად ფრთხვსხმული
ლიტერატურული თაობისა—ტაბიტირ, სამოციანი
წელი, უ იმას არ ნიშნავს, რომ მისი ინდი-
ვიდუალობა გაფხვეფილია მოპრობის საერთო
ნაყდში... მოვლენათა წარმოსახვის თავისებური
„იმპრესიონისტული“ მანერა მას ლირიკიდან
მოჰყვა, განსაკუთრებით ხელშესახებულ გა-
მოვლენა ეს თვისება მის პირველ მოთხრო-
ბაში. ხატავდა ის ძირითადად „რბილი“ საღება-
ვებით, ჩვეულებრივ გაუბრბოდა მყვიარალა კონ-
ტრასტებს და მთელი ყურადღება განწყობი-
ლებით წარმართველ ნახევარტონებზე ჰქონდა.
გადატანოლი.

„მდგმურებისა“ და „პოსეიდონის სასახლის“
ავტორს აქვს ერთი სიყუსტე. იმის მაკვირად,
რომ ფუნჯის ერთი ენერგული მოსმით წარ-
მოაჩინოს საგნის უმთავრესი თვისება, ის ზოგ-
ჯერ არ ჯერღება ძირითადს, არსებითს — მხატ-
ვრულად ყველაზე საინტერესო შტრისა და
დამხმარე დეტალებს იშველიებს. ამის შედეგად
(მაშინაც კი, როცა თვითელი ამ დეტალთა-
ვანი თავისთავად საინტერესოა) მთავარი და
მეორეხარისხოვანი ერთმანეთში ითქვიფება,
სურათი ჰკარავს ექსპრესიულობას, შთაბეჭ-
დილება — სიმკვეთრეს. მკითხველის ინტერე-
სი ნელდება და ეს უკანასკნელი ზოგჯერ წიგნს
სწორედ იმ მომენტში ხედავს, როდისაც ყვე-
ლაზე მნიშვნელოვანი ამბები უნდა მოხდეს.

ასეა გადატვირთული ჩემი აზრით, „მდგმუ-
რების“ ექსპოზიცია, რომელიც მოთხრობის სამ
მეოთხედს მაინც შეადგენს.

მეუხედავად ამისა, ამ მოთხრობაში (განსა-
კუთრებით მის ფინალურ ნაწილში) აშკარად
ჩანს ავტორის მიერ პირველი ლიტერატურული
ცდებიდან დღემდე განვლილი შემოქმედებითი
ევოლუციის ზოგიერთი ჩვენს მიერ ზემოთ, სა-
განგებოდ აღნიშნული თავისებურება.

„პოსეიდონის სასახლე“, ერთი შეხედვით, მვე-
ლი მანერითაა შესრულებული, მაგრამ მისი ში-
ნარის მკითხველს თანდათან სხვა ხასიათის ემო-
ციური ზემოქმედებითაც იმართილებს.

ერთმა ჩემზე ბევრად უფროსმა მწერალმა,
რომლის აზრს დიდად ვაფასებ (თუმცა ზოგ-
ჯერ არ ვეთანხმები) მოულოდნელად მკითხა:
ღირს თუ არა მოსაწყენ აღმანიზე წერა?

როგორც მერე გამოირკვა, მას მხედველო-
ბაში ჰყავდა თ. კილაძის მოთხრობის მთავარი
გმირი.

მე ვტყვობა, რომ ღირს.
მოპასუხის „ერთი სიცოცხლეც“ შეუძღვარ
ცხოვრებაზეა დაწერილი: ყველაფერი ისე მო-
დის, რომ საბოლოოდ აღმანი იპირება მო-
ნოტონერ—ყოველდღიურობაში, ურავდება მას.
ყოველდღიური უხამსობა აქრობს ნამდვილი
სიცოცხლისათვის გაღვივებულ ნაპერწკლს.

მწერალს აქვს მოსაწყენ ცხოვრებაზე წერის
უფლება. არ შეიძლება მოსაწყენად ცხოვრება
წერლობაში.

პირადად მე გულგრილი არ დავრჩენარსებ-
როდესაც თამაზ კილაძის უკანასკნელ მოთხრო-
ბას ვკითხულობდი, ეინაიდან ამ მოთხრო-
ბაში აშკარად ვიკარძენი ტკივილამდე გამძაფ-
რებული სიბნული, მწარე, ბალღამარევი თა-
ნავარძნობა იმ აღმანის მიმართ, რომელმაც
თავისი ცხოვრებით ვერ იცხოვრა, ევრა და ვერ
შეძლო გადაეჩინა თავის თავში ის, რასაც იგი
აღამიანად უნდა ექცია.

„პოსეიდონის სასახლეში“ თითქმის მიშველი
სახით გამოჩნდა ის კრილობა, რაც თ. კილა-
ძის ზოგიერთი აღმნიშნული მოთხრობაში მხოლოდ
იგულისხმებოდა.

მაგრამ მთავარი, რაზეც მე მინდა გაემახვი-
ლო ყურადღება, ეს არ არის. კიდევ უფრო მნი-
შვნელოვანია ის გარემოება, რომ ყოველივე
ამას (მთავარი გმირის სულიერი კაპიტულაციის
ამ პარტეტს) თვალყურს ადევნებს მეორე აღ-
მანი — მისი არასრულწლოვანი მეშვიდრე-
დილი, თვალყურს ადევნებს და მაშინის ყველა
კითხვას — მოამზადა თუ არა გაყვეთილი, და-
იბანა თუ არა ხელები, მოიქცა თუ არა ისე, რო-
გორც ჯერ არს, — ერთი სტერეოტიპული კო-
ნტრასტითივი პასუხობს: — „შენა“?.

ჩაბლონი ასეთ კითხვა-პასუხზე ბრწყინვალე
კომიკურ ეპიზოდს ააგებდა რესპექტაბელური
მამისა და უხნეო ვაჟიშვილის მონაწილეობით.
მაგრამ თ. კილაძის მკითხველმა სიცილი არ
იკო.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: ამ მო-
მენტრიდან მკითხველს უკვე აღარ ებრალება
მოთხრობის გმირი. „სიბრალული“, „თანაღო-
ბა“ უკვე ის სიტყვები აღარ არის, რომლითაც
მისი დამოკიდებულება შეიძლება გამოიხატოს.
აქ იღვიძებს სხვა გრძნობა—სრულიად უბრალო
აღმანიურ შიში, იბადება მესამე — ავტორის
მიერ უპასუხოდ დატოვებულ და ამის გამო
კიდევ უფრო შემამშოთებელი კითხვა: რა მოე-
ლის ამ პატარა ბიჭს?..

ასე ტრიალდება სხვა კუთხით ნაცნობი თემა
და არსებითად ახალ ემოციურ დატვირთვას
იძენს...

საჭიროა შევნიშნოთ, რომ თუ უკანასკნელი
წლების ქართულ პროზაში ასე მწვეველ დაღდა
მოზარდი თაობის (დაახლოებით 10-დან 20
წლის ასაკამდე) სულიერი ფორმირების პრობ-
ლემა, ეს ძირითადად ლიტერატურული ახალგა-
ზრდობის დამსახურებაა, იმ ავტორებისა, რო-
მელთა ლიტერატურული სტატიც დაახლოებით
ამავე ციფრებს შორის მერყობს.

გვარამ ასათიანი
კუბანურობის კრავალვა



როდესაც ჩვენ ამ ხნის ვიყავით, წინამორბედი თაობის წარმომადგენლები მაინცდამაინც დიდ ღროს არ უთმობდნენ ჩვენს ფსიქიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზს.

როგორც ჩანს, ისინი დაბრუნებულნი იყვნენ, რომ მათი ცხოვრების მაგალითი თავისთავად საქმარისი ვარაუდით იყო, რათა ჩვენც ასევე სანიმუშო მოქალაქეებად დავბრდილიყავით.

«ახლაზარდა მამეზმა» უფრო თვითკრიტიკულად შეხედეს ამ საქმეს...



მოთხრობის გმირი ბრუნდება სამხედრო სამსახურიდან, რომელმაც მას ასაკის გამო წაუღწია... ასეთი სიტუაცია გვხვდება ორ ნაწარმოებში. მხედველობაში მაქვს ნოდარ დუმბაძის «ნუ გემინია, დედა» (მთავარი პერსონაჟი აქ შეგებულით ბრუნდება შინ) და გურამ გეგეშიძის «აპრილი».

ნ. დუმბაძის გმირი, შინ დაბრუნებისას, მისთვის მთვლებელ თვისებებს ამჩნევს ძველ ნაცნობებს. მას თითქოს თავიდან ეჩილება თვალი და იმაში, რასაც ადრე მშვიდად უყურებდა, აღმაფიქრებელ სიყალბეს ხედას.

ეს არსებითად ახალი ინტონაციაა ნ. დუმბაძის შემოქმედებაში. მისმა ახალმა გმირმა იცის არა მხოლოდ წყენა და დარდი, არამედ ნამდვილი აღმფიქრებაც. მაგრამ ყველაზე მეტად ამ გმირსაც, ყველა მისი წინამორბედის მსგავსად, გულიანა, ვადადებმა სიცილა ეხერხება. ის ბუნების ბედნიერი შვილია. არ შეუძლია არ იცინოს. მარტალია, აეთო ჭყავილი ჭერ კიდევ არ ვარკვეულა ყველაფერში, რაც მის გარშემო ხდება, სიათნადოდ ვერ გაურჩევია ავი და კარგი, მტერი და მოყვარე. მაგრამ მას ძირითადად ჯანმრთელი იმპულსება აქვს. სიკეთისკენ მიიღრვის და თავისი საღი ბუნების გამო არამც და არამც არ დაიკარგება ცხოვრებაში.

სრულიად სხვა ბუნება აქვს გურამ გეგეშიძის გმირს. მისი ღიმილი არავის უნახავს, თუმცა მხიარული სახელი ჰქვია — ჭიჭიკო.

რამდენი ასეთი ჭიჭიკო შეხედრია ყველა ჩვენთაგანს? სად არ გადაყვრივართ? ყველა ჭიჭიკოს სიმღერა უყვარს, ახლადგაცნობილებთან დამძობილება; თუ დატყობდათ, სულს არ დაიშურებთ თქვენთვის. მაგრამ, აი, რა შეემთხვა ერთ მათგანს...

გ. გეგეშიძის გმირმა ჭარიდან დაბრუნებისას აღმოაჩინა, რომ სამი წელიწადი ერთ გოგოზე ფიქრობდა. ეს გოგო ადრე კინაღამ შეცდა მასთან. ახლა კი სხვისი ცოლია.

აღღამის მერე დღეს ჭიჭიკო თვრება სოფლის სასაფლაოზე, მერე იმ «სხვისთან» (რომელიც სოფლის პირველ ბიჭად ითვლება), განაგრძობს სმას ღუჭანში. შუასმიდან იპარება. მიღის თავისი თანამესუფრის სახლში, მის მ-

რტოდმყოფ ცოლთან და ძალით ცდილობს მამის მიღწევას, რაც ჭარმა წასვლამდე არ ინდობდა.

ჭიჭიკოს კლავენ. მოულოდნელად დაბრუნებული ქმარი ბეჭებში დაახლის სანადირო თოფს. ყველაფერი შეტორტმინდება ერთი წუთით და სამუდამოდ ქრება...

რა მოხდა!

გ. გეგეშიძის გმირმა ვერც კი ვაიგო, ისე თავისთავად, თითქოს მისზე ძლიერი ინერციის ზემოქმედებით აღმოჩნდა დამანაშავის, ბოროტმოქმედის როლში.

ჩვენბ მისი მოქმედების ამგვარი გააზრება უბრალო ლიტერატურული რემინისცენციის შედეგი?

ასე «მოძრაობს» და ასევე იღუპება, სხვათაშორის, ალბერ კამიუს «უცხო».

გურამ გეგეშიძის მოთხრობაში სინამდვილის ილუზია იმდენად ძლიერია, რომ ის დამხმარე საბუთების გარეშეც ფანტაქს ამგვარ იქვს.

«აპრილი» ავტორი მოწოდებით მხატვარია (თუმცა ზოგჯერ მორალისტის როლიც ნიშნავს). «აპრილიში» მსჯელობს მხოლოდ გმირი, ამის გამო ზოგიერთი სენტენციის პრიმიტიული შინაარსი ბუნებრივად აღიქმება. ავტორის მთავარი საზრუნავი აქ მხატვრობაა — რეალისტური წარმოსახვა გარემოში, მოვლენების და, პირველ რიგში, გმირის ფსიქოლოგიაში მიმდინარე მოქმედებისა.

უნდა ითქვას, რომ სამივე ეს კომპონენტი მოთხრობაში არსებითად გაერთიანებულია და ერთვო წოდებული «ცნობიერების ნაიჯის» სახით წარმოგვიდგება.

ამ თავისებურებებს იმ მიზნით აღენიშნავ, რომ შეითხველს ჩემი ზოგიერთი დაკვირვება ავტორის მიერ დეკლარირებულ, ან რაიმე სხვა ხერხით თავსმოხვეულ განზოგადებად არ მოეჩვენოს.

გ. გეგეშიძის გმირს არ სწამს იმ რიტუალის, რომელშიც ის (აღდგომის მერე) დღეს სასაფლაოზე გასული) მონაწილეობს. ბოლომდე არ სწამს თავისი სიყვარულის, არ სწამს თავისი მეტოქის საქვეყნოდ აღიარებული «კაიბიკობის». და, რაც მთავარია, არ სწამს საკუთარი თავის.

ეს ურწმუნოება (განსაკუთრებით საკუთარი ძალების მიმართ) უკანასკნელ მომენტამდე არასრულფასოვნების თავისებურ კომპლექსში ვლინდება, ხოლო უკანასკნელ მომენტში, როგორც თვითთარყთფა, როგორც ამბობა საკუთარი უსუსტრობის მიმართ, დიამეტრალურად საწინააღმდეგო საქციელში პოვებს გამოსავალს.

«ყველაფერი ნებადართულია!» — ასეთია იმ ფსიქოლოგიური ანტითეზის შინაარსი, რომელიც მის უკანასკნელ ნაბიჯს უღვევს საფუძვლად.

როგორც ცნობილია, ეს ზნეობრივი პოსტულატი ახალი არ არის. თავისი წარმომართ,

თავისი „კლასიკური“ ფორმით იგი სხვა ეპოქისა და სხვა სინამდვილის პირშეშოა.

მადრამ გურამ გეგეშიძეს იგი ლიტერატურული კონტრასტის სახით არ შემოუტანია ქართულ პროზაში.

რა ხასიათის ლიტერატურის შტუდირებითაც არ უნდა იყოს გატაცებული „პარილის“ ავტორი, ამის (ამ შემთხვევაში) გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

ნისი გმირის სულიერი დამსობა ჩვენნი სინამდვილის ნიადაგზე ხდება...

ვინ იტყვის, რომ მხოლოდ ჭიჭიკოა პასუხისმცემელი მის მიერ ჩადენილი ამორალური საქციელის გამო, რომ ის ნეოთერება, რომელშიც ურწმუნოების, სკეპსისის, ეთიკური რელატივიზმის მიკრობები ხარობენ, მხოლოდ მისმა განუვითარებელმა ინტელექტმა გამოიმუშავა?

კიდევ ერთი ბავშვის სახემ გაიღვა უკანასკნელ წლებში „ციკრის“ ფურცლებზე, სულ ერთი წუთით გამოიკვეთა ღამის სიბნელეში...

„ორმოცი დღე და ორმოცი ღამე“ ასე ეწოდება მოთხრობას, რომლის ავტორია ჩემთვის უცნობი მწერალი გიორგი ბაქანიძე.

... სახელსონო სასწავლებლიდან გარბის ათი-ოდე წლის ბიჭი. არა იმიტომ, რომ იქ ბევრს აძულებენ, ან ცუდად კვებავენ. ის ვერ შეეგუა თანატოლების გარემოცვას. ამ ბიჭს აქვს სოფელი, საიდანაც მას მხოლოდ ნათელი მოგონებები გამოჰყვა, აქვს სხვებისგან განსხვავებული თვისებები, უცნაური მიდრეკილებები. ამ ბიჭში პოეტის ცხოვრობს. გარემოცვა, რომელშიც ის მოექცა, უცხოა მისთვის. მოხდა ისე, რომ მის გარშემო პატარა მტაცებლები — ჩლუნგი, შეუბრალებელი არსებები აღმოჩნდნენ.

ბიჭს თავის სახლში უნდა დაბრუნება და, რადგან საამისო სახსარი არა აქვს, იძულებულია სატვირთო მატარებლით „იმგზავროს“.

ყველას, ვინც მას გზაში ხვდება, ყველა მამაკაცს — ჭარბაკს, ხანშიშესულს, ასალგაზრდას — ერთი მიზანი აქვს მხოლოდ: როგორმე მითმაროს იგი. აუცილებლად ჩამოაგდოს მატარებლიდან.

მოთხრობაში „ორმოცი დღე და ორმოცი ღამე“ მოქმედება ფაქტურად ერთი ღამის განმავლობაში წარმოებს. ამ ერთ ღამეში კეთილი, მეოცნებე ბიჭისგან ყალიბდება პოტენციური მიკვლევი, ავანჯიკი, მრისხანე შურისმაძიებელი.

თბიბი (ასე ჰქვია ამ ბიჭს) მუშტს უღერებს კაცობრიობას, რადგან სიკეთისა და მოთმინების მარაგი, რომელიც მას ბუნებაში მისცა, ერთ ღამეში ამოიწვია უკვალად.

მე არ ვიცი, როგორ მოთხრობას დაწერს მომავალში გიორგი ბაქანიძე. საერთოდ, დაწერს თუ არა კიდევ რაიმეს, მაგრამ ის, რაც მან გამოაქვეყნა, რიგითი ლიტერატურული ფაქტი არ არის.

ესაა შემადრწუნებელი კვიცილი დამეული პლატონოვების სიბნელედან; კვიცილი, რომელიც ყველაფერს ფარავს...

ივანე კარამაზოვა თავის უმცროს ძმასთან კამათის დროს პირობითად აღიარა, რომ ცხოვრება თავისთავად ცოდვაა, რომელიც ღვთიურ სახალურს იმსახურებს.

მისი ერთადერთი ბრალდება საწყაროს შემოქმედის მიმართ, თითო, ცოდვანაუდენელი ბავშვების ტანჯვა იყო.

„ბავშვები“, რომელთა შესახებ ჩვენ მოგვიხდა საუბარი, უკვე გამოსულნი არიან ამ ასაკიდან, ვარდა ამისა, ყველა ისინი ცხოვრებაში (რასაკვირველია!) მხოლოდ „ერთეულების“ სახით არსებობენ. მათი სულიერი ხვედრი მხოლოდ „გამონაკლისია“.

ერთი — მხოლოდ ერთადერთი ბავშვიც რომ იღვას განსაცდელის წინაშე, ესეც საკმარისი თემაა ლიტერატურისთვის, სრულიად საკმარისია, რომ მწერალმა საგანგაშო ზარი ჩამოკრას, რადგან მისი გადარჩენა არც ერთ ჩვენთან განს აღარ შეუძლია კერძო ინიციატივით.

აუცილებელია მოხდეს რაღაც მნიშვნელოვანი, რაღაც გადამწყვეტი ჩვენს საერთო დამოკიდებულებაში ამ ბავშვისადმი.

საქიროა კიდევ ერთი — ყველაზე სასტიკო, ყველაზე ჰუმანური კანონი, რომელიც ყველა სხვა კანონს დაიქვემდებარებს, კანონი, რომლის ძალით საზოგადოების ყველა წევრს ერთდროულად, ერთნაირი სისასტიკით უნდა მოეთხოვოს პასუხი იმის გამო, რაც ამ ერთადერთ ბავშვს შეემთხვა.

რადღაც ამ უადის კანონს ეძებს თავის ახალ რომანში ნოდარ დუმბაძე, მის „თერთ ბაიარლებს“ სამი სიტყვა აწერია: „კაცთმოყვარეობა, გულისყური, მოთმინება“.

ნ. დუმბაძეც სამოციანი წლების ტრადიციის გამგრძელებელია დღევანდელ ლიტერატურაში — იმ ტრადიციას, რომლის ერთ-ერთი დამწერავი და დამამყვდრებელი თვითონ განსლავთ.

ის დღემდე ერთგულია თავისი თავისა და თავისი რწმენის. ჩემი აზრით, ეს სიბეცის გამო არ მოდის, არც იმ მიზეზით, რომ სხვებზე ნაკლები ალღო აქვს.

ცხოვრების დინებას გაეგება უნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ველარაფერს გაიგებ საერთოდ, „ჩამორჩები“.

გურამ ასათიანი
ჰუმანურიზმის პრიბლემა



„თეთრი ბაირაღების“ ავტორს დინების წინააღმდეგ მოპრაობა არ ჩვევია. მაგრამ ის ზოგჯერ დროულად გვახედებს ცხოვრების ამოძრავებულ ნაქაღში. დაუყოვნებლივ რეაგირებას ახდენს მისი მოპრაობის წარმმართველ ზოგიერთ ფსიქოლოგიურ ბიძგზე და უბრალო, გასაგებ, ზოგჯერ სავანებოვად გამარტივებული ენით ეუბნება თავის მკითხველს, რა არ უნდა დააეწყდეს მას, რა არ უნდა გამოჩნეს მხედველობიდან, როცა მდინარის შუაველში მოსწევია.

როდესაც მის უკანასკნელ რომანს კეთილშობილი, რამდენიმეჯერ გამახსენდა ერთი ინგლისური პიესის სათაური. ეს პიესა საბჭოთა თეატრებშიც დაიდგა. მისი სახელწოდება რუსულად ასე იყო ნათარგმნი: «Оглянись во гневе!..».

„თეთრი ბაირაღებში“ ასახული სინამდვილე აშკარად რომანტიზირებულია. იმდენად, რომ ამას ისეთი მკითხველიც ამჩნევს, რომელიც ამ სინამდვილეს მხოლოდ შორიდან იცნობს (ე. ი. ცხენში არ მჯდარა). რომანტიზაციის შედეგად ზოგიერთი ხასიათი პარადოქსულ იერს იძენს და ამის გამო გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე ცხოვრებაში. მაგრამ ავტორს, რომელიც ძირითადად ამ ხაზს მიყვება, ზოგჯერ ზომიერების გრძნობა ღალატობს. ეს მქადენდება უმთავრესად წერტილმანებში. გამორიცხული არ არის, რომ მათი ერთი ნაწილი მკითხველის გემოვნებას ეჩიოთიროს (მვალითად, იმ ეპიზოდში, რომელიც ბესიკის „ტანო, ტატანო“-ში გვირგვინდება).

გარდა ამისა ზოგიერთი ეთიკური შინაარსის იდეა ზედმეტად გამარტივებული (ანეკდოტის მარტივ მორალამდე დაყვანილი) ტექნიკურების სახით წარმოვადგება. ასე ელერს კერძოდ, პრაფესიონალი რეჟისორებისა და სახელმწიფოს მყვლეთათა „მორალის“ შეპირისპირება.

„თეთრი ბაირაღების“ გმირებს არც დახვეწილი გემოვნება მოთხოვრებათ და არც აზროვნების განსაკუთრებული კულტურა. თუ ამ დაფლასარისს დაუადგებით, მოთხრობაში ყველაფერი რიგზეა. მაგრამ, ჩემი აზრით, ავტორისათვის ეს მხოლოდ ფორმალური გამართლებაა.

„თეთრი ბაირაღების“ ავტორს აქვს თავისი სტილი, გემოვნება და შემოქმედებითი პრინციპები, რომელთაც ყველა არ მიზიარებს. მაგრამ განსხვავებით ბევრი სხვა თანამედროვე მწერლისაგან, მას ყველა (დღევანდელი ქართული მკითხველების აბსოლუტური უმრავლესობა) კითხულობს.

ბოცა ასეთი აუდიტორიის მქონე მწერალი კაცთმოყვარეობის, ფულისყურისა და მოთმ-

ნების, დროშით გამოდის, ეს თავისივე სიყვითაა. ნუ ვიფიქრებთ, რომ „მასის“ გულის მოგება მხოლოდ ამ გზით შეიძლება. ისტორიამ იცის შემთხვევები, როდესაც უკანასკნელი სწორედ საწინააღმდეგო ინსტიტუტების გაღვივებით მითსყიდავთ.

სიკეთე ყველაზე დიდი საუნჯეა, რომელსაც მწერალი უნდა უდგეს დარაჯად; ტექნიკურბაზეც, მშენიერებაზეც უფრო დიდი.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული მწერლისთვის ყველაზე დიდი სიკეთე, ყველაზე დიდი და ეთილი რჩება, ტრადიციულად, სამშობლოს გადარჩენა იყო. სამოციანელებმა ნამდვილი ომი წამოიწყეს ამ მიზნით.

იგი დღესაც გრძელდება. ყველა ცოცხალი ქართველი მწერალი ამ ასწლიანი ომის გამგრძელებელია.

განსხვავება მათ შორის მხოლოდ იმის მიხედვით შეიძლება დავადგინოთ, თუ ვის სად, რომელი მიმართულებით ეგულება გადარჩენის გზა: გონიერ მოქმედებაში თუ ფანტიკურ გახელებაში, მარტივობაში თუ მკაცრელობაში, მკაცრ სიმართლეში თუ აღმაფრთოვანებულ ილუზიებში, სულგრძელობაში თუ უმოპოვობაში...

„გულბრყვილობა იქნებოდა, თუ ყველა ამ ალტერნატივის პასუხს თავისთავად ნაგულისხმევად წარმოვიდგენდით.

ამ კითხვებზე მთელი თაობები იმტვერდნენ თავს.

XIX საუკუნეში ზოგი მკვლევარი ვერ ამჩნევს იდეათა შინაგან ჭიდილს. მე თაობებისა და დღაების“ ბრძოლას არ ვგულისხმობ; მხედველობაში მაქვს სწორედ შინაგანი ჭიდილი — იდეის დრამა“.

ერთი იმ მყვეულ კითხვათაგანი, რომელმაც ეს უკანასკნელი წარმოშვა, დაეკვირვებული იყო ძალადობის, უსამართლობის მიმართ და მოკიდებულების პრობლემასთან.

ბევრი თვლის, რომ ილიამ და მისმა თანამოაზრებებმა სრული სინათლე შეიტანეს ამ საკითხში. მე ამ შეხედულების დარღვევას არ ვაპირებ.

მაგრამ რა სულიერი დაძაბვის, რაოდენ მტიკუნული შინაგანი წინააღმდეგობის გადალახვის ხარჯზე მოხდა ამ „სინათლის“ მოთვეება!

შესაძლოა, არც ერთ დროში, არც ერთ სხვა ნაციონალურ ნიადაგზე, არ დაპირისპირების ერთმანეთს ისე მძაფრად ძველი და ახალი აღ-



თქმის სიბრძნე — „შურისმგებელი“ და „მომტვეველი“ ღმერთის ურთიერთუარყოფელი ორი იდეა და არც ჰამლეტის ცნობილ კითხვას არ მიუღია ისეთი მპაფრო, ეროვნული მოქმედების პროგრამირებისთვის აქტუალური მნიშვნელობა, როგორც მან გასული საუკუნის ქართულ მწერლობაში მიიღო:

„სულდიდ ქმნილებას რა შეჭვდერის? ის, რომ იტანჯოს და აიტანოს მზავრელ ბედის ნეშტრითა გმირვა, თუ შეებრძოლოს მოზღვრებულ უბედურებას და ამ შებრძოლვით მოსპოს იგი, მოსპოს სიცოცხლე?!...“

...ქართულ მწერლობაში ეს კითხვა ასე დაფორმულდა: „შეფენლო შემოცოდეთა, თუ შევაკვდე?“

სწორედ ამგვარი, ამ რიგის ზნეობრივი დილემის წინაშე დგანან „გლახის ნაამბობისა“ და „მომღერის“ ავტორები. ამ შინაგანი პათოსის გაუთვალისწინებლად ორივე ეს ნაწარმოები მარტოოდენ სასკოლო ბელეტრისტიკის კუთვნილება იქნებოდა.

ლიტერატურაში იდეის ენერჯია მხოლოდ ამგვარი მტკივნეული გადალახვის საფასურად შეიძინება.

თანამედროვე ქართულ მწერლობას ზოგიერთ (მისგან საკმაოდ ახლომდებარე) წრეებში დღემდე სკეპტიკურად უყურებენ. განსაკუთრებით პროზას.

— ჩვენშიც ხდება რამე? — ხშირად ვაიგონებთ უცხოური ბელეტრისტიკის სიახლეებში ზედმიწევნით გაათვითნობიერებულ მკითხველისაგან.

ასეთი თეორიაც არსებობს, თითქოს ქართულ ნიდაგზე არ შეიძლება საერთოდ რომანის შექმნა, ვინაიდან ნამდვილი რომანი მოთხროვის ცხოვრების მასშტაბურობას, დიდ ვნებებს, დიდ მოვლენებს, ის სინამდვილე კი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მოკლებულია ასეთ თვისებას.

ამგვარი შეხედულება ძირითადად კონკრეტული ფაქტების უცოდინარობით არის გამოწვეული.

მაგრამ მას ერთგვარი ობიექტური საფუძველიც აქვს. „ახალმა პროზამ“ 60-იან წლებში მართლაც ვერ შექმნა რომანი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. უვლადგერი, რაც ამ სახელწოდებ-

ბით გამოქვეყნდა, არსებითად დიდი მნიშვნელობა იყო.

რომანი ეპიკური შემოქმედების ძირითადი სახეობაა თანამედროვე მწერლობაში. ამიტომ არის, რომ სწორედ რომანისტიკის მოვლიან და სწორედ რომანში ეძებენ ეროვნული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პერიპეტიათა ამსახველ ეპოპებს.

ეს მოლოდინი ბუნებრივია. მე ვიტყვოდი, რომ სამოციანი წლები ამ მხრივაც შეზღუდების, ქალთა მოკრების, დიდი ნახტომისთვის მოზილზების წლები იყო.

უკანასკნელ დროს ჩვენ მოწმენი გავხდით კიდევ უფრო დიდი იმედის აღმძვრელი ორი ფაქტისა. რა ხასიათისაც არ უნდა იყოს აზრთა სხვადასხვაობა მათ გარშემო, აშკარაა, რომ ჩვენს წინ არის ლიტერატურის ორი ნამდვილად მნიშვნელოვანი მოვლენა.

მხედველობაში მათქმე ქაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ და ოთარ ჭილაძის „გაზაზე ერთი კაცი მიდიოდა“.

პირველი მხოლოდ ნაწილის სახითაა გამოქვეყნებული, მეორეს ბეჭდვა ახლახან დამთავრდა.

მიუხედავად ამისა, მათთვის გვერდის ავლა გაუმართლებელი იქნებოდა, რადგან ამ ნაწარმოებებს თავისი მასითაც და მხატვრული მნიშვნელობითაც თანამედროვე ლიტერატურული პროცესის საკვანძო, უმნიშვნელოვანესი მოწვევით უჭირავთ. „დათა თუთაშხია“ ახალი ქართული პროზის განვითარებაში, ჩემი აზრით, „წმინდა“ რეალიზმის, სინამდვილის ცოცხალი წყაროებთან აღმოცენებული ნაკადის ახალ, უწინდელზე უფრო ფართო კალამტში გადასვლას ნიშნავს.

„გაზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ ე. წ. ლირიკული პროზის მხატვრულ პრაქტიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტენდენციის სახარულ წერტილამდე განვითარებას მოწმობს.

უფრო მოკლედ და უბრალოდ რომ ვთქვათ, ქაბუა ამირეჯიბთან პირველ რიგში რეალობა ზეიმობს, ხოლო ოთარ ჭილაძესთან ფანტაზია.

ასეთი გაუბრალოება აზრისა იმიტაც არის გამართლებული, რომ იგი უმაღლეს წარმოაჩენს მის ცალმხრივობას.

სინამდვილეში ორივე ეს ნაწარმოები გა-

პურაბ ახათიანი
ქუთაისში, პრეპრატში



ცილებით უფრო რთულ მხატვრულ ფენომენად წარმოგვიდგება და როგორც ასეთი — როგორც ცოცხალი მხატვრული მთლიანობა, მხოლოდ ნაწილობრივ ემორჩილება ამგვარ კლასიფიკაციას.

მახ დაპირისპირებას მხოლოდ შეფარდებითი ხასიათი აქვს.

განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეს შეფარდებითობა „დათა თუთაშხიას“ მიმართ.

ჭაბუა ამირეჯიბის რომანში, უწინარეს ყოვლისა, მასალის უჩვეულო სიმდიდრე იქცევა უწარადლებას.

ილანიშნავი მეორე თვისებაც — გამოხატვის საშუალებათა მრავალფეროვნება.

ხოლო მთავარი სიმდიდრე ამ ნაწარმოებისა, ჩემის აზრით, მდგომარეობს არა ცხოვრების მდიდარ გამოცდილებაში, არა მხატვრულ საშუალებათა მრავალფეროვნებაში, არამედ იმ თვისებაში, რომელსაც მე სულის სიუხვებს ვუწოდებდი.

ეს უმნიშვნელოვანესი თვისებაა ეპიკოსისა. იმისთვის რომ ამდენი ცოცხალი არსება ამოძრავთ, ამხელა ადამიანური სივრცე მოიცვა, უსათუოდ დაჯილდოებული უნდა იყო მათთან ნამდვილი სულიერი თანაზიარობის ნაჭით; უნდა შეგვეძლოს, არა მხოლოდ რეალისტური ჰერკატა, ან უბრალო თანაგრძობა მათდამი, არამედ მათთან ერთად, ზუსტად მათსავით ცხოვრება...

მე ვიტყვოდი, რომ ეს არის ჰუმანურობის თვისებური მხატვრული გამოვლინება.

ჭაბუა ამირეჯიბის რომანში გვხვდება ცალკეული პასაჟები, რომელთა სტრუქტურა, ჩემი აზრით, ჩვენი საუკუნის დასავლური მწერლობის ზოგიერთ სპეციფიკურ მონაპოვარს ეყრდნობა.

მაგრამ მთავარი ნაკადი „დათა თუთაშხიას“ მინც კლასიკური რეალიზმის ტრადიციას, ეყრდნობა, ქართული კლასიკური რეალიზმისა. შეიძლება, ეს სუბიექტური შთაბეჭდილების შედეგი იყოს, მაგრამ ამ ნაწარმოებში პირადად მე ასეარად მესმის სწორედ „გლახის ნაამბობისა“ და „მოძღვარის“ ინტონაცია.

„დათა თუთაშხია“ თავიდან ბოლომდე განისკვალულია დიდი ქართული პროზისთვის დამახასიათებელი სიმართლისმაძიებლობის პათოსით. სწორედ ეს თვისება (და არა სათავგადასივლო შინაარსის ებოზოლება) სძენს შინაგან დინამიზმს ამ ნაწარმოებში მიმდინარე მოქმედებას.

დათა თუთაშხია ცხოვრების დიდ გზაზე გამოსული კიდევ ერთი დონე-კიბოტია. ოღონ, ლამინელი აზნაურისგან განსხვავებით, ის თავის მოგზაურობას ყოველგვარა ილუზიების გარეშე იწყებს.

სიმართლისა და მასთან განუყოფლად დაკავ-

შირებული ჰუმანური მოქმედების პრიორიტეტი აქ ძირითადად ორ სახესთანაა დაკავშირებული.

ერთი მხრივ დგას მუშნი ზარანდია — მეფის მოხელე, საიდუმლო პოლიციის აგენტი. მის არჩეული აქვს კონფორმიზმის გზა.

მეორეს მხრივ, დათა — კანონგარეშე აღმოჩენილი პიროვნება, კეთილშობილი აბრაგი, არსებული საზოგადოებრივი წესწყობილების პრინციპული მოწინააღმდეგე.

თითქოს ყველაფერი თავიდანვე ნათელი („დადებითი“ გმირი უპირისპირდება „უარყოფითს“), მაგრამ ავტორი სწორედ აქედან იწყებს თავის რომანს და ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს ვითვქროთ, რომ ეს მხოლოდ იმ მიზნით ხდება, რათა ნაწარმოების მთავარმა („დადებითმა“) გმირმა უბრალოდ შეამოწმოს თავისი სწორი კონცეფცია. ავტორის მიზანი ცოტა სხვანაირად გამოიყურება: მისი გმირი ვალდებულია ვიაროს ცხოვრების „სახიზინებელი“ — ყველა მისი გარსი, რადგან მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება არსებობის ნამდვილი აზრის მიგრება.

ჭ. ამირეჯიბის რომანში, რა თქმა უნდა, არის გამოვლინება, არის გონებასხვედრად გააზრებული მიზანსენიება, არის ის, რაც მხოლოდ მხატვრის წარმოსახვას შეეძლება ნაწარმოებში; მაგრამ მთავარი აქ მინც რეალობის სუნთქვაა — არა სინამდვილის ილუზია, არამედ მისი დიქტატით, მისი მოთხოვნილებით ნაკარნახევი სემარტული.

მე ვიტყვოდი, რომ ეს დიქტატი ზოგჯერ ავტორის ნებაზე უფრო ძლიერია. იქაც, სადაც ავტორის რეალობის ნამსხვრევი მოტანილი აქვს წმინდა ილუსტრაციული განზრახვით (რომელიმე გმირის მოსაზრებათა საილუსტრაციოდ), მისი შინაარსი ზმირად ჯანის ფუნქციას და უფრო მეტს მეტყველებს, ვიდრე უბრალო სანიმუშო მაგალითი.

რას გვეუბნება ჩაურევლობის პრინციპი მოქმედი გმირის პრაქტიკა რომანის პირველ, გამოქვეყნებულ ნაწილში.

ცხოვრება სავსეა უამრავი წინააღმდეგობებით, უამრავი ინსტინქტებით, ინტერესებით, რომელთა შეუთანხმებლად შეუძლებელია ადამიანთა საერთოაქცეობის ნორმალური მოწყობა.

ხალხი, თუ ამ ცნებას შემადგენელ ნაწილებად დავშლით, შედგება უამრავი პიროვნებებისგან, რომლებიც ცალ-ცალკე აღებულნი ძალიან შორს დგანან ჩვენი იდეალური წარმოდგენისგან ამ ცნების შესახებ.

უამრავი შეუსაბამობა, უაზრობა, უგუნურობა, უგულვობა, უსამართლობა წარმოადგენს ამ ცნების რეალურ შინაარსს, მის შემადგენელ ნაწილებს, ყოველ შემთხვევაში, ამ ნაწილთა ერთ რიგს და, რაც მთავარია, ყველაფერი ეს, ყოველ წუთს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვს სწორედ იმას, რაც დათა თუთაშ-

ხამ აუტორმალა თავის თავს — ჩარევას. არა მხოლოდ იმისთვის, რომ რაიმე გამოასწორო, არამედ იმისთვისაც, რომ მართლა გაიგო. ჩაურევლად შეუძლებელია ცხოვრების გაგება.

ამას გვეუბნება არა ავტორი, არამედ ნაწარმოებია.

„ღათა თუთაშხიას“ მე ხელნაწერში წივიკითხე. ჩემი აზრით, ამ რომანს აქვს ერთი დიდი ნაკლი, რომელიც დაბეჭდვისას მხოლოდ ნაწილობრივ გამოსწორდა.

მხედველობაში მაქვს გარკვეული დიპსოპორტია მოქმედებასა და მსჯელობას შორის. ეს ხარვეზი თვითონ ავტორმა აღიარა და დახალღეებით ასე ახსნა: ექ, სადაც მოქმედება (ნაბატრობა) ვერ ერევა თავის საქმეს, მის აღვილს მსჯელობა აქვს. ამგვარი ავტორიტეტიცში, ჩემი აზრით, გადაჭარბებულია. მაგრამ, ასეა თუ ისე, ავტორმა ამის შემდეგაც მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო აღნიშნული ნაკლის გამოსწორება.

მე უკვე ვთქვი, რომ ნაწარმოებს აქვს „დიდი“ ნაკლი. ახლა უნდა დავუმატო, რომ ეს არის ამავე დროს არსებითი ნაკლი.

ნუ იფიქრებთ, რომ აქ სოფისტური ილეთს მიემართვ, მაგრამ ეს გარემოება — ამ ნაკლის „დიდობა“ და „არსებითობა“ — მე მის გამართლებადაც მიიჩნევი.

ეს ნაკლი ნაწარმოების მთავარი სულსიკეთებიდან, სიმართლისმამძებლობის პათოსიდან გამომდინარეობს. მისი სრული ამოკვეთის შედეგად ჩვენ მხოლოდ გაღარბებული ადაპტაცია შეგვრჩებოდა ხელში.

როგორც ღირსება, ასევე ნაკლი ქ. ამირეჯიბის რომანისა, ჩემი ღრმა რწმენით, დროის, ცხოვრების მოთხოვნილებიდან გამომწვეული და ამ მოთხოვნილებაშივე პოვებს თავის გამართლებას.

„ღათა თუთაშხიას“ ავტორმა გამოაქვეყნა თავისი რომანის პირველი ნაწილი და შემდეგ საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა გააკეთა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამით მან უფლება მოგვცა ახლავე ვიმსჯელოთ გამოქვეყნებულზე.

ო. ჭილაძის რომანის ბეჭდვა მხოლოდ გუშინ დამთავრდა.

ასეთ ვითარებაში მის შესახებ რაიმე დასრულებული აზრის შემუშავება ერთგვარ კადნიერებას უდრის.

ამას, რასაც მე ვიტყვი, მხოლოდ წინასწარი შენიშვნების პრეტენზია აქვს.

მთავარი გრძნობა, რომელიც ჩვენ გვეუფლებს, როდესაც ო. ჭილაძის რომანის კითხვას ვიწყებთ, ასე შეიძლება გამოიხატოს:

ჩვენ გვგრძნობთ, რომ შევედით ახალ, განსაკუთრებულ სინამდვილეში — ხელოვნების

სამყაროში, სადაც ყველაფერს თავისებურად, სამყაროსთვის დამახასიათებელი ადგილი და კანონზომიერება აქვს.

ამის აღნიშვნა თითქმის ზედმეტი უნდა იყოს. მაგრამ ო. ჭილაძის რომანი იმეჭდება მაშინ, როდესაც ჩვენ მოწმენი ვართ მთელი რიგი სხვა ყაიღის ლიტერატურული ფაქტებისა; მხედველობაში მაქვს ის ნაწარმოებები, რომელნიც მკითხველს რეალობის, არსებული სინამდვილის ჩარჩოებს ვერ აშორებენ, რომლებშიც ხელოვნების შეგრობება მინიმუმამდეა დაყვანილი. თათრ ჭილაძის რომანში სწორედ საწინააღმდეგო სურათია.

აქ ყველაფერი ხელოვნებისნიერია, გამოგონილია და მხოლოდ ამ გამოგონების ლოგიკას ემორჩილება. ორი წყარო კვებავს ამ გამოგონებას: ქართული ზღაპარი და ბერძნული მითოლოგია, მაგრამ მთავარი მიანიც თვით ავტორის ფანტაზიაა.

მე უკვე აღვნიშნე გაცერთ, რომ ამ რომანში ეხედავ 60-იანი წლების ქართული პროზისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ტენდენციის შემდგომ განვითარებას, უფრო მეტიც — მათ „სასრულ წერტილამდე“ მიყვანას.

მხედველობაში მქონდა ე. წ. ლირიკული პროზის ზოგიერთი სპეციფიკური თავისებურება, პირველ რიგში, მეტაფორიზმი — ლირიკისათვის დამახასიათებელი მეტაფორული აზროვნების გაღანერგვა ეპიკაში.

ეს უღარეხად რთული და მტყიცეული ოპერაციაა. მისი წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში ლაპარაკობენ ახალ ორგანულ ნაერთზე, ხოლო წარუმატებლობისას — ეპრობა აღრევაზე, შეუთავსებლობაზე, მნატურულ ექლქტიზმზე.

ორი სიტყვა გვხვდება ო. ჭილაძის რომანში განსაკუთრებით ხშირად: „როგორ“ და „თითქოს“.

არ არსებობს სახე, საგანი, მოქმედება, რომელსაც ეს სიტყვები არ უღარაჯებდნენ.

არ არსებობს მოვლენა, რომელიც რაიმე სხვას არ გავდეს, სხვა რიგის მოვლენასთან აბიყოს შედარებულა.

თითქმის ყველაფერი, რაც რომანში ხდება, მეტაფორიზებულია, თითქმის ყველა სახეს თავისთავადი მნიშვნელობის, თავისთავადი იერის გარდა აქვს მეორე, ზოგჯერ მესამე და მეოთხე მნიშვნელობა და იერი.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ დროს დასავლურ ლიტერატურაში წამყვანი მდგომარეობა მოიპოვა ე. წ. „ახალმა კრიტიკამ“.

მთავარი, რაზეც მან (განსაკუთრებით სტრუქტურალიზმმა) გაამახვილა ყურადღება, არის მნატურული სახის პოლივალენტობა, მრავალმნიშვნელოვნება.

გუარამ საბთიანი
ჭუმბანუჩიძის პროზაზე



ამის შესახებ ბევრი იწერება, უმთავრესად თანამედროვე მასალზე, მაგრამ ამასთან ერთად მრავალი კლასიკური ნაწარმოებზე შესწავლილ იქნა თავიდან და ასეთმა კვლევამ (მიუხედავად მეთოდოლოგიური ცალმხრივობისა) მთელ რიგ შემთხვევებში დიდად საინტერესო ნაყოფი გამოიღო.

მე ვფიქრობ, რომ ო. კილაძის რომანის ამგვარი შესწავლა უაღრესად ნაყოფიერი იქნებოდა.

აქ თითქმის ყველა სახეს, გარდა თავისთავადი, უშუალოდ მოცემული ყოფიერებისა, აქვს მეორე ყოფიერებაც. ეს არის მისი სიმბოლური ყოფიერება.

თუ ჩვენ ეს გამოგვჩანს მხედველობიდან, მაშინვე დავიბნევით და ხელში შეგვჩრება მხოლოდ ნაჭუჭი, მხოლოდ გარის ამ ნაწარმოებში — სულის, დედაზრის გარეშე.

სიტყვები „როგორც“ და „თითქმის“ საყურებებით ჰკიდია თითქმის ყოველ სახეს. ისინი ზოგჯერ ამიძებნენ მათ, თითქმის ყურებს ახევენ — მაშინ როდესაც ავტორს ზომიერების გრძნობა დალატობს (თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ სამკაულები არ არის: ამ მრავალმნიშვნელობაში სულდგმულობს ნაწარმოების დედაზრი).

ჰემინგუეი ამბობდა, რომ ნამდვილი ოსტატობა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მხატვარს შეუძლია უარი თქვას თავისთავად უბრწყინვალეს სახეზე, თუ ის ხელს უშლის მთლიანობას ასეთ სახეებზე, დეტალებზე, პარალელებზე უარის უთქმელობა ზოგჯერ ანელებს ახსობის სიტყვს, იკარგება აქცენტები.

ერთი სიტყვით, ზოგიერთი რამ ამ ნაწარმოებში ოსტატობის ნაკლებობითაც შეიძლება აიხსნას. ოღონდ, საქმე ის არის, რა ოსტატობაზეა აქ ლაპარაკი და როგორ ნაკლებობაზე.

ეს ისეთი „ნაკლებობაა“, რომელიც სიღარიბეში, ხელმოცარტლობაში კი არ გამოიხატება, არამედ — პირიქით — ზედმეტად ხევერიელ, დაუთოებელ, დაუმორჩილებელ წარმოცობის უნარში.

ეს „ნაკლებობა“ მდიდარი პოტენციიდან მომდინარეობს და არა უნიათობიდან.

შეიძლება ითქვას, რომ ოფარ კილაძის სტილის ამგვარი „უხოშობა“ თავისებური რეაქციაა 60-იანი წლების ქართულ პროზაში ტენდენციის სახით გამოვლენილ მხატვრული ზომიერების თავისებურ ნიშნებზე.

ეს არის, არსებითად, „ზომიერი რეალიზმის“ პრინციპული უარყოფა.

მაგრამ მთავარი, რაც ო. კილაძის რომანზე უნდა ითქვას, აქ თვალსაზრისით, მაინც სხვაა.

გვსახე-ერთი ცადი მივლავალა ჩემი აზრით, 20-იანი წლების სხვა ყველა მოვლენაზე უფრო აშკარად, ყველაზე უფრო აშკარად გამოვლენილი

რო სიმბოლური უპირისპირდება განსაკუთრებული წიგნების ახალი პროზისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ჰუმანურ პათოსს.

ეს პრობლემა აქ თითქმის თავდაყირა დგას. გინაიდან ო. კილაძე არსებითად უარს ამბობს ე. წ. „სენტიმენტალურ ჰუმანიზმზე“.

ანტიცენტიმენტალური ტენდენცია თავისუბურად გლნდება თვით რომანის სტილში:

არავითარი ალერსი, არავითარი დაყვებულობა, არავითარი გულსამართლებელი შტრიხები... ამის ნაცვლად — ირონია და, მიუხედავად ლირიულობისა, საგნების უფიზიკისი, თითქმის ცივი, დაუბნდვადი ხედვა.

თითქმის არცერთი პერსონაჟი არ არის დანდობილი, არცერთს არ ადგას თავზე იდეალური გმირის შარავანდედი. ფარნაოზის სახეშიც კი ლეიტმოტივად საყურთარი თავისადმი მკაცრი, უშედეგო დამოკიდებულება ელერს.

დამახასიათებელია ამ მხრივ ფრთხილ ბავშვობა, რომელიც მიუხედავად საშინელი სიღრმეებისა, რაც სხვა მწერალს ალბათ „მდულარე ცრემლის“ მასალად გამოადგებოდა, დახატულია ჩვეულებრივი თანაგრძნობის გარეშე. ყველაზე მკაფიოდ ჩანს ეს ჰელის დაღუპვაში, რომელიც სიბრალულს კი არ იწვევს ჩვენში, არამედ ძრწოლვას — თავისი შეშინარავი ესთეტიკობით.

ჰუმანურობის, როგორც ჩვეულებრივი გულსხმიერების (რაც, ვთქვათ, სტუმართმოყვარეობაში, უთვისტოთ უცხოელისადმი თანალობაში გამოიხატება) უარყოფა დამახატულია პირდაპირაც.

მეორე ციტატი, რომელიც მე წერლის დასაწყისში მოვიტანე, სწორედ ამ რომანიდან არის ამოღებული. აქვეა ვაუთავეტლმა ქალაქობაში კაცთმოყვარებაზე. შენს სკულტურას, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, ესმენათ ეს ქალაქება, მრავალი არასწორი წარმოდგენა შეუქმნათარა მართო კაცთმოყვარებაზე, არამედ. საერთოდ ცხოვრებაზე...

ამ სიტყვებით — მიმართავს — დამარცხებული პაიტი თავის თავს.

ძნელია იმის თქმა, თუ რა საბოლოო სახეს მიიღებს ეს მოტივი ო. კილაძის შემოქმედებაში. მაგრამ აქ ჩანს, რომ მას მხედველობაში უნდა ჰქონდეს უფრო მაღალი ჰუმანურობა, რომელიც სიფიზიკის მოთხოვნს და შინა მიტობას გამოორიყვავს.

ჰუმანურობა მტრის მიმართ მიუღებელია, გინაიდან იგი ანტიჰუმანურ შედეგებს იწვევს: ამას გეტუბნება ნაწარმოების მთელი ლოგიკა, კიდევ უფრო დამახასიათებელია ამ მხრივ მტრად მცემელი თანამემამულის (უმცროსი ოყავდოს) დახასიათება.

ავტორი აბსოლუტურად დაუნდობელია მის მიმართ.

სუაჭადობს ატროფირებულ აქვს ყველა თვის

სება, რომელიც მისდამი ადამიანური მოპყრობის უფლებას დავტოვებდა.

ახალი დამოკიდებულება მოწინააღმდეგისადმი თითქოს უცხოა ქართული ხასიათისათვის. მაგრამ ოყაჯადო უბრალო მტერი არ არის. ის სამშობლოს მტერია, მისი დამხობის, გათლვისა და წაბილწვის მოწოდებელი... ის სიცოცხლის მტერია ამავე დროს, სიკეთის, სიყვარულის, სილამაზის ანტიპოდი.

მასთან რაინდული ბრძოლა (ამ ბრძოლისთვის დამახასიათებელი ყველა კეთილშობილური რიტუალის (დაცვით) უაზრობაა...

ლიტერატურა მოქმედების გამზადებულ პროგრამას არ იძლევა. ის განგვაწყობს, გარკვეული მიმართულებით ამახვილებს ჩვენს ინტერესს, გვაიძულებს ბოლომდე ვიაროთ იმ გზით, რომელმაც სიმართლესთან უნდა მივვიყვანო, დროზე ადრე არ დავშვებოდეთ, არ ვიფიქროთ, რომ ვიღაც ჩვენს მაგივრად გაივლის ამ გზას.

„გზაზე ერთი კაცი მილიოდა“ ის ნაწარმოებია, რომლის კითხვის დროს სიმართლის მწარე გემო გრჩება ტუჩებზე.

ცხოვრებამ შვა მის უკუღმართობასთან შეურაცხელი ფარნაოზი, რომლის ვაჟი საყდრის გუმბათიდან ცდილობს გაფრენას და ასე იღუპება. ამავე ცხოვრებამ შვა კუსა — მტრის ურმობური მსახური, მკვდრადშობილი შეიღობის მამა.

პირველი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იტანებდა, რადღან ცხოვრებამაშ მის გამართლებას ეძებდა.

მეორეს გამუდმებული შიში ელავს — შიში საუფთარი ტყავის ვაჩო. ის ყველაფერისთვის მზადაა, ყველაფერს გასწირავს, რაფა ფვიტონ არ ჩაიბიროს. მის სულში სამართის სიცივე და უკუწეოა. ასეთ პიროვნებას მხოლოდ მკვდარიშობილ არსებათა გამრავლება შეუძლია, თუმცა თვითონ საკმაოდ სიცოცხლისუნარიანია. ფარნაოზი მოკვდებლია ამ უკანასკნელ ფვიტონს. არსებულ პირობებში ის დამარცხებისთვისა განწირული. მაგრამ მისი სულის წაიღო უკვდავია. ის ლეგენდარული იკაროსის მეგობარია, ყველა გამოუსწორებელი მფაცუნების, იდამიანის რეალურ უმწიბრობასთან შეურიგებელი ყველა მემამბონის ღვიძლი მამა...

ფარნაოზი და კუსა ნათესავები არიან. მაგრამ ამავე დროს მტრები. მათი შერიგება შეუძლებელია. ისინი ვერარასთდეს გაუგებერებასთან.

სიყვარული ცხოვრების მწარე სიმართლე...

ქართულ პროზაში უკანასკნელ დროს გამოვლენილი „ანტიანტიკონტრალისმი“ აშკარა ნიშნები თავისებურია კონტრტოვია 60-იან წლებში

ბისთვის დამახასიათებელი განწყობის ცალმხრივობის მიმართ.

გამორიცხული არ არის, რომ ეს ახალი სულისკვეთება ცალმხრივ განვითარდეს.

უკიდურესობა, როგორც წესი, ამხინჯებს სალი მისწრაფების არსს.

დღევანდელ ქართველ ლიტერატორს უფლება არა აქვს დაიფიქროს ის, რაც გუშინ იქნა მიღწეული და რაც თავის შემდგომ განვითარებას ელოდება.

60-იანი წლები ისევ გრძელდება ჩვენს მწერლობაში... ჩვენ კიდევ დიდხანს, კიდევ მრავალგზის მოვიგონებდა ბრძოლა ფანატიზმის, გულმანკეულობის, გონებაშეზღუდულობის გამოვლინებათა წინააღმდეგ. ღმერთმა ნუ ქნას, რომ სიკეთე და სულგრძელობა ოდესმე გამოირიცხულიყოს ჰუმანურობის ცნებიდან.

მაგრამ ჰუმანიზმი ჩვენს დროში მოითხოვს უადრეს სიფხიზესაც — სიმკაცრეს, უშეღავთობას (პირველ რიგში საუფთარი თავისა, ხოლო ამის შემდეგ, სხვათა მიმართაც). „ბოროტი“ ადამიანები არ არსებობენ; არსებობენ „გაბოროტებულნი“. ეს აზრიც საბჭოთა ჰუმანიზმის მამამთავარს ეკუთვნის. და მინც ბოროტება რეალურად არსებული ძალაა. მის არსებობაზე ფალოსის დაზუჭვა ისეთივე ანტიჰუმანური საქციელია, როგორც სიკეთის ღალატია.

სულიერად განვითარებული პიროვნებისთვის უცხოა შურისძიების ინსტინქტი. მისი ნამდვილი ამანაზიარობა კულტურასთან ამ აფიციბოთი შეივინება.

მტრის აუ ფივე მიუჯე, რაც მან დაფმართა, ეს იმას ნიშნავს, რომ შენც მის გზას დადები. მტერმა გიმუხთლა, — შენც ვერაფრით უნასუხე! მტერმა არ დაგინდო — შენც უღმობებლა იყავი. მტერმა შეგივინა სადულავეები — შენც წაბილწე, გაათახსირე!...

რალა გამოვია?

რილასთვის იბრძოდი? რალა აზრი ჰქონდა შენს გამარჯვებას, აუ შენ აფიფთინაც შენი მტრის ორეულად გადააქციოდა.

რალა მნიშვნელობა აქვს, ვინ გაიმარჯვა? — ვინ დამარცხდა?...

აი, რა ყველაზე საშინელი, აი, რისი ვადაწყვეტა უჭირავს ყველათვის ქართველ კაცს! „სამაგიფოს“ — სამართლიანი სურისგმობა იდეა, რომელიც წვენი ხალხის ულოაგობა მეგებმა წამოჭრეს ვასულ საუკუნეში, არამც და არამც არ ნიშნავდა ბოროტებაზე ბოროტებით პასუხს.

ამ იდეას ძალისაღმი რეალური ძალის დაპარისპირების აუცილებლობა ვდო საფუძვლიად.

სამართლიანა შურისძიების პრინციპად უარიყო ყოველსამატიებლობის პრაქტიკულად მო

შურამ ახათინი
შეშანშენების პრობლემა

ულებელი მოძღვრება. მაგრამ მის ნაცვლიდ
„სისხლი სისხლის წილ“ არ თქმულა. ეს ადგი-
ლი ბიოტექნიკისადმი თავიანთი წინააღმ-
დეგობის, მის წინაშე ქედუხრელობის იდეალმა
დაიკავა.

ამით აიხსნება, კერძოდ, დიდი სამოციანელებ-
ის მიერ ქართულ მწერლობაში ასი წლის წინ
დანერგული ზნეობრივი პურიკანიზმი და მკაც-
რი სიმატლის სულისკვეთება.

უქანასკნელი შვიდი საუკუნის მანძილზე სა-
ქართველოში ყველა ყმაწვილი ადამიანობის
იდეალს ვეფხისტყაოსნის პირველი კარის პირ-
ველივე სტროფით ეზიარებოდა. ჰუმანურობის
უცილობელ ატრიბუტთა შორის აქ დასახლე-
ბულია „მოსამართლე და მოწყალე“. სამართ-
ლიანობა და შემწყწნარებლობა ერთ რიგში
დგას.

ქართველმა ხალხმა შეძლო საუკუნეთა დიდ
განსაწმენდელში გამოეტარებინა თავისი ხასია-
თის ეს უმშვენიერესი თვისება.

მაგრამ დრომ მას მეომრის ფსიქოლოგიაც
გამოუმუშავა. ბრძოლა, რომელშიც ის გამუდ-
მებით იყო ჩაბმული, არცერთი წუთით არ
იძლეოდა მოდუნების უფლებას. ჩვენი წინაპ-
რები თავიანთ შვილებს სპარტანულ ყაიდაზე
ზრდიდნენ. მხოლოდ ძილში ჰკოცნიდნენ ბავ-

შვებს, რომ ისინი ლაჩრებულ არ დაზრდებულ-
ნენ, რომ იმ დიდ ომში, რომელიც მათს უნდა
გაეგრძელებინათ, მათი სული და სხეული
უჯავშნოდ არ დარჩენილიყო.


ალერსის გარეშე ადამიანთა ურთიერთობას
ეკარგება ჰუმანურობის ელფერი.

მაგრამ „დაყვავების კილო“ გარკვეული მო-
მენტიდან აღუწებს იმ სიმებს, რომლებიც ადამი-
ანიანის შეგნებაში, ამ მარალი ბრძოლის წინა
ხაზზე გასვლისას, დაქიმულ მღვთმარებაში
უნდა იმყოფებოდნენ.

ასე იყრიან თავს ეს ბოლო კითხვებიც იმ
უმტივიანულესი პრობლემის გარშემო, რომე-
ლიც ჩვენ საგანგებოდ გამოვყავით დღევან-
დელ ქართულ პროზაში. ვინაიდან ამ პრობლემის
(„გრძნობათა აღზრდის“, ახალი ცნობიერების
ჩამოყალიბების) მთავარი საგანი ჩვენი არსე-
ბობის რეალური პერსპექტივაა — საქართვე-
ლოს ხვალისდელი დღე.

როგორ გავზარდოთ ჩვენი შვილები ამ დღე-
სთვის — მგლებად თუ ცხერებად? ამაზე დღეს
ბევრი ფიქრობს. ფიქრობს მწერალიც. — ადამი-
ანიებად! რადაც არ უნდა დაგვიჯდეს — მხო-
ლოდ ადამიანიებად! ასეთია, ჩემი აზრით, ლი-
ტერატურის პასუხი.





ოდიშის სარდლის ბეჭედი

ოდიშის სარდალი

...მსურინ შენთვისცა მცირელი ქება,
ვითა სხვანი მოწამენი ბრძანებენ...

განცხად

კაცნი ჩიჩუათა გვარისანი მხოლოდ
გვიანდელი ხანის საბუთებში ჩანან:

რამაზ (XVII ს. პირველი ნახევარი).

ხახუ და კახაბერ (XVII ს. მეორე ნა-
ხევარი).

კაცია, გიორგი, შაქარი, მოგული,
ჭგემორდალი და პეპუნა (XVII ს. მი-
წურული).

პეპუნა (XVIII ს. პირველი ნახევარი).

ხახუ II, კაცია II და მაქსიმე¹ (XVIII
ს. მეორე ნახევარი).

გიორგი II, — ხახუ II-ის ძე, ლე-
ვან (ლევონ), ხახუ III, ლევან II, — და-
ვითის ძე, პეპუ გიორგის ძე, ვახტა და
გოგი დეისმას² ძენი და კაცია III
(XIX ს. პირველი ნახევარი).³

ჩიჩუათა გვარი განსაკუთრებით და-
წინაურდა ჩიქვანთა გადაღიანებისთანა-
ვე (1704 წ.).⁴

ამ დროიდან ოდიშის მთავრის სახლ-
თუხუცესნი არიან:

პეპუნა (XVIII ს. პირველი ნახევარი).

გიორგი II, — ხახუ II-ის ძე (1810
წ.).

ხახუ III (1812 წ.). ეს ხახუ ოდიშის
სარდალიცაა!

ლევან დავითის ძე, — ძმისწული
ხახუსი (1833 წ.)⁵

როგორც ვხედავთ:

XVIII ს. პირველი ნახევრიდან XIX
ს. მეორე ნახევრამდე, ხახუ III ჩი-

ჩუას გარდა, ოდიშის სარდალად არავინ
ჩანს (არც ჩიჩუა და არც არაჩიჩუა)!

რაშია საქმე?!

ჩამოთვლილი სახლთუხუცესნი, ამა-
ვე დროს, იქნებ სარდლებიც იყვნენ?
ამაში უჩვეულო არა არის რა! —

ხახუ III ამ მხრივ გამონაკლისს არ
წარმოადგენს! —

იმავე ხანაში: ზურაბ წერეთელი იმე-
რეთის სარდალიცაა და სახლთუხუცე-
სიც.⁶

ასეა აქაც?!

ჯერ ვიკითხოთ:

ყველა არსებული წყაროა შესწავლი-
ლი და მინც ასეთია მდგომარეობა?!

არა!

არა, და, აი, რატომ:

XVIII ს. მეორე ნახევარში ოდიშის
სარდალია დევისმა⁷ ჩიჩუა!

რა წყაროთი?!

არსებობს ორი საბუთი!

ერთია:

ბესიკის პოემა „რუხის ბრძოლა“!

მეორე:

ოდიშის სარდლის ბეჭედი!⁸

დღევწყით პოემით:

1780 წელს სოფელ რუხთან (ოდიში)
მოხდა ბრძოლა აფხაზთა და ოდიშარ-
თა შორის.

ამ ბრძოლაში აფხაზთა ასაბიანი იყვ-
ნენ:

ჯიქნი, ალანნი, ზუხუა, მაზუმა და
სამურზაყანოელი.

ოდიშართანი:

სვანნი, ლეჩხუმელინი და იმერნი.⁹

აფხაზ — ჯიქ — ალან — ზუხუა —
მაზუმა — სამურზაყანოელთა გაერთი-
ანებულ ლაშქარს სათავეში ედგნენ ძმა-
ნი შარვაშიძენი (ზურაბ, ლევან, ქელემ-
ბეგ, ბექირ-ბეგ)¹⁰ და უჩარდია.

ოდიშარ — სვან — ლეჩხუმელ —
იმერთ სპას, — კაცია დადიანი და სო-
ლომონ I, — თავიანთი დიდებულები-
თურთ (გიორგი დადიანის ძე, დევისმა
ჩიჩუა, ზურაბ წერეთელი, გიორგი წუ-
ლუკიძე, ელისბარ ქსნის ერისთვის ძე).¹¹
იდლივინენ აფხაზნი.

ბესიკის პოემა სწორედ ამ ბრძოლას
ეძღვნება.

პოემა ნახევრად სარკაზმია, ნახევ-
რად — პანეგირიკი;

აქ ლანძღვაც უხვადაა და ხოტბაც;

ლანძღვის ობიექტნი არიან:

ძმანი შარვაშიძენი და უჩარდია.

ხოტბისანი:

სოლომონ I (იმერთ მეფე, — დისიძე
კაცია დადიანისა),

კაცია დადიანი (ოდიშის მთავარი),
ზურაბ წერეთელი (იმერეთის სარდა-
ლი და სახლთუხუცესი).

გიორგი წულუკიძე,

ელისბარ ქსნის ერისთვის ძე (სო-
ლომონ I-ის სიძე)

და

დევისმა ჩიჩუა.

„მართლ რომენ შენი სახელი შენსა-
ვე ჰაბუკობასა შენოდა და სამართლად
თემთა ზედა დაისმა, ჩიჩოა გვარდილო
დევისმაო! მსურინ შენთვისცა მცირედი
ქება, ვითა სხვანი მოწამენი ბრძანებენ:

მას დღეს მსგავსი ანთანდილის
შეჭურვილი ჭაჭვით, ზუჩით,
კისკასი და მკლავუებრო მისდევს

ხმლისა ზღაჩიხლუჩით;
ზოგნი ჩივან აფხაზები: „სით გვექციოთ,
ვერ გარდურჩიოთ!

და ზოგთა წყლიდგან გამოითრევს, ვით
მეთევზე თევზს ლაყუჩით“.¹²

ვინაა ეს დევისმა?! —
რიგითი თავადი, თუ დიდნი სახელოს
მექონი?!

გადავიდეთ ბეჭედზე:

ეს ბეჭედი ჩვენი საოჯახო რელიკვიაა.
საიდან მოხვდა ჩვენს ოჯახში, — არ
ვიცი!

იგი მე პაპაჩემისაგან დამრჩა.

ბეჭედი ვერცხლისაა, მომცრო, თით-
ზე წამოსაგები,¹³ უზის სარდიონის რვა-
კუთხა თვალი, თვალზე ლამაზი მხედ-
რულით ამოკვეთილია წარწერა:

სარდალი დევისმა მა¹⁴ ჩიჩუა.

ეს ბეჭედი უთუოდ ბესიკის დევისმა
ჩიჩუას ეკუთვნის, ეს დევისმა ჩიჩუა
კი, — უთუოდ სარდალია ოდიშისა!

რატომაა ეს ბეჭედი მაინცდამაინც
ბესიკის დევისმანი, და რატომაა ეს დე-
ვისმა ჩიჩუა, — მაინცდამაინც ოდიშის
სარდალი და არა ლეჩხუმისა?!¹⁵

ბეჭედი, როგორც მისი წარწერა გვა-
უწყებს, სარდლისაა!

სარდლის რაკილაა, ამიტომ იგი, —
უქვევლად დროის იმ მონაკვეთს ეკუთ-
ვნის, რომელიც იწყება XVII ს. 50-იანი
წლებიდან და თავდება XIX ს. პირველ
მეთოხედში¹⁶ (სარდლის სახელო და-
სავლეთ საქართველოში (იმერეთი, გუ-
რია, სამეგრელო) არსებობს XVII ს.
მეორე ნახევრიდან XIX ს. მეორე ნა-
ხევრამდე, — არც უწინარეს, არც შემ-
დგომ, — იგი არა ყოფილა).¹⁷

ამ ორი საუკუნის მანძილზე კი, —
ჩანს მხოლოდ ერთი დევისმა ჩიჩუა, —
ბესიკის პოემის გმირი.

ცნობილია აგრეთვე:

„ჩიჩუათა სახლს „ოდიშის სარდლის“
თანამდებობა მემკვიდრეობით ეჭირა“.¹⁸

ეს ორი ფაქტი:

პირველი:

XVII ს. მეორე ნახევრიდან XIX ს.
მეორე ნახევრამდე ჩანს მხოლოდ ერთი
დევისმა!

მეორე:

ოდიშის სარდლობა ძველთაგანვე ჩი-
ჩუათა გვარის მემკვიდრეობითი სახე-
ლოა! —

სავსებით ამტკიცებს:

ბეჭედი ეკუთვნის ბესიკის დევისმა
ჩიჩუას და, ეს დევისმა ჩიჩუა სარდა-

ღია ოდიშისა (ოდიშისა და არა ლეჩხუმისა)!

კეთილი!
ახლა, იქნებ ამ დღეისმა ჩიჩუას ნათესაური კავშირნიც დავადგინოთ!
როგორც დავინახეთ:
დღეისმა ჩიჩუას სიცოცხლეში და მისი სიცოცხლის ახლო-მახლო თორმეტი ჩიჩუა ჩანს:

პეტუნა, ხახუ II, კაცია II, მაქსიმე, გიორგი II, — ძე ხახუსი, ვახტა და გოგი, — ძენი დღისმასი, ლევან, ხახუ III, ლევან II, — ძე დავითისა, კაცია III და პეტუ გიორგის ძე.

ამთვან, დღეისმა ჩიჩუა, — ძმა მძლვინა, — ძე, — მხოლოდ პეტუნასი,¹⁹ მამა — გოგისე და ვახტასი!
ვისი რაა?! —
მატიანე ღუმს!
ერთი ცხადია:

კაცია II-ის დადიანობაში (1757-1788) ოდიშის სარდალია დღეისმა ჩიჩუა! —
ის დღეისმა, რომლის სახელი, თავის დროზე, ბესიკის სიტყვით: „სამარსლად თემთა ზედა დაისმა!“

შენიშვნები:

¹ „დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან“, II, თბილისი, 1953 წ. გვ. 280.

² წყაროში უზუსტობაა: „ღეისმა“ კი არა, — „ღეისმა“.

³ დას. საქ. ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის ჭრბანად ცნობილი არიან მხოლოდ ესენი. იხ. ო. სოსელია. „ნარკვ. ფეოდ. ხანის დას. საქ. სოც-პოლიტ. ისტორიიდან“, — თბილისი, 1973 წ. — თავი XIV, გვ. 299 დასვ.

⁴ ო. სოსელია. დასახ. ნაშრომი. გვ. 302-303.

⁵ ო. სოსელია. დასახ. ნაშრომი, თავი XXIV.

⁶ ბესიკი, თხზულებანი (აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით), — თბილისი, 1962 წ. გვ. 190, 193.

⁷ სახელი „ღეისმა“ იმდენად არაპოპულარულია ქართულ სამყაროში, რომ ბესიკის თხზულებათა რედაქტორებს (აღ. ბარამიძესა და ვ. თოფურიას), — დაეკებულთ ამ სახელის სახელობაში, იგი ლექსიკონში შეუტანიათ და არა სახელთა საძიებელში; დღეისმა „კაცის სახელია“ (ღ. ჩუბინაშვილის განმარტებით: №3723 ხელნაწერის 51 გვერდის არშიაზე) — ბესიკი, — თხზულებანი, — თბილისი, — 1962 წ.).

თვით ის ფაქტი, რომ ღ. ჩუბინაშვილს საჭიროდ ჩათვლია ამ სახელზე შეინიშნის გაცემა, „ღეისმას“, ვითარცა სახელის, არაპოპულარობაზე მეტყველებს.

„ღეისმა“ პირველად გიორგი ლეონიძეს შეეჭეს ქართულ სახელთა სიაში. ეს სახელი, გ. ლეონიძის დამოწმებით, გვხვდება აგრეთვე აღ. დლონტის წიგნში „ქართ. საკუთ. სახელები“.

⁸ ამ ბეჭდის მიმართ უყურადღებობას ვერაგის ვუსაყვედურებ: ბეჭედი დაუტულია ჩემთან და მისი არსებობა მეცნიერთათვის უცნობია.

⁹ ნ. დადიანი, „ქართველთ ცხოვრება“ — თბილისი, 1962, გვ. 180.

¹⁰ ასეა ბესიკთან. ნ. დადიანთან: ლევანი ძმაოთუ არა ზურაბისა, — არ ჩანს. ქელოშ-ამეღბეგ და ბეჭირ-ბეგ ზურაბის ძმისწულნი არიან. ნ. დადიანი. დასახ. ნაშრომი, — გვ. 184, 203, 204, 267.

¹¹ იხ. ბესიკის პოემა.

¹² ბესიკი. დასახ. გამოცემა. გვ. 134.

¹³ ცნობილია უსათითურო საბჭუდავებიც.

¹⁴ რას ნიშნავს ეს „მა“?
„მონას“? „მამას“?

„მონას“ რომ ნიშნავდეს, აუცილებლად უნდა ახლდეს ტრადიციული მსაზღვრელი, — „ღმრთისა“.

ეწებ „მამის“ ქარაგმა?

(„მამად“, საბას მიხედვით, ღმრთისა და დედის ქმრის გარდა, ითქმან: მოძღვარი, მღვდელი, აღმზრდელი, ოსტატი, გინა კაცი უხუცესი). ქვეყნის სარდალი რომ თავისი გვარის უფროსი (უხუცესი) ყოფილიყო, ამაში უჩვეულო არაფერია (მა ჩიჩუა-მამა ჩიჩუა-უხუცესი ჩიჩუა. უხუცესი — ღლით უწინდელი, გინა საქმით უფროსი“).

მაგარა არა, არც „მამაა“! —

ვინაიდან სიტყვა „მამა“, — (არც სრულად და არც ქარაგმულად) თავისი არც ერთი მნიშვნელობით, არც ერთი საუკუნის, არც ერთ სხვა ბეჭედზე ამოკვეთილი არაა!

იგი უფრო ოქრომჭედის უგულისყურობას ნაყოფსა ჰკავს, რისი გასწორებაც საჭიროდ აღარ უტენიათ, ოქრომჭედებს, ჩანს, გულიდან გადავარდა, ზემო სტრიქონში რომ უკვე

შსზრან მამაპარინანი
ოდიშის სარდალი

სრულიდ მოათავსა სახელი „დევისმა“, ეგონა, იქ მართო „დევის“ დავატიეო, და ამიტომ მომდევნო სტრიქონში კიდევ ამოკვეთა ზედმეტი „მა“ (ასოთა ანალოგიური ზედმეტობა იშვიათი არაა ქართულ სიგელ-გუჯრებში).

¹⁵ ოდიშში სარდლის ორი სახელი იყო: „ოდიშის სარდალი“ და „ლენჩხუმის სარდალ-მოურავი“-ო. სოსელია. დასახ. ნაშრომი. გვ. 306.

¹⁶ როდინდელობის დასადგენად საგელისხ-მა თვით ფორმაც ბეჭდისა, — მისი რვაკუთხა თვალი: „XVIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ოთხკუთხა და უფრო რვაკუთხა ბეჭდები გვხვდება“. ა. ბაქრაძე, — „ქართული ბეჭდები“, — პალეოგრაფიული ძიებანი. თბილისი. 1969. II. გვ. 6.

¹⁷ ო. სოსელია. იქვე, გვ. 306, 308.

¹⁸ ო. სოსელია. იქვე. გვ. 301.

¹⁹ რატომ სხვისი არა?! — ასაკით დევისმა შვილად მხოლოდ პეპუნას შეჰფერის!

პეპუნა 1738 წელს დაქორწინდა (ალბათ, 20 წლის მაინც იქნებოდა ამ დროს, თუ მეტის არა). დანარჩენი თერთმეტი ჩიჩუა, — ზოგი დევისმას ძაობისაა (ხახუ II, კაცია II, მაქსიმე), ზოგი (გიორგი II, გოგი, ვახტა, ლევან, ხახუ III, ლევან II, კაცია III, პეპუ), — მომდევნოსი!

თუ დავუშვებთ, რომ დევისმა ძეა პეპუნასი (პირშო), მაშინ იგი იმერთა მეფის სოლომონ I-ის მამიდაშვილია მკვიდრი, და რუხის ბრძოლის დროს 40 წლისაა დაახლოებით (1738 წელს პეპუნა ჩიჩუა ცოლად ირთავს იმერთა მეფის ალექსანდრე V-ის დას, — თუთა ბატონიშვილს, ალექსანდრე V კი, — სოლომონ I-ის მამა).



თომას ვულფი

XX საუკუნის ცნობილი ამერიკელი მწერლის თომას ვულფის მიმართ შეიძლება გამოვიყენოთ სკოტ ფიცჯერალდის სიტყვები: „მწერალი, რომელიც ახერხებს სხვებზე ღრმად შეიკრას საკუთარ სულში ან მისი შემხვედრი ადამიანების სულში და დაინახოს იქ, თავისი ნიჭის წყალობით, ისეთი რაღაც, რაც არავის არ უთქვამს, ამით ხელს უწყობს ადამიანის შესაძლებლობების ზრდას“.¹

პირად წერილში ვულფისადმი ფიცჯერალდი წერდა: „მე აღფრთოვანებული ვარ თქვენი და ვთვლი, რომ ნიჭით ვერ გაგიტოვლებათ ვერაინ, ვერც ჩვენთან, ვერც სადმე სხვაგან“.²

თომას ვულფს — ფოლკნერის, ჰემინგუეის, სკოტ ფიცჯერალდის თანამედროვეს — მაღალ შეფასებას აძლევდნენ ჩვენი საუკუნის გამოჩენილი მწერლები.

ვულფის გარდაცვალების შემდეგ შერეულ ანდერსონს მაქსუელ პერკინს წერდა: ტომას განაწინდა ყველაფერი ის, რაც საჭიროა — სასიცოცხლო ძალა, უდიდესი და სრულყოფილი ტალანტი და, გარდა ამისა, არც თუ ისე ბევრი გვაყავს ტომას კლასის მწერლები.³

უილიამ ფოლკნერმა XX საუკუნის პროზის ისტორია შორის პირველი ადგილი თომას ვულფს მიაკუთვნა: ჩემს თანამედროვეებს შორის, მე პირველ ადგილს ვულფს დავუთმობდი, თუმცა ჩვენ ყველამ მარცხი განვიცადეთ, ვულფის მარცხი უკეთესი იყო იმიტომ, რომ მან განახორციელა ყველაზე მძიმე ამოცანა ეთქვა ყველაზე მეტი.⁴

თომას ვულფი, ისევე როგორც უილიამ ფოლკნერი, მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილია თავისი რომანებით. თომას ვულფის ნოველების კრებულმა „სიკვდილიდან დილაამდე“ გამოქვეყნებისას ვერ დაიმსახურა მისი რომანებისათვის ჩვეული პოპულარობა. მისი მოთხრობები ყურადღების ცენტრში იყვნენ მხოლოდ როგორც მისი ლიტერატურული მეგობრების, მისი შემოქმედების ნაწილი.

თომას ვულფი წერდა ჰამილტონ ბასოს „სიკვდილიდან დილაამდე“ კრებულის შესახებ: „ვინც წაიკითხა, უმრავლესობამ უარყო იგი, როგორც ქაოტური, უფორმო, დაუხვეწელი და უაზრო მდინარე“. მხოლოდ ფართო გავრცელებული წარმოადგენს მათი უმრავლესობა მოთხრობებს“ — განაცხადა მან.⁵

ამერიკელი კრიტიკოსი რ. ს. კენედი წერს, რომ კრებულმა „სიკვდილიდან დილაამდე“ დააბნია რეცენზენტები, თუმცა ისინი შეჩვეული იყვნენ ვულფის უზარმაზარ პროდუქციას, მათ უხერხულად იგრძნეს თავი, როდესაც დაინახეს მისი მცოცავი წერის მანერა და დეტალების სიჭარბე.⁶

ხოლო თომას ვულფის ცნობილი გამოცემული მაქსუელ პერკინსი და თვით თომას ვულფიც თვლიდნენ ამ ნოველებს საუკეთესო ცალკეულ ნაწარმოებებად, რომლებიც ყველაზე გულმოდგინედ იყო დაგეგმილი და ყველაზე კემპარტიად გადმოსცემდა გმირთა ხასიათს.

„ერთი შეხედვითაც შეიძლება მივაკუთვნოთ ეს მოთხრობები ვულფის კალამს“, — სთქვა პიტერ მანრო ჩექმა, ისინი მიეკუთვნებოდა მას სტილისა და დაკვირვების უტყუარობით — ვერც ერთი სხვა მწერალი ვერ შეძლებს გაუტოლდეს მათ და ისინი ავლენენ ჩვენი დროის ყველაზე თვალში მოსახვედრ ლიტერატურულ პიროვნებას.⁷

ჩვენი აზრით, თომას ვულფის ნოველები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც მთელის



ნაწილი, არამედ თავისთავადაც, რადგან მათში მოცემულია, თომას ვულფის შემოქმედების ძირითადი მოტივები და ხასიათები: მარტოობა, დეკარტული დროის ძიება, წარსულისა და აწმყო-ს დაპირისპირება, სიკვდილისა და ომის სახეები და რასობრივი და ეროვნული საკითხი. ყველა ეს მოტივი შეიძლება გაერთიანდეს ერთ თემაში: ინდივიდი და სამყარო.

თომას ვულფმა გამოაქვეყნა დაახლოებით 40 მოთხრობა, რომლებიც გაერთიანებული იყო კრებულში „სიკვდილიდან დილაშდ“ (1935 წ.), ხოლო ავტორის გარდაცვალების შემდეგ მრავალი ჩანახატი და მოთხრობა გამოქვეყნდა კრებულში „გორაკებს იქით“ (1941 წ.)

ვულფის ნოველებში გმირის მიერ სამყაროს აღმა მოცემულია თავისებური მონოლოგის სახით, ექსპრესიული მანერით. გმირი ესაუბრება საკუთარ თავს სამყაროს რაობის, საკუთარი მარტოობის შესახებ. ინტელექტუალური გმირის სულიერი მარტოობა ვულფისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, და თითქოს თვით გმირის არსიდან გამომდინარეობს.

3. მიუღერი წერს, რომ ვულფის აქტუალურა თემა იყო ადამიანის მუდმივი მარტოობა დედამიწაზე.⁸ ხოლო რიჩარდ ვალციერის აზრით, მოთხრობების კრებულის „სიკვდილიდან დილაშდ“... ძირითადი თემა მარტოობა და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ვულფმა დაწერა ამ მოთხრობების ძირითადი ნაწილი ბრუკლინიდან წასვლის შემდეგ. სამხრეთი ბრუკლინის ზეპურიანი, ვულგარული ბრბოს შუაგულში მან განიცადა ფიზიკური გარიყულობა, რომელმაც განაპირობა ადამიანის მარტოობის მისი ადრინდელი კონცეფცია.⁹

„გმირი განიცდის გარიყულობას, განდევნილობას გარემომცველი საზოგადოებისაგან. გაუგებრობის ცივი კედელი ხედება მას ყველგან და თავის გრძნობებში განმარტოებულისათვის ხსნა არ ჩანს. ის მუდამ ეძებს კარს „სინამდვილეში არავითარი კარი არ იყო, ან იყო მხოლოდ ერთი, სიკვდილის კარი“.¹⁰

„კარი არ არის“ წარმოადგენს ესეც მდიდარ მეგობრებზე, რომლებიც ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ცხოვრება კოლარტულ ბრუკლინში.¹¹ მაგრამ თომას ვულფის იდეალი არის არა ეს ვულგარული ადამიანები, რომლებიც მხოლოდ სიბრაღეს იწვევენ, არამედ მოხუცი უიტკეი-რი, გამოგონებელი, ინტელექტუალი, რომელიც აღიქვამს ბრუკლინს და მის მცხოვრებლებს მთელი მათი სიხარულისა და მწუხარების შეგნებითა და განცდით. მისთვის მარტოობა არ არის საოცნებო სურვილი. მას ნამდვილად შეგნებული აქვს მარტოობის სიმწარე.

ღამის სიჩუმე უფრო ამაფრებს ადამიანის მარტოობას და ეულს, ადამიანებზე წარმოუფხვება „ბრმა, შავ, მუქ ატომებზე მდგომარეობებზე დედამიწაზე“¹². ის ვედარ ხედავს გამოსა-

ვალს, სიბნელე, უიმედობა, სიკვდილი, მარტოობას, ანუ ერთი ვული არ უხსნის ვაოს, არ არის კარი, ან არ არის არავითარი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან ფიქრობს „ღუთის ანაბარა კაცი“ და მიუხაფარი, თავის გრძნობებში ჩაკეტილი, მიმართავს საკუთარ თავს, მაღალღმერთს შევლისათვის.

ვულფის „ღუთის ანაბარა კაცი“ წარმოადგენს ესეისტურ ნოველას. ამ ნოველის რამდენიმე შავი არსებობდა. პირველი დაწერილი იყო დაახლოებით 1930 წელს და ეწოდებოდა „მარტოობის შესახებ 23 სთ-ზე“. შემდგომ ვერსიებში ეს სათაურები ამოვარდა. რადგან ვულფი ამ დროისათვის მიხვდა, რომ მარტოობა არ იყო ახალგაზრდობის განსაზღვრელი მოვლენა. ეს ესეც არ მიუთვთვება მისი შემოქმედების ერთ პერიოდს, არამედ მთელ მის ცხოვრებას. დაწერილი პირველ პირში, ის უშუალოდ ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს.¹³

ავტორი არ აგვიწერს რომელიმე გმირის მოქმედებას, ის უბრალოდ ავითარებს თავის ფიქრებს, მსჯელობს მარტოობის არსზე:

„ჩვენ ვინც მარტოობის შუაგულში ვართ, მუდამ ექვიანობის მსხვერპლი ვხდებით. ჩვენს მარტოობაში მოულოდნელად შეიქრება სიმდებლის სამარცხვინო გრძნობა და ურწმუნოებია და მარტოობით გვანუფლებს, გახრწნის ჩვენს ჯანმრთელობასა და რწმუნას და წაბილვანს ძლიერი, საზეიმო მზიარულების ყოველგვარ გამოვლინებას.“¹⁴

თომას ვულფი თითქოს აკეთებს მარტოობის ფსიქოლოგიურ ანალიზს. ის დაწერილებით ჩერდება ყოველ წამსა და წუთზე, რაც ცვლის ადამიანის განწყობას, განაცალკევებს საზოგადოებისაგან:

„ზოგჯერ ეს არის მხოლოდ მზისგან ჩრდილი, ზოგჯერ მხოლოდ ცხელი აგვისტოს ქათქათა სინათლე... ან ფრაზა, შეხედვა, ფესტი“.¹⁵

ეს ინტელექტუალური ძიება განსხვავდება უილიამ ფოლკნერისა და შერეველ ანდერსონის მიერ მარტოობის განსაზღვრისაგან, მაგალითად, ფოლკნერი ნოველაში „როცა მზე ჩადის“ აჩუქნებს ზანგი ნენსის მარტოობას მისი ფსიქიკური მდგომარეობის აღწერით, მაგრამ გმირის გარაკულობა აშკარა ხდება გარემომცველი სიტუაციით. გმირის ფიქრები და მოქმედება ნაჩვენებია გარემოში, ე. ი. გარემო განსაზღვრავს გმირის მარტოობას. ფოლკნერის გმირების მარტოობა, ძირითადად, მათი ინდივიდუალობით არის განპირობებული, მათი მდგომარეობის უნიკალური ხასიათით, ამაში გამოიხატება მათი საზოგადოებასთან დაპირისპირება. ვულფის გმირიც უპირისპირდება საზოგადოებას, მაგრამ ეს გამოხატულია გმირის დაპირისპირებით შინაგან სამყაროსთან. მე და სამყარო, ანუ ადამიანი საკუთარ თავთან, თავის მე-სთან. „თომას ვულფი ასახვად იმევე კონფლიქტს ცალკეულ ადამი-

ანში და ცდილობდა დაეჭირა ხელოვნის სულში არსებულ მიწვევებს არსი" — წერს რობერტ ე. სპილერი!¹⁶

შერველ ანდერსონთან გვირი თავისი მარტოობის ამბავს უზარებს სხვას. მარტოობის, გარყვნილების განცდა, მისი მრწამსის გაფხვბობა, გვირის ტრაგედიალ ექცევა. ტრაგედია, კონფლიქტი გამოხატულია მარტოობაში, მაგრამ ვულგარისთვის ადამიანის ტრაგედიის ძირითადი ბირთვი თვით მარტოობის განცდაა, ე. ი. შინაგანი კონფლიქტი. რადგან ვულგარისთვის მარტოობა, ექვლი ადამიანი იცევა, რაც ტრაგეკული ადამიანი.

„ღმრთის ანბარა კაცია“ არის ტრაგიკული მრწამსი... იგი მოიცავს გაფხვბობის ტრაგედიას — ამბობს ლეი ჰარტი.¹⁷

ასე ყოვლისმომცველად აქვს წარმოდგენილი ავტორს ადამიანის მარტოობა, ხოლო ადამიანი, მისი აზრით, კოსმოსის, მთელი სამყაროს ნაწილია.

თომას ველფი კიდევ უფრო სცილდება სიუჟეტს, მისთვის ამბავს, კვანძს კიდევ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ეძლევა (ივლისისხმება ვულგარის მოთხრობები — მ. დ.), ვიდრე ანდერსონთან და ფოლკნერთან, სადაც ყოველი ამბავი სამყაროსთან კონფლიქტით წყდება, მოქმედებათ გამოიხატება.

მარტოობა, სასოწარკვეთილება ამოძრავებს უცნობს, რომელიც კითხულობს ბენსოპერსტი-საქენ მიმავალ გზას ნოველში „მხოლოდ მკვდრები იცნობენ ბრუკლინს“. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შეგვიძლია გავაიგივოთ ვულგარ უცნობთან, ავტორი არისოდეს არ ავლენს თავის პიროვნებას. მას შემოკავს ორი უცნობი გვირი, რომლებზეც ნაწილობა სრული ემოციური და ინტელექტუალური სიმძიმე. უცნობი იწყებს სევდისა და სიმპათიის გრძობას,¹⁸ რაც გლინდება დიალოგში ბრუკლინის მაცხოვრებელთან.

ველფი ცდილობს გადმოსცეს უზარმაზარ კაპიტალისტურ ქალაქში გაუჩინარებული ადამიანის დაბნეულობისა და მარტოობის გრძნობა.

ყოველი ადამიანი რაღაცას ეძებს, რაღაცისაკენ მიისწრაფვის. ადამიანის გარემომცველ სამყაროთი უწყაყოფილება, მისი უკმარისობის გრძნობა, მისი ძიებები, მისი მისწრაფება ცვლილებისაკენ აღწერა მრავალმა მწერალმა, რომლებმაც თავის თხზულებებში შექმნეს ე. წ. მოხეტიალეების, მგზავრების სახეები. ამერიკაში ამ თემას შეეხო თომას ველფი მოთხრობაში „მხოლოდ მკვდრები იცნობენ ბრუკლინს“.¹⁹

მაგრამ რას წარმოადგენს თავისთავად ბრუკლინი! ბრუკლინი არის დიდი ნიუ-იორკის ძირითადი ნაწილი, რომელიც თავის მხრივ შედგება სხვა უფრო პატარა რაიონებისაგან: ფლეტუში, ბენსოპერსტი და ა. შ. ნიუ-იორკის ერთი უბანიც კი იმდენად ვრცელია, რომ შეუძლებელია

მისი შეცნობა, ამაში მდგომარეობს მკვლევარ დედაზრია. „არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც ნამდვილად იცნობდეს ბრუკლინს— მთელი ცხოვრება არ გეყოფა, რომ გაერკვე ამ საცეცხლე ქალაქში“²⁰ ამბობს უცნობის სახელით ველფი.

დიდი ქალაქი შთანთქავს ადამიანს, მაგრამ ინდივიდუალური პიროვნებები შფოთავენ, იზრძვიან, რომ უყვალოდ არ დაიარგონ ამ უზარმაზარ ქალაქში. ედვარდ ბლუმი წერს, რომ ვულგარის ალგორითული მისწრაფებაა წარმოადგინოს ბრუკლინი, როგორც თანამედროვე უწყსროგო საზოგადოება, რომელიც ახშობს ინდივიდუალობას.²¹

ინდივიდუალობის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა სამყაროს შეცნობა. მაგრამ, რით შეიცნოს ინდივიდმა სამყარო! ხელოვნურად, რუკის საშუალებით ბუნების შეცნობა შეუძლებელია, ხოლო ნამდვილი ძიების ინტუიციით, ძიების დაუცხრომელი სურვილით, ცნობისმოყვარეობითა და ეკონდის მისწრაფებით მხოლოდ რჩეული არიან დაჯილდოვებულები. მათ რიცხვს მიეუფთვნება სულიერი ძალის მქონე უცნობი, ან შეიძლება მას უბრალოდ არ შეუძლია ერთ ავტორს ყოფნა და თავისი დარღი განააქარებლად დაძრწის ამქვეყნად ბედნიერების საპოვნელად. ჭდება მატარებელში და უმიზნოდ მიემგზავრება, სადაც მოესტრევა, არსაიდან არაფრისაკენ, როგორც შერველ ანდერსონის ნოველაში. ის რუკით ხელში მოგზაურობს, ცდილობს ქვეყნის გაცნობას, რაც იწვევს სულიერად მკვდარი ბრუკლინის მაცხოვრებლების აღშფოთებას. ის ყველას გიგი ჰგონია. „რუკით თუ მის გაჩეშე, თქვენ მინც ვერ შეიცნობთ ბრუკლინს... ტიპი იყო რაღა! სიანტერესოა, ნეტავ რა მოუვიდა“²² — კითხულობს მთხრობელი.

ან შეიძლება უცნობი სასოწარკვეთილებაში არის ჩავარდნილი და დახრჩობა სურს სადმე ოქანეში? მაგრამ დიდ ქალაქში ყველა თავისი საქმით არის გაართული. არავის აწუხებს სხვისი ბედი. ან ვინ შეამჩნევს პატარა ადამიანის გაუჩინარებას? „საკვიროა მთელი სატუენე, რომ ნამდვილად იცნობდ ბრუკლინს. მაშინაც კი არ გეცოდინება. „მხოლოდ მკვდრები იცნობენ ბრუკლინს“.

მკითხველებს, ისევე როგორც ველფს, თითქმის სურათი, რომ ეს უცნობი რუკით ხელში ახლაც ღამდამობით მოგზაურობს მიწისქვეშა მატარებლით ბრუკლინის, ბედნიერების ძიებაში. აქ შეიძლება გავიხსენოთ ტრუმენ კაპოტი: „მე არ ვიცი, რა მინდა და აღბათ ვერც ვერასოდეს გავიგებ, მაგრამ ვარსკვლავის დანახვისას ვერ-

მარინა დანელია
თომას ველფი

თადრთი ჩემი სურვილი მუდამ იქნება -- კი-
დევე ერთი დღეინახოა.²³

მაგრამ ბედნიერების, ბრუელისის შეცნობა
შეუძლებელია, და თუ წარმოვიდგენთ, რომ
ბრუელიანი განასახიერებს მთელ სამყაროს, მა-
შინ ყველაფერი ამოა. ამოა ადამიანის ცხოვ-
რება, მისი ყოველგვარი ცდა, მისწრაფება, სუ-
რვილი შეიცნოს, შეისწავლოს მთელი სამყარო.
მარსელ ბრუსტის ცდამ, მისწრაფებამ ვაი-
მეორის, ხელახლა აღადგინოს წარსულის ვაი-
კვეული მომენტი აწმყოში იქონია უდავო გე-
ლუნა ვულფის მიერ წარსულის გაგებაზე.
ვულფთანაც, ისევე როგორც ბრუსტთან, ადგი-
ლი აქვს წარსული დროის, წარსული მომენტის
ძიებას აწმყოში, მაგრამ, თუ მარსელ ბრუსტთან
რეალური იყო ის, რაც მესხიერებთ იყო აღდ-
გენილი, რაც არსებობდა მხოლოდ წარმოსახვა-
ში, ვულფს, ჩვენი აზრით, უფრო რეალისტუ-
რად ესმის წარსული, წარსული მასთან უფრო
მკვეთრად არის გამოყოფილი აწმყოსაგან, ვულ-
ფი ცდილობს შეაჩეროს წარსული, დაიჭიროს
განვლილი წამი, თავის გონებაში, უცვლელად
აღადგინოს დაკარგული, დაიწყებული ამბავი,
მაგრამ ჩვენ ვვარძობთ, რომ შეუძლებელია წა-
რსულის სრული აღდგენა, დაკარგული ილუზი-
ის, რომანტიკის გააცოცხლება დროის უღმობელ
ცვლილებაში.

ამიტომ ვულფის ძირითადი თემაა წარსული
დროის ძიება, დაუბრუნებელი სილამაზის, წარ-
სული განცდის აღდგენისავე სწრაფვა. ეს რო-
მანტიკული სევდა განუმეორებელია, აღრ
განვლილი, დევიწყარი, მაგრამ მუდამ განუ-
ხორციელებელი ოცნებისავე წარმოადგენს
ვულფის ძირითად განსხვავებას უილიამ ფოლ-
კნერისაგან.

ფოლკნერისათვის წარსული ისევე არსებობს
როგორც აწმყო, წარსული გადახლართულია
აწმყოსთან ისე, რომ შეუძლებელია წარსულისა
და აწმყოს გათიშვა, მიუხედავად იმისა, რომ
რომანტიკული სევდა ფოლკნერთანაც საკმაოდ
ძლიერად შეიგრძნობა, მაინც მისთვის ძირითა-
დია აწმყოში მოცემული წარსული, ანუ წარ-
სული, როგორც აწმყოს განუყოფელი ნაწილი,
აწმყოს ერთობლიობა. წარსული არსებობს, მაგრამ
ეგას არ აქვს ადგილი ფოლკნერის შემოქმედე-
ბაში.

ბოლო ვულფისათვის წარსული გამოყოფილია
აწმყოსაგან უფრო მკვეთრად, ვულფისათვის
წარსული არ არის აწმყო, ის არის არა „არის“,
არამედ, „იყო“. წარსული არსებობდა, მაგრამ
ახლა ეს წარსული აღარ არის, თუმცა ის დაუ-
ვიწყარად დარჩა ადამიანის გონებაში, როგორც
ირეალური, ყოფილი, აღუდგენელი მდგომარე-
ობა, რომელიც აწმყოში, რეალობაში არსებობს
მხოლოდ მოგონების სახით. რეალობაში დარჩა
მხოლოდ სწრაფვა წარსულის აღორძინებისავე,
მისი გააცოცხლებისავე, დარჩა განუმეორებელი

სევდა განვლილი დროისადმი, განვლილი,
დასული წამებისადმი, დაუბრუნებელი ოცნე-
ბებისადმი.

„ნოველა „დაკარგული ბიჭი“ ვულფის დროის
ძიებას ყველაზე ინტენსიური დამუშავებაა“, ამ
ბობს რიჩარდ ს. კენედი.²⁴ „ამ მოთხრობას ახა-
სითებს დროით შთანთქმული წარსულის მუდ-
მივი ასახვა „მეხსიერებაში, ინდივიდის შეუწყ-
ნარებელი მარტოობა, მუდმივი სოლიდური ცდა
რეალურად გარდაქმნას დამახსოვრებელი“.

„დაკარგული ბიჭი“ ამბავი გაშუქებულია
ოთხი კუთხიდან, ე. ი. მოცემულია ოთხი ადა-
მიანის, ოთხი ოჯახის წევრის თვალსაზრისი ერთ
განვლილ ამბავზე. ერთ წარსულ მომენტზე,
ე. წ. „ცდა გაიცოცხლო მომენტი დაკარგულ
დროში“. ²⁵ შეიცნოს წარსული, დრო, ცვლი-
ლება. ეს წარსული დაკავშირებულია თერთმე-
ტი წლის ბიჭის გროვერის მოკონებასთან, რო-
მელიც ტივისაგან გარდაიცვალა.

პირველი ნაწილი გადმოსცემს მამასთან ურ-
თიერთობას და ამევე დროს თვით პატარა გრო-
ვერის მიერ სამყაროს აღქმას. „მოედანი წლების
მანძილზე შემთხვევით აშენებული, ემთაცვლასა
და გამანდგურებელ სწრაფვათა უნებური მომ-
სწრე, გროვერს სამყაროს ცენტრად ესახებოდა,
მის წარმოდგენაში იგი დედამიწის საყრდენი
წერტილი იყო, უცვლელობის დედამიწი, სალი
და ურყევი, მარადიული ადგილი, სადაც ყვე-
ლაფერი ჩნდებოდა და ქრებოდა, მაგრამ გაინც
სამუდამოდ რჩებოდა, არსებობდა, არასოდეს
არ იცვლებოდა.“²⁶

ამ ნოველაში განსაკუთრებით საინტერესოა
თომას ვულფის მიერ დროის გაგება. ნოველის
თითქმის ყველა ნაწილში, II ნაწილის („დედა“)
გარდა, დრო წარსულ, დაკარგულ, დაუბრუნე-
ბელ სტადიად არის წარმოდგენილი და იგრძნო-
ბა გამოუთქმელი სევდა ამ განვლილი წამის
კვლავ აღდგენის განუხორციელებლობის გამო.

პატარა გროვერი კროვერის საშაქარლამოდან
გამოგდების შემდეგ შეძრწუნებული ადამიანთა
უსამართლობით, ახლებურად შეიცნობს სამყა-
როს. მისთვის კარგავს დღე ადრინდელ ელვა-
რებას. ყველაფერი უცვლელია, მხოლოდ ბიჭის
განცდა. მისს ხასიათი და ცხოვრებისადმი დე-
მოკიდებულება შეიცვალა. მან გაიარა „ცხოვრე-
ბის საწყისი სტადია“²⁷ „ი მოედანი, აი მარადი-
სობა, აი დროც და ყველაფერი უცვლელი დარ-
ჩა, ყველაფერი ჩემს გარდა“²⁸ -- ფიქრობს ვაწ-
ბილებული ბიჭი, გამოცდილებამ გროვერი შეს-
ცვლია. ის ახლა „დაკარგული ბიჭია“. მან შეიც-
ნო მარტოობა და არაადამიანურობა, განიცადა
დანაშაულის გრძნობა. მან დაკარგა გულბრწყვი-
ლობა, შეიძინა გამოცდილება და ცოდნა.²⁹

და კვლავ იცვლება გარემო, ცხოვრებას ხა-
ლისი ემატება, ეს პატარა გროვერა ახალი თვა-
ლით უყურებს ცხოვრებას მამის გამოქმდე-
ბის შემდეგ. „...ყველაფერი ძველებურად უცე-

ლელი იყო. მაგრამ დღეიდან რაღაც გაქრა და რაღაც ახალი განაღდა... ერთ რამეს კარგად მახსოვს. რაღაც დაკარგა და რაღაც ახალი სამუდამოდ მოიპოვა³⁰, რადგან აღამიანის ყოველ ღინჯიერეს რაღაცის შექმნა მოსდევს.

დაკარგული ბიჭი უნდა აღსდგეს ნაწილ-ნაწილ, კვლავ წარმოიქმნას, მთელი თავისი ნიშან-თვისებებით.

ღის მოგონებაშიც სინანული იმ დაუბრუნებელ ბავშვობისადმი, განუხორციელებელ ბავშვურ ოცნებებისადმი კიდევ უფრო მწვავედ არის წარმოდგენილი. „ჩვენ, რომ მოველით, ირაფერი არ ხდება ისე, ყველაფერი აღიფევე იყარება, სანამ მიხვდებოდეს, რომ არ ავისრულდება, რომ ყველაფერი მხოლოდ სიზმარი იყო... მერე გეჩვენება, რომ ის იყო რაღაც, საღვალად გავიანილი, თითქოს ვიღაცა სხვას ვადახდა. და, მერე კვლავ ყველაფერი ცოცხლად წარმოვიდგებთ თვალწინ... ისე ცოცხლად წარმოვიდგებთ თვალწინ, თითქოს ყველაფერი გუშინ მომხდარიყო. და მერე ისევ ქრება, სულ უფრო და უფრო შორეული ხდება, სულ უფრო და უფრო უცხო, და ბოლოს გვეჩვენება თითქოს ყველაფერი მხოლოდ სიზმარი იყო“³¹, რადგან დაუჭერებელია პატარა გროვერის სიკვდილი ელენისათვის, თითხმებტი წლის გოგონისათვის, რომლის ბავშვობა, იმედები გროვერთან იყო დაკავშირებული. მაგრამ დისთვის წარსული მკვდარია, მკვდარია ის ნივთები, რომლებიც იყო და რომლებზეც ისინი ბავშვობაში ოცნებობდნენ.

ნოველის IV ნაწილში მოცემულია თითქოს ყველა იმ ნაწილების სინთეზი. გროვერის საყვარელი ძმა იუჯინი ოცდაათი წლის შემდეგ ბრუნდება სენტ-ლუისში, იმ სახლის სანახავად, სადაც 1904 წელს შვიდი თვის მანძილზე ცხოვრობდნენ და სადაც გარდაიცვალა გროვერი. ამჟამად მოწიფული იუჯინი განტი იცნობს იმ სახლს, სადაც ის ცხოვრობდა ოთხი წლის ასაკში. სახლი წარსულის, დაკარგულის სიმბოლოა, რადგან ბავშვობის რომანტიკული ხედვის მქონე აღამიანისათვის ეს არის განსაკუთრებით ეფექტური და გამომავლინებელი სიმბოლო³². იუჯინი ცდილობს მესხიერების საშუალებით აღდგინოს „დაკარგული ბიჭი“³³ და მას ავინდება, როგორ ელოდებოდა გროვერს, ავინდება ის სიცარიელის გრძნობა, რომელიც იპყრობდა, როდესაც კიბზე იჯდა და ელოდებოდა სიცხიან ნაშუადღევს, ავინდება „მეფის გზა“, რომელიც მიემართებოდა ჯადოსნური, ერთგვარად ბუნდოვანი და ანარქული დასასაზებულა ქვეყნიდან, მაგრამ უკვე გაზრდილი იუჯინი, გამოჩენილი მწერალი, აღმოაჩენს, რომ ახლა ეს ჩვეულებრივი ქუჩაა და მისი იძულებითი დაბრუნება საიდუმლოების შუაგულში შეჩერებულია და გაღიზიანებულია იმ კონტრასტით, რაც მას ახსოვს და რაც სინამდვილეში მოხდა.³⁴

იუჯინი კვლავ იჭერს დროს, თუმცა მაშინაც

ცნობილი იყო მისთვის, რომ „დაკარგული ჯადოქრობა კვლავ აღარ დაბრუნდება“, „არც მკვდარი და არც ის ბავშვი, როგორც თვითონ იყო ასე ადვილად ვერ აღსდგებიან მის მესხიერებაში“³⁵ ის გრძნობს, რომ ვეღარ დაიბრუნებს ბავშვობის ძველ დაუვიწყარ წუთებს, ვეღარ აღადგენს იმ მოლოდინის შედნიერებით სავსე წამებს, თავის ჯადოსნურ წარსულს, რომელიც ყოველ მოზრდილს თან ახლავს, როგორც მარადიული, უჩვეულო მოგონება განუხორციელებელი მისწრაფებისა ბედნიერებისაკენ, რომ „დაკარგული ბიჭი“ საბოლოოდ წავიდა და აღარასოდეს დაბრუნდება“³⁶ „და ამიერიდან ეცოდნება, აქ არასოდეს არ დაბრუნდება. დაკარგული ნეტარებაც არ დაბრუნდება. სამუდამოდ გაქრება ყველაფერი ამიერიდან... ამიერიდან იუჯინის ეცოდინება, რომ მძისა და მეგობრის შვიი თვალები, მშვიდი სახე — საბრალო ბავშვი, ცხოვრებიდან გარიყული და ცხოვრებიდან განდევნილი, ყველა ჩვენსავით დაკარგულია, დიდხნის წინათ ბნელ ლაბირინთებში არარაობად ქცეული — დაკარგული ბიჭი — აღამიანის მესხიერების უღრანი, ჯადოსნური ტყიდან სამუდამოდ გაქრება და აღარ დაბრუნდება“³⁷ და იუჯინი და ყველა მის ახლობელს, რომელიც „დაკარგულ ბიჭს“, პატარა გროვერს იცნობდა, სევდა, მარტოობა და სიცარიელის გრძნობა მოიცავს, რადგან ყველა ოჯახის წევრს უყვარს გროვერი, და როგორც პარადოქსალურად ამბობს ვულფი „სიყვარული არ არის ჩვენი ცხოვრების მამოძრავებელი. ის იშვიათი, ძვირფასი ყვავილია. ისეთი ყვავილი, რომელიც სიცოცხლეს გვანიჭებს... მაგრამ ზოგჯერ სიყვარული ისეთი ყვავილია, რომელსაც ჩვენთვის სიკვდილი მოაქვს“³⁸

დღეისათვის, ელაიზა განტისათვის, რომელიც ვერასოდეს ვერ შეურიგებდა უღრმოდ დაღუპული მამაკრავი ვაჟის სიკვდილს, მკვდარი გროვერი ისეთივე ჰქვიანი და ნიჭიერია ახლა, როგორც 11 წლის ასაკში. „მას შემდეგ ბევრი დრო ვავიდა, მაგრამ როცა დავფიქრებდი, ყველაფერი ისე ცოცხლად მაგონდება, თითქოს გუშინ მომხდარიყო... დღესაც ცოცხლად თვალწინ მიდგას გროვერი, მისი სახე იმ დროით, მდინარის გასწვრივ ინდიანა რომ ვავიარეთ და ბაზრობაზე მივდიოდით“³⁹. ასე მთავრდება დედის მონოლოგი 11 ნაწილში. ჩვენ არ ვეთანხმებით ლუი პარტლის, რომ დღეისათვის გროვერა არის ყველაფერი შეცვლილის სიმბოლო, ყველაფერი იმის სიმბოლო, რაც მოკვდა, ან გაქრა.⁴⁰ ჩვენი აზრით, დედა ვეღარ ხედავს იუჯინის წარმატებას, რადგან მისთვის დრო არ შეცვლილა. ის გაჩერდა 1904 წელს პატარა გროვერის სიკვ-

მარინე დანელია
თინას ვაშლი

დილის წამს, და დედის, ელაზა განტის ფიქრებში, მის მიერ სამყაროს აღქმა არ განსხვავდება გროვერის (ჯორჯის ველდის) აზრებსაგან: „ხელის მიღი-მოდის, ნათლება, მერე ისევ ბინადრება და ბოლოს ისევ ნათლება. ყველაფერი ჩნდება და ქრება, ყველაფერი იცვლება... და მაინც უცვლელი რჩება. აქვე ვარ მეც, გროვერი... ახლა აპრილის თვეა 1904 წელი. სსსამართლის შენობაზე ზარმა სამი საათი ჩამოკრა. მეც აქ ვარ მოედანზე. მოედანი არასოდეს არ იცვლება. აქ ვარ გროვერი და ამ ადგილზე მომისწრო ზუსტად ამ დროში.⁴¹ რადგან დედისათვის, ისევე როგორც გროვერისათვის აწმყო და მარადისობა ერთია. მაგრამ მარადიულისა და აწმყოს გადარკვევის ცდა არასოდეს არ იქნება წარმატებული“; წერს სტეგნერ უოლესი⁴² და ჩვენ ვუხელოვდებით გროვერის აზრდის, მისი პატარა ძმის იუჯინის ტიტიკით „გოვა“ არა მისტიკის, არამედ რეალობის შეგნების გზით.

ნოველა „დაკარგული ბები“ კომპოზიციურად შედგება ოთხი ნაწილისაგან. I ნაწილი — გროვერი და სამყარო წარმოადგენს ექსპოზიციას, II და III ნაწილები — დედისა და დის მოგონებები — განვითარებას, ხოლო IV — ძმის დაბრუნება იმ სახლში, სადაც გროვერი გარდაიცვალა, თავისი ბავშვობისაგან დაბრუნება — ექსპოზიციას. მოთხრობას ახასიათებს ძლიერი დამბულობა, რაც გამოწვეულია ცნობიერების ნაკადის ბრწყინვალე გამოყენებით. ჩვენ არ ვეთანხმებით სტეგნერ უოლესს, რომ მოთხრობის ფორმა უახლოვდება პრიმიტიულ ანუ ყალბ რიტუალს.⁴³ ჩვენი აზრით მოთხრობა გამოირჩევა გადმოცემული განცდების ბუნებრიობით. მოქმედების განვითარება წრიულია, ე. ი. ხდება სრული წრებრუნვა: განვითარება წარმოებს მოედნიდან, ანუ პატარა გროვერიდან (საკუთარი თავიდან), გროვერის რეალური ცხოვრებიდან — სენტ ლუისში, იმ სახლისაკენ, სადაც ოჯახი ცხოვრობდა, იმ ოთახისაკენ, სადაც გროვერი გარდაიცვალა. იუჯინის მოგონებაში კვლავ აღსდგა გროვერი, ისეთი როგორც იყო 1904 წელს და თვით პატარა იუჯინი. იუჯინი უბრუნდება საკუთარ თავს ანუ გროვერს, იღვწის დროს, დაკარგული ადგილის ძიების განსაზოცდებლად. წარსული აღსდგა და წაიშალა და კვლავ დარჩა აწმყო.

წარსული მომენტის მწარე მოგონებას შეეხება მოთხრობა „ოთხი დაკარგული ადამიანი“, რომელიც სკოტ ფიცკერალდს და იტალიელ ანტიფაშისტს ელიო ვატორინის თომას ვულფის შედეგად მიაჩნდათ.

ნოველაში „ოთხი დაკარგული ადამიანი“ იუჯინი განტის მამა იგონებს ამერიკის ოთხ გამოჩინულ ადამიანს, ოთხ პრეზიდენტს, ამბავი გადმოცემულია იუჯინი განტის მიერ.

ნოველა მოგვავიწყებს ვოლფგანგ-ბორჰერტის „ოდესღაც გუგული გუგუს იძახდა“, პატარა მო-

თხრობას, ან უფრო სწორად იმპრესიონისტულ ჩანახატს, მინიატურას, ადამიანის განცდის მხოლოდ ერთ უმცირეს მონაცვეთს, რომელიც ისეთი სიძლიერით არის გადმოცემული, რომ ადამიანის მთელ ცხოვრებაზე, მის განწყობაზე სრულ წარმოდგენას იძლევა. აუთია არა მხოლოდ ბორჰერტის მინიატურა, არამედ ტურგენივის ცნობილი ლექსი პროზად „რა მშვენიერი, რა ნორჩი იყო ვარდები...“ სადაც გმირი სევდიანად იგონებს წარსულს და ეს წარსული, გარდასული განცდილი ცხოვრება რომანტიკულ ფერებში ეხატება.

მაგრამ ნოველა „ოთხი დაკარგული ადამიანი“ მოგვიჩიხრობს არა მხოლოდ განვლილ დღეებზე, ომზე, გარდაცვლილ ადამიანებზე. აქ ქორიათადად ნაჩვენებია იმედგაცრუება, შექმნილი ილუზიის გაქარწყლება და რაც ყველაზე საკვირველია, ეს ილუზია, იმედი ომის შარავანდედით იყო გამოწვეული.

თომას ვულფი, ისევე როგორც ყველა პროგრესული ადამიანი ძრახავს ომს, მკვლელობას და ჰუმანიზმის სახელით თანამემამულეებს სიფხიზლისაკენ მოუწოდებს.⁴⁴

თხრობა წარმოებს თითქოს უუქცევით: ჯერ წარმოდგენილია ყალბი ილუზიები, იმედები, რომელსაც ამყარებდნენ ომზე ჯარში გაწვეული ახალგაზრდები, მათი სწრაფვა დღეებისაკენ, თავგადასავლისაკენ, სიყვარულისაკენ გადმოცემულია იუჯინი განტის მიერ მისი მამის ნაამბობის საფუძველზე.

შემდეგ თანდათანობით ნაჩვენებია ომის ნამდვილი სახე, მისი ტრაგიკული მხარე. და ბოლოს ამ იმედით საცეკ ოთხი ახალგაზრდიანი სიკვდილის ასახვა ყველა დაღუპულის ერთგვარ ჰიმნად ქცერს. შთაბეჭდილების უფრო გასაძლიერებლად ავტორი კიდევ ერთხელ ბრუნდება უკან. კვლავ აგვიჩერს იმ დილას და იმ ადგილს, სადაც ეს ოთხი სიკუცლის საცეკ ახალგაზრდა იღვა, მათ მისწრაფებებს, სურვილებს, ოცნებებს. ნოველაში იგრძნობა უსაზღვრო სიყვარული ამერიკისადმი და სინანული დაღუპული ამერიკელების გამო. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თავისი სტილითა და სიძლიერებით ვულფის ეს ნოველა ბევრად მაღლა დგას ფოლკნერის ანალოგიურ ნოველაზე „დაიწვევება არ მიეცემა“, სადაც მხოლოდ ამერიკული პატრიოტიზმი იგრძნობა, რომელიც, დაღუპული გენერლის მიერ გამოთქმული, უაღბლო, მელოდრამატული გეგინება, მოთხრობის ობტიმუზიში კი უადგილო და სიტუაციისათვის შეუფერებელი. ხოლო ვულფთან ეს მწარე სინანული გმირისა, მოთხრობელისა, მისი მეგობრების უღროთ დაღუპვის გამო შემარქმუნებელია და მისი სიტყვები: „ყველა... ყველა... ყველა მათგანი მკვდარია... მხოლოდ მე გადვირჩი... და მალე მეც მოგვცდები“⁴⁵, მისი ფიქრები დაღუპულ ოთხ ადამიანზე, რომლებიც მისდგან

არა მხოლოდ დაღუპული ამერიკელები იყვნენ, მამის შეგობრები, არამედ საერთოდ აღმავანები, თანაგრძნობით და სევდით განგვაწყობს მის-
ლანი. გვირთა ბუნდოვანი, გაქვავებული სახე-
ები ირევა, შეუცნობლად იკარგება წარსულში,
როგორც „ჩამარხული ქალაქი პერსეპოლისი“.

„და ისინი — ომის მსხვერპლნი — ყველანა-
მოკვდნენ“⁴⁶, შთაიფქვენ დროში თავისი ვანუ-
ხორციელებელი სურვილებითა და იმედებით.
ბედნიერების შეუცნობლად, მათაც, როგორც
ჩვენ, შერჩით მხოლოდ დაპირება და მოლოდი-
ნი კარგი ბედისა. „და განა ისინი დაკარგულები
არ იყვნენ? განა ისინი ჩვენსავით უიმედონა არ
იყვნენ, ვინც ჩვენსავით მარტოდ, მოუთმენლად
გლომობდა ღამით და ვერ პოულობდა მიზანს,
„ქედელს“ თავმესაფარს, კარებს“⁴⁷.

აქვ არ ტოვებს თომას ვულფს იმედი და ბე-
ტორა კითხულობს: „წლები სწრაფად გადის და
ერთ მშვენიერ ღღეს კვლავ ვახაფხულია. განა
ჩვენ კვლავ არ გამოვალთ ამხედრებულნი აღ-
მოსავლეთის ჰიმორიანი, როგორც ჩვენ ოდეს-
ღაც გაუვით ერთ დღისა და კვლავ არ
დავიწყებთ, როგორც მაშინ, ახალი მიწის,
ომის, დიდების, სიხარულის, ტრიუმფის და
მზით განათებული ქალაქის დაპირების ძიებას.“⁴⁸

და ჩვენ კვლავ ვავდივართ იმ ადგილებს, სა-
დაც იყვნენ თომას ვულფის გვირბი: ვარფილ-
დი, პარტიზი, პარისონი და ჰაიგის წისქვილს,
ლობეს, ხიდს და ვიგონებთ იმ მშვენიერ დი-
ლას, როდესაც ისინი ცოცხლები იყვნენ. ეს ახ-
ლგაზრდები წავიდნენ ამ ცხოვრებიდან და ურ-
წყვად დატოვეს ეს ადგილი, წისქვილი, ლობე,
ხიდი, სადაც ცოცხლები დაირჩიებილი მრავ-
ლად გაევიან და თითქოს კიდევ ერთხელ
მტკიცდება სიცოცხლის კანონზომიერება, მისი
მუდმივი, ყველასათვის შეუცნობელი სვლა. და
გვაკონდება ალექსანდრე ბლოკის ცნობილი „ლე-
ქსი, სადაც ცხოვრების ამაოება განსაკუთრებით
ზუსტად არის გადმოცემული:

Ночь, улица, фонарь, аптека.
Бессмысленный и тусклый свет.
Живи еще хоть четверть века —
Все будет так. Исхода нет.
Умрешь — начнешь опять сначала
И повторится все, как встарь,
Ночь, ледяная рябь канала,
Аптека, улица, фонарь“⁴⁹.

ველფის სასოწარკვეთილი მოლოდინი ანუ ძი-
ება მამისა, წინაპრისა, ახალი მიწისა გამოხატუ-
ლია მის ცნობილ ნოველში „ძველი კატობას
მამაკაცები“.

„ძველი კატობას მამაკაცები“ წარმოადგენს
ისეს გეოგრაფიის, რასების და ისტორიის შე-
სახებ და ამ შტატის ტიპიური მთიელების ნა-
შან-თვისებათა ჩანახატს.⁵⁰ ე. ი. კატობას ის-
ტორია, ეს არის მშობლიურ შტატის ისტორია,

სამშობლო მიწისა და ხალხის ისტორია. კატო-
ბა წარმოსდგება ინდური ტომისაგან და ვულ-
ფის მიერ კაროლინას ხშირ სინონიმად იხმა-
რება — ეს არის თავისებური ისტორიული ჩა-
ნახატი აღრიხვული დროისა.⁵¹

ვეტორი ჩერდება სიტყვა „ძველი“-ს წარმო-
მავლობაზე და ასკენის, რომ ეს სიტყვა არ არის
კატობელთათვის მხოლოდ სენტიმენტალური სი-
ყვარულის ტერმინი. ის აღწერს გრძნობას, რო-
მელსაც ამ შტატის მიწა იწვევს. „დედამიწა ქა-
ლია, ხოლო ძველი კატობა ჩვენი მამაა და თუ-
ცა ჩვენ ვიცით, რომ ის იქ (მიწაში — მ. დ.)
არის, ჩვენ მას ვერასდროს ვპოვებთ... ის ხე-
დავს ჩვენ სიცოცხლესა და სიყვდილს და მისი
მკაცრი სიბრალული თავს დავტრიალებს. ქა-
ლებს უყვართ იგი, მაგრამ მხოლოდ მამაკაცები
ინერბენ მას. მხოლოდ მამაკაცები, რომლებიც
შეღალადებენ ტანჯვისა და მარტოობის დროს
თავის მამას, მხოლოდ იმით, რომლებიც დაძა-
რდებიან ყველანა, მთელ დედამიწის ზურგზე მის
საპოვნელად, შეუძლიათ კატობას ცნობა.“

მაგრამ ნოველის აზრი მდგომარეობს არა კა-
ტობას ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემე-
ბის გადმოცემაში, არამედ მისი მოსახლეობის
თვისებების განზოგადოებაში, საერთო აღმავანუ-
რი კანონზომიერების დადგენაში. კატობელები,
ძირითადად გამოირჩევიან, თავისი უთვისტომო-
ბით, ქეშმარიტების, სიკეთის, სილამაზის,
ღმერთის ძიებით. მათი მოსახლეობა აღ-
გილობრივი მაცხოვრებლებისაგან შედგე-
ბა, მათ ყველაზე ნაკლებად განიცადეს უც-
ხოელთა მიგრაცია, რის შედეგადაც, ვულ-
ფის აზრით, მათ აქვთ მეტი ბუნებრივი,
აღმავანური თვისებები. ისინი მიწის შეი-
ლები არიან და მისგან აიღეს ეს ბუნებრიობა და
კეთილშობილება. თომას ვულფი კატობელებს
ანიჭებს შოტლანდიელთა გვირულ ხასიათსა და
გარეგნობას, ხოლო თვით ძველი კატობას შტატს
ანზოგადოებს მიწასთან. უნდა ვიკულისხმოთ,
რომ შოტლანდიელების სახით წარმოდგენილია
ჩრდილოეთი კაროლინას მაცხოვრებლები, ხო-
ლო ძველი კატობას სახით — ჩრდილოეთი კარო-
ლინა. მაგრამ კატობელების მთავარ დადებით
მხარედ თომას ვულფი თვლის მათ სილაცს.
ისინი არ არიან შებოჭილნი საკუთრების შე-
ძენის სურვილით, მოგებისაკენ გაუთმადარი
ლტოლვით, ისინი მკვეთრად ანსხვავებენ (ისევე
როგორც თვით თომას ვულფი) მორალურ და
ლეგალურ უფლებებს. ვულფის აზრით მორა-
ლური თვალსაზრისით დაუშვებელია აღმავანმა
მიიღოს სამასი პროცენტის მოგება. ჭარბი სარ-
ებლიანობა მორალური თვალსაზრისით დაუშ-
ვებელია, თუმცა კანონით აკრძალული არ არის.
ეს აზრი წარმოდგენილია საინტერესო და-

მარინა დანელია
თომას ვულფი

ლოკით კატობელთა შორის, რომელშიც ჩართულია ვინმე ჯიმის მონაყოლი, პატარა ამბავი ვერის ყიდვის შესახებ. დილაღი წარმოებს გაუფიცვისა და მოგების მორალური და ლეგალური უფლებების დადგენის თაობაზე. კამათში მონაწილეობას იღებს მთელი საზოგადოება, ანუ თემა.

თავისი ადამიანობით კატობელები უპირისპირდებიან ხარბ, ოქროსმამიებელ ევროპელებსა და ამერიკელებს, რომლებიც მიადგებოდნენ კატობას ნაპირს გამდიდრების იმედით. ნოველში ჩართულია ცალთვალა ესპანელის თავგადასავალი. ცალთვალა ესპანელი გაიგივებულა ყველა ხარბ ავანტიურისტთან, რომლებიც მრავლად დაძრწოდნენ ოქროსა და განძეულის აღმოჩენის მიზნით.

ნოველში იგრძნობა ვულფის ირონია ევროპელების მიმართ. ეს ირონია მიმართულია სიხარბის, არაბუნებრიობის წინააღმდეგ და გატარებულია აზრით, რომ რადგან ყველა მოკვდავი და ყველას საბოლოოდ მიწა შთანთქავს, უაზროა ეს ზრუნვა, ფუსფუსი, სწრაფვა სიმდიდრის მოსახვედრად. ვულფის ეს შეხედულება მოგვაგონებს ნ. ბარათაშვილის ლექსის „ფიქრო მტყერის პირას“ დედააზრს:

თვითონ მეფენიც უძველესნი
რომელთ უმაღლესი,
ამო სოფლად არაა არის სხვა რამ დიდება
შფოთვენ და ღრტყინვენ და იტყვიან:
„როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ
თვითვე არიან!⁵²

ვინაიდან, როგორც წერს ვულფი, უაზროა უკვდავი ბუნების დასკუთრება... რადგან დედამიწას ვერასოდეს ვერ ფლობ, ის თვითონ დაგვიასკუთრებს.⁵³

საბოლოოდ თომას ვულფი ასკვნის, რომ „ძველი კატობას“ ნამდვილი ისტორია არის უთვისტომობის, წმინდა ბუნების, უკვდავი დედამიწის ისტორია, ეს არის ისტორია მილიონობით ადამიანისა, რომლებიც მარტოდ ცხოვრობენ და კვლავი დედამიწაზე; ეს არის ისტორია მათი ცხოვრების მილიონობით ჩაუწერელი და დავიწყებული მოქმედებისა და მომენტებისა, ეს არის ისტორია მზის, მთვარის, დედამიწის და ზღვის, რომელიც ამშვენებს უკაცრიელ სანაპიროებს და დიდი ხეებისა, რომლებიც ეცემიან ბუნების ეულ განმარტებაში.⁵⁴

ნოველა კომპოზიციურად ერთიანია, თვალსაჩინო დაყოფა ნაწილებად არ შეინიშნება, მაგრამ ადგილი აქვს აზრობრივ დაყოფას ნოველის შიგნით, რომელიც პატარა ხარვეზების გამოტრეკებითაა აღინიშნება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აზრობრივად ნოველა შეიძლება დაიყოს სამ ნაწი-

ლად: 1) „ძველი კატობას“ ადგილმდებარეობის და მოსახლეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, 2) კატობას შტატის აღმოჩენის ისტორია, რომელშიც შედის სოციალური მოტივი — ესპანელების მიერ კატობას რბევა, 3) კატობელების შინაგანი თვისებების დახასიათება: მარტობას თემა კატობელების ისტორიაში.

ამბავი დასრულდა, ადამიანის სიცოცხლე დამთავრდა და დუმობა მოიცვა გარემო. ეს ნიშნავს დებუნებას ყოვლისმომცველ სიჩუმესთან ანუ დედამიწასთან, ცხოვრების არსთან, დასაწყისსა თუ დასასრულთან, რადგან კატობელების სიცოცხლე ეკეთენის მიწას, უტყე, უხარმზარ და შემზარავ დედამიწას.

დედამიწა, როგორც ცხოვრების მამობრივი წარმოდგენილია ვულფის ნოველში „დედამიწის ქსელი“. ეს ნოველა ითვლება ვულფის ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე ნაწარმოებად. რიჩარდ ვალცერი წერს, რომ „დედამიწის ქსელი“ თავისი ერთიანობითა და განუსაზღვრელობით და კარგად დამუშავებული სიტყვებურაზრით არის ვულფის ყველაზე მაღალხანტრული მიღწევა; მისი ერთადერთი შედეგია.⁵⁵ „დედამიწის ქსელი“ არის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობათაგანი“, რაც კი ვულფს ოდესმე დაუწერია,⁵⁶ ამბობს ფლოიდ ს. უოტკინსი. ნოველა დაწერილია ცნობიერების ნაკადის მეოთხედის გამოყენებით. თხრობა გადმოცემულია ელიზა განტის მიერ, რომელიც უყვება თავისი განვლილი ცხოვრების ამბავს თავის ვაჟს იუჯინს. ელიზა განტი ფიქრობს თავის წარსულზე, თავის ხალხზე და დაუფიქრარ სილამაზეზე.⁵⁷

ეს მოგონება ანუ თხრობის ნაკადი შეუჩერებლივ მიედინება სხვადასხვა ასოციაციებთან გადახლართული. ელიზა აზვიადებს, აწყვეტინებს საკუთარ თავს, იძლევა კითხვებს და თვითონვე პასუხობს. იგი მიმართავს ხან ქმარს, ხან ვაჟს. გესმის? გესმის? ერთმა თქვა: „ორი... ორი“ და მეორემ თქვა „ოცი... ოცი“.⁵⁸ ეს ხმები, რომლებიც გამუდმებით ესმის ელიზას წარმოადგენს მოთხრობის ლაიტმოტივს, ანუ ფონს. ისინი მეორდება რამდენჯერმე მთელი მოთხრობის მანძილზე. მაგრამ განა მარტო ეს ხმები ესმის ელიზას, ანა, მას ესმის გემების საყვირის ხმა ნავსადგურში. ეს გემები წარმოადგენენ, ჩვენი აზრით, მოგზაურობისაყენ, ადგილის გამოცვლისაყენ სწრაფვას, ცვალებადობისაყენ ლტოლვას, რომელსაც განასახიერებს მისტერ განტი, ელიზას ქმარი. ელიზას მოგონებებში იგი წარმოდგენილია როგორც უხარმზარი სიმაღლის, დიდრ ძალის, ენერგიით სავსე, თავშეუკავებელი, დიდი მისწრაფებებისა და სურვილების ადამიანი. მისი სიტყვე ისევე განუზომელია, როგორც ღვინის სიყვარული ან სხვა მისი გატაცება. ეს ერთგვარად რაბლესიანური გმირია ან თანამე-

დროვე კოლა ბრიტნიონი. მასში გამოხატულია გულფის უსაზღვრო სიყვარული სიცოცხლისადმი. უილ განტის ბოთქარი სული ელინდება მისი ლითობის სტენებში, მისი მოგზაურობის წყურვილი.

და როგორია თვით ელაიზა, ოჯახის დედა და მობრბელი? განსაკუთრებული მეხსიერებით დაჯილდოებული ის იკონებს ამბებს, რომლებიც მოხდა, როდესაც ის 2 წლის იყო და მკაფიოდ, ცოცხლად, მრავალფეროვნად ვადმოგვეცემს მათ. მისი მოგონებები ასევე ცხოველმყოფელია მთელი მისი ცხოვრების მანძილზე — ნიუ-იორკში შეილთან ჩასვლამდე. ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ ნოველის სიუჟეტს თანმიმდევრება არა აქვს. ეს მოთხრობა ვერტუთული ტექნიკის თვალსაზრისით წარმოადგენს უწყისიგო სუბარს, რომელიც ემყარება მოლაყებ მთიელის უთავბოლო ჭორიკანობას, ცრურწმენასა და ფოლკლორს.⁵⁸ ყოველი შემთხვევა დაკავშირებულია მეორესთან ასოციაციების ერთგვარი ძაფით, რომელიც საკმარისია ელაიზას დაუსრულებელი მოგონებისათვის,⁶⁰ ელაიზას მონოლოგისათვის. ჩვენი აზრით, ელაიზას ასოციაციები ლოგიკურად გამომდინარეობენ ერთი მეორისაგან, მიუხედავად იმისა, რომ თხრობაში რაღაც სხვა ეპიზოდები იჭრება, სხვა ამბავი გადაყვითს თხრობას, მაგრამ ეს არის შემთხვევითი გადახვევა და ელაიზა კვლავ უბრუნდება დასაწყისს, თავის ძირითად სათქმელს, თავის იდეას და ცდილობს თავისი აზრის დასაბუთებას. მასში იგრძნობა, — ამბობს ნატან ლ. როტმანი მოაზროვნის ძალა. ეს აღინიშნება მაშინ, როდესაც ელაიზა იკონებს მისტერ განტის ლითობას და მისტერ განტის მიერ ჩინელების სიძულვილს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ნოველაში შეიგრძნობა ერთგვარი ნაციონალისტური და რასობრივი ტენდენციები, რომლებიც ახასიათებენ ვმირ ქალს. მაგრამ ელაიზა განტი იმდენად გადახლართულია ავტორთან და იმდენად ბუნებრივად ელერს მისი დამოკიდებულება ზანგებისა თუ ჩინელების მიმართ, რომ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ტენდენციურობა ერთგვარად ავტორსაც ახასიათებს, თუმცა საბოლოოდ მოთხრობაში „მე რაღაც უნდა ვითხრობ“ ეუღლმა გადალახა ეს ტენდენციურობა და მიხედა, რომ რასობრივი და ერთგული განსხვავება არ არსებობს, რომ „ყველა ადამიანი ერთი და იგივე ოჯახის წევრია და რომ რასა, ეროვნება ზედაპირული განმასხვავებელი ნიშანია, რომელიც ვერ წაშლის კაცობრიობის ძირითად ნათესაობას“.⁶¹

... ქარა ამოვარდება და მდინარეებს მიედინება“.⁶²

ელაიზას ნაამბობში განსაკუთრებით საინტერესოდ და რეალურად არის გამოკვეთილი სამხრეთელი ჭარისკაცების სამშობლოში დაბრუნებისა და მათი შეხვედრის სურათი. მას ასსოვს, „როგორ იყურებოდნენ იმ დღეს მამაკაცები, როდესაც ომიდან სახლში ბრუნდებოდნენ, და რას ვამბობდით, და შევდრების ხმები, და როგორ ამოდიოდა და ჩაიბოდა მზე და როგორ მიმძიმდა ამის ყურება, როგორ ტირილდნენ ქალები შობა ბატონის ეზოში და როგორ ჩავევილიდნენ მარშით მამაკაცები და მტკერს აყენებდნენ, და ჩვენ მივხვდით, რომ ომი დამთავრდა“.⁶³

ელაიზა მიმოდ განიცდის უილ განტის ულალს. მისი ვატაციების ისტორიებს, მის ორ ქორწინებას. აქ ელაიზა წარმოვიდგება ქალად, ოჯახის დედად, რომელმაც შობა რვა შვილი. ის ცდილობს დაიცვას ოჯახის სიმყუდროვე, ამ სურვილშია მისი ძალა, მისი გამძლეობა გადაიტანოს ყველაფერი და მინც ურყევი დარჩეს. მისი ეკონომიურობა, ანგარიშიანობაც თითქოს იმით აიხსნება, რომ მან უნდა შეინარჩუნოს ოჯახი, სახლი, რაღაც ურყევი, მყარი, მუდმივი შექმნას. ამიტომაც არის ის ასე ახლოს მიწასთან. ის მიწის შვილია, გლეხის ქალია. თითქოს ის თვითონ წარმოადგენს დედამიწის სიმბოლოს, რომელიც ყველაფერს აძლევს სიცოცხლეს. ელაიზა არის ქალიც და კაციც. მშობელიც და ქმედიც ერთსა და იმავე დროს, რასაც დასთესავს, ყველაფერი ამოდის, ხარობს, ყვავის. რადგან ის ყველაფერს აძლევს სიცოცხლეს. ამიტომ ის სულიერად ძლიერია. ელაიზას ცხოვრება ვერ დაჩაგრავს, მას ამოძრავებს განსაკუთრებული რწმენა სიცოცხლისადმი. „ელაიზა დედამიწის ქსელში“ დაჯილდოებულია სიცოცხლის ჭარბი და მტკიცე სიყვარულით, აღნიშნავს მაკ ელდერი.⁶⁴ იგი თავისი სასიცოცხლო ენერჯითი ავსებს გარეშეებსაც. იმდენ, ბიძგს აძლევს გაკოტრებულ მოხუც მილერ რაიტს: „ჩვენ ვაქვს მიწა. ჩვენ ყოველთვის გვექნება მიწა. ჩვენ ვერდგებით მასზე და ის გადაგვარჩენს, მას ჭერ არასოდეს არავისთვის არ უღელავს“.⁶⁵ რადგან მისი (ელაიზას — მ. დ.) რწმენა დამყარებულია მიწაზე, დაკავშირებულია მიწის მუდმივ ძალასთან და მას სჭერა, რომც არაფერი არ დარჩეს, მაინც არ დაიკარგება, არ დაიღუბება, მაინც შეძლებს აღსდგეს, რადგან მიწა მისია. ამაშია გამოხატული ელაიზას დიდი „შეუცნობელი ვეჟაცობა“. სანამ მიწის ნაგლეჯი იქნება, ის კვლავ მოხნავს მას და კვლავ

„ოქ სადაც დედამიწის ბოძები ჩაყრილია რომლისკენაც ეროვნების სული მიისწრაფვის რომლისკენ სამყაროს ცნობიერება მიეპართება“

მარიშა დანელია
თომას ვულფი

მის მიუღწერად აღნიშნავს, რომ ვულფის „ცხოველმყოფელი რწმენა იმაში მდგომარეობდა, რომ აღამიანს ჰუმანიტარული ბრძოლის გზით შეუძლია უკეთესი ცხოვრების შექმნა“.⁷⁵

ჩვენ შეიძლება თომას ვულფის კრედიტს ნათესაობით უბრალოდ ჩავთვალოთ, როგორც უბრალოდ სიტყვები რომანიდან „ოქტეინ სახლში ველარ დაბრუნდებით.“ „მჭერა, ჩვენ დავიკარგეთ აქ, ამერიკაში, მაგრამ მჭერა, ჩვენ გვიპოვიან... ვფიქრობ, ამერიკის ნამდვილი აღმოჩენა ჩვენს წინაშეა. ვფიქრობ, ჩვენი სული, ჩვენი ხალხის, ჩვენი ძალის და უკვე დაღი მიწის ნამდვილი წარმოსახვა ჩვენ კიდევ დადგება, ვფიქრობ ჩვენი დემოკრატიის ნამდვილი გამოვლენა ჩვენ კიდევ ჩვენ წინაშეა, და ვფიქრობ, რომ ეს ისეთივე სარწმუნოა, როგორც დილა, ისევე უცილობელი, როგორც ღელი“.⁷⁶

ვულფი ეცადა თავისებურად გადაეწყვიტა დროის პრობლემა. დრო მისთვის იყო ისტორია, აღამიანის წარსულის, მისი ტრადიციებისა და აწმყოს შეჯამება:

„და დრო გადის... იცვლება როგორც ფოთოლი... დრო გადის, ჰყვება როგორც ყვავილი... დრო გადის როგორც მდინარის დინება...“

დრო გადის... და უცებ გვახსენდება რომ-გორც დავიწყებული ფლოქებისა და ბორბლების სმა...“

დრო გაივლის როგორც აღამიანები, რომლებაც აღარ დაბრუნდებიან... და დავტოვებ ჩვენ, დიდო ღმერთო, მხოლოდ ამით: იმ ცოდნით, რომ ეს დედამიწა, ეს დრო, ეს სიცოცხლე ოცნებაზე უფრო შეუცნობელია“.⁷⁷

იტალიელი ანტიფაშისტი მწერალი ელიო ვიტორინი აღნიშნავდა, რომ ვულფი კულმინაციური წერტილი იქნებოდა 30-იანი წლების პროზისათვის, რომ ფოლკინგისა და ჰემინგუეის სხვა გზები არ გაეკავია.

მაგრამ საესეებით მართალია საბჭოთა კრიტიკოსი მ. ლანდორი, რომელიც ამტკიცებს, რომ 50-იანი წლების შემდეგ, ჩვენ შევივრგვინეთ, რომ ჰემინგუეის სამყაროს ფარგლებს გარეთ ძალიან ბევრი დარჩა სათქმელი და ვულფი, თავისი არამყარი, არამდგრადი ხასიათის მიუხედავად, ამჟამად აღიარებულია როგორც ხელოვანი, რომლის ფართო კონტაქტი ჩვენს რთულ და ცვალებად სამყაროსთან წარმოუდგენელი იყო ესთეტიკური გათიშვის გარეშე, სხვადასხვა მხატვრულ სისტემებთან და ტრადიციებთან კავშირის გარეშე“.⁷⁸

შენიშვნები:

¹ С. Фишджеральд, Письма, Август, 1939, с. 175.
² Там же, июнь, 1937, с. 182.
³ М. Ландор, Томас Вулф. Иностран. литература, 1971, № 10, с. 239.
⁴ Three Decades of Criticism, p. 44.
⁵ Eliz. Nowell. Th. Wolfe. A Biography. Edit. of the Letters of Th. Wolfe. N. Y. Doubleday s. co, 1956, p. 293-294.
⁶ R. S. Kennedy. The Window of Memory. Chapel Hill, The Univ. of North Carolina Press, 1962, p. 286.
⁷ New York Times Book Review, November, 24, 1935, p. 6.
⁸ H. Muller. Thomas Wolfe. In The World of Thomas Wolfe. Norfolk, Conn., 1947, p. 126.
⁹ R. Walzer. Thomas Wolfe. An Introduction and Interpretation. N. Y., Barnes & Noble, 1961, p. 124.
¹⁰ T. B. Bishop. The Sorrows of Thomas Wolfe. In The world of Thomas Wolfe, p. 94.
¹¹ Bruce R. Mc Elderry. Thomas Wolfe: N. Y., 1964, p. 116.
¹² Th. Wolfe. The Hills Beyond. The New American Libr., N. Y.-Toronto, 1968, p. 146.
¹³ Edw. C. Aswell. A Note on Thomas Wolfe. In: Th. Wolfe. The Hills Beyond, p. 298-299.

¹⁴ Th. Wolfe. The Hills Beyond, p. 146.
¹⁵ Th. Wolfe. The Hills Beyond, p. 147.
¹⁶ R. E. Spiller. Full circle in The World of Th. Wolfe, p. 164.
¹⁷ L. Hartley. Theme in Th. Wolfe's «The Lost Boy» and «God's Lonely Man» in «Three Decades of Criticism», p. 270.
¹⁸ Edw. A. Bloom. Critical Commentary on «Only the Dead Know Brooklyn» in «Three Decades of Criticism», p. 266.
¹⁹ ნატან ლ. როტმანი ვულფს აღარებს ჭოისს, ის ცდილობს საერთო მონახოს ჭოისის „ულისეს“ და ვულფის „სიკედლიდან დილაშდ“ კრებულიის მოთხრობებს შორის. კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ „ულისეს“ მეთორმეტე ეპიზოდში „ციკლოპებში“ მოცემული მოლაცხე, მონეტალე მოქალაქის ტიპი აღდგენილია ვულფის მიერ თავისი პირვანდელი სახით მოთხრობაში „მხოლოდ მკვდრები იცნობენ — ზრუკლინს“. ეს აზრი სიმართლეს მოკლებული არ არის. მართლაც, ჭოისისა და ვულფის მონეტალეებს შორის შეინიშნება მსგავსება.
²⁰ Th. Wolfe. From Death to Morning. Charles Scribner's Sons, N. Y., 1963, p. 97.

მარინე ღანელიძე
თომაზ მულფი

²¹ Edw. A. Bloom. Three Decades of Criticism, p. 272.

²² Th. Wolfe. From Death to Morning, p. 95-97.

²³ Трумэн Каноте. Сны в Нью-Йорке. Лит. газ. № 7, с. 13.

²⁴ R. S. Kennedy. The Window of Memory, p. 290.

²⁵ Eliz. Nowell. Th. Wolfe, p. 321-322.

²⁶ ამერიკული ნოველა, ტ. II, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1967, გვ. 269, თარგმ. ც. თოდუროძის

²⁷ H. Holman. Th. Wolfe, p. 177.

²⁸ ამერიკული ნოველა, ტ. II, გვ. 276

²⁹ L. Hartley. Three Decades of Criticism, p. 262.

³⁰ ამერიკული ნოველა, ტ. II, გვ. 280.

³¹ იქვე, გვ. 292-293.

³² H. Holman. The World of Th. Wolfe, p. 178.

³³ Ibid., p. 278.

³⁴ H. Walzer. Thomas Wolfe, p. 127.

³⁵ S. Wallace. Three Decades of Criticism, p. 258.

³⁶ Bruce R. Mc Elderry. Th. Wolfe, p. 114.

³⁷ ამერიკ. ნოველა, ტ. II, გვ. 303.

³⁸ Th. Wolfe. The Hills Beyond, p. 153.

³⁹ ამერიკული ნოველა, ტ. II, გვ. 286.

⁴⁰ L. Hartley. Three Decades of Criticism, p. 266.

⁴¹ ამერიკული ნოველა, ტ. II, გვ. 269.

⁴² S. Wallace. Three Decades of Criticism, p. 259.

⁴³ Ibid., p. 259.

⁴⁴ Д. Урнов. Томас Вулф. Послесловие. Иностран. лит-ра, 1971, № 7, с. 220

⁴⁵ Th. Wolfe. From Death to Morning, p. 121.

⁴⁶ Ibid.

⁴⁷ Th. Wolfe. From Death to Morning, p. 132.

⁴⁸ Ibid.

⁴⁹ Александр Блок. Собр. соч., т. III. Гослитиздат, М.-Л., 1960, с. 37.

⁵⁰ F. C. Watkins. Th. Wolfe's Characters, p. 66.

⁵¹ Bruce R. Mc Elderry. Th. Wolfe, p. 105.

⁵² ნ. ბარათაშვილი. ლექსები. ბედი ქართლისა, წერილები. ტფ., 1922, გვ. 17.

⁵³ Th. Wolfe. From Death to Morning, p. 191.

⁵⁴ Ibid., p. 204.

⁵⁵ R. Walzer. Th. Wolfe, p. 125.

⁵⁶ F. C. Watkins. Th. Wolfe's Characters, p. 69.

⁵⁷ N. L. Rothman. The Enigma of Thomas Wolfe, p. 267.

⁵⁸ Th. Wolfe. From Death to Morning, p. 212.

⁵⁹ F. C. Watkins. Th. Wolfe's Characters, p. 69.

⁶⁰ Bruce R. Ms Elderry. Th. Wolfe, p. 111.

⁶¹ P. Reeves. Th. Wolfe's Albatross, p. 135.

⁶² Ibid., p. 80.

⁶³ Th. Wolfe. From Death to Morning, p. 303.

⁶⁴ Ir. Bruce R. Mc Elderry. Thomas Wolfe, p. 114.

⁶⁵ Th. Wolfe. From Death to Morning, p. 303.

⁶⁶ Ibid., p. 301.

⁶⁷ Th. Wolfe. Letters, p. 339.

⁶⁸ Th. Wolfe. From Death to Morning, p. 14.

⁶⁹ Th. Wolfe's Purdue Speech. Purdue Univ. Studies, 1964, p. 71.

⁷⁰ Th. Wolfe. The Hills Beyond, p. 154.

⁷¹ Th. Wolfe's Purdue Speech, p. 78.

⁷² Ibid., p. 71.

⁷³ Eliz. Nowell. Thomas Wolfe, p. 102.

⁷⁴ Н. А. Анастасьев. Томас Вулф и реалистическая лит-ра США 30-х годов В кн.: Проблемы лит-ры США XX века. Изд-во «Наука», М., 1970, с. 390.

⁷⁵ Th. Wolfe's Purdue Speech, p. 71-73.

⁷⁶ H. Muller. The World of Th. Wolfe, p. 128.

⁷⁷ Th. Wolfe. You can't go Home Again, p. 741.

⁷⁸ М. Ландор. Томас Вулф. Иностран. лит. ра. 1971, № 10, с. 241

⁷⁹ Th. Wolfe, The Hills Beyond, p. 267.



გიორგი სააკაის ქალიშვილის ანე ხათუნის საულავი

1959 წელს თურქმა ისტორიკოსმა ი. პაქი კონიაში გამოსცა სქელტანიანი გამოკვლევა — „არზრუმის ისტორია“ (თურქულ ენაზე). მასში ავტორმა მონოგრაფიულად განიხილა არზრუმის წარსული უძველესი დროიდან დღემდე. ნაშრომში ფართოდაა გამოყენებული ავტორის მიერ არზრუმის პროვინციაში ჩატარებული დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მონაცემები. ავტორს ფეხით დაუვლია მთელი ვილაიეთის ისტორიული ადგილები, აღუწერია და გამოუვლენია საინტერესო ისტორიული ძეგლები, წარწერები და სხვა ხასიათის მასალა. მის მიერ მოძიებული ისტორიული ღირებულების მქონე ცნობები და სხვა პირველხარისხოვანი წყაროები უხვადაა გამოყენებული არზრუმის ისტორიის სხვადასხვა პერიოდის შესწავლისას.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ნაშრომის იმ ადგილმა, სადაც ავტორი მსჯელობს XVII ს-ის 30-იანი წლების არზრუმის ისტორიის საკითხებზე. კერძოდ, ამ პერიოდის არზრუმის ისტორიის გადმოცემისას ი. პაქი კონილის ვრცლად აქვს მოხმობილი ამ ხანის ეპიგრაფიული მასალები, რომელთა შორის ვხვდებით ერთი საფლავის წარწერას, რომელიც, მისი სიტყვით, გიორგი სააკაის ქალიშვილს — ანე ხათუნის საფლავის წარწერა უნდა იყოს. ავტორის ნაშრომში წარმოდგენილი აქვს ამ აკლამის საერთო ხედი, აქვეა წარწერის ფოტოსურათიც. შემდეგ გამოიჭრულია წარწერა და მოცემულია წარწერის არაბული და ლათინოზიგბული ტრანსკრიპცია.

წარწერა დათარიღებულია ჰიჯრის 1059 წლით, რაც ჩვენი წელთაღრიცხვის 1649 წელს თანხვედება. ჩანს, რომ გიორგი სააკაის ქალი-

შვილი გარდაცვლილა 1649 წ. მამამისის სიკვდილით დასჯიდან ოცი წლის შემდეგ. ავტორი ცდილობს დაადგინოს ანე ხათუნის ბიოგრაფია, მაგრამ ამაოდ. მისი ბიოგრაფიის შესახებ ავტორმა თითქმის არაფერი იცის. სამაგიეროდ თურქი ისტორიკოსი შეძლებისდაგვარად ვრცლად გადმოგვცემს ცნობებს გიორგი სააკაის შესახებ, უპირატესად მისი სიცოცხლის ბოლო წლებზე გვიყვება. ავტორი გიორგი სააკაიშზე ამბების გადმოცემისას ძირითადად XVII ს-ის ოსმალთა ისტორიკოსების — ჭათიბ ჩელების, იბრაჰიმ ფეჩევისა და მუსტაფა ნაიმას „ისტორიებში“ დაცული ცნობებით ემყარება. იგი ამ ისტორიკოსთა მონაცემების მიხედვით წარმოგვიდგენს გიორგი სააკაის საქმიანობას და მის უკანასკნელ დღეებს ოსმალეთში. ზემოთხაზოთული ისტორიკოსთა თხზულებებში დაცული ცნობები გიორგი სააკაის შესახებ, თითქმის ყველაფერი ცნობილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ვფიქრობთ თურქი ისტორიკოსის მსჯელობა მის მიერ მოტანილი მასალა გიორგი სააკაის შესახებ, მის მიერ ნაშენი საფლავის წარწერის შინაარსი, ინტერესმოკლებული არ იქნება ფართო მკითხველისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში თითქმის უცნობია გიორგი სააკაის ქალიშვილის ბიოგრაფია. ვიცით მხოლოდ, რომ გიორგი სააკაიშს ჰყავდა შვილი შვილი, ოთხი ვაჟი და სამი ქალი. ვაჟებიდან უფროსი იყო ავთანდილი, შემდეგ პაატა, იორაჰი და დავითი. დოქ. გივი ჯამბურაის მტკიცებით, „ორი უფროსი ქალი გიორგის ირანში გადახვეწა დე ი. ი. 1612 წლამდე გაუთხოვებია. მე-სამე კი 1620 წ. შემდეგ გათხოვილა. უფროსი

ქალი **ფაქობიაზ** მუხრანბატონის მეფულე ყოფილა, ორი ღანარჩენიდან ერთი — ისე უნახს ერისთავისა, ხოლო მეორე — ახალციხელი ფარად ფაშას მეფულე. სხვა არაფერი ვიცით გიორგის ქალების შესახებ¹. მართლაც, გიორგი სააკაძის ერთერთი ქალიშვილი რომ ცოლად ჰყავდა ფერპალ ფაშას ამას „ღამდმოურავიანის“ ავტორიც ადასტურებს. იგი წერს: „ფარად ფაშა ხომ სიძელ მყვა თავდადებ, ზემოვის მკვდარია.“² (სტროფი 234).

გიორგი სააკაძის მესამე ქალიშვილის ქორწინება ახალციხელ ფარად ფაშასთან იგივე ფერ ფერპალ ფაშასთან უნდა მომხდარიყო 1620-1624 წლებში.³ ფერპალ ფაშა ათაბაგთა გამუსლიმანებული ნაომიავალი ჩანს და სააკაძისათვის მასთან დამოყვრება ყოველშორევი გამართლებული უნდა ყოფილიყო. საქიროების შემთხვევაში ახალციხელ ფაშათა საგვარეულოს წარმომადგენელს ადვილად შეეძლო ოსმალეთის სულთნისათვის წარედგინა გ. სააკაძე და გარკვეული რეკომენდაციაც გაეწეა. როდესაც გ. სააკაძე დახმარების სათხოვნელად ოსმალეთის სულთანთან მიდიოდა, მთელი თავისი ოჯახი მან სწორედ სამცხეში, თავის მოყვრებთან დატოვა და თვითონ მთელი ამალით ოსმალეთს გაემართა.

უფრო საეარუდოა, რომ არზრუმში ნაპოვნი აკლდამა გ. სააკაძის იმ ქალს უნდა ეკუთვნინოდა, რომელიც ახალციხელ ფაშათა-ყაყელთა საგვარეულოს წარმომადგენელზე იყო გათხოვილი. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია გ. სააკაძის ახალციხელი სიძის საქმიანობა, მისი ბიოგრაფია და რაც მთავარია, თუ როგორ მოხვდა მისი მეფულის საფლავი არზრუმში. საფლავის სიდიდე, წარწერის შინაარსი გვაძლევს საფუძველს დაუშვათ, რომ მხოლოდ წარჩინებულის, ან თანამდებობის პირის ოჯახის წევრების ნეშტი შეიძლება ყოფილიყო დასაფლავებული ასეთი პატივით. ჩვენთვის ასევე უცნობია თუ ვის ეკუთვნის ის ორი პატარა აკლდამა, რომელიც ანე ხათუნის საფლავის გვერდით მდებარეობს. მოსალოდნელია, რომ მისი ოჯახის წევრები არიან.

გიორგი სააკაძის სიძის შესახებ საინტერესოა ისებ თბილელის ერთი ცნობა. იგი წერს: „ხელმწიფესა დიდადა სჩანს. მისთვის არის დიდად კარგი ხაზინადარ სიძეთა ყვას. ხელმწიფისა დიდად მარგი.“⁴

ისებ თბილელის მიხედვით, გ. სააკაძის სიძე, რომელიც ჭაყელთა საგვარეულოს წარმომადგენელია, ოსმალთა სულთნის — სამსახურში იმყოფება, ხაზინადარის მოვალეობას ასრულებს. ხაზინადარის თანამდებობა კი საკმაოდ მაღალი პოსტია იყო ოსმალეთის იმპერიაში. ადვილი შესაძლებელია, რომ ფერპალ ფაშა ხაზინადარად ყოფილიყო არზრუმის ვილა-

ეთში და თავისი ოჯახით აქ დამკვიდრებულყო.

ქვემოთ უცვლელად მოგვაქვს თურქი ისტორიკოსის განოკლევის იმ ადგილის ქართულთარგმანი, რომელიც გიორგი სააკაძის ქალიშვილის საფლავისა და გიორგი სააკაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ მომენტებს შეიცავს.

ანე ხათუნის აკლდამა

(გურჯი ბეი მოურავ ხანის ქალიშვილის ანე ხათუნის აკლდამა)

მურად ფაშას მეჩეთის სასაფლაოს სამხრეთ კუთხეში, მთავარ გზაზე, ზედ გზაჯვარედინზე აგურით გადახურული გუმბათიანი აკლდამაა აშენებული. ოთხივე მხარე ღიაა. აკლდამაში ქვის სამი ურნაა. რადგანაც დიდ ურნას წარწერა არა აქვს, შეუძლებელი ხდება განსვენებულის პიროვნებისა და გარდაცვლილის თარიღის დადგენა. ორ პატარა ურნაზე ამოტვიფრული წარწერებიც არ იკითხება. მხოლოდ აკლდამის ჩრდილოეთ მხარის მარცხენა კუთხეში 32,5×42 სმ. მარმარილოზე ძალიან ლამაზი არაბული შრიფტით, ოთხ ბწყარად ეს წარწერა იკითხება:

1. ვაი რომ წარვიდა ჩვენგან ასული მოურავ ხანისა — სწორსუჯარხი ხილამაზისა იყო.
 2. ოდეს წარდგა სამოთხეში თავისი მშვენებით — პურიები შენატროდნენ და მსახურებდნენ მას.
- 3 (დამათარიღებელი ხიტყვებია) — უღროოდ მიიცვალა ხატკეთილა ჩემი ანე ხანუმი, ვაკლამა!

წელი 1059.

წარწერის მიხედვით აქ სულთან მეჰმედ IV-ის დროს ჰიჯრის 1059 წ., ჩვენი წელთაღრიცხვის 1649 წ. გარდაცვლილი მოურავ ხანის ძალიან ლამაზი და ტურფა ქალიშვილი ანე ხათუნია დამარბულია. აკლდამაში მდებარე დიდ ურნა მას ეკუთვნის.

ხალხი ამ აკლდამას ანე ხათუნის აკლდამას უწოდებს. ეს სახელი არზრუმში ძველთაგანვე ძალიან პოპულარული და გავრცელებულიყოფილა. ბევრ არზრუმელს საკუთარი ქალიშვილისთვის ამ სახელის დარქმევით სურს გამოხატოს თავიანთი პატივისცემა განსვენებულის მიმართ. არზრუმის წმინდან და მფარველ მანაკაცებსა და ქალებს შორის ეს ანე ხათუნის იხსენიება, ისმის კითხვა — ჰიჯრის წელთაღრიცხვით 29 წლით აღრე გარდაცვლილი ხათუნის მამა, იმ ხათუნისა, რომელსაც თავის სულამაზის გამო სამოთხეში მურებიებიც მსახურად დასდგომიან, ვინ არის: იმ იშვიათი სიტუტრდის — ანე ხათუნის მამა მოურავ ხანი ვინ არის? არზრუმის ისტორიით დაინტერესებულ არც ერთ აღმოსავლელ და დასავლელ ისტორიკოსს ეს საკითხი არ გადაუწყვეტია.

სატყუანეს მიღწევულმა ზოგიერთმა ღრმად მოხუცმა არზრუმელმა, რომელთანაც ჩვენ გვეკონდა საუბარი, იმის შესახებ არაფერი არ იცის. რადგანაც წარწერა აქამდე არ წაუეთხიათ, თუ ვერ წაუეთხიათ, მოუტრავ ხანის სახელიც არაყის გუფგია.

ჩვენ ამ წამოვრილ საქითხებზე განვიხილავთ: მოუტრავ ხანი საქართველოს მეღლიკა (მეფეა). მან ირანის შაჰის — აბას I-ის ლაშქარი და წარჩინებულნი გაანადგურა. შემდეგ ოსმალებს შეუერთდა. ჩვენს ისტორიებში: მორავის, მადრავ ბეის და ხანის სახელწოდებით ხსენებული ეს სახელი წარწერებით დასტურდება, რომ აღმოსავლეთ ანატოლიაში მორავის სახით იმპარებოდა. მოუტრავ ხანმა მის მიერ მოტრავილი უზარმაზარი შორსმეტყობილი ზარბაზნითა და თავისი შეიარაღებული ჯარით არზრუმში აქანყებული აბაზა ფაშას დამარცხებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. როდესაც ისტანბულში მოვიდა, ისლამი მიიღო და სახელად მეჰმედი დაირქვა. მოუტრავ მეჰმედი ფაშასაც ემახდნენ. ქალაქს მისთვის სახელის მსგავსად, მისი ძველი სახელიც იყო გავრცელებული. მტრად IV-ემ გაწეული სამსახურის სწორედოდ ყარაშანის (კონიის) ვილაეთის ბუჯღარბუგობა უბოძა.

კონიაში ზოგიერთმა ყარაშანმა იმით ისარგებლა, რომ მოუტრავმა მათი კანონები და მმართველობის საქითხები არ იცოდა და თავიანთ მიერ ჩადენილი უმსგავსებანი მას (მორავს) მოაწერა. დაასვენეს, თითქოს გურჯისტანში გაიქცაო და თავისი შეილთა და 50-მდე მომხრე მამაკაცით მალათაში შეიპყრეს. პიჯრის 1039 წ. (1629 წ.) სისხლისმღვრელობით ცნობილი დიდებულის — ხურჯუდი ფაშას მტრ ალეპოში უსამართლოდ იქნენ დახოცილნი.

სიკვდილით დასჯის ღრის თეთრწერა და თეთრთმანი ყოფილა. ჩვენს ისტორიებში მოუტრავისა და მის ქვეშევრდომთა მეუღლეებისა და შეიღების შესახებ არაფერს გვაუწყებენ. ცხადია, რომ ისინიც შესლიმანები იყვნენ. ისე ირკვევა, რომ ამ გურჯი ბეის ოჯახი, როდესაც მოჯანყე აბაზა ფაშასგან უკან დაიბრუნეს (არზრუმში), მოუტრავ ხანის მიერ გაწეული მნიშვნელოვანი სამსახურის გამო ქ. არზრუმში დაჰკვიდრებულა.

მოუტრავის ქალიშვილი ანე ხათუნი მამამისისა და მშის სიკვდილით დასჯის 20 წლის შემდეგ გარდაიცვალა და აქა დამარხული. აკლდამისა მდებარე ორი საფლავიც მოუტრავ ხანის ოჯახის (წევრისა). ჩვენ არ ვიცით მათი სახელები (არც ის თუ) ვინ არიან ისინი, ანე ხათუნი გათხოვილი იყო, ქმარი, ვინ იყო, თუ გაუთხოვარი გარდაიცვალა. ვერჯერობით ამ საქითხების გადსაწყვეტად მასალები ხელთ არი გვქვს.

აზლა ირანის ლაშქრის გაანადგურებლისა და არზრუმის განთავისუფლებების დიდი სამსახურის გამწევის მოუტრავ ხანის შესახებ არსებულ ჩემს გამოკვლევას წარმოგიდგენთ.

მოუტრავ ხანი

ისტორიებში მოუტრავ ხანის სახელი ამ ფორმით გვხვდება: მარავ, მორავ, მადრავ, მედრავ. იგი საქართველოს — ქართლის გამგებელი (ბეგი) იყო. ქრისტიანი იყო. საქართველოს მმართველების: გურიის, დადიანის, აჩიკაშისა და არაგვის სამთავროს გამგებლებისა და სხვა ემიგრების სამალეთის იმპერიისადმი დაუმორჩილებლობისა და სუვერენიტეტის მიუღებლობის გამო (ისინი) ირანელთა თავდასხმისაგან დაცული იყვნენ. შემდეგში, ირანის შაჰები მათ თავიანთ მხარეზე გადმოსახიბრებლად ოსმალეთის წინააღმდეგ მტრობასიძუტულილ უნერგავდნენ.

სულთან ამედიის ღრის საქართველოში ერთი სასამოვნო (ვარგნობის), ლამაზი და ცნობილი გამგებელი იქდა, რომელსაც თეიმურაზი ერქვა. შაჰ აბასმა მრავალი საშუალებით მიზნას მიადწია და ეს ბავშვი მოინადირა — თავისთან გაზარდა, შემდეგ იგი თეიმურაზ ხანის ტიტული გურჯისტანის მთავარ ქალაქ ზაგუმში გაავაზნა. პირველ ხანებში ეს უფლისწული ირანელთა ინტერესების შესახებმისად მოქმედებდა. შემდეგ შაჰ აბასთან უთანხმოება მოუფიქრა და ოსმალთაგან — ვანის ბეგლარბეგის — თურქზე ბილმუზ ჰუსეინ ფაშასგან დახმარება ითხოვა. მამონათვე, დახმარების აღმოჩენამდე გურჯისტანის ლაშქრით ირანს თავს დაესხა, ჯარი გაანადგურა.

შაჰ აბასმაც თეიმურაზ ხანის წინააღმდეგ გურჯისტანის (ქართლის) ბეგის მოუტრავის დახმარებით ძალდებით განიმტკიცა და თავს დასასახმელად გამოემართა, მის მფლობელობაში არსებული მთელი დასახლებული პუნქტები და სოფლები იავარპყო. ქალაქი ზაგუმი დაანგრია, გადაწვა და აქ, თავისი (ხელქვეითი) ირანელი ფეიქარ სულთან ბეი დანიშნა. ირანელთა სულთანმა მთვმსა და ხეობებში შეფანტულსა და თავშეფარებულ ქართველებს ზაგუმში მოუხმო, სათესლე მარცვლული უბოძა და უბრძანა მინდორ-ველები დაემუშავებინათ. მოკლე ხანში ქალაქში 10,000-მდე იარაღის მატარებელი ქართველი ახალგაზრდა შეგროვდა (მათმა სიმრავლემ) თვითონ შეიფიქრიანა და ბოლოს შაჰისგან დახმარება ითხოვა, შაჰმა თავის კორუქობაში ყარაილი-ხანს მოუტრავ-ბეგიც შეუერთა და რამდენიმე ათასიანი ლაშქრით (ვითომ) ქალის შერთვისადა დათვალეერების მომიწეხე-

ნოდარ უნგაძის
გიორგი საბაძის ძალიშვილის
ანე ხათუნის საფლავი

ბით საქართველოში გააგზავნა. შაჰმა ყარჩილის უბრძანა, რომ საიდუმლო წერილსა და ფირმანს დალოდებოდა და მოურავ ხანისათვის არავითარი რჩევისათვის არ მიემართა. ყარჩილია ხანმა მოითხოვა, რომ ქალაქებში მიადგინებინა ხმამაღლა გამოცხადებინათ — ვინც შაჰის მეგობარია, მოწყალების მისაღებად დასათვალისწინებლად დანიშნულ ადგილზე შეკრებილიყვნენ. 12 ათასამდე ქართველი ახალგაზრდა დათქმულ ადგილზე შეიკრება. ამ დროს შაჰისთან საიდუმლო ფირმანი მოვიდა, იუწყებოდა, რომ:

„შენ რომ კორუქობაში ხარ, გევალება დათვალისწინების ადგილზე შეკრებილი ქართველები მთლიანად ამოხოცო. მოურავიც ცოცხალი არ დატოვო, რაც არ უნდა დაგვიდეს უნდა მოკლა“.

ფირმანის მომტანმა უკუღმა გაიგო შაჰის ბრძანება, წერილი მოურავ ხანსაც უჩვენა. მანაც შეკრებილ ქართველებს მაშინათვე იცნობა (შაჰის) ავი განზრახვა, მაგრამ მათ არ დაიჯერეს. მოურავი თავის ლაშქართან ერთად დიდი ყურადღებითა და სიფხიზლით შედგეს დაელოდა.

ირანელებმა ხეობის გასასვლელი ხაიდუმლოდ დააკავეს, დაბრუნებულ ქართველებს თავს დაესხნენ, ოთხასი კაცი ხმლით აკლეს. ვინც გადაურჩნენ მოურავ ხანის მიერ მიწოდებული ცნობის სისწორე ირწმუნეს და დაიბნეტივნენ.

ფეიქარ სულთანი და ყარჩილი ვითარებას ყურადღებით ადევნებდნენ თავს. მოურავმა დროის დაუკარგავად ქართველ წარჩინებულებს საიდუმლოდ აუწყა და უბრძანა, რომ მეორე დღეს განთიადისას ირანელებს ერთად თავს დასხმოდნენ. დათქმულ საათზე მოურავი ყარჩილის კარავთან მივიდა და უთხრა:

— ჩემო ხანო, რას დამდგარხარ, თეიმურაზი მოვიდა, მოულოდნელად თავს დაგვესხა. ყარჩილი ცხენზე შევდა და როგორც კი გარეთ გამოვიდა შუბი წელზე ჩასცა. იგი მაშინათვე მიწაზე დასცა, მოკლა. მოურავისა და თეიმურაზის ლაშქარიც იერიშზე გადავიდნენ და ირანელთა ხანები და ჯარი ხმლით აკლეს. ამის შემდეგ მოურავმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მოისურვა, რომ მთელი ქართველები მას დამორჩილებოდა. ფულებიც მოსჭრა ზედ წაწერით: მონა წმინდანობის შაჰისა — მოურავ შაჰა.

შაჰ აბასმა მოურავის წინააღმდეგ კორუქობაშის ისპაჰისა და ემირგუნე ხანების მეთაურობით ახალი ძალები გააგზავნა. მაგრამ ემირგუნენ და სხვა მხედართმთავრები დაიჭრნენ. ირანის ლაშქრის უმეტესობა ხმლით იქნა აკლეს. თეიმურაზ ხანს ირანელთა თავდასხმის შეეშინდა და ყარჩის მხარეს გაიქცა, იქ დასვირნობდა და შედგეს ელოდა. მოურავი სპარსე-

ლებს დაედგინა, განჯა გადასწვია და საქართველოში დაბრუნდა, ქალაქ ზაგეში ქართველების ტახტზე დაჯდა. თეიმურაზი ქართველ მეფეთა შთამომავალი იყო. ქართველები მოურავის მბრძანებლობას ვეღარ იტანდნენ. მოურავმა თეიმურაზს ცხენი და ბევრი საჩუქარი გაუგზავნა და მოსთხოვა წერილობითი მორჩილება გამოეცხადებინა, რადგანაც ხედავდა, რომ თავისი სიცოცხლე სართხეში იყო.

ნაიმა ამ ცნობის მოწოდების შემდეგ წერს, რომ მოურავი თავისი კაცებით რუმის ქვეყანაში (ოსმალეთში) გაიქცაო და ამით ამოავრებს თავს (დაწვრილებითი ამბავი საქართველოსა და ყიზილბაშებისა).⁸

ეს ისტორიკოსი უფრო ზემოთ 1034 წლების ამბების გადმოცემისას, საქართველოში ყიზილბაშთა ლაშქრის დამარცხების შესახებ ირცა გვეყვება აღნიშნავს, რომ მოურავ ხანმა როდესაც ყარჩილია მოკლა 30.000 ყიზილბაშთა ლაშქრიდან 27.000 ხმლით აკლეს. მოურავ ხანმა ყარჩილის, მისი შვილის, ემირგუნე ხანის კახიდან ხანის შვილის და ხანების შირვანის ხანი იუსუფ ხანის, მეჰმედისა და სულეიმანის (მოჭრილ თავებთან) ერთად. ათი სულთნის მოჭრილი თავი წითელ ქსოვილებში შეახვია, ირანელთაგან წართმეული კარავი, დროშები, ბუკები და დიდი დოლები, 6.000 ირანელთა ლაშქრის მოჭრილი თავი და ოცამდე მონე (ცოცხალი ირანელი) ოსმალთა სარდალს გაუგზავნა; თვითონაც, თავისი შვილითა და საქართველოს ზოგიერთ წარჩინებულთან ერთად რამზანის 21-ე დღეს სახელმწიფო ლაშქარში (ოსმალეთის ლაშქარში) მოვიდა. მოჭრილი თავები საითითოდ ჯოხებზე წამოაკვეს, მოგარევილი ნადავლი ირანის კარვის, დოლებისა და ბუკების თანხლებით ჩამოატარეს. შემდეგ მოურავ ხანი ამისის ბუე მეჰმედ ბეგთან ერთად ისტანბულში გაიგზავნა.⁹

სინამდვილეში მოურავ ხანმა ირანელთა დამარცხებისა და მათი შვიდი სახელოვანი ხანის დახოცვის შემდეგ თავისი შვილი და ფეჩევის გადმოცემით, საქართველოს ზოგიერთი მელიქი, ოსმალეთის ლაშქარში გაგზავნა და სარდალ ჰაფიზ ფაშასაც წერილი მისწერა.

ამ წერილში შემდეგი იყო ნათქვამი: ოსმალეთის სახელმწიფოს ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა არ ჰქონია, დაუყოვნებლივ ისლამის ლაშქრით ამ მხარეს წამოიღო. როგორც კი მოხვალთ ნურავითარი გჭვი ნუ გექნებათ, მთელი ყარაბაღის, განჯის, იერუსა და შირვანის ოლქები მაშინვე დამორჩილდებიან. ესენი ყიზილბაშთაგან ზურგმეტეული სუნიტი მუსლიმანებია. არდებილი და მეშველი ადვილად იქნება დაპყრობილი. გარდა ამისა ირანისადმი კვლავ ცეცხლის დაშენა ძალიან ადვილია. აქლემის, სახედრის, პროვიანტის, ზარბაზნის და სხვა გადასატანი საქურვლის ფქვი ნუ გექნებათ.



ესენი რამდენიც საჭირო იქნება ყველაფერი აქ არის. ალაპის წყალრბით ისლამის ლაშქარი იმდენად ბევრ ნადავლს აიღებს, იმდენ ძალსა და სიმბნვევს მოიპოვებს, რომ სანამ ღუნია იარსებებს, ეს გამარჯვება გულბში ლეგენდად დარჩება.¹⁰

მოურავ ხანის შვილმა და მასთან ერთად მყოფმა ქართველმა ბეგებმა ზებირადაც ურჩიეს დიდგვზირსა, და დიდებულ სარდალს ჰაფიზ ფაშას¹¹ საქართველოსაკენ გამგზავრებულოყნენ. რადგანაც ჰაფიზ ფაშა ფადიშაჰის მიერ ბაღდადზე (სალაშქროდ) იყო დანიშნული, ამ თხოვნებს დადებოდა არ შეხვდა. მოურავის შვილი და გურჯისტანის წარჩინებულები ფაშას რამდენიმეჯერ ეახლნენ და წავიდნენ. სარდალისგან მიღებული პასუხი ეს იყო: — ბედნიერმა ფადიშაჰმა ჩვენ ბაღდადის დასაპყრობად დაგვნიშნა. ჩვენ გურჯისტანისა და შირვანის ოლქებში არა ვართ დანიშნული...

ღვეთერდარი ისტორიკოსი ფერაილი იბრაჰიმ ეფენდი, რომელიც იმ დროს ლაშქრობაში იმყოფებოდა, მოურავის მიერ ფაშას მოპატივებას იწონებს, მაგრამ თავისთავად ამ ღონისძიების განხორციელება მას საეჭვოდ მიიჩნია, როგორც კი უშედეგო აღმოჩნდა მისი რჩევადარიგება, (იგი) იანიჩართა აღს — ხუსრევ აღას გადაბარაღა.

— ჩვენ დამოუკიდებელნი როდი ვართ, სარდალისადმი მორჩილების გარდა არაფერი გვევალება!... ასეთი პასუხი გასცა. ფეჩევიმ თავის ისტორიაში ეს საკითხები როგორც კი ყოველმხრივ დაადგინა, დასძინა, რომ ჰუსრევ აღას ჰაფიზ ფაშას წარმატებები არ უნდოდა და ამიტომ გასცა ასეთი პასუხიო. ქათბი ჩელები თავის ფეზლექეში მიუთითებს, რომ ფეჩევის მოსაზრება და რჩევადარიგება არაა სწორიო.¹² ჰაფიზ ფაშამ ბაღდადი ვერ აიღო. ფეჩევის სურს თავისი მოსაზრების სისწორე ამით დაედასტუროს. მაგრამ ქათბი ჩელები კი შემდეგს ამბობს:

ჰაფიზ ფაშამ ფეჩევის სიტყვებს დაუყარა და იმ რაიონში გამგზავრება უახრობად მიიჩნია. ვილაითის დანგრევიტ ირანის შაჰი ბაღდადს მოგვემდა? როდესაც ბაღდადის დასაპყრობად ხარ დანიშნული და სხვა რაიონში მიდიხარ, თუ გამარჯვებას ვერ მიღწევი, ვისაყვედურებენი წარსულში სულთან სულიეიმანიც ნახქევანს თავს დაეცა და მისი შედეგები ისტორიებშია ჩაწერიღი. თუმცა ჰაფიზ ფაშა ბაღდადს თავს დაესხა, ვერაფერი გააწყო. მხოლოდ ლაშქარმა მიიღო გამოცდილება და ცნობილი გახდა, რომ ბაღდადის ადვილად დაპყრობა შეუძლებელი იქნებოდა.

ნაიმას თქმით, მოურავ ხანმა როგორც კი დაინახა, რომ მისი სურვილები არ დაემაყოფილეს, რჩეულებითა და ხელქვეით აზნაურთა ერთი ჯგუფით რუმის მხარეს გაიქცა და

ოსმალეთის სახელმწიფოს შეათარა დასაწყისში სურდა სარდალი ჰაფიზ აჰმედ ფაშა იმ რაიონში მოეყვანა.

მუჰარემის თვეში ქართველთა მიერ უზიღბაში მოჭრილი თავები ისტამბულში გაიგზავნა. სახელმწიფო კარის წინ იქნა დაყრილი და ხალხისათვის გამოფენიღი.¹³

იმავე ნაიმიდან ეგებულობთ: 3. 1037 წ. 1627 წ. ამბების გაღმოცემისს ერზერუმის გარემოცვის ამბის დასაწყისში ნაიმა წერს, რომ როდესაც დიდგვზირი და დიდებუღი სარდალი ჰალიფ ფაშა ძველი სიღაპდარი და ჩირაღი იყო. აჯანყებულ აბაზა ფაშას ერზერუმში წინაღღმდეგობა გაუწია. ჰალიფ ფაშა მოურავ ბეის მიერ მოტანიღი ერთადღერი შორსმტყორცნელი ზარბაზნის გარდა ციხის დასანგრევი ზარბაზანი არ ჰქონდა. სარდალს უნდოდა ზარბაზნებით ციხის დანგრევა. ამ დროს საფერის მეოთხეს, გურჯისტანის მამაცი და სახელოვანი განმგებელთაგანი მოურავბეი, რადგანაც თავის ქმარე რალაც მიზნის გამო გაბრაზებუღი იყო, ოსმალეთის სახელმწიფო ლაშქარში ერთი ზარბაზნით მოვიდა და ამრიგად ოსმალთა ლაშქარმა სიძლიერე და სიხარული მოიპოვა. ოღი ზარბაზანიც ოღთის ციხიდან მოიტანეს. სამი ზარბაზნით ციხე ვერ აიღეს.¹⁴ თოვლი მოვიდა. ლაშქრის კარგები თოვლის ქვეშ მოყვა და რადგანაც ლაშქრის უმრავლესობა იყინებოდა, უკან დააბრუნეს. ეს ჰალიფ ფაშას დიდგვზირობიდან და სარდალობიდან გადაყენების მიზეზი გახდა.

ერთი წლის შემდეგ დიდ გეზირად და სარდალ დანიშნული ხუსრევ ფაშა ერზერუმის აბაზასაგან გასანთავისუფლებლად გაიგზავნა. აჯანყებულმა აბაზა ფაშამ ირანის შაჰისაგან დახმარება ითხოვა. სარდალმა გაიგო, რომ შაჰმა შემის ხანის მეთაურობით მცირე ძალები გამოუგზავნა. აბაზას დაუდღერობის გამო მთელი ძალები და შესაძლებლობები გამოიყენეს და ერზერუმის ციხე გარემოცივეს.

ნაიმა როდესაც გარემოცივეს იგონებს, აღნიშნავს, რომ: ციხე ალყაშემორტყმულ და ზარბაზნები დაყენებულ იქნა. დიდგვზირი რუმელიის ლაშქრით ჰასან ფაზა ვაროშის მხარეს შვიღი ზარბაზნით დაღვა. იანიჩართა აღამ სივასისა და ანატოღიის ლაშქრით ერზინჯანის კართან ხუღი ზარბაზნით პოზიცია დაიკავა. აჰმედ ფაშამ — გუმუშ გუმბეთის მხარეს და მოურავ მეჰმედ ბეიმ გურჯულ კაფუსთან დაგორბეი გათხარეს და გასასვლელიც გააკეთეს.¹⁵

აბაზა დამარცხდა. ხუსრევ ფაშამ იგი ისტამბულში ჩამოიყვანა, რადგანაც ამ ამბების დროს მოურავ ბეის სახელის გვერდით მეჰმედღი იხსენიება და თუ ამ ბრძოღამდე მუს-

ნოღარ შინგალის
გიორგი სპაპაძის ქალღმობღის
ანი ბათუშის საფლავი

ლიმანობა ჰქონდა მიღებული (ეს იმიტად დასტურდება, რომ ზ. 1039-1629 წ: ამბების გადმოცემისას თავში „მოურაგ ბეის ამბები (კონიის მოსახლეობა)“, ისტორიკოსი რ. გორც ვიცით, აღნიშნავს, რომ ბეგის ვრზერუ- შის ლაშქრობიდან ისტამბულში დაბრუნების შემდეგ, უნილბაშთა განადგურებით, სასტ- ლისადმი მორჩილებით და ვრზერუმის დაშქ- რობაში მონაწილეობის მიღებით ფაღიმანი- ვაიხბარი და რადგანაც თავისი სურველითაჲ მუსლიმანობის მიღებით სახელად მეჰმედი და- ბრეჯე, ყარაბაღის ვილაიეთის ბეგლარბეგობად მას ებრძა.

მოურაგ მეჰმედ ბეი მიმიცი, ძლიერი, სა- ლოსავით დიდტანიანი, უსამართლობისა და ძალმომრეობისადმი მისწრაფებულ კაცი იყო, როგორც ისტორიკოსი აღნიშნავს, სახელმწი- ფოსა და მართვის საქმეებში ძალიან ვაჩოტ- დელი ყოფილა. თურქულ-ოსმალური იმპო- ველობა, მუსლიმანი ხალხის თავისებურებანი არ იყოდა. კონიაში მოხუცებულ ადამიანთაგან ერთი ხუცესი (ქრისტიანი) მეთესალიბად დანიშნა. ქართველი გვირისათვის ეთაღეთის მიკეიმს გამო ძალიან წინდახეტულმა (ადამი- ნებმა) ეს თხსტრქონიანი სპარსელი ლეჰსი გამოთუქვეს, რომლის მიხედვით მას (მოურავს) ათქმევინეს:

ვსვამ დინოს, ვემ ფლავს,
ამის გამო მე ჩემის ვარჯენობით
ზარს დავმსვავს,
მე არც ცეცხლთაფანისმცემელი ვარ, არც
მუსლიმი, არც თუღველი
მირ-მირანი ვარ ყარაბაღისა — მოურაგა.

კონიაში მოურაგ ბეის მეთესელიმისა და ორმოცი-ორმოცდაათი კაცის უმეტესობა, სა- რსელების მსგავსად, თავზე სხვადასხვა ფერის ქსოვილს იხვევდნენ.

ოსმალური წესებისა და აღზრდისათვის უც- ხო ქართველები ოსმალებს, სძულდათ. (მათ) ხალხის ქონების ჩამორთმევა და ცველობე- ბი დაიწყეს. ზოგიერთ ქალებს თმებს პარსე- დნენ, თავგარკვილი ბიჭებივით ცხენებზე სვამდნენ და დაატარებდნენ.

კონიელები, რომლებიც თავიანთ ეროვნულ იდათებსა და ტრადიციებთან მკაცრად იყვნენ დაკავშირებულნი, თავიანთ ღირსებებს, ეროვ- ნულ სიამაყეს ყველაზე მაღლა აყენებდნენ. (მათ) ეს ცუდი საქციელი არ მოეწონათ და ყოველი ღონე იხმარეს ქალაქ კონიის თავდა- დებულნი და მამაკი მოსახლეობიდან დაწინა- ურებული აკკამ ვმირ ოღლუ იბრაჰიმ ჩელები თავისი კაცებით ერთ დღეს ასლიმის ველზე დაბანაკებულ ქართველებს თავს დაესხა. მუ- თესელიმნი დაიპირეს და კონიის ციხეში დაამ- წყვდიეს. ამის შემხედვარე ქართველები დაი- ფანტნენ. ამის შემდეგაც იბრაჰიმ ჩელები კონიელები შეკრიბა, მოურაგ ბეგის კაცებისა

და მეთესელიმის უსამართლობათა, ძალმომ- რეობის (შესახებ) კოლექტიური საჩივარი შე- ადგინეს და ვილაიეთის უადისაგან წარდგინება აიღეს, უღემასთან, წარჩინებულებთან და ლი- ჩიბებთან ერთად დიდგვინისა და დიდებულ სარდალ ქუსრეგ ფაშასთან იბავლეს და აღხმა- რება მოხორციელეს.

კონიელთა საჩივრების გამო მოურაგე ანა- ტოლიდანი გაიქცა, მაგრამ გზა-კვალი არ იყო- და და თავისი ხალხით შალათის მხარეში ზორ ფაშამ ვგი შეიპყრო სუყველანი შებოქა და ამ დროს ატობოში მყოფ ხუსრეგ ფაშას გაუგზა- ვინა. ხუსრეგ ფაშამ თავისი კარვის კარს გააღო, სკამზე ჩამოჯდა. საშუალო ტანის მოურაგე ზურგზე ყვითელ ხალათოცულს და ხელ- ზე ბორკილადებული ცხენზე შესვეს, ფაშას წინ ჩამოატარეს. თვითონ (მოურაგე) მისი შვილი და სხვა კაცები თან მიყვანენ. სისხლის ღვრას დიდად მოყვარულმა ფაშამ ბრძანა უველისათვის თავების მოკვეთა. ქათიბ ჩელებ- ბი ხოსრეგ ფაშას ეს საქციელი დიდ და სა- შინელ დანაშაულად მიანინა. ვგი წერს, რომ იმ მოხუცე გვირის (დახას), რომელმაც ყარაბაღს ხანი დაამარცხა, ყანილბაშთა ლაშ- ქარი დაიქცია, ოსმალი სახელმწიფოს დიდ სამსახური გაუწია, ცრუ სარწმუნოება უქუაგ- დო და ისლამი მიიღო, ასე მოკვლა არანელთა შაჰის უდიდესი თავგანწირვა თუ არ იყო არა- ვის სჯეროდა. და ამის შემდეგ უხუც ტრმის წარმომადგენელთაგან არავინ მიეხმობოდა ოსმალებს, როდესაც ამას წერს, იგი აღნიშ- ნავს, რომ სპარსელთა შაჰს რამდენიმე ათა- სობით იუქე ახჩა რომ გაედო და ოლქები ებოძებინა, ფაღიმანიშა წინაპარი ამ საქმეს (მოურავის მკვლეობას) არ დასთანხმდებოდა და გონიერულად არ ჩასთვლიდა. უხუცემა წარ- მომადგენელმა მხოლოდ სისხლის ღვრისადმი სიყვარულის გამო ჩაიძინა ეს საშინელი სიბ- ხეცე.

ქათიბ ჩელების მიხედვით, ეს კაცა (მოუ- რაგე), რომელიც ქართველი იყო და ქართული მმართველობისა და ხელისუფლების გარდა არაფერი იცოდა, ისლამის ქვეყნების მდგომა- რეობას არ იცნობდა. მისაღმი დავალებულ საქმეებს დაუდევრად ექცეოდა. როდესაც კონიაში იმყოფებოდა. ზოგიერთმა მოჭანვემ უსამართლობანი და ცუდი საქმეები ჩაიძინა და (ყველაფერი) მას მიაწერეს... ამის შემდეგ კი მას უთხრეს: ხუსრეგ ფაშა სისხლისმღვრელი კაცია, შენზე შერს იძიებს... გეშინოდეთ რომ მოკლას, გაიქციეო, საწყალი წააქეხეს. იგიც, რადგანაც არცერთი ადგილი და გზა არ იყო- და მეგზურის გარეშე გზას გაუღდა... ისევ ამ ყაჩაღებმა ხმები გაავრცელეს, რომ გურჯის- ტანში გაიქცეო...

ქათიბ ჩელები თავის აზრს ამრიგად ამოთე- რებეს: დაეუწყეთ, რომ (მოურაგე) ხალხს ჩავ-

რავდა, კიდევაც რომ დადასტურებულყო
მის მიერ ჩაღწილი ძალმომრეობა, მას საზო-
გადოებრივი უფლებები უნდა ჩამოართვიდა
და უნდა განსამართლებულიყო. შემდეგ გოფრ-
ანბლებს უნდა მისცემოდა, რომ ამიერიდან
ასეთნაირი ძალადობა არ ჩაედინა. უფრო
შესაფერი და მიზანშეწონილი იყო ასეთი (ლო-
ნისძიებებით) დამკაფილებულიყო ასეთი
დირსეული და სახელოვანი კაცის სიკვდილით
დამსჯა უდიდესი მტხანათობაა. მაგრამ ნათქ-
ვანმა კაცის მკვლელი უკაცს ხელითვე მოკვ-
დებო. თითონაც ასეთივე ბედი ეწია და
(მსგავსი) სასჯელი მიეზღო.¹⁶

სიჯილი ოსმანის ავტორი მოურავის შესა-
ხებ შემდეგ წერს: მეჰმედ ფაშა მოურავი
ტართველია. ირანელებთან ომების დროს მთ-
დამარცხებასთან ერთად ერზერუმის ლაშქარ-
ბაში მოვიდა და დიდებულ სარდალს დემო-
რია, მის შვაფარა თავი. ისტამბულში გაიგზა-
ვნა, ისლამი მიიღო. მეჰმედი დიარქვა, კაფუ-
ჯიბაშობა ებოძა და სახელმწიფო ლაშქარში
გაიგზავნა. იქ კონიის ბეგლარბეგი გახდა
პ. 1038 წ. შეიღთან ერთად მოკვდა, საშუალო
ტანის თეთრწვერა მამაცი იყო.¹⁷

შენიშვნები:

¹ გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბ. 1964, გვ. 39.
² იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გიორ-
გი ლეონიძის რედაქციით, თბ. 1939, გვ. 35.
³ გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ. გვ. 119.
⁴ იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გიორ-
გი ლეონიძის რედაქციით, თბ. 1939, გვ. 62.
⁵ ფეჩევის ისტორია, ტ. 2, გვ. 403-ში მარა-
გვ — წერია. ნაიშას ისტორია, ტ. 2, გვ. 345-
ებზე მღრავ წერია. გვ. 416--ზე, 344-351-ზე და
ტ. 3, გვ. 4-6-ზე მღრვ — წერია ქათიბ ჩელე-
ბის ფეზლქეშეში ამავე ფორმით გვხვდება,
გვ. 88.
⁶ ევლია ჩელეები მას თემრას ხანის სახით
წერს. ტ. 2, გვ. 314. ისლამის ენციკლოპედია-
შიც თვამურაზის სახით იხმარება.
⁷ ისლამის ენციკლოპედიაში ქართლის სა-
ხითაა წარმოდგენილი.
⁸ ნაიშა, ტ. 2, გვ. 344-352.
⁹ იქვე, გვ. 346.
¹⁰ ფეჩევის ისტორია, ტ. 2, გვ. 404.

¹¹ მურად IV-ემ დიდვეზირი ჩერქეზ მეჰმედ
ფაშა სარდალად დანიშნა და ირანელთაგან დაპ-
ყრობილი ბაღდადის უკან დასაბრუნებლად აგ-
ზავნიდა. რადგანაც მეჰმედ ფაშა გზაში გარ-
დაიცვალა, დიდვეზირის ბეჰედი და სარდალო-
ბა დიარბექიარის ბეგლარბეგ კაფიზ ფაშას უბო-
ძა. ნაიშა, ტომი 2, გვ. 343.
¹² „ფეზლქეშე“, ტ. 2, გვ. 78.
¹³ ნაიშა, ტ. 2, გვ. 356. ეს პ. 1035 წ. ამბე-
ბის დროს მოხდა.
¹⁴ ნაიშა, ტ. 2, გვ. 434.
¹⁵ ფეჩევი, ტ. 2, 49-ე გვ-შიც აღნიშნუ-
ლია: რადგანაც ზარბაზანი არ ჰქონდათ და
და არც სხვა საუკრეველი გააჩნდათ, მხოლოდ
გურჯი მელიქის მოურავის მიერ მოტანილი
ზარბაზნით იქნა თავდასხმა დაწყებული.
¹⁶ პ. 1041-1631 წ. თოქათში ჯალათ ლურის
მიერ თავის მოკვებით იქნა დასჯილი. ნაიშა,
ტ. 3, გვ. 87.
¹⁷ იქვე, გვ. 153.



ქართული ლიტერატურის კვლევების ბაროკოს გამო

ქართული ლიტერატურის კვლევების ბაროკოს გამოწვევები, თანამედროვეობის მოთხოვნებიდან შესატყვისი ისტორიის შექმნა ჩვენი ლიტერატურული მკვლევების ერთ-ერთი მთავარი ამოცანათაგანია. ამ ამოცანის წინაშე ქართული ლიტერატურათმცოდნეობა დგას სერიოზული ფილოლოგიური, ტექსტოლოგიური და კრიტიკული შტუდებით, „ლიტერატურის ისტორიის“ საფუძვლისდამდები ტომებით. და მაინც, ამჟამად, რომ ლიტერატურული პროცესების კანონზომიერებათა ანალიზი, წმინდა კონცეფციური მომენტები არ შეიძლება მივიჩნიოთ გადაწყვეტილად. ფილოლოგიური გამოკვლევები იშვიათად მალდებიან ქართული კულტურის მიღწევათა თავისებურ ფილოსოფიურ გაცნობიერებამდე. ქართული ლიტერატურული ქმნილებების ტიპოლოგიური და კომპლექსური შესწავლა, მათთვის კუთვნილი ადგილის მიჩენა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში კვლავ რთულ პრობლემად რჩება. ამ საკითხს უკავშირდება ის გარემოება, რომ ჩვენი ლიტერატურის მრავალი მოვლენა ჯერ კიდევ არაა განსაზღვრული სათანადო ცნებებით, ხოლო ზოგჯერ ამ ცნებებს აკლიათ სიზუსტე და ღრმა საფუძველი. არაა გამართლებული, მაგალითად, რომ მთელი სოციალური მონაკვეთი ქართული ლიტერატურისა აღინიშნება ისეთი უბრალო პირობითი და ზოგჯერ საკმაოდ უზერხელოების შემქმნელი ცნებით, როგორცაა „აღორძინების პერიოდის ქართული ლიტერატურა“. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა სულ უფრო ქმედითად ემყარება რთულ საკითხებში, სულ უფრო ავტოტოებს და ამრავალფეროვნებს თავისი მუშაობის ასპექტებს, არ ვრიდება სიმწიფესა და პრობლემურობას. ერთ-ერთ მეტად სერიოზულ ნაშრომად, რომელიც ეხება ჩვენი ლიტერატურული მკვლევების არა ერთ საკვანძო საკითხს, მიმაჩნია გიორგი გაჩეჩილაძის ნარკვევი

„ბაროკოს პრობლემა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ამოცანები“ („ლიტერატურული საქართველო“, 1972, № 29-30). ეს ნაშრომი ყურადღებას აბრუნებს თავისი კონცეფციური მომენტებით. ავტორი ხშირად არღვევს ჩვეულ წარმოდგენებს მე-16-18 საუკუნეების ქართულ ლიტერატურაზე, რომლის შესახებ ახალ თვალსაზრისს, ახალ ცნებებსა და მიდგომას გვთავაზობს. ამ ნაშრომის ერთ-ერთი დიდი ღირსებაა კვლევის მასშტაბურობა; გ. გაჩეჩილაძე თავს არიდებს ეროვნულ-კარნავალური კვლევის ზღუდეებს და ქართული სულის უმაღლეს გამოვლინებებს სულ ცოტა სამი საუკუნის მანძილზე ევროპული ლიტერატურის ფონზე განიხილავს. მე ამ მხარეს იმიტომ აღვნიშნავ, რომ კომპარატივისტული ასპექტის სისუსტე და ზოგჯერ სრული უქონლობა ხშირად ვნებს ჩვენს გამოკვლევებს. ავტორის მთავარი დებულება ისაა, რომ დასავლეთ ევროპის კულტურასთან საკულისხმო შეხების გარეშე ქართულმა ლიტერატურამაც შექმნა მანერისმი, ბაროკოს, კლასიციზმის ტიპის ლიტერატურა, რომლის ცალკეული ნიმუშები არ ჩამოუვარდება ევროპული კულტურის საუკეთესო ქმნილებებს. ამ დებულებით ავტორი ნათელყოფს ევროპული ლიტერატურის რომელ პერიოდთან, რომელ და როგორი ტიპისა და სტილის მწერლებთან და ნაწარმოებებთან ამდევნებს ტიპოლოგიურ ნათესაობას თეიმურაზ I თუ გურამიშვილის ხანის ქართული ქმნილებები.

ევროპული ლიტერატურის ფონზე უფრო მკვეთრად იკვეთება ქართულის ეროვნულ-ლიტერატურული თავისებურებანი. თავის მხრივ ქართულ ლიტერატურას, მისი ევოლუციის მეტად გამოჩენილი, დასავლეთ ევროპისაგან არსებითად დამოუკიდებელი განვითარების გამო ძალუძს დიდი წვლილი შეიტანოს ზოგადად ბაროკოს თეორიის პრობლემატიკაში.



გ. გაჩეჩილაძის მიერ დამუშავებული რთული, მნიშვნელოვანი და დროული საკითხი, რომელიც მკიდროდ უკავშირდება თანამედროვე უცხოურ და საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ ძირითად პრობლემატიკას.

ვალდებულად ვთვლი თავს, რადგან საქმე შეეხება ჩვენი კულტურის, ჩვენი მეცნიერების მეტად სერიოზულ საკითხს, გ. გაჩეჩილაძის დებულებებისადმი ყურადღების გამახვილებით და საქმიანი შენიშვნებით ხელი შევეწყობო ქართული ლიტერატურის მთელი პერიოდის ახალი თვალსაზრისით, ახალი პოზიციიდან კვლევა-ძიებას.

მე მინდა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გავამახვილო იმ ფაქტზე, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ის ნიშანსვეტია, რომლისადმი ორიენტირებულია ქართული მანერნიზმისა და ბაროკოს თვალსაზრისი. აქ განვითარებულია აყად. შალვა თვლებიძისეული დებულება „ვეფხისტყაოსნის“, როგორც ქართული რენესანსის უმაღლეს გამოვლენებაზე. არადასავლეთეეროპული რენესანსის დებულებისადმი სკეპტიკური თვალსაზრისი, კერძოდ, ქართული რენესანსის დებულების საეკვოდ გამოკვლავება, ერთი შეხედვით, სათოვრების ქართული მანერნიზმ-ბაროკოს საკითხსაც, ვინაიდან ეს უკანასკნელი წარმოადგენს იმ ფენომენს, რაც მოჰყვა რენესანსს. მოგვსენებათ, მანერნიზმ-ბაროკოს კვლევა გულისხმობს თვალის გაყოლებას „რენესანსული ტრადიციისადმი“ (უ. ზაფერი. რენესანსული სტილის ოთხი საფეხური. ნიუ-იორკი, 1964). ბაროკო-რენესანსის ბედია. მაგრამ აქ სკეპტიკური თვალსაზრისი ყველა შემთხვევაში განწირულია. ერთი წამით კიდევ რომ დავთვით (ისე, დასათვთი როდია!) დებულება ქართული რენესანსისა, ამით მაინც არ ესპობა წინამძღვარი ქართულ მანერნიზმ-ბაროკოს. საქმე ისაა, კიდევ რომ ვთქვათ უარი რენესანსის ცნებაზე, როგორც „ისტორიული ასოციაციებით ქარბად გადატვირთულ ტერმინზე“ (რ. კურციუსი, ევროპული ლიტერატურა და ლათინურა შუა საუკუნეები. ბერნი, 1948), ამავე პერიოდს, როგორც ევროპაში, ასევე საქართველოში შეიძლება ვუწოდოთ კლასიკა, როგორც წინა პერიოდისადმი ოპოზიციურად მიმართულ ხელოვნებას, როგორც „იდეალურობას მიღწეულ ბუნებას“. ასე-ე კლასიკის უარყოფა ქართულ კულტურაში უკიდურეს ნიპილისტსაც გაუმწელებოდა. ასე-თი კლასიკის დაშლის ორ სხვადასხვა ტიპს წარმოადგენენ მანერნიზმი და ბაროკო. ასე რომ, კიდევ რომ ვერ შევთანხმდეთ იმაზე, თუ რაა რენესანსი, ან შესაძლებელია თუ არა იგი დასავლეთ ევროპული გარკვეული ეპოქისა და არ-

ელის მიღმა, შეუძლებელია არ იყოს იმაზე, რომ XII საუკუნის საქართველოში აღგალი ჰქონდა ინდივიდუალიზმის, ვიტალურობის, ცხოვრების სეკულარული ხედვის რენესანსის, აღმინასა და სამყაროს შორის ურთიერთობის კლასიკური სქემის დამკვიდრებას, რომლის რღვევას მოგვიანებით მანერნიზმ-ბაროკო ეწოდება. ამდენად ის საფუძვლი, რომელსაც ემყარება გ. გაჩეჩილაძის თვალსაზრისი, ჩვენააზრით, სარწმუნო და მყარია.

მე ვფიქრობ, რომ რამდენადმე დაზუსტებას საქართველს გ. გაჩეჩილაძის დებულების ერთ-ერთი პუნქტი, რომელიც რენესანს-მანერნიზმის ურთიერთობას უკავშირდება. უდაბო, რომ მანერნიზმის ნიშნები დასავლეთ ევროპაში უკვე რენესანსის ცალკეულ წარმომადგენლებთან იჩენს თავს (ესაა ის მოვლენა, რენესანსის კრიზისის რომ უწოდებენ ხოლმე). გ. გაჩეჩილაძეს მიაჩნია, რომ იდეალისა და პრაქტიკის გათიშვას „ტრაგიკული შეგრძნების“ ერთგვარი „ემბრაონი“, „თავისებური პოტენციის სახით ღვივის რუსთაველის იდეალური გმირების ნეგატიურ მოქმედებათა კომპლექსში“, რაც დაძლეულია მშვენიერების ტოტალურობის სულისკვეთებით. ჩემი აზრით, რუსთაველის გმირთა „ცალკეული“ ნეგატიური მოქმედებები და, საერთოდ, რუსთაველის პოემის ნატურალისტური ელემენტები არის „ვეფხისტყაოსნის“ თავისებური „მოკაჩოს საწყისი“, თავისებური ნაგვიანევი რეალიზაცია ქართული რენესანსის აღრინდელი საფეხურისა. სხვანაირად: „ვეფხისტყაოსანში“ აისახა აღრინდელი აღორძინების ნიშნებიც, მაგრამ საერთოდ პოემა კლასიკური ნიმუშია მაღალი აღორძინებისა, სადაც ემბრიონიც კი არ არის გვიანდელი აღორძინების კრიზისული ნიშნებისა. ამ მომენტის ხაზგასმა და აქ სრული სიცხადის შეტანა აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ბაროკო არა საერთოდ რენესანსის, არამედ გვიანდელი რენესანსის დაშლაა.

ქართული კულტურის მთელი დიდი პერიოდის დახასიათებისათვის მეტად საკულისხმოა გ. გაჩეჩილაძის სამართლიანი განცხადება, რომ ბაროკო რენესანსული კულტურის ანტითეზაა, მაგრამ „თვით ანტითეზის ცნება აქ რამდენადმე პირობითია მნიშვნელობის ელფერთაა გარემოსილი. მასში იგულისხმება იმ ცვლილებებისა და დევალოვაციის ხასიათი, რომელიც კულტურაბ ისტორიაში რენესანსულმა იდეებმა ბაროკოსმ ეპოქაში განიცადა“. მართლაც, პოსტ-რუსთაველური ხანის პოეტთა კამათი „ვეფხისტყაოსნის“

ირაკლი კანოფშილი
ძირითადი აუთენტიკური ბაროკოს გავო

„შემოქმედთან როდი ხასიათდება ამ ლიტერატურული მოდელის რეული უარყოფით. „მასა-
ტერება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ რუს-
თველის ქმნილებისადმი ამხილენტიერ დამო-
კიდებულებას ამჟღავნებს: აქ არის უარყოფაც
და აღიარებაც, თაყვანისცემაც და ძაბვაც...
მე-16-18 საუკუნის ქართული ლიტერატურულა
ძეგლების კლასიკური ხანისაგან სხვაობის რე-
ლაციტრობის კვლავ-ძიება დიდად შეუწყობს
ხელს ამ დროის ნაწარმოებთა ფილოსოფიური
ასპექტის შემდგომ შესწავლას.

პოსტ-რუსთველური ხანის ქართულ კულტუ-
რას გ. გაჩეჩილაძე ბაროკოულად მიიჩნევს და,
შესაბამისად, კონტრარენესანსს უწოდებს. აქ,
ცხადია, საქმე არ ამოიწურება ცნებათა სიზა-
ნით ქართული სამყაროსადმი. ეს ცნებები ამ
ეპოქის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი კუ-
ლტურულ-ისტორიული უნივერსალის საცნაუ-
რი ტიპოლოგიური ნიშნების განსაზღვრულ
შეფასებასაც გულისხმობს. (და ამასთანავე ამ
სტრუქტურის თან მიყვება ცოდნის, შთაბეჭდილება-
სტოქეციკთა სათანადო წრე).

მე-16-17 საუკუნეთა მიჯნის ქართულ კულ-
ტურას გ. გაჩეჩილაძე განიხილავს როგორც მა-
ნერისტულს. ესაა „ვეფხისტყაოსნის“ გავრქე-
ლებებში რუსთველური გმირების კვარცხლბეკ-
თა დამხობის ხანა. ძველი ფორმა გამოყენებუ-
ლია ანტირუსთველური სულიერი მოძრაობას
მხატვრული ვასაგებისათვის. საგულისხმოა
„ვეფხისტყაოსნის“ გავრქელებებში დეპეროი-
ზაციის დანახვა. რუსთველის პოემის მხატვრუ-
ლი საწყისები ქართული მანერისმის წარმომად-
გენლებთან გამოყენებულია ახალი ხანის „დამა-
რცხებელი, უძლერი და კატასტროფის გრძნო-
ბით აღბეჭდილი სულიერი მიმოქცევების სარე-
ალიზაციოდ“. ხატოვნად რომ ვთქვათ, ხელო-
ვანი-მანერისტი ძალიან ხშირად ახალ დეი-
ნოს ძველ თიბერში ასხამს.

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებუ-
ლი ტრადიციული თვალსაზრისი, რომლის მიხე-
დვითაც პოსტ-რუსთველური ხანის პირველი ნა-
წარმოებები (ე. წ. „გავრქელებები“) ეპიგონუ-
რი ხასიათისაა, ვერ ამჩნევდა, უგულვებლყოფ-
და სიახლის, ევოლუციის მომენტს „ვეფხისტყა-
ოსნის“ გავრქელებებში, ვერ ამჩნევდა სამყა-
როსა და ადამიანის შესახებ არარუსთველური,
ანტიკლასიკური, მანერისტული მსოფლგანცდის
ჩასახვას. ამის გამო დიდად უფასურდებოდა
ქართული ლიტერატურის ევოლუციის ერთ-ეო-
თი უმნიშვნელოვანესი საფეხური, რომლის ახ-
ალი იდეურ-ესთეტიკური კვალიფიკაცია დიდად
მნიშვნელოვანია.

მე მინდა აქვე აღვნიშნო, რომ დებულებას
ქართულ მანერისმ-ბაროკოს შესახებ ჩვენი ლი-
ტერატურის მკვლევართა ერთი ნაწილი დღემი-
ლით, შეცბუნებით და ერთგვარად ვკვირთაც უყუ-
რებს, ამას კლბათ აქვს თავისი ფსიქოლოგიურ-

მეცნიერული მიზეზები და ამის ძიება შე აქ
არ გამოვლდებოდა. რა თქმა უნდა, უოველთის
უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ არ მოვახვითთ
რომელიმე ეროვნულ ლიტერატურას სხვა ერო-
ვნული ლიტერატურის ცნებები და წარმოდგე-
ნები, სისტემატიზაციის სქემები და პრინციპები.
ამაზე განსაკუთრებული ზრუნვა გვმართებს
ჩვენ, მკვლევარებს ქართული ლიტერატურისა,
რომელიც საუკუნეთა მანძილზე არსებითად და-
საღვთო ევროპისაგან განკალკეებულად ვითა-
რდებოდა. მაგრამ არ უნდა დაგვივიწყდეს ჩვე-
ნი ლიტერატურის ის თავისებურებაც, რომ
ჩვენს ლიტერატურაში, ძირითადად თვითჩასახ-
ვის გზით, ჩამოყალიბდა მრავალი ისეთი მხატვ-
რული კატეგორია, რომელიც თავისი არსით შე-
ესაბამება მხატვრული აზროვნების ყველაზე
მოწინავე და პროგრესულ მიღწევებს ევროპე-
ლი კულტურისა. უნდა ვიყოთ ბოლომდე ლო-
გიკურნი და უნდა ვთქვათ, რომ: თუ ანტირენე-
სანსული, ანტიკლასიკური მსოფლგანცდის გა-
მოხატვას რენესანსული, კლასიკური ფორმების
შენარჩუნების წადილით ყველგან ბაროკო ეწო-
დება, იქნება ეს ესპანეთი, იტალია, გერმანია,
უნგრეთი, საფრანგეთი, უარაინა თუ რუსეთი,
— ვერ ვხედავ ვერავითარ მიზეზს, რომ იგივე
მოვლენას საქართველოშიც, თავისი გენეზისი-
უთენტუკურს, ამ ეწოდოს ბაროკო. ამ ლოგე-
კის უგულვებლყოფა ლიტერატურული სისტე-
მატიზაციის კანონების უგულვებლყოფა იქნე-
ბოდა. ხომ არავის მოუვა აზრად, რომ იმას,
რასაც ევროპელი ლიტერატურაში, ეთქვათ
რონიკა, კათარზისი ან კალოგაკატია ეწოდება,
გამოცხადდეს ქართული კულტურისათვის უც-
ნო და შეუძლებელი მოვლენად? რენესანსული,
„კლასიკური“ ხელოვნების დაისს ყველგან, ეს-
პანეთისა თუ საქართველოში თუ სხვაგან, ბა-
როკო ეწოდება.

სულ სხვა საკითხია და საუფლისხმოც, რომ
უნდა დადგინდეს არა მხოლოდ მსგავსებანი,
არამედ სხვაობანიც ქართულ და ევროპულ მანე-
რისმ-ბაროკოს გამოვლინებათა შორის. გ. გა-
ჩეჩილაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ
„მსგავს პრინციპზეა დაფუძნებული“ ქართუ-
ლი ბაროკო და ბაროკოს ესპანური გამოვლინე-
ბა — ლიტერატურის, ბაროკოს იტალიური გა-
მოვლინება — მარინისმი და სხვა, რაც იმას
მოწმობს, „რომ მე-16-18 საუკუნეთა ქართული
კულტურა იმავე გზით წარიმართა, რა გზითაც
დასავლეთის ცივილიზებულმა ერებმა გაიარეს“. ამ
გზაზე ქართული ბაროკოული ხელოვნების
ათვისებურობათა დადგენას, ბაროკოს ქართული
ნაირსახეობისათვის სპეციალური ცნების შე-
მუშავებას უთქვოდ გულისხმობს ქართული აე-
თენტუკური ბაროკოს პრობლემა. მეტაფიზიკუ-
რი სკოლა (ინელისმი), პრეციოზულობა (საუ-
რანგეთში) — ჩინებული ცნებებია, რომლებიც
ათვისებურ დახასიათებასაც შეიცავენ ბაროკოს



(უფრო ზუსტად-მანეროზმის) ეროვნული სახეობებისა. ქართულ მანეროზმ-ბაროკოსაც სჭირდება ახალი ცნებები, რომელნიც ვარკვეული შეხედულებასა და ასოციაციათა ჩაქვით დაიტვირთებინა და უფრო სისტემატიზებულ სახეს მისცემენ ძველი ქართული ლიტერატურის ევოლუციური პროცესის სურათს. მოგვსენებათ, ტუპოლოგიური ლიტერატურათმცოდნეობა, რომელიც ველისჩმობს ჟაქტუალიზმით თვითმკაცოფილების დაძლევას. ვიზნად ისახავს როგორც ზოგად (მსოფლიო ლიტერატურის), ასევე კერძო (ეროვნული ლიტერატურის) კანონზომიერებათა დადგენას. ქართული ლიტერატურის სპარსულიდან მიმართების გააზრება ბაროკოს ასპექტით ნიშნავს არა მხოლოდ ბაროკოულ ლიტერატურაში „გაუღენის“ მექანიზმის თავისებურებათა კიდევ ერთ დადასტურებას ორიგინალური ქართული მასალით, არამედ მე-16-17 საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში „სპარსული საწყისის“ გამოყენებას კვალიფიკაციასაც, გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სპარსული პოეზიით ქართველ მწერალთა ტუბობას, ამ „სიმოპოლიტიზმს“, თითქოს პარალოქსალურადაც იმ ისტორიულ სიტუაციაში, არასოდეს უპოვნია ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ასეთი თავისებური ახსნა, არასოდეს ყოფილა მომხობილი ასეთი ზუსტი ანალოგია, როცა ვ. გაჩეჩილაძე მიუთითებს ესპანურს ელტზე ბაროკოს ეპოქის ნეპოლიში. არაბულ-იტალიურთა თავყანისცემაზე ესპანეთში, გერმანული ბაროკოს პოეტთა უკმაყოფილებაზე გერმანული ვენის „სიმშრალით“.

წერილში ქართული ბაროკოსა და ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ამოცანების შესახებ სამართლიანად აღნიშნება, რომ გეოგრაფიული დაშორება და ზოგ შემთხვევაში არასინქრონიზულობაც, ვერ ფარავენ ქართულ და დასავლეთ-ევროპულ ლიტერატურებში სტილთა და მათ განმპირობებელ მსოფლგანცდათა შესაბამისობებს, რომლებიც, მე ვფიქრობ, უფრო ანალოგიურია, ვიდრე პარალელური. ამით მინდა ხაზი გადმავა არა მხოლოდ მსგავსებებს, არამედ ეროვნულ თავისებურებებს, თუმცა ეს უყანასკენი არაა იმ ხარისხის, რომ მე-16-18 საუკუნეების ქართული ელტურა არაბაროკოულ ხასიათისად მიგვეჩინა.

ვ. გაჩეჩილაძე ქართული და ევროპული მანეროზმ-ბაროკოს ისტორიული ფონის მსგავსებებზეც მეთვითებს. ამ დროს „ქართული ე. წ. სენიორული, მიწათმფლობელი არისტოკრატია იდეოლოგიური შეპირების უმძიმეს წიფებს განიცდის“. ამ საზოგადოებამ იცის, რომ მისი ოქროს ხანა წარსულშია და მას შეეძლო „მეფე ლირის“ გლოსტერივით განეცხადებინა: ჩვენ უკვე ვიზილეთ ჩვენი საუკეთესო დრონიო. ქართლის ჭირზე თაობიდან თაობამდე ჩივილი, სოფლის გაუთავებელი სამღურავე გამოვლენა-

ბა იმდაგვარი სულიერი ატმოსფეროს მქონე მელმაკე კანელტს ათქმევინა: „დამპალა რალაც ამ დანიის სახელმწიფოში.“ ასეთი მსგავსებანი „მხოლოდ ბაროკოს ესთეტიკის გათვალისწინების საფუძველზე შეიძლება აიხსნას“. ამ საფუძველზე ხდება კვალიფიკაცია ქართული ლიტერატურის „ომანიანის“ ხანისა, როცა მევეთრად გამოვლინდა დაცემა რენესანსული, ზოლო ეისაც ეს ატრიბუტი არ მოწონს — კლასიკური ოპტიმიზმისა, როცა თავი იჩინა ფორმისა და შინაარსის მანერისტულმა დეზინტეგრაციამ.

ქართული მანეროზმი „ქრონოლოგიურად მე-16-17 საუკუნეთა მიჯნაზეა ნაყარაუღვევი“. ეს არის „ეფეფისტყაოსნის“ მსოფლგანცდვის დეზინტეგრაციის მევეთრი გამოვლინების ხანა. „ამ მანერისტული ტრანსფორმაციის ენციკლოპედიური ნიშნულია მე-17 საუკუნის დასაწყისში შექმნილი ომანიანი“. შემდგომ ძველებს (კლასიკიზმის გამოვლებით) ვ. გაჩეჩილაძე განიხილავს როგორც ბაროკოს კუთვნილებას. იყარაუღვება, რომ ბაროკოს ესთეტიკის შუქზე უნდა იქნას განხილული არჩილის, ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანის, გურამიშვილის, ბესიკის, ი. ბატონიშვილის შემოქმედება და სხვ. თეორიული საფუძველი, რომელსაც ვ. გაჩეჩილაძე ეყარაუღვება, ექვს არ იწვევს, რომ ძიება ამ მიმართულებით ისევე გამართლებული და სანეტრესოა, როგორც საველისხმოა ა. გრიფიუსის დრამის „ქეთევან ქართველის“ და თეიმურაზ I პოემის ტუპოლოგიური შეფარდების სურათს. რაც შეეხება დავით გურამიშვილის „ზუზუკის“ მიჩნევას ბაროკოს ტოპის ნაწარმოებად, ეს დებულება, ჩემი აზრით, არ გამოიყურება სარწმუნოდ. მე ვფიქრობ, რომ გურამიშვილის „ზუზუკეა“ არაა ბაროკოული და ერთ-ერთი უძლიერესი ლექსია მანერისტულ პოეზიაში. ბაროკო უფრო „ჩანსაია“, უფრო „ლოგეკური“, უფრო ნაკლებადაა შეპურობილი „კომპლექსებით“, ვიდრე „ზუზუკეა“ თავისი „ალოგიზმით“ და „ელემენტთა ორმაგი ქლერადობით“ (ზიზიფერი). ამ ლექსში თავს იჩენს „მკრანობელობის ის დაშლა-დანაწევრება“, რასაც ტომას ელიოტი მე-17 საუკუნის ინგლისურ პოეზიაში ხედავს. წმინდა ტერენსის, ელ. გრეკოს, ჯონ დონისათვის, დ. გურამიშვილისათვის („ზუზუკეა“ და არა „ქაცვია მწვემისი“ — ეს ტიპური ბაროკოული ნაწარმოებები) რეალური, ფიზიკური ზღანი არ შეიძლება იყოს კმაყოფილების და შვების მომცემი. „ზუზუკეაში“ არაა ბაროკოს ამალელებული „კათარზისი“. ამ ლექსის სპირტუალიზებული ეროტიზმი ნერვიული „კომპლექსია“, შედეგი „მანერისტული ფსიქოლოგისა“ (ზიზიფერი). და მინც, აქვე მინდა დაქინო,

ირაკლი კანოვოვილი
 მართლმწიფო ათმთხმტკაური ბაროკოს გავი

რომ გარკვეულად ლოგიკური და გასაგებია, როცა გ. გაჩეჩილაძე „ზუბოვკას“, ჩემი აზრით ამჟამად მანერისტულ ლექსს, არ უკავშირებს მანერისმს. მოგეხსენებათ, ევროპულ წილში მანერისმი მე-16 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-17 საუკუნის პირველ ათეულ წლებში (იშვითად უფრო გვიანაც) ბატონობს. საქართველოში მანერისმი გ. გაჩეჩილაძემ პირველ პოსტრუსთველურ ძეგლებს დაუკავშირა სრულიად მართებულიად. შემდეგ მოდის ბაროკოს ხანა. მაგრამ, მე მგონია, მანერისტული განწყობილება და ზღწერა უნდა ექვემდებოდება არა მხოლოდ ბაროკომდე, არამედ ბაროკოს შემდეგაც. ასეთი პოსტ-ბაროკოული მანერისმია გურამიშვილის „ზუბოვკა“. ასეთი ტიპის მანერისმს, როგორც ბაროკოს, შეიძლება პარალელურად სხვა ქართული ტერმინიც მოეძებნოს; ამასთანავე ბაროკოსში შეიძლება ვიხილოთ ბაროკომდელი მანერისმის მიმართაც.

მე საუბარი დაიწყო იმ დებულების მხარდასაჭერად, რომ თავისუფლად შეიძლება ლაპარაკი ქართულ მანერისმ-ბაროკოს შესახებ. ასეთი პოზიცია აბრიორი გულისხმობს იმ წინამძღვარს, რომ, გენეტიკური და ფაქტიური კავშირების ნაკლებობის მიუხედავად, მე-16-18 საუკუნეთა ქართულ და დასავლეთევროპულ ლიტერატურათა შორის თვისობრივი, ტიპოლოგიური მსგავსებანი ქარბობენ სხვაობებს. მაგრამ შეუძლებელიც რომ იყოს ლაპარაკი დასავლეთ ევროპისაგან გენეტიკურად და სისტემურად დაშორებულ აუთენტიკურ ქართულ ბაროკოს შესახებ, ე. ი. სხვაობანი კიდევ რომ სპარბობდნენ მსგავსებებს, ასეთი ფართო ტიპოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მაინც უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება. ცხადია, ქართულ ფენომენს სხვა ცნებები და-

ჭირდება, მაგრამ თავისთავად ქართულ და ევროპულ მრავალგვარად და მრავალმხრივ მსგავს მოვლენათა შეპირისპირებანი მაინც ნაყოფიერი და სასურველი აღმოჩნდება. ასეთ ტიპოლოგიურ შეფარდება — შეპირისპირებებსას კონკრეტული ანალიზით მიღებული საერთო ნიშნები და კანონზომიერებანი იქნება არა ბაროკოული, არამედ უფრო ზოგადი და ფართო, უფრო კომპლექსური, რომელსაც ახალი განსაზღვრება და ცნება დაჭირდებოდა. ასეთი შედეგისკენაც გზა უნდა იყოს ტიპოლოგიური ანალიზი, კომპარატივისტული გეზი. გ. გაჩეჩილაძის დებულებებისადმი უკიდურესი დაექვევების შემახვევავშიც ნათლად ჩანს დასახული გეზის ნაყოფიერება და აქტუალობა. ცხადია, ყოველგვარი ტიპოლოგია, ყოველგვარი პარალელი და ანალოგია რამდენადაც მაკდუნებელია, ასევე სასიფათოა, მაგრამ ლიტერატურის მკვლევარი უნდა მიდიოდეს ამ რისკზე, თუ მას სურს იყოს ერთგული თავისი პროფესიისა.

ყველას, ვისაც ნათლად ესმის თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობის ამოცანები, ვისაც სურს ლიტერატურის კონკრეტული ფაქტიური მასალა იხილოს არა მხოლოდ სისტემატიზირებული, არამედ ღრმად გააზრებული, ვისაც მე-16-18 საუკუნეთა ქართული ლიტერატურა სურს იხილოს კანონზომიერად „ჩაწერილი“ არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის გრცელ პანორამაშიც, ცხადია, ისიც ნათლად მოეხსენება, რომ გზა ამ ამოცანის გადაწყვეტისაკენ არის ეროვნული ლიტერატურის კვლევის ვიწრო „კამერული“ ჩარჩოებიდან გაღწევა, ჭიდილი რთულ და აქტუალურ პრობლემებთან, კონცეფციური ასპექტებისადმი განსაკუთრებული ზრუნვა და ყურადღება.



ჰიპნოზის დასამარება?!

ამ რამდენიმე ხნის წინ სან-ფრანცისკოში ჰიპნოზის მოძრაობის სახუმარო დასაფლავება მოეწყო. ამ ფარსით თითქოს დასრულდა ამერიკელი ახალგაზრდობის კიდევ ერთი სტიქიური მოძრაობა. მოძრაობა, რომელმაც წახევარ მილიონზე მეტი ახალგაზრდა მოიცვა და მსოფლიოს ყურადღებას იქცევს 10 წლის მანძილზე.

ჰიპნოზა 60-იან წლებში კალიფორნიელი ბიტნიკებისა და LSD-თი (პალუტინოგენი) გატაცებულ ახალგაზრდობისაგან იღებს სათავეს. მათ ბიტნიკებისაგან ცხოვრების თავისებური სტილი გადმოიღეს — სილატაკის ზოტბა, გამოყენებული ჭინსები, სანდლები, ქონხაზებში ცხოვრება, ზანგური ჯაზითა და ეტრგონით, აღწოსავლეთის მისტიციზმითა და ფრანგული ეგზისტენციალიზმით გატაცება: ტექნოკრატიული საზოგადოებისადმი მკვეთრი ანტიგონიზმი.

მათ არ გააჩნიათ ერთიანი ჩამოყალიბებული იდეოლოგია, რასაც ორი არგუმენტით ასაბუთებენ. მიაჩნიათ, რომ ფუნქციონალურად და შინაარსობრივად იდეოლოგიამ ამოსწურა თავისი თავი, თანამედროვეობას კი მოქმედება ესაჭიროება და არა ფიქრი; მეორე ის, რომ ყველა იდეოლოგია თითქოს „დოქტრინული“ და დემავოგურია.

„პრაქტიკულად ისინი უსუსურები არიან, შენიშნავდა ჰიპნოზის მოძრაობის მკვლევარი დოქტორი ლუის იაბლონსკი, — და რადგან მათ ლიდერები არა ჰყავთ, ადვილად მქცევიათ ძლიერი პირების გავლენის ქვეშ. ჰიპნოზის უმეტესობა სოციალურად მკვდარია“.

ასეთი ძლიერი პიროვნებები და მათი „სუსლიერი წინამძღოლებიც“ გამოჩნდნენ — 40 წლის პოეტი-ბატნიკი ალენ გინზბერგი, LSD-ს შემქმნელი დოქტორი ტიმოთე ლირი, რომელმაც წამოაყენა სინამდვილიდან გაქცე-

ვის ლოზუნგი „გამოერთე, ჩაერთე, განზავდი“, და პროფესიონალური ორგანიზაცია „ჯოჯოხეთის ანგელოზთა“ მამა, მწერალი კენ კესი — კონფორმიზმისა და ყოველგვარი ძალუფლების არსებობის მოწინააღმდეგე.

ამერიკელი ახალგაზრდობის ყველა ოპოზიციური დაჯგუფების მსგავსად, ჰიპნოზის ცენტრალური პრობლემა ადამიანის პრობლემაა. მათ სწამთ, რომ დასავლეთში სოციალური და კულტურული ევოლუცია არასწორი გზით წარიმართა და მატერიალურ დოვლათს დახარბებულმა ყურადღება გაამახვილა ტექნიკის მოდერნიზაციაზე, წარმოების ორგანიზაციასა და ადმინისტრაციულ მმართველობაზე, ადამიანის მიერ ადამიანზე ბატონობის მეთოდების სრულყოფაზე; ადამიანის ბედნიერებამ, ინდივიდუალურმა თავისუფლებამ, ადამიანთა შორის სულიერმა სიახლოვემ მნიშვნელობა დაკარგა.

ჰიპნოზის, ამ ბურჟუაზიული საზოგადოებიდან თავისი ნებით „მოკვეთილთა“ ყურადღება „მარტივ ცხოვრებაზე“ გამახვილებული. ისინი უარყოფენ დაკანონებულ მორალურ, სოციალურ და კულტურულ ნორმებს. იდეალად აცხადებენ სოციალური ურთიერთობის ახალ ტიპს — „სიყვარულზე“ დაფუძნებულ ურთიერთობას და ცხოვრების ახალ „თემურ“ სტილს, სადაც „სულიერი“ და „პიროვნული“ საწყისები კარბობს.

ჰიპნოზის ანტისოციალურ ამოზში შეინიშნება გარკვეული ანტიბურჟუაზიული მიმართულება. მაგრამ მას მახინჯი ხასიათი აქვს. ჰიპნოზი არა მარტო „ქორუფიციაში ჩაფლულ საზოგადოებას“ უარყოფენ, არამედ ყოველგვარ სინამდვილეს. მათი პროტესტი თავიდანვე ინფანტილური იყო. „მათ არ იცოდნენ როგორ ეცხოვრათ. იცოდნენ მხოლოდ ის, რომ ცხოვრება ისე, როგორც ცხოვრობდნენ მათი მშობ-



ლები, რომლებსთვისაც აღამიანს საუკეთესო დახასიათებას ჩვეის წინააღმდეგ მოადგენდა, აღარ შეიძლება, რომ არაპუნდურია აღამიანების რობოტებისა და მინციების დონემდე დაყვანა, რომ თავისუფლების ზოტბა და ჭარების გაგზავნა სხვისი ქვეყნების დასაპყრობად შეუთავსებელი სიყალბეებია. მთელ ამ საზოგადოებაში ისინი ბრალს სდებდნენ კაპიტალისტურ სამყაროს, მაგრამ არ იცოდნენ, როგორ შეეცვალებათ იგი. მათ დღევანდელი „გამოერთვით, ჩაერთვით, განზავდით“ (ძირითადად ნარკოტიკების საშუალებით). მოუწოდებს განუდგნენ რეალურ საზოგადოებას, მის სიღრმეებში და ტანჯვას, ფაქტიურად კი — შეეგუონ მას.

ამერიკაში დამრწმუნებულნი — საცოდავი, გულბრწყინილი ახალგაზრდები. წერილი ბერლინში წერიდან გამოსულ შემდეგ აღმდგენელი მიზანი დაისახეს — გამოეთიშონ ცხოვრებას, რომელიც მათ არ მოსწონთ. მათ შორის არიან ახალგაზრდა პოეტები, მედიკოსები, მოსამსახურეები, სტუდენტები, მცირერიცხოვანი მუსიკოსები. დღისით ისინი ზუსტ მეცნიერებებს შეისწავლიან, საღამოებსა და ღამებს კი სარდალებში ატარებენ. იქ გრამფონები ელექტროგიტარები, სმაჩაბრინწული მომღერლების ირგვლივ კი სხედან ან წინან ნარკოტიკებით გაბრუნებული ყმაწვილები და ქალიშვილები, რომლებსაც სწამთ, რომ ამ გზით თავს აღწევენ მათთვის მიუღებელ და საძულველ ამერიკული მთავრის ცხოვრებას.

ისინი „გაექცნენ საზოგადოებას, — წერდა ელზა ბეილი „ტაიმი“, — რომელიც მხოლოდ მუშაობით, კანონების დაცვითა და ხელისუფლებისადმი მორჩილებით გამოვლენებთა დაკავებული. მათ სძულთ საკუთრება და ფული“. მათ არ მოსწონთ ნაღდი ფულის სამყარო, მაგრამ ჯერ არ იციან ბრძოლა იმათთან ერთად, ვინც კაპიტალისტური სამყაროს წყალულების წარმოშობის ნამდვილი მიზეზები შეიგნეს.

ამერიკის თითქმის ყველა დიდ ქალაქთან ახლს სხობა მათი კოლონიები („პეიტი-ფორმის“ — სან-ფრანცისკოსთან, „ლორენის ფერმა“, ცნობილი „ფრედატების ოჯახი“ და ა. შ.). „დედა-ქალაქად“ სან-ფრანცისკოა გამოცხადებული, სადაც 1966 წ. შედგა მათი პირველი შეკრება, რომელსაც 45 ათასი პიი დაესწრო.

ივნის 1969 წ. გამართულ „ველსტოკის მუსიკისა და ხელოვნების ფესტივალზე“ კი 400.000 პიი შეიკრება. როგორც ფესტივალის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მაიკლ ლენგმა განაცხადა, ამ ფესტივალს უნდა ეწევიდნენ „ყველაფერი ის, რასაც კი რაიმე ღირებულება აქვს ახალი თაობისათვის“. უნდოდათ დემოკრატები, რომ არსებობს სპეციფიკური ევრეთიფიკებული „ახალგაზრდული კულტურა“. ფესტივალის მონაწილე ერთმა 18 წლის გო-

გონამ კარგად გამოხატა ფესტივალზე შექმნილი ბილითა აზრით „მე ჩამოვედი, რომ მზადად ერთად ვიყო, ვინც ჩემსავით ფიქრობს, შეიგნებოდა. კარგი სულიერია განწყობისათვის მეტად ნიშნულგონანია ჩვენი ერთად ყოფნა, თორემ ცალკეული თვითული ჩვენთვის სიბრტყის განიცდის. მე ჩემი ოჯახიდან სულიერ მარტოობას გამოვექეცი“.

„დამრწმუნებულნი და შემთხვევითი სამუშაოთი ირჩენენ თავს — კურკულს რეცხვენ კაფეებში, სტატისტიკადად მუშაობენ „იატაკეემა“ კონოებში, საქონელს დატარებენ მლაზრებში. მათ მინიმალური მოთხოვნები აქვთ — სენდვიჩი და სვეტრში დადგმული სკამი.“

„აღამიანი ყვავილები“ დროისა და სივრცის მიღმა ცხოვრობენ და რეალური ცხოვრების ფერებს LSD-ს მიღებით შექმნილი ჰალუცინაციები უძლიან. „ყველას აჯობე სიყვარულში“ — აი ეძღვე მათი ერთი დოქტრინა — ეს „საკუთრება“ სიყვარული“ კი შეუძლებელია ქვეყანაში, სადაც ძალადობა მეფობს.

პიების მოძრაობას, მათ წინამორბედ ბიტნიკებთან შედარებით, უფრო პოლიტიკური ხასიათი აქვს. პიებს შეიძლება შეხვედეთ ანტი-სომარ დემოკრატიკა რიგებში და ღარიბთა მარშის მონაწილეთა შორის. ისინი ბრალს სდებენ ამერიკული ცხოვრების ყველა ასპექტს — წერდა „ტაიმი“, — მაგრამ ისე, რომ სამაგიეროს არაფერს გვათავაზობენ, რაზეც სერიოზული საუბარი შეიძლება... მათ სამყაროს გარდაქმნის არავითარი სურვილი არ გააჩნიათ, რადგან ამ არსებულთა არაფერი „ესპეკირებათ“.

პიების ნაირსახეობა ე. წ. იბები — აქტივისტი პიები. ისინიც ვაჩქარებები და მუშაობები, დაგლეჯილი ტანისამოსითა და ბრტყივალა მონარტალებით დამრწმუნებულნი პიებისგან განსხვავებით მეტი აქტიურობით გამოირჩევიან — გამოსცემენ „ალტერნატიული“ გაზეთებს, (ი. წ. „იატაკეემა“ პრესის სინდიკატი). მან გაზეთის აერთიანებს, რომელთა საერთო ტირაჟია დაახლოებით 265 ათასი ეგზემპლარი. გამოდიან ომის საწინააღმდეგო პროტესტებით, აქვთ საკუთარი თეატრი, კინო-მატრაგრაფი, აწყობენ დისკუსიებს და სპეციალურ კურსებს თემაზე „როგორ უნდა იარსებო უფულოდ“.

პიების ბუნტი ესაა ბუნტი უმდაბლეს, პრიმიტიულ სტადიაზე. მათი ზოგერთი წარმომადგენელი, კერძოდ ის, ვინც საკუთარი თვალთ ნახა მშრომელთა მდგომარეობა, აშშ-ს აგრესიული იმპერიალიზმის არსი, შეუერთდა ნამდვილი დემოკრატიისთვის მებრძოლთა რიგებს, მაგრამ პიების მეტი ნაწილი „ვერს დაძვალა სისტემის აბსტრაქტული ფარყობის წერტილიდან“. მოსახლეობის შეძლებული ფენებიდან გამოსულთ მათ საკუთარ თავზე არ

ფაქტობრივად არც ექსპლაცატაცია, არც რასობრივი და სოციალ-პოლიტიკური ჩაგვრა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მოძრაობაში უარესი ხანია ბზარი გაჩნდა და რამდენიმე მცირე ჯგუფად დაიყო, ზოგიერთი სოციოლოგ-კვლევითი ჰიპოთეზები ამერიკის მომავლადაც კვ გამოაცხადოს. მაგალითად, ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი არნოლდ თომინზი „ლაიფის“ კორესპონდენტთან საუბარში ამტკიცებდა, თუ ჰიპოთეზები „საზოგადოების პოზიტიური, მწარმოებელი წერტილები ვახდებიან და თავისი ახალი იდეებითა და სულით იზრდებიან, სულით, სადაც ფული წინა პლანზე არ არის წამოწეული, ისინი ამერიკელი ცხოვრების ახალ ყიდას შექმნიან“.

მაგრამ ფაქტურად ჰიპოთეზის მზე ჩაესვენა. ისინი წარსულს ბარდებიან. ბურჟუაზიულმა ამერიკამ შეინათა ისინი, როგორც აშშ-ში ამბობენ „ისინი სისტემაში იქნენ ინტეგრირებული“. იმ სისტემაში, რომლის წინააღმდეგაც ასეთი რისხვით იმადლებდნენ ხმას. დარჩა რამდენიმე სამხატვრო სახელოსნო, სადაც უცნაური ფორმის სანთლებს ასხამენ, აკეთებენ ქალის ხელჩანთებსა და კომპოზიტორ ქაშარებს. ჰიპოთეზი ახლა მოხეტიალე ვაჭრებად იქცნენ — ჩაუწყვირებიათ თავისი წვრილმანები ტრექტარებზე და მთელ დღეს ვიტარის ფლარტში ატარებენ. ბრკვევილა ჯაჭვებითა და მძივებით მორთულ კუჭკვიან ტანსაცმელში გამოწყობილნი მღერაინ და ხვალისდელ დღეზე ფიქრი არ აწყუბებთ.

ჰიპოთეზი ტურისტული ინდუსტრიის შემოსავლიან წყაროდ იქცა და იდეოლოგიური ექსპორტის ერთ-ერთი სტატიაც გახდა.

ჰიპოთეზი მომრავლდნენ ევროპაში, აზიაში, აფ-

სტრალიასა და ლათინურ ამერიკაში. „ნიუ-იორკული შვილები“, „ადამიანი — ყვავილები“, ჰიპოთეზი, ფუციენტოკუ (იაპონურად „გადარეული მოდგმა“) ამ სახელებით მოედნენ ისინი მთელ მსოფლიოს.

ჰიპოთეზი საპროტესტო მოძრაობა იყო, თუმცა მას არ გაჩნდა ამგვარი მოძრაობის დამახასიათებელი აშკარა ნიშნები: ისინი არ იყვნენ ორგანიზებულნი და უარყოფდნენ ძალადობას.

სოციალურ ინერტულობასთან ერთად ჰიპოთეზის მოძრაობის დაშლამ უკიდურესად ექსტრემისტული ჯგუფებიც წარმოშვა, რომლის ბირთვიც მცირერიცხოვანია და 6-8 ათას ახალგაზრდას მოიცავს. ექსტრემისტები გაუმართლებელ განდალიზმის აქტებს ახორციელებენ — მხოლოდ 1969 წელს მოაწყვეს 93 აფეთქება, რომელსაც წვრევა და სიკვდილი მოჰყვა.

კაპიტალიზმის კრიტიკაში ჰიპოთეზი ხშირად მარქსისტულ ფრაზეოლოგიას იყენებენ, მაგრამ ექსტრემისტულ ჯგუფებს არსებითად ნაკლებ აინტერესებთ მუშათა კლასის მდგომარეობა. ისინი უარყოფენ მის რევოლუციურ როლს და იმედს საზოგადოების „არაინტეგრირებულ ელემენტებზე“ აყარებენ. ჰიპოთეზის აპოლიტიკურობა, სექსისა და ნარკოტიკების კულტი, მათი „კონტრკულტურა“ ახალგაზრდობაზე გამბრწყინლად მოქმედებს, მათი გამობლომები კი ხშირად პროვოკაციული ხასიათისაა. ექსტრემისტებს განსხვავებით აშშ-ს პროგრესულმა ახალგაზრდობამ თავისი მარქსისტული ორგანიზაცია „ახალგაზრდა მუშათა გათავისუფლების კავშირი“ შექმნა, რაც საბოლოოდ გაფორმდა ჩიკაგოში გამართულ დამფუძნებელ ყრილობაზე 1970 წლის თებერვალში. იგი აშშ-ს კომპარტიის ძირითადი იდეური მოკავშირეა.



ტექნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტიკარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უშეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75, პ. შვ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 18/VII-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VIII-73 წ., ქალაქის ზომა 70 X 108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საადრ-საგ.

თაბახი 14,5

შეკვეთა № 2440.

უე 01949.

ტირაჟი 28.000.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 1/55



ფანდი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236